სლავა ფეტელავა

კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში

გამომცემლობა „ლოი“
თბილისი 2007

უაკ (UDC) 339.137.2
+ 346.546
ფ – 451

სლავა ფეტელავა. კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა „ლოი", 2007 წლის აგვისტო – 376 გვ.

ნაშრომში მოცემულია კონკურენციის თეორიის ევოლუციისა და საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირების პროცესი, საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის პრაქტიკული შედეგების სისტემატიზაცია და ნამოყალიბებულია კონკურენციის განვითარების კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემა. წარმოჩენილია ის სპეციფიკური თავისებურებანი, რომლითაც გამოირჩევა საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობა მსოფლიოში აპრობირებული მოდელებისაგან. დახასიათებულია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადგენილია საკონკურენციო სამართლის რეალიზაციის შემაფერხებელი გარემოებები. შემოთავაზებულია ეტაპობრივი რანჟირება კონკურენციის კანონმდებლობის განვითარების პეროდების მიხედვით და მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები.

ნაშრომში თეორიულ გამოკვლევასთან ერთად განზოგადებულია ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მონოპოლიური ქცევების პრაქტიკა, რომელიც ეყრდნობა წლების განმავლობაში მიმდინარე კონკრეტულ სასამართლო დავებს კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების სფეროში.

ნაშრომი განკუთვნილია მეცნიერებისათვის, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილე პირებისათვის, სტუდენტებისათვის და საეროდ კონკურენციის განვითარებისა და ხელშეწყობის (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: **მიხეილ ჯიბუტი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები: **შოთა ვეშაპიძე**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

შალვა გოგიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ISBN 978-99940-874-4-0

© **სლავა ფეტელავა, 2007.**

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქტორისაგან 5
წინასიტყვაობა 9
1. კონკურენციის შესახებ შეხედულებათა ევოლუცია 13
2. კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციის მოდელები. 29
2.1. ამერიკული მოდელი (აშშ) 46
2.2. ევროპული მოდელი (დიდი ბრიტანეთი) 67
2.3. ევროკავშირის მოდელი 82
3. საქართველოში კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის ჩამოყალიბების წინაპირობები და საერთაშორისო ვალდებულებები 98
3.1. ევროკავშირი და საქართველო 100
3..2. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და საქართველო. . .106
3.3. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და საქართველო 116
3.4. საქართველოს სახელშეკრულებო ურთიერთობები სხვა ქვეყნების კონკურენციის ორგანოებთან 120
4. კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის სრულყოფისა და რეალიზაციის სფეროში საქართველოსათვის (კონკურენციის ორგანოსათვის) გაწეული საერთაშორისო დახმარებები 1992 წლიდან 123
5. კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის ფორმირების (ჩამოყალიბებისა და რეალიზაციის) ეტაპები საქართველოში 131
6. საქართველოს ანტიმონოპოლიური (კონკურენციის) კანონმდებლობა და შესაბამისი აღმასრულებელი ინსტიტუტები 144
6.1. ანტიმონოპოლიური (კონკურენციული) რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები (ჩარჩო კანონმდებლობის მიმოხილვა) 148
6.2. რეგულირებადი ეკონომიკური სფეროების საკონკურენციო სამართლებრივი ნორმები და ინსტიტუტები . . . 190
7. საქართველოს კონკურენციის (ანტიმონოპოლიური რეგულირების) მთავარი (ძირითადი) ორგანო 202
7.1. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური 204
7.2. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო . . . 239

8. ანტიმონოპოლიური (კონკურენციული) რეგულირების შემაფერხებელი გარემოებები საქართველოში . . .246
9. ანტიმონოპოლიური (კონკურენციული) რეგულირების პერსპექტივები საქართველოში 260
10. არსებული ხარვეზების (პრობლემების) დაძლევის გზები 268
11. საკონკურენციო სამართლის (ანტიმონოპოლიური კანონის) პროექტი 274
12. დანართები 317
12.1. კონკურენციის თეორიული შეხედულებების ევოლუცია . .318
12.2. შერწყმის პროცესებთან დაკავშირებით შეტყობინების ანტიტრესტული (კონკურენციული) სისტემები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში 319
12.3. დსთ-ს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფოთაშორისი საბჭოს სხდომების გამართვის ქრონოლოგია 320
12.4. მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები (2001-2005 წწ.) 321
12.5. საქართველოში კონკურენციული (ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობის აღმასრულებელი მთავარი სახელმწიფო ორგანო 329
12.6. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებების გარდა საქართველოში კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის გამტარებელი ორგანოები . . .330
12.7. დემონოპოლიზაცია (საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტი) 331
12.8. ქვეყნები სადაც არ არსებობენ კონკურენციის (ანტიტრესტული, ანტიმონოპოლიური) საკანონმდებლო აქტები 339
12.9. გაეროსა და სხვა სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა წევრი ქვეყნების მიერ მიღებული ან მომზადებული კანონები კონკურენციის შესახებ (კანონის მიღების წლების ჩვენებით) 340
12.10. მეურნე სუბიექტების შერწყმებზე შუამდგომლობის განხილვის სქემა. 343
ლიტერატურა... 344
ავტორის შესახებ 370

რედაქტორისაგან

ავტორის – სლავა ფეტელავას ნაშრომის სახით ქართულმა საზოგადოებამ მიიღო ძალიან კარგი წიგნი.

ეს წიგნი კარგია იმიტომ, რომ მასში კონკურენციის პოლიტიკის მეცნიერული ანალიზია კომპლექსურად და სისტემურად მოცემული. განხილულია ერთის მხრივ, კონკურენციის თეორია, მისი ევოლუცია, მათზე დაფუძნებული ტიპიური და კარგი პოლიტიკური პრაქტიკის მსოფლიო მაგალითები და მეორე მხრივ, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის, კონკურენციის განვითარების ინსტიტუტების, მონოპოლიების მიერ საბაზრო ძალების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო ქმედებების ქართული კონტექსტი.

ეს კარგი წიგნი ძალიან კარგია იმიტომ, რომ ის წესიერად და სასარგებლოდაა დაწერილი. ავტორი თავის სიმართლეს ასაბუთებს და შეფასებებს აკადემიურად, მაგრამ მკაცრად, ყოველგვარი კონიუნქტურისა და ანგარიშის გარეშე აკეთებს. ეს განსაკუთრებით ფასეულია მაშინ, როდესაც ანტიმონოპოლიური რეგულირების ის უიღბლო ისტორია რაზეც წიგნშია მოთხრობილი ჯერ არ დამთავრებულა.

თუ ჩვეულებრივ აწყმო უფრო განვითარებულია მყოფადზე და ის ისტორიას შედეგის სახით მოიცავს თავისთავში, სულ საწინააღმდეგო მდგომარეობაა ანტიმონოპოლიურ რეგულირებასთან დაკავშირებით საქართველოში. ტოტალურად მონოპოლიზებული ეკონომიკიდან, რომელიც ძირითადად სახელმწიფო დირექტივებით იმართებოდა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის, რომელიც ძირითადად მოთხოვნა-მოწოდების კანონით იმართება, აუცილებელი იყო დემონოპოლიზაციისა და კონკურენციის განვითარებისათვის ხელშეწყობა. ანტიმონოპოლიური საქმიანობა საქართველოში დიდად წახალისებული არასოდეს არ ყოფილა, თუმცა რეფორმაცია სხვადასხვა ინტენსივობით, მაგრამ აღმავალი ხაზით ვითარდებოდა, ვიდრე 2005 წელი, როდესაც მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ (3 ივნისი, 2005 წ.), რომელმაც მანამდე ცამეტი წლის განმავლობაში ამ სფეროში მიღებული ნორმატიული აქტები გააუქმა, უარყო

წარსული ისტორიული გამოცდილება, მათ შორის ინსტიტუციონალური და მოახდინა საჯარო სამართლის სუბიექტის ანტიმონოპოლიური სამსახურის და საქვეუწყებო დაწესებულების – ფასების ინსპექციის ლიკვიდაცია, რითაც მოცემულ სფეროში საქართველო დაბრუნდა პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ წლებში. ახალი კანონის განმახორციელებელ ინსტიტუტად შეიქმნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო (23 აგვისტო, 2005 წ.), რომელიც არ იქნა აღიარებული როგორც ლიკვიდირებული სამსახურების სამართალმემკვიდრე. ანტიმონოპოლიური სამსახური წარმოიშვა ეკონომიკის სამინისტროს წიაღში და მაშინ გაუქმდა როცა მხად იყო დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოსაყალიბებლად. სააგენტო ძალიან შეზღუდული უფლებებითა და ფინანსური და ადამიანური რესურსებით ვერ უზრუნველყოფს კონკურენციის დაცვას მონოპოლიური ზეგავლენისაგან. ეს არ შეიძლება იყოს ზოგადად ხელისუფლების ან ბიზნესის ინტერესებში. ამ ინტერესებში არ შედის „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომლითაც 2006 წლის აპრილისათვის თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს „მთავრობისაგან დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად“ ჩამოყალიბება უნდა გადაწყვეტილიყო (მუხლი 15.გ.). მონოპოლია თუ ხელოვნურია და ის არ ჩამოყალიბდა და არ ფუნქციონირებს ნორმალური ანტიტრესტული კანონმდებლობის არსებობის პირობებში, დროებითია.

თუ კონკურენტულ გარემოში არ ჩამოყალიბდა მონოპოლია ის ვერ შეინარჩუნებს თავის მდგომარეობას ეკონომიკაზე პოლიტიკური დიქტატურის გარეშე. მით უმეტეს ვერ განავითარებს თავის საქმიანობას ქვეყნის გარეთ. მაგალითად საქართველოში რომელიღაც ხელოვნურად შექმნილი ჯონჯოლის მონოპოლისტი დიდხანს ვერ გაძლებს და ხვალ მისი მონოპოლია გადაიფარება უცხოური მონოპოლიით, რადგანაც საბაზრო ძალაუფლების ეკონომიკური ბრძოლის გარეშე მოპოვება მას არ მისცემს საშუალებას კონკურენტუნარიან სუბიექტად ჩამოყალიბდეს. რაც შეეხება მოსახ-

ლეობას ის როგორც მომხმარებელი რჩება დაუცველი და ზარალობს მონოპოლისტების მიერ უმეთვალყურეოდ შეთავაზებული ხარისხისა და ფასების პოლიტიკის გამო. „წმინდა ლიბერალიზმის“ პრაქტიკაში დანერგვით სახელმწიფო ახდენს თვითლიკვიდაციას. აღნიშნული ცვლილებებით შეიქმნა სიტუაცია, როდესაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის აღსრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი არ შედის არც ერთი სახელმწიფო უწყების კომპეტენციაში. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ თავისუფალი ბაზრის ნაცვლად თითქმის ყველა სფეროში, ყველა დარგში, ყველა ტერიტორიაზე ეღებულობთ მონოპოლიზებულ ბაზარს. გაცხადებული ლიბერალიზმის ნაცვლად სახეზეა ანტილიბერალური შედეგი. ყველზე კარგად ეს ფასებთან დაკავშირებით ჩანს. თავისუფალი ფასწარმოქმნიდან გადავდივართ ფასების დაწესებაზე. ეს იქ დაბრუნებაა, სადაც 1992 წელს განხორციელდა ფასების განთავისუფლება. განსხვავება ერთია: ადრე სახელმწიფო მონოპოლისტი ადგენდა ფასებს, ეხლა ამას აკეთებს მონოპოლისტი. ამასთან ეს მონოპოლისტი არ არის ერთეული და გამორჩეული სუბიექტი. მონოპოლისტობა საყოველთაო ხასიათს იღებს და გვხვდება ყველგან – დაწყებული ლიფტებით და დამთავრებული წყალმომარაგებით. მოსახლეობა ზარალობს. ის ხდება დაუცველი მონოპოლისტების ქცევებისა და მათი ძალის წინაშე. აუცილებელია კონკურენციის, თავისუფალი ფასწარმოქმნის დაცვა. ადრე თუ გვიან ეს მაინც მოხდება. ამ დროისათვის უფრო მეტად დაფასდება წინამდებარე ნაშრომი რომელიც საზოგადოებას მართალია ვერ დაიცავს ერთხელ გავლილი რეფორმების ხელმეორედ გავლისაგან, მაგრამ ამ გზის ვარამის შემსუბუქების შანსს იძლევა. ნაშრომში მოცემული ისტორია არა მარტო შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობისაა. ეს სამომავლოდ საჭირო ისტორიაა, რამეთუ საქართველოს მოუწევს მისკენ მობრუნება. სამომავლოდაა მიმართული ავტორის რეკომენდაციები გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, მისი ვარიანტი კანონპროექტისა რომელმაც შეიძლება ჩაანაცვლოს დღეს მოქმედი მსოფლიოში უნიკალური კანონი – საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“. ეს რეკომენდაციები საშუალებას იძლევა სწრაფად

დავაღწიოთ თავი იმ ხიფათს რასაც მოქმედი კანონი შეიცავს თუნდაც იმით, რომ მასში არც ერთი კონკრეტული მექანიზმი არ დევს ეკონომიკური აგენტების ანტიკონკურენციული ქმედებების აღსაკვეთად. ასეთი ქმედებები კი გარდაუვალია თუ ეკონომიკას თავის ნებაზე მივუშვებთ, რადგანაც მოხდება ცრუთავისუფლების გარემოში გარემოს სრული მონოპოლიზება. მონოპოლისტს აქვს შესაძლებლობა ბოროტად გამოიყენოს მისი მდგომარეობა. ამიტომ პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს არა მონოპოლიის წინააღმდეგ, არამედ ისეთი გარემოს შექმნისაკენ რომ კონკურენტული გარემო იქნას შენარჩუნებული და მონოპოლიებს არ მიეცეთ შესაძლებლობა მათში არსებული ბოროტი შესაძლებლობების რეალიზებისათვის.

ეს კარგი წიგნი იმიტომაცაა კარგი, რომ ის ცოდნაზე დაფუძნებული გამოცდილების გრძნობითაა დაწერილი და ავტორის საქმიანობის მიზანი კი არა, არამედ ამ საქმიანობის მეცნიერული განზოგადების შედეგია.

პროფესორი მიხეილ ჯიბუტი

წინასიტყვაობა

დღეს უკვე აღარავინ დაობს იმაზე, რომ ქვეყანაში სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია კონკურენციის ხელშეწყობა, განვითარება და დაცვა. თუმცა, იმისათვის, რომ კონკურენცია ემსახურებოდეს საზოგადოების ინტერესებს, აუცილებელია ის მიმდინარეობდეს კეთილსინდისიერად, რამეთუ არაცივილიზებული და დესტრუქციული კონკურენციის შედეგები შესაძლებელია ბევრად უფრო უარყოფითი შედეგის მომტანი იყოს საზოგადოებისათვის, ვიდრე ეს აბსოლუტური მონოპოლიის დროსაა მოსალოდნელი. შესაბამისად, მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას. ასევე, ხელს შეუწყობენ კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპების დაცვას, სრულყოფასა და შემდგომ წახალისებას. სწორედ ასეთი, საკონკურენციო (ანტიტრესტული, ანტიმონოპოლიური) სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების შემოღებას ისახავდა მიზნად აშშ-ს კონგრესი, როდესაც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგს, მათ მიერ მიღებულ იქნა „შერმანის“, „კლეიტონის“ და სხვა ანტიტრესტული აქტები. ამავე მიზანს ემსახურება გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ევროპის რიგი სახელმწიფოების მიერ იტალიის დედაქალაქში ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომელიც „რომის ხელშეკრულების“ სახელწოდებითაა ცნობილი და წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური ურთიერთობების მომწესრიგებელ უმთავრეს სამართლებრივ ნორმას. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ როგორც ამერიკული ისე ევროპული საკონკურენციო სამართლებრივი ნორმები (ამოსავალი პოსტულატების გარდა) მუდმივ სრულყოფასა და შეცვლას განიცდიდნენ და განიცდიან, როგორც ცალკეული საკანონმდებლო, ასევე, ახალ-ახალი პრეცენდენტული ნორმების სახით.

საქართველოში, ისევე, როგორც პოსტკომუნისტური და პოსტსოციალისტური ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში, XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს დაიწყო საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების შემუშავება და შესაბამისი პოლიტიკის რეალიზება, რომელიც გარკვეული შემაფერხებელი გარემოებების მიუხედავად მეტ-ნაკლები წარმატებით დღემდე ხორციელდება. თავის მხრივ, ქართული საკონკურენციო პოლიტიკის რეალიზაციის შემაფერხებელ გარემოებებს სხვა რიგ ფაქტორებთან ერთად ძირითადში წარმოადგენდა საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის ცალკეული დებულებების (დაწყებული სახელმწიფო საბჭოს მიერ 1992 წელს მიღებული დეკრეტიდან) შეუსაბამობები კონკურენციის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან, რომლის სრულყოფა და ჰარმონიზება განვითარებული სახელმწიფოების ანალოგიურ სამართლებრივ ნორმებთან შეუძლებელია ამ ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების (კანონმდებლობა, აღმასრულებელი ინსტიტუტები, პრეცედენტული სამართლებრივი ნორმები და ა.შ.) გაანალიზებისა და მისგან გამომდინარე სათანადო დასკვნების გაკეთების გარეშე.

თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ . . . გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ხშირია ისეთი მონოპოლიური წარმონაქმნები, რომლებსაც არ უკავიათ მნიშვნელოვანი როლი საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში . . . დასავლეთის ქვეყნების კონკურენციის პოლიტიკა მოწოდებულია მხარი დაუჭიროს ამ ქვეყნებში უკვე არსებულ (მოქმედ) კონკურენციას, ხოლო ჩვენთვის უმთავრესი ამოცანაა ეფექტიანი კონკურენციული გარემოს შექმნა“[1]. ამდენად, საქართველოსათვის, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს საკონკურენციო სამართლის ისეთი მექანიზმების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ქვეყანაში კონკურენციული გარემოს ფორმირებას. შესაბამისად, უარყოფითი შედეგის მომტანია ნებისმიერი, მათ შორის განვითარებულ სახელმწიფოთა საკონკურენციო (ანტიტრესტული, ანტიმონოპოლიური) სამართლებრივი ნორმების კალკირება.

1 Костусев А.А., Конкурентная политика в Украине, Киев, 2004, с. 5-6.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, სწორედ, საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის სფეროში არსებული (ამერიკული, ევროპული და საკუთრივ ევროკავშირის) განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაანალიზება და მასთან მიმართებით, ქართული საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა. გარდა ამისა, შემოთავაზებულია საკუთარი, მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებიდან (თვალთახედვიდან) გამომდინარე საკონკურენციო სამართლებრივი რეგულირების სფეროში არსებული ხარვეზების გამოსწორების კონკრეტული გზები.

ამასთან, მინდა ხაზი გავუსვა და მადლიერების გრძნობით აღვნიშნო იმ ადამიანების შესახებ, ვინც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახით ხელი შეუწყო წარმოდგენილი ნაშრომის მკითხველთა ფართო წრისადმი ხელმისაწვდომობას. განსაკუთრებით მინდა მადლობა გადავუხადო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მიხეილ ჯიბუტს (ჩემი სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერ-ხელმძღვანელს და ამ წიგნის რედაქტორს); ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ შოთა ვეშაპიძეს (ჩემი სადისერტაციო ნაშრომისა და ამ წიგნის რეცენზენტს); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორს (ამ წიგნის რეცენზენტს) შალვა გოგიაშვილს; თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს ელგუჯა მექვაბიშვილს; ჟურნალ „სოციალური ეკონომიკა“-ს მთავარ რედაქტორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რევაზ გოგოხიას; თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორებს: გია თოფურიას; ქეთევან ლაფაჩს; მარინა ჩაველეიშვილს; ჟურნალ „ეკონომიკა“-ს მთავარ რედაქტორს რეზო შენგელიას; ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკა“-ს მთავარ რედაქტორს, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორს ემზარ ჯგერენაიას; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ლექტორს ბესო ცაავას; დამოუკიდებელ ექსპერტს კონკურენციის საკითხებში, ეკონომიკურ მეცნიერებათა

კანდიდატს ეკა გიორგაძეს; ჟურნალ „ახალი ეკონომისტი“-ს მთავარ რედაქტორს, გამომცემლობა „ლოი“-ს პრეზიდენტს, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ლექტორს ლიოდ ქარჩავას; საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის აპარატის უფროსს (1997-2005 წწ.) ჟანა ეჯიბაძეს; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ბიუროს უფროსს (2003-2005 წწ.) შალვა ცანავას; საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს არქივარიუსს ფერიდე ფხაკაძეს; თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯერს ნელი ქველიძეს; საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსს გიორგი წერეთელს და ამავე სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსს ნინო თეთრაულს; ჟურნალი „ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა“-ს დამფუძნებელსა და მთავარ რედაქტორს გულადი ფეტელავას და ამავე ჟურნალის ტექნიკურ რედაქტორს კოკა ფეტელავას. ამ განსაკუთრებით იმ დახმარებისათვის რაც მათ აღმომიჩინეს ამ ნაშრომისა თუ მისი ცალკეული თავების სრულყოფისა (მათ შორის, ინფორმაციის მოძიების) და ბეჭდური წესით გამოქვეყნების საქმეში.

1. კონკურენციის შესახებ შეხედულებათა ევოლუცია

სიტყვა (ტერმინი) „კონკურენცია“ (competition, concurrence, wettbewerb) წარმოიშვა გვიანდელი ლათინური სიტყვიდან „concurentia“ (concurrere) და პირდაპირი მნიშვნელობით (სიტყვა-სიტყვით) ნიშნავს – შეტაკებას, შეჯახებას. ამასთან, საზოგადოებაში დამკვიდრებული ტერმინის შესაბამისად კონკურენციის ქვეშ იგულისხმება სამეურნეო სუბიექტებს შორის ისეთი შეჯიბრი, რომლის დროსაც მათი დამოუკიდებელი მოქმედებები ეფექტიანად ზღუდავენ თითოეული მათგანის შესაძლებლობას ცალმხრივად იმოქმედონ საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე შესაბამის ბაზარზე (ზღუდავენ მეტოქის შესაძლებლობას უპირატესობა მოიპოვოს ბაზარზე და ხელს უწყობენ მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის წარმოებას).

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ფ.ა. ჰაიეკის აზრით, კონკურენცია ახლის შეცნობის პროცედურაა, რაც დამახასიათებელია ევოლუციისათვის მისი ყველა ფორმით. იგი აიძულებს ადამიანს უნებლიედ ჩაერთოს ახალ სიტუაციაში, რამდენადაც ზრდადი კონკურენციით თანდათან მაღლდება ეფექტიანობაც. საქმე არა მარტო ისაა, რომ მთელი ევოლუცია ემყარება კონკურენციას, არამედ ისიც, რომ უწყვეტი კონკურენცია უკვე მიღწეულის საფუძველიცაა.[2]

თუ ჩავულრმაედებით ზოგადად კონკურენციის ისტორიას, მისი ფესვები მიდის უძველეს დრომდე. იგი, პრიმიტიული სახით, მაგრამ მაინც, ჯერ კიდევ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების კვალობაზე, გაცვლის წარმოშობასთან ერთად აღმოცენდა და მისი განვითარების შესაბამისად მოხდა მისი დახვეწა. თუმცა, მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, იგი სათავეს იღებს ძველი რომიდან და ასახულია რომის იმპერატორთა იმ დეკრეტებში, რომლითაც ცალკეულ საქონელზე მტკიცე ფასები იყო დაწესებული, რაც სპეკულაციური მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლას ისახავდა მიზნად (მაგალითად, იმპერატორი დიოკლეტიანის დეკრეტი ფასებზე და სხვა).

2 Хайек Ф.А., Пагубная самонодеянность, М., 1992, с. 38;

ზოგადი ხასიათის პირველ ანტიმონოპოლიურ კანონად, რომელშიც თვით ტერმინი „მონოპოლია“ პირველადაა მოხსენიებული, ითვლება იმპერატორ ზენონის კონსტიტუცია ფასების შესახებ (483 წელი). ამ აქტში ნათქვამი იყო: „ჩვენ ვბრძანებთ, რომ არც ერთმა პირმა ვერ უნდა გაბედოს განახორციელოს მონოპოლია რომელიმე სახეობის ტანსაცმელზე ან თევზზე, ან რომელიმე სხვა საგანზე, რომელიც წარმოადგენს სურსათს ან განკუთვნილია სხვა გამოყენებისათვის“[3].

ასეთი საკანონმდებლო ღონისძიებები, რაც მიმართულია სპეკულაციური მონოპოლიის აღმოფხვრაზე, ვაჭრობის ჩვეულებრივი წესების დარღვევის შემთხვევებში, ცნობილი იყო შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის არაერთი სახელმწიფოსათვის, მათ შორის, ინგლისისათვის, სადაც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა შევსებული იყო სასამართლო პრეცედენტებით. უფრო მეტიც, კანონიკურ სამართალში მოცემულიც კი იყო ანტიმონოპოლიური ნორმა, რომლის შესაბამისად გამყიდველს თაღის საქონელზე უნდა დაედგინა „სამართლიანი ფასი“ და მიეღო „გონიერული შემოსავალი“[4].

თავის მხრივ ფაქტია, რომ კონკურენციის პოლიტიკის განვითარებას ფართო გასაქანი მიეცა კაპიტალიზმის პირობებში. ის არის მდგრადი ეკონომიკური განვითარების საწინდარი, რომელიც ასტიმულირებს მოთხოვნის მქონე პროდუქციის ფართო ასორტიმენტის წარმოებას საჭირო რაოდენობით უფრო ნაკლებ ფასად, უზრუნველყოფს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და საჭირო ცვლილებებს ბაზრის სტრუქტურაში. გარდა ამისა, აქტიური კონკურენცია, ხელს უწყობს მოთხოვნის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ ასტიმულირებს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას.

კონკურენციას განსაკუთრებული და პირველადი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკაში, ის არის საბაზრო ურთიერთობების ძირითადი შემადგენელი ელემენტი და წარმოადგენს ბაზრის სიმბოლოს, რომლის გარეშე შეუძლებელია საბაზრო მეურნეობის საფუძვლების დაცვა, თავისუფალი ეკონომიკური

3 Тотьев К.Ю., Конкуренция и монополии, М., 1996, с. 4.
4 Тотьев К.Ю., Конкуренция и монополии, М., 1996, с. 4.

არჩევანის პრინციპების განხორციელება, ცალკეული პერიოდისათვის სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება და მომხმარებლისათვის მისაღები ფასის ფორმირება.

განსაზღვრულ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება ხდება უშუალოდ ბაზარზე, რომელიც რაც უფრო კონკურენციულია, მით უფრო მოგებულია საზოგადოება. ამდენად, კონკურენცია საბაზრო ეკონომიკაში ფასწარმოქმნის მექანიზმის ისეთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, რომლის (სამართლიანი კონკურენტული გარემოს) არსებობის საჭიროება უკვე დიდი ხანია აღიარებულია მთელ მსოფლიოში. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ისტორიულად ფართო გამოყენება ეკონომიკურმა კონკურენციამ მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდა შუასაუკუნოვანი პრივილეგიების ლიკვიდაცია და კაპიტალიზმის დამკვიდრება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ კონკურენციის მთავარი მიზანი არის უპირატესობის მოპოვება ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის და მაქსიმალური მოგების მიღება უპირატესობის მიღწევის ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიზანი წარმართავს ბაზრის განვითარებას მისი წარმოშობის პირველივე დღიდან, შედარებით სრულყოფილი თეორიული მიდგომები კონკურენციული ბრძოლის მამოძრავებელ ძალებზე წარმოიშვა მხოლოდ XVIII საუკუნის შუა წლებში, რაც თავის მხრივ, ძირითადად კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის წარმომადგენელთა დამსახურებაა. ისინი კონკურენციას განიხილავდნენ, როგორც თავისთავად არსებულს (ცხადს), რომელიც თავის მხრივ მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგს და შემოისაზღვრება მხოლოდ სუბიექტური მიზეზებით. ძირითადი ყურადღება კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის წარმომადგენელთა შრომებში ექცეოდა ფასთა კონკურენციას.

ა. სმითმა პირველმა დაამტკიცა, რომ მოგების ნორმათა გათანაბრების მეშვეობით კონკურენცია განაპირობებს შრომისა და კაპიტალის ოპტიმალურ განაწილებას. კონკურენციამ უნდა დააბალანსოს კერძო ინტერესები და ეკონომიკური ეფექტიანობა. ამ მიდგომით ა. სმითი კონკურენციას აიგივებს ბაზრის „უხილავ ხელთან“, ანუ მის ავტომატურ

მექანიზმთან. მისი ნაშრომის — „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა 1776 წელს — მთავარ მოტივს წარმოადგენს „უხილავი ხელის“ მოქმედება, რომელიც ასახავს კონკურენციის, ანუ კერძო და საზოგადოებრივ ინტერესთა თანაფარდობას.

ა. სმითმა ფასებით კონკურენციის მაგალითზე დამაჯერებლად დაასაბუთა რიგი არსებითი დებულებები, რომლებიც შემდგომში გახდნენ „მოხმარების მაქსიმალური დაკმაყოფილების“ დოქტრინის პოსტულატები. მათ პირველ რიგში უნდა მიეკუთვნოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ცალკეული მწარმოებლების მოქმედებათა ჯამური ერთობლიობა ადგენს ფასებს ბაზარზე; თითოეული ცალკეული მომხმარებელი ემორჩილება ფასებს; ხოლო ფასები კი ემორჩილებიან მომხმარებელთა ინდივიდუალური რეაქციების ერთობლიობას. მოცემული დებულებიდან გამომდინარეობს, რომ საბაზრო ეკონომიკა არ იმართება კოლექტიური ნებით და არ ემორჩილება საერთო განზრახვებს, მაგრამ იცავს ქცევის მკაცრ წესებს. ამ წესების შესაბამისად თავისუფალი კონკურენცია წარმოების ფაქტორების ბაზრებზე ცდილობს გაათანასწოროს ამ ფაქტორების უპირატესობები ყველა დარგში და სწორედ ამით აღწევს რესურსების ოპტიმალურ განაწილებას დარგებს შორის.

ა. სმითი აღნიშნავდა, რომ „. . . თავისუფალი კონკურენცია აიძულებს ყველა ბანკირს უფრო ხელგაშლით მოეპყრას თავის კლიენტებს, რათა ისინი მეტოქეებმა არ გადაიბირონ თავისკენ. საერთოდ, თუ ვაჭრობა-მრეწველობის ან შრომის დანაწილების რაიმე დარგი ხელსაყრელია საზოგადოებისათვის, — რაც უფრო თავისუფალია და ფართოა კონკურენცია, მით უფრო ხელსაყრელი იქნება იგი მისთვის“.[5]

გარდა ამისა, ა. სმითი კონკურენციას განიხილავდა, როგორც საქონლის გაიაფებისა და ეკონომიური აგენტთა შორის ფასების შეთანხმების საწინააღმდეგო ფაქტორს, რითაც ხაზს უსვამდა მის როლს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლების საქმეში. ის წერდა: „თუ ეს კაპიტალი ორ სხვადასხვა ვაჭარს შორის არის გაყოფილი, მათი კონკურენცია მით უფრო იაფად გააყიდვინებს საქონელს,

5 ა. სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თბ., 1938, გვ. 375.

ვიდრე რომ ეს კაპიტალი მარტო ერთის ხელში ყოფილიყო მოქცეული; და თუ მთელი კაპიტალი ოც ვაჭარს შორისაა განაწილებული, მათი კონკურენცია იმდენადვე უფრო ძლიერი იქნება, და იმდენადვე ნაკლები იქნება მოსალოდნელობა იმისა, რომ ისინი ერთამანეთს შეუთანხმდებიან ფასების ასაწევად. მათ შორის არსებულმა კონკურენციამ, შესაძლებელია, ზოგი მათგანი გაანადგუროს, მაგრამ ამაზე ზრუნვა თვით დაინტერესებული მხარეების საქმეა და საკმაოდ შეიძლება მათ უნარიანობაზე მივაგდოთ. კონკურენციის ასეთი გაძლიერება ვერასოდეს ვერ შელახავს მომხმარებლის ან მწარმოებლის ინტერესს; პირიქით, ამან უნდა აიძულოს წვრილი ვაჭრები უფრო იაფად გაჰყიდონ და უფრო ძვირად იყიდონ, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდა, ვაჭრობის მთელი დარგი რომ ერთ ან ორ პირს ჰქონებოდა მონოპოლიურად ხელში. მართალია, ზოგმა მათგანმა, შეიძლება, აცთუნოს დამყოლი მყიდველი ისეთი რამ იყიდოს, რაც მას ნაკლებად ან არ ესაჭიროება, მაგრამ ეს უარყოფითი მოვლენა მეტად უმნიშვნელოა, რომ ღირდეს მასზე საზოგადოებრივი ყურადღების მიქცევა, და ამასთან იგი უეჭველად ვერც აიცილება ვაჭრების რიცხვის შეზღუდვით“[6].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ა. სმითი იყო ის მეცნიერი, რომელმაც პირველმა გადადგა ნაბიჯი კონკურენციის, როგორც ფასებით რეგულირების ეფექტიანი საშუალების გაგებისკენ. კერძოდ, ჩამოაყალიბა კონკურენციის ცნება, როგორც მეტოქეობა ფასების ზრდისა (მიწოდების შემცირებისას) და ფასების შემცირების (მიწოდების სიჭარბისას) კუთხით; განსაზღვრა ეფექტიანი კონკურენციის ძირითადი პირობები, რომელიც მოიცავს გამყიდველების დიდი რაოდენობის არსებობას, ამომწურავ ინფორმაციას მათზე (ინფორმაციის გამჭვირვალობა) და გამოყენებული რესურსების მობილობას; პირველმა აჩვენა თუ მოგების ნორმის გათანაბრებით, როგორ აღწევს კონკურენცია შრომისა და კაპიტალის ოპტიმალურ განაწილებას დარგებს შორის; შეიმუშავა სრულყოფილი კონკურენციის მოდელი (მოდელის ელემენტები) და თეორიულად დაამტკიცა, რომ ამ მოდელის პირობებში შესაძლებელია მოთხოვ-

6 ა. სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თბ., 1938, გვ. 411.

ნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება; გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, რესურსების ოპტიმალური განაწილების თეორიის ჩამოყალიბების საქმეში.

სრულყოფილი კონკურენციის მოდელი, რომლის თეორიული საფუძვლები ჩამოაყალიბა ა. სმითმა, მთლიანად გამორიცხავს რაიმე სახით ბაზრის არსებით კონტროლს. ამ თეორიით, მაკოორდინირებელ ელემენტად დეცენტრალიზებულ ეკონომიკაში გამოდის ფასების სისტემა.

განავითარა რა ბაზრის საფასო კონკურენციის მეშვეობით რეგულირების იდეა, დ. რიკარდო აღნიშნავდა, რომ როდესაც „ . . . ჩვენ ვლაპარაკობთ საქონელთა შესახებ, მათ საცვლელ ღირებულებაზე და იმ კანონებზე, რომელნიც მათ შეფარდებითს ფასებს აწესრიგებენ, ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობთ ისეთ საქონელთ, რომელთა რაოდენობა შეიძლება გადიდებულ იქნეს ადამიანის შრომით და რომელთა წარმოებაზე კონკურენცია შეუზღუდველად მოქმედებს“[7].

დ. რიკარდომ შექმნა სრულყოფილი კონკურენციის თეორიული მოდელი. მან აღწერა, თუ როგორ ფუნქციონირებს ასეთი სისტემა გრძელვადიან პერსპექტივაში. ასეთმა მიდგომამ მას საშუალება მისცა თავი აერიდებინა და ყურადღება არ გაემახვილებინა იმ „დეტალებზე“, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო რეგულირებასთან, მონოპოლიურ ძალაუფლებასთან, ბაზრის გეოგრაფიულ თავისებურებებთან და ა.შ., ვინაიდან ამ უკანასკნელთ გრძელვადიან პერსპექტივაში არ აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა.

დ. რიკარდოს მიერ განხილული მოდელისათვის, პრინციპულია ფასების დადგენის მექანიზმების კვლევის საკითხები როგორც მონოპოლიური, ისე კონკურენციული ბაზრის პირობებში. კერძოდ, ის აღნიშნავდა, რომ „იმ საქონელთა ფასი, რომელნიც ცალკეული პირის ან კომპანიის მონოპოლიის საგანს შეადგენენ, იცვლება ლორდ ლორდურდალის მიერ გადმოცემული კანონის თანახმად: იგი დაბლა იწევს გამყიდველების მიერ საქონელთა რაოდენობის გადიდების პროპორციულად, და მაღლა იწევს იმ ნდომის შესაბამისად, რომელსაც მყიდველები იჩენენ მათ შესაძენად; მათი ფასი

7 დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები, ტფ., 1937, გვ. 2;

არავითარ აუცილებელ კავშირში არაა მათ ბუნებრივ ფასთან. მაგრამ იმ საქონელთა ფასი, რომელნიც კონკურენციას ექვემდებარებიან და რომელთა მასა შეიძლება გადიდებულ იქნეს რაოდენამდე ზომიერი ოდენობით, დამოკიდებულია, ბოლოს და ბოლოს, არა მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობაზე, არამედ მათი წარმოების ხარჯების გადიდებასა და შემცირებაზე"[8]. ამასთან, დროითი ფაქტორი (მისი არალიმიტირების გამო) და რისკი არ წარმოადგენენ მოდელის ელემენტებს. ფირმები ღებულობენ გადაწყვეტილებებს ხარისხობრივ-ფასობრივი მატრიცების საფუძველზე. დაბალანსებული ფასების დადგენაში გადამწყვეტ როლს თამაშობს კონკურენცია. თეორიულმა აბსტრაჰირებამ დაიდ რიკარდოს საშუალება მისცა დაესაბუთებინა ეკონომიკური ზრდის პრობლემის გადაწყვეტის გრძელვადიანი ვარიანტები სრულყოფილი კონკურენციის პირობებში.

სრულყოფილი კონკურენციის იდეა საშუალებას იძლევა გაგებულ იქნას თუ გრძელვადიანი წონასწორობისას „ბუნებრივი ფასები" როგორ უერთდებიან და შეესაბამებიან დეცენტრალიზებული მმართველობის პრინციპებს და როგორ უწყობენ ხელს კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებას. ამ კონკრეტულ საკითხზე საკმაოდ გარკვეულად აქვს თავისი აზრი ჩამოყალიბებული ჯ.ს. მილს, „ყურადსაღებია, რომ კონკურენცია წარმოადგენს ფასების, ხელფასის, რენტის ერთადერთ მარეგულირებელს და ის თვითონ წარმოადგენს კანონს, რომელიც ადგენს ამ რეგულირების წესებს"[9].

ჯ. ს. მილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონკურენციის თეორიის სრულყოფაში. კერძოდ, მის მიერ შემუშავებულ იქნა საერთაშორისო მოთხოვნის განტოლება, გამოყოფილ იქნა ბაზარზე ე. წ. არაკონკურირებადი ჯგუფები და ჩამოაყალიბა მოთხოვნის ფასითი ელასტიურობის კლასიფიკაცია, შეიმუშავა ეკონომიკური ცნებები, ალტერნატიულ დანახარჯების მასშტაბებში.

მნიშვნელოვანი დებულებები, რაც ავსებს სრულყოფილი კონკურენციის მოდელს ღირებულების კანონის პოზიციიდან, შემოთავაზებული აქვს კ. მარქსს ფუნდამენტურ ნაშრომში

8 დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები, ტფ., 1937, გვ. 329;

9 Робинсон Дж., Экономическая теория несовершенной конкуренции, М., „Прогресс", 1986, с. 253.

„კაპიტალი“. ამასთან, ნაშრომში „ფილოსოფიის სიღატაკე“, რომელიც მან 1845-1847 წლებში დაწერა „ . . . მოგვცა . . . კაპიტალიზმის რიგი კატეგორიების ახალი გაგება, უფრო ღრმად გაანალიზა კონკურენციასა და მონოპოლიას შორის ურთიერთდამოკიდებულების დიალექტიკა“[10]. მას ბაზარზე საქონლის გაიაფების გზად კონკურენციული ბრძოლა მიაჩნდა. ის წერდა, რომ „კონკურენცია ისევე არსებითია, შრომისათვის, როგორც დანაწილება . . . იგი აუცილებელია თანასწორობის დამყარებისათვის“[11]. ასევე აღნიშნავდა, რომ „კონკურენცია, როგორც დებულება ან ეკონომიური ფაზისი, მისი წარმო'შობის მხრივ განხილული, წარმოადგენს . . . საწარმოო ხარჯების შემცირების თეორიის აუცილებელ შედეგს“[12].

ნეოკლასიკურმა სკოლამ, რომლის განვითარება XIX საუკუნეში დაიწყო, უფრო ზუსტად და სრულად წარმოადგინა სრულყოფილი კონკურენციის გაელენა ფასების სისტემაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს ა. მარშალის ნეოკლასიკური კონცეფციები. სწორედ, მან ჩაუყარა საფუძველი ე.წ. კონკურენციის ტექნოლოგიურ კონცეფციას, რაც კონცენტრაციას მასშტაბის ეკონომიასთან აკავშირებს. დიდი მოცულობის წარმოების უპირატესობის ახსნისას ის წერდა: „მისი წარმოების მასშტაბების გაფართოება სწრაფად აფართოებს მის უპირატესობას კონკურენტების წინაშე და ამცირებს ფასებს, რომლის საფუძველზეც მას ეძლევა საშუალება თავისი პროდუქცია გაყიდოს....და თუ საწარმოს შესწევს უნარი შენარჩუნდეს ბაზარზე მთელი ასი წლის განმავლობაში, მას და მის მსგავსს ერთ ან ორს შეუძლიათ ერთმანეთში მთლიანად გაინაწილონ წარმოების მთელი დარგი, რომელშიც ისინი მოქმედებენ“[13].

ა. მარშალის კურსი გააგრძელა ჯ. რობინსონმა, რომელმაც გამოყო დარგი, სადაც კონკურენცია პრინციპში შეუძლებელია მისი ტექნოლოგიური ძალის თავისებურებებიდან გამომდინარე. ამ დარგებმა მოგვიანებით მიიღეს „ბუნებრივი მონოპოლიების“ სახელწოდება. რობინსონმა მათ მიაკუთვნა რკი-

10 ჯ. ხარიტონაშვილი, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის ჩამოყალიბება XIX ს. 40-იან წლებში (ლექციების კურსი), თბ., 1983, გვ. 52-53;

11 კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, თბ., 1938, გვ. 132-133;

12 კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, თბ., 1938, გვ.. 137;

13 Маршалл А., Принципы экономической науки, т. 2, „Прогресс“, 1993, с.189.

ნიგზის ტრანსპორტი და ენერგეტიკის სფერო. მისი აზრით, აქ კონკურენციას წინაპირობები არ არსებობს. თუ ასეთ დარგში იმოქმედებს ორი ფირმა, ისინი ან იძულებული იქნებიან ერთმანეთს გაუწიონ კონკურენცია (ამასთან ვერც ერთი მათგანი დანახარჯებსაც კი ვერ აინაზღაურებს) ან უფრო სუსტი გაკოტრდება, ან/და ისინი იძულებული გახდებიან გაერთიანდნენ[14].

მთლიანობაში XIX საუკუნის ბოლო წლები და XX საუკუნის დასაწყისი არის პერიოდი, როდესაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ბევრმა ადრე დამკვიდრებულმა თვალსაზრისმა ეკონომიკაში კონკურენციის როლის შესახებ. სრულყოფილი კონკურენციის არსებული მოდელით უკმაყოფილება წარმოშვა მოჭარბებულმა ყურადღებამ კონკურენციის მხოლოდ ერთი სახეობის - ფასებით კონკურენციის მიმართ. გარდა ამისა, ფასებით კონკურენციის მეშვეობით შეუძლებელი იყო კონკურენციის არსში წვდომა. სწორედ ამიტომ, სრულიად განსხვავებული მიდგომა შემოგვთავაზა ი. შუმპეტერმა, რომელმაც კონკურენცია განიხილა როგორც თავისი ბუნებით დინამიკური პროცესი. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შერბილებული სახით გატარების თეორიულ საფუძვლებს წარმოადგენს ი. შუმპეტერის იდეა „ეფექტიანი მონოპოლიისა“ და „სრულყოფილი (ახალი) კონკურენციის“ შესახებ, რომლის არსია ახლის დანერგვა და ხარისხის კონკურენცია და არსებითად განსხვავდება ფასით კონკურენციის ტრადიციული მექანიზმისაგან. ის აღნიშნავდა, რომ „. . . ეს არ არის კონკურენციის ის სახეობა, რომელიც მოქმედებს არსებული საქონლისას, მაგრამ იგი შეიძლება იყოს განსაკუთრებულად აქტუალური, თუ საქმე ეხება ახალ საქონელს, ახალ ტექნოლოგიას, ახალ რესურსებს,ან ორგანიზაციის ახალ ტიპს“[15]. ამდენად, ბრძოლამ ფასების ირგვლივ, ხშირად უნაყოფომაც, ადგილი დაუთმო „შემოქმედებითი ნგრევის“ პროცესს, წარმოების ძველი მეთოდების მუდმივ გამოდევნას ახალი მეთოდებით, წარმოების ძველი მეთოდებისა – ახალი მეთოდებით, პრო-

14 Робинсон Дж., Экономическая теория несовершенной конкуренции, М., „Прогресс“, 1986, с. 283-291;

15 Шумпетер Й., Капитализм , социализм и демократия, М., „Экономика“, 1995, с. 54.

დუქციის ძველი სახეებისა – ახალი სახეებით და ა.შ .... კონკურენციის ასეთი ტიპი იმდენად უფრო მოქმედია ფასებით კონკურენციასთან შედარებით, რამდენადაც დაბომბვა უფრო ძლიერმოქმედება კარის ნგრევაზე და ის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ პირობებში უკვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიმდინარეობს თუ არა ფასებით კონკურენცია მეტნაკლებად ცოცხლად"[16].

იგივე პრობლემას ეხება ფ. ჰაიეკი თავის წიგნში „ინდივიდუალიზმი და ეკონომიკური წესრიგი". მას მიაჩნდა, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში არასწორად ხდებოდა „კონკურენციის" ტერმინის გამოყენება. მისი შეხედულებით კონკურენცია უნდა განვიხილოთ უფრო ფართოდ – არა მხოლოდ და არა იმდენად ბაზარზე ფირმების ურთიერთქმედების სტრატეგიის სახით, არამედ ეკონომიკური ცხოვრების მამოძრავებელი ძალის სახით. ამ პოზიციებიდან ჰაიეკი ახდენს კონკურენციის დაყოფას როგორც თავისი ბუნებით დინამიკურ პროცესად და კონკურენციის მოდელის სტატიკურ ვერსიად, რომელსაც წარმოადგენს საბაზრო წონასწორობა[17]. როგორც პროფესორი მ. თოქმახიშვილი ნაშრომში „ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის ეკონომიკური თეორიის ნარკვევები" აღნიშნავს „ჰაიეკი არის კონკურენციისადმი თეორიებში გაბატონებული სტატიკური მიდგომის წინააღმდეგი. სტატიკური მიდგომა კონკურენციას უკავშირებს პროდუქტებისა და ტექნოლოგიის ერთსახოვნებას, ეკონომიკური სუბიექტების ქცევის ერთტიპიურობას. ჰაიეკი ხედავს კონკურენციაში ინდივიდების მოთხოვნების ცვლილებებსა და მათი დაკმაყოფილების ადრე უცნობი წესების გამოვლენის პროცესს. ამასთანავე, მომავლის კონტურების ანარეკლს, რომელიც დღეს სუსტად არის გამოვლენილი. მომავლის კონტურების გამოვლენა დაკავშირებულია გარკვეულ დანაკარგებთან. დანაკარგებს ჰაიეკი უკავშირებს არა კონკურენციის დამანგრეველ ძალას, არამედ ადამიანის ქცევის შედეგების წინასწარმეტყველების პრინციპულ შეუძლებლობას. ამასთან, იგი თვლის, რომ კონკურენცია ფასობს იმდენად, რამდენადაც მისი შედეგების წინასწარმეტყველება შეუძლებელია და

16 Шумпетер Й., Капитализм, социализм и демократия, М., „Экономика", 1995, с. 125;

17 Хайек Ф.А., Познание, конкуренция и свобода, Антология сочинений, М., „Пневма", 1999, с. 50-51.

მთლიანად მისი შედეგები განსხვავდება იმისაგან, რაც იყო დაგეგმილი“[18].

სრულყოფილი კონკურენციის მოდელის კრიტიკოსები მიუთითებდნენ მონოპოლიის ელემენტებზე, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, მაგრამ არ აისახება არსებულ კონცეფციაში. გამონაკლისს წარმოადგენს კ. მარქსის „კაპიტალი“, სადაც საკმაოდ ვრცლად აღიწერება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ექსპლუატაცია სახელმწიფო მონოპოლიებით.

კრიტიკას იწვევდა ის გარემოება, რომ სრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური კონცეფცია უგულვებელყოფდა კონკურენციული საქმიანობის დინამიკას, იგნორირებას უკეთებდა დროითი ფაქტორის მნიშვნელობას და შემოიფარგლებოდა კონკურენტების აქტიურობის ზედაპირული მოტივაციით. წარმოადგენდა რა მხოლოდ ფორმალურ მოდელს, სრულყოფილი კონკურენციის თეორიას ჰქონდა ბევრი სერიოზული ნაკლოვანება.

როგორც პროფესორი ვ. პაპავა ნაშრომში „საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე“ აღნიშნავს - „სრულყოფილი კონკურენცია (და, ამდენად, თავისუფალი ბაზარი) მხოლოდ და მხოლოდ თეორიული კონსტრუქციაა . . . მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილ კონკურენციას არასოდეს არც ერთ ქვეყანაში არ ჰქონია ადგილი და, საერთოდაც, პრაქტიკულად შეუძლებელია მისი არსებობა, იგი გამოიყენება თეორიაში საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებათა შესასწავლად, რაც შემდეგ გაითვალისწინება რეალურ სიტუაციაში ამ კანონზომიერებიდან გადახრების გათვალისწინებით . . . “[19].

ანალოგიურად, პროფესორების გ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით გამოცემულ – ეკონომიკური თეორიის სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ საზოგადოდ კონკურენცია არის თავისუფალი და მონოპოლიური. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, „რომ აბსოლუტურად თავისუფალი ანუ სრულყოფილი კონკურენცია და ყოველმხრივ დამოუკიდებელი, თვითრეგულირებადი საბაზრო მეურნეობა წმინდა სახით

18 მ. თოქმაზიშვილი, ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის ეკონომიკური თეორიის ნარკვევები, თბ., 2004, გვ. 11;

19 ვ. პაპავა, საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე, თბ., 1995, გვ. 26.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს და არც არსებულა[20].

მონოპოლიების სიძლიერის ზრდამ და საერთო კრიზისის სხვა შედეგებმა XX საუკუნის დასაწყისში დაადასტურეს სახელმწიფოებრივი ჩაურევლობის მიდგომების უშინაარსობა ბაზარზე დაბალანსების პროცესში, მაგრამ 1929-1933 წწ. კრიზისამდე და ჯ. კეინსის ცნობილი ნაშრომის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“-ს (1936) გამოსვლამდე ეს პროცესი ატარებდა ფრაგმენტულ ხასიათს. ამ ნაშრომმა „ . . . მე-20 საუკუნის ეკონომიკური აზროვნება ისევე ძირფესვიანად შეცვალა, როგორც „გამოკვლევამ ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, მე-18 საუკუნეში“.[21]

პროფესორები ა. სილაგაძე, მ. ენუქაშვილი და ე. მექვაბიშვილი ნაშრომში „ეკონომიკური ცოდნის საწყისები“ აღნიშნავენ, რომ – „კეინსამდის კაპიტალისტურ სამყაროში გაბატონებული იყო ეკონომიკისადმი, ე.წ. მიკროეკონომიკური მიდგომა, ანუ, უპირველს ყოვლისა, ცალკეული სამეურნეო ერთეულების (ფირმა, კორპორაცია, ტრესტი) ინტერესების გათვალისწინება. კეინსმა წინა პლანზე წამოსწია დასაქმების პრობლემა, ვინაიდან ეკონომიკური კრიზისი ყველაზე თვალნათლივ გამოიხატა უმუშევრობის ზრდაში . . . დამოკიდებულება ეროვნული სიმდიდრის ზრდასა და მოხმარების ზრდას შორის, როდესაც მეორე უფრო ნაკლები ტემპით იზრდება, ვიდრე პირველი, წარმოადგენს კეინსის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი ფსიქოლოგიური კანონის შინაარსს. ამ კანონის მოქმედების შედეგად მოსახლეობის მხრიდან კლებულობს საყოველთაო მოთხოვნილება, შესაბამისად კლებულობს წარმოების მოცულობა და საწარმოს მფლობელები იძულებული ხდებიან დაითხოვონ მომუშავეთა გარკვეული რაოდენობა, ე.ი. მატულობს უმუშევართა რიცხვი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კეინსი ასაბუთებს სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის მოხმარებისაკენ მიდრეკილებაზე ზემოქმედების აუცილებლობას და შესაბამისად ეკონომიკის დაგეგმვის მიზანშეწონილობას, ანუ სახელმწიფოს ჩარევას

20 „ეკონომიკური თეორია“ (სახელმძღვანელო), პროფ. გ. ადეიშვილისა და პროფ. რ. ასათიანის რედაქციით, თბ., 1998, გვ. 158-169;

21 ტ. შაპირო, გ. ლოსონი, გ. ანტელი, გამოყენებითი ეკონომიკა, IV ინგლისური გამოცემის თარგმანი, რედაქტორი თ. ჭიაბრიშვილი, თბ., „მარიხი“, 1997, გვ. 157.

ეკონომიკურ პროცესებში . . .“[22]

ამასთან, კეინსი იყო მეცნიერი, რომელიც ნეოკლასიკოსებისაგან განსხვავებით მივიდა დასკვნამდე, რომ ეკონომიკის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემები უნდა ვეძიოთ არა რესურსების მიწოდებაში, არამედ მოთხოვნაში. მისი „ . . . თეორიის ქვაკუთხედია ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურად ჩარევა ეფექტიანი მოთხოვნის შექმნის გზით. კეინსი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგად თეორიაში“ გვიჩვენებს იმ გზებს, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება სახელმწიფო აქტიურად ჩაებას ეკონომიკურ ცხოვრებაში. კეინსის თეორიის მიხედვით, ეს შეიძლება განხორციელდეს ახალი სახელმწიფო ინვესტიციებით, გადასახადების განაკვეთების შემცირებით, ახალი კრედიტებით (შელავათიან პროცენტებში) ან სუბსიდიების გზით. სწორედ სახელმწიფო ინვესტიციებს ენიჭება უდიდესი ადგილი ამ თეორიაში, რადგან წარმოების ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ინვესტიციებია“[23].

XX საუკუნის ცნობილმა ეკონომისტმა პ.სრაფამ საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკურ თეორიაში ახალ მიმართულებას – „ნეორიკარდიანელობას“. ნეოკლასიკური სკოლისა და ამ ახლადაღმოცენებული მიმდინარეობის წარმომადგენელთა შორის წინააღმდეგობათა ძირითად სფეროს წარმოადგენდა დისკუსიები ფასწარმოქმნის საკითხების გარშემო, რომელიც დაიწყო პ. სრაფას ნაშრომის – „შემოსავლების კანონები კონკურენციის პირობებში“ გამოსვლისთანავე. ამ ნაშრომით მან დაამტკიცა, რომ წარმოების მასშტაბების ზრდით მსხვილი საწარმოები ღებულობენ დამატებით უპირატესობებს, რომელთა რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ჯანსაღი კონკურენციის მექანიზმის მოქმედების დარღვევით და ფასწარმოქმნაზე უშუალო ზეგავლენის მეშვეობით.

შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის ეკონომიკური აზროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს მონოპოლიური კონკურენციის თეორია. „მონოპოლიისა და კონკურენციის ძალა მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან და ქმნის ერთიან ქსოვილს, რომელშიც ისინი

---

22 ა. სილაგაძე, მ. ენუქაშვილი, ე. მექვაბიშვილი, ეკონომიკური ცოდნის საწყისები, თბ., 1992, გვ. 80;

23 ე. პაპავა. საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე, თბ., 1995, გვ. 51.

განსხვავდებიან თავისი მოხატულობით"[24] – აღნიშნავდა მისი შემქმნელი ედვარდ ჩემბერლინი. მაგრამ ის, ისევე როგორც არასრულყოფილი კონკურენციის კონცეფციის შემმუშავებელი ჯოან რობინსონი, მონოპოლიისა და კონკურენციის ურთიერთდამოკიდებულებას განიხილავდა უპირატესად ისტორიული კონტექსტის მიღმა.

ამასთან, უეჭველია, რომ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში დამოკიდებულება მათ შორის ყალიბდებოდა სხვადასხვანაირად. ამდენად, არანაკლები მნიშვნელობისაა ის გარემოება, რომ მონოპოლიისა და კონკურენციის ისტორიული ცვლილებების პროცესის გულდასმითი ანალიზის დროს შეიძლება გამოვლენილ იქნას აშკარად გამოხატული ციკლური კანონზომიერებანი, რაც სამწუხაროდ დღემდე არაა გამოკვლეული ეკონომიკურ ლიტერატურაში.

კლასიკური და ნეოკლასიკური სკოლების წარმომადგენელთა შეხედულებების ძირითად ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ისინი უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ ფასის მაკოორდინირებელ როლს გრძელვადიანი წონასწორობისათვის. ამდენად, ის მონოპოლიები, რომელთაც ჰქონდათ მოკლევადიანი პერიოდის ყველა ნიშანი, არ იწვევდა მათ ინტერესს. ა. სმითისა და დ. რიკარდოს მცდელობა დაედგინათ კავშირი წარმოების ფასებსა და ღირებულებას შორის, ასევე მათ მიერ ჩამოყალიბებული ღირებულების თეორია, არ წარმოადგენდა წინაპირობას მონოპოლიების თეორიის შექმნისათვის. ისინი მხოლოდ მოკლედ მოიხსენიებდნენ მონოპოლიას, როდესაც ჩამოაყალიბეს დასკვნა ეკონომიკის დეცენტრალიზაციის შესახებ. სინამდვილეში, მონოპოლიების თეორია საერთოდ არ შედიოდა ეკონომიკურ თეორიაში 1838 წლამდე, სანამ ა. კურნომ არ დაადგინა თანაფარდობა მარგინალურ წლიურ შემოსავალსა და წონასწორობის მონოპოლიურ ფასს შორის და ამის საფუძველზე შემოგვთავაზა სუფთა მონოპოლიის და დუოპოლიის (შემდგომში - ოლიგოპოლიის) თეორია. „არსებობს რიგი ფორმალური თეორია ოლიგოპოლიის შესახებ. ჯერ-ჯერობით არაა შემუშავებული ერთიანი ზოგადი თეორია, მაგრამ პირველი ცდა ოლიგოპოლიის შესახებ ზოგადი თეორიის შექმნისა გააკეთა კურნომ ჯერ კიდევ 1838 წ. დაშვებით კონკურენტების ქცევაზე თითოეული

24 Чемберлин Э., Теория монополистической конкуренции, М., 1996, с. 33.

ფირმის რეაქციასთან მიმართებაში – თავდაპირველად ფირმა იმოქმედებს ისე, თითქოს ის არ ელოდება თავისი კონკურენტებისაგან ცვლილებებს"[25]. შემდგომში ეს შეხედულება სხვა თეორეტიკოსების მიერ იქნა განვითარებული.

ამათან, „ . . . კურნო იწყებს ანალიზს, მისი აზრით, უმარტივესი შემთხვევიდან – ბუნებრივი მონოპოლიიდან . . . იგი იხილავს დუოპოლიის, (ორი მეტოქე მონოპოლისტის) კონკურენტების შესწღუდული რიცხვისა და, ბოლოს, თავისუფალი კონკურენციის შემთხვევებს. ამრიგად, კურნოს მოდელი იგება უკუმიმართულებით XIX საუკუნეში განვითარების ნამდვილი ისტორიული პროცესის მიმართ, რომელიც მიმდინარეობდა თავისუფალი კონკურენციიდან მონოპოლიისაკენ"[26].

მნიშვნელოვანი წელილი ოლიგოპოლიის და მონოპოლიის თეორიულ მოდელებში მოგვიანებით შეიტანეს ფ. ეჯუორტმა (მათემატიკური აღწერა), ა. ლერნერმა (მონოპოლიური ძალაუფლება და მისი შეფასება), კ. ვიქსელმა (კონკურენცია და ფასებით დისკრიმინაცია), მ. ტუგან-ბარანოვსკიმ (კომპლექსური მიდგომა), ი. შუმპეტერმა, ფ. ჰაიეკმა და სხვა.

ამდენად, XX საუკუნის შუა პერიოდში უკვე ჩამოყალიბებული იყო საერთო შესედულებები კონკურენციის არსსა და მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალების შესახებ, რაც გამოხატულ იქნა საბაზრო სტრუქტურის ოთხ კლასიკურ მოდელში, როგორიცაა – სრულყოფილი კონკურენცია, მონოპოლიური კონკურენცია, ოლიგოპოლიური კონკურენცია და აბსოლუტური მონოპოლია[27]. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკული რეალიზაციის გამოცდილება მუდმივად არის ბიძგის მიმცემი შესაბამისი თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიმართულებით.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს განეაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის თეორიული მოდელები, მუდმივ განვითარებასა და სრულყოფა-ძიებაშია. ამასთან, რაც უფრო ახლოა რეალური საბაზრო სტრუქტურა კონკრეტულ მოდელთან, მით უფრო შესამჩნევია მასში კონკურენციის

---

25 Экономическая теория - Статьи-Предприятия, стр. 1 из 7, http://www.forekc.ru/27/index 1,2;

26 ა. ანიკინი, მეცნიერების სიბაბუკე. თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1989, გვ. 314;

27 იხილეთ დანართი 12.1.

აღწერილი მექანიზმები. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კონკურენციის ჩამოთვლილი ოთხი მოდელის დახმარებით შეიძლება აღიწეროს რეალური ბაზრების რთული და წინააღმდეგობრივი მდგომარეობის მთელი ნაირსახეობა. კონკურენციის მოდელების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე შეიძლება ვიმსჯელოთ, პირველ რიგში, საბაზრო ურთიერთობების განვითარების კონკრეტული ისტორიული ეტაპის, კონკურენციის გამოცდილების და ბაზრის ეკონომიკური თავისებურებებიდან გამომდინარე.

ამრიგად, დოქტრინები, კონკურენციის შესახებ იცვლებოდა ეპოქებისა და რეალური გარემოს ცვლილებებთან ერთად, თუმცა, უცვლელი რჩებოდა ერთი – კონკურენცია, რაც, ალბათ, ამა თუ იმ ფორმით იარსებებს მანამ, სანამ იარსებებს სოციუმი.

2. კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციის მოდელები

XIX საუკუნის ბოლოს მეცნიერ-ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა მიერ მხარდაჭერილ იქნა თეორია, რომლის თანახმად კონკურენციის პირობებში თითოეული მეწარმე სუბიექტი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე „უხილავი ხელის“ დახმარებით ახდენს (მიისწრაფვის) საუკეთესო გადაწყვეტილების (რესურსების გადანაწილების კუთხით) მიღებას (მისაღებად) და ამ პროცესში რაიმე ფორმით ნებისმიერი არასაბაზრო ძალის (მთავრობა, შეზღუდვის მექანიზმების რაიმე ფორმით გამოყენება და ა.შ.) ჩარევა არაეფექტიანია.

საუკუნის წინ, ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებიც დღეისათვის განვითარებულად ითვლებიან, ეკონომიკაში წამყვან როლს მცირე საწარმოებს ანიჭებდნენ. მოგვიანებით, ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს დამოუკიდებელმა მსხვილმა კორპორაციებმა, რომლებიც მსხვილი კაპიტალის ბრუნვით მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში. თუმცა „...დაკვირვებიდან გამომდინარე ეკონომისტებმა დაასკვნეს, რომ მსხვილი საწარმოების მომრავლება აკნინებს კონკურენციას და ხელს უშლის არსებული რესურსების ოპტიმალურ ათვისებას.

ეკონომისტების დაკვირვებებმა ცხადყვეს ეკონომიკური სიმძლავრის კონცენტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები და გადაწყვეტის ერთ-ერთ ფორმად დაასახელეს სახელწიფო კონტროლი“[28].

საზოგადოდ, კონკურენციის პოლიტიკა ეფუძნება იმ ფუნდამენტურ ეკონომიკურ თეზისს, რომლის მისედვითაც საბაზრო ძალაუფლების მოპოვებამ და მისმა გამოყენებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს. კონკურენციული პოლიტიკის მექანიზმები „...საფუძველს უქმნიან საბაზრო ურთიერთობებს და ხელს უწყობენ ისეთი კონკურენტუნარიანი ფირმების შექმნასა და განვითარებას, რომლებსაც შეუძლიათ როგორც საქონ-

28 „მოხსენება ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შესახებ“, მომზადებულია ეკონომიკური პოლიტიკის და რეფორმის ცენტრისათვის ლარი მორგანის მიერ, CEPAR-ის ანალიტიკური მოხსენება №5, 1996.

ლისა და მომსახურების მიწოდება საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისათვის, ასევე მონაწილეობის მიღება საერთაშორისო ვაჭრობასა და კონკურენციაში . . .

ზოგადად, კონკურენციის პოლიტიკის მიზნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

მომხმარებებელთა კეთილდღეობა. აღნიშნული წარმოადგენს კონკურენციული პოლიტიკის ტექნიკურ ფუნქციას, რომელიც უშუალოდ აკავშირებს ერთმანეთთან კონკურენციის ხელშეწყობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას.

მომხმარებელთა დაცვა. აღნიშნული გულისხმობს ინდივიდის დაცვას დიდი ბიზნესისაგან, რაც, როგორც წესი, მორალური ან პოლიტიკური მოტივებითაა განპირობებული.

მატერიალური ფასეულობების გადანაწილება. აღნიშნული წარმოადგენს პოლიტიკურ მიზანს, რომლის თანახმადაც მონოპოლიები არადემოკრატიულ ინსტიტუტებად მიიჩნევა, და ითვალისწინებს შეზღუდული რაოდენობის ფირმების მიერ მატერიალური ფასეულობების დიდი რაოდენობით მოპოვებისათვის ხელის შეშლას.

მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაცვა. აღნიშნული ითვალისწინებს არა მხოლოდ ახლად შექმნილი საწარმოების დაცვას, არამედ ასევე პოზიტიურ მომენტად განიხილავს ბაზარზე დიდი რაოდენობით მცირე ზომის საწარმოების არსებობას.

რეგიონალური და სოციალური ასპექტები. აღნიშნული ითვალისწინებს კონკურენციული პოლიტიკის გამოყენებას ისეთი არაკონკურენციული პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად, როგორიცაა ჩამორჩენილი რეგიონების განვითარება და უმუშევრობის შემცირება.

რამდენადაც არსებობს კონკურენციული პოლიტიკის განსხვავებული მიზნები, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს განსხვავებული კონკურენციული პოლიტიკაც. თავის მხრივ, ანტიკონკურენციული პოლიტიკის განსხვავებული ფორმების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამისად განსხვავებული მიდგომები, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება გამოვლენილ იქნეს ანტიკონკურენციული ქმედებების შეზღუდვისა და ეკონომიკურ აგენტთა შერწყმის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკაში".[29]

---

29 ა. ტუშური, ტ. ურჯუმელაშვილი, საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" მიმოხილვა, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, ქართული სამართლის მიმოხილვა, პირველი-მეორე კვარტალი, 2000, გვ. 56-57.

კონკურენცია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახელმწიფო განვითარების თანამედროვე ეკონომიკურ დოქტრინაში და პოლიტიკურ კონცეფციებში განიხილება, როგორც წარმატებულად განვითარებადი ეკონომიკის საფუძველი. ამჟამად, კონკურენციის დაცვა და ანტიკონკურენციული ქმედებების გამოვლენა და აღკვეთა არის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ამოსავალი (მთავარი პრიორიტეტი), რომლის უზრუნველყოფის მიზნით დღეისათვის შექმნილია სამართლის ეროვნული სისტემები დაახლოებით მსოფლიოს 90 ქვეყანაში.

საზოგადოებას, რომელიც აშენებს თავისუფალ ეკონომიკურ სისტემას, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი სწორედ კონკურენციის პოლიტიკაა. თუმცა იმისათვის, რომ ქვეყანამ რეალურად გაატაროს კონკურენციული პოლიტიკა, არაა საკმარისი ამ მიმართულებით მხოლოდ შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის პოლიტიკა ესაა – მიდგომები და დამოკიდებულება სახელმწიფოსი და იმ სახელმწიფო ორგანოების, რომელთაც ევალებათ კანონით კონკურენციისადმი ზედამხედველობა შესაბამისი სტრუქტურის მეშვეობით (კონკურენციის სტრუქტურის ხელმძღვანელობით).

კონკურენციის ეროვნული პოლიტიკა შეიძლება მოტივირებულ იქნეს სხვადასხვა მიზნებით, როგორიცაა სამართლიანობა, წესიერება, ვაჭრობის წახალისება და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. პრაქტიკაში კონკურენტული პოლიტიკის გატარებისას ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეკონომიკური კონკურენცია არ იქნეს მიზანშეუწონლად შეზღუდული სახელმწიფოს ან კერძო ქმედებების საშუალებით. ხშირია შემთხვევები, როდესაც კერძო სექტორში მომწოდებლები ატარებენ კონკურენციის თავიდან აცილების პოლიტიკას, მაგრამ უფრო მძიმეა შედეგი, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უშლიან კონკურენციას არა აუცილებელი და შემზღუდველი წესების შემოღებით. კონკურენციის პოლიტიკას ხშირად „ანტიტრასტს“ უწოდებენ და იგი შედგება კონკურენციის კანონისა და კონკურენციის ადვოკატურისაგან, რომელთა მიზანს

წარმოადგენს ისეთი საბაზრო ჩავარდნების გამოსწორება, რომლებიც წარმოიქმნებიან კონკურენციის შემაფერხებელი კერძო და რეგულატორული ფაქტორებიდან. კონკურენციის ადვოკატურა აკეთებს საზოგადოებრივ ანალიზსა და შენიშვნებს კანონების, რეგულირების წესების და სახელმწიფო ორგანოების სხვა საქმიანობის შედეგად გამოწვეული კონკურენციის შეზღუდვის შედეგებზე. ის იყენებს ინსტიტუციონალურ საშუალებებს აუცილებელი და შემზღუდავი ქმედებებით გამოწვეული ზიანის გამოსასაშკარავებლად და გამოსწორებისათვის. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კონკურენციის სააგენტო, ჩვეულებრივ, საკონსულტაციო ბიუროა, ე.ი. კონკურენციის სააგენტო მოქმედებს როგორც ადვოკატი და უზრუნველყოფს რეგულირების წესების ანალიზსა და რეკომენდაციებს, მაგრამ არ გააჩნია სხვა ორგანოებზე იძულების მოხდენის უნარი. აღნიშნულის საპირისპირო რეალობაა ზოგიერთ, რეფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც კონკურენციის ადვოკატურას კანონის ძალით მოქმედების უნარი აქვს (მაგალითად უნგრეთსა და ყაზახეთში).

ზოგიერთი ინდუსტრიული ქვეყნის ან ქვეყნების კავშირთა კონკურენციის კანონები (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია, ევროპის კავშირი) ხშირად გამოიყენება მოდელის სახით რეფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ამასთან, ინდუსტრიული ქვეყნების იურიდიული სტანდარტები ხანდახან რეცეპტის სახით გამოეწერებათ ხოლმე რეფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს. ეს რეცეპტები შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იურიდიული სტანდარტი ეფექტიანობას შეინარჩუნებს სხვა სახელმწიფოს კომერციულ გარემოში. ეს კი ბევრად არის დამოკიდებული რეფორმირებადი ქვეყნის ეკონომიკური დიაგნოსტიკის საიმედობაზე.

ამიტომ, კონკურენციის ის კანონები, რომლებიც რეფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არც თუ იშვიათად ინდუსტრიული ქვეყნების კანონმდებლობის თარგმანს წარმოადგენს, ხშირ შემთხვევებში არ ამართლებს, რადგანაც ამ ქვეყნებში არა მხოლოდ ეკონომიკური ორიენტირებია განსხვავებული, არამედ ეროვნული ინსტიტუტების ეფექტიანობის ხარისხიც.

ამდენად, კონკურენციის კანონის იურიდიული და მის რეალობაში გატარების სტანდარტები ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ ის წარმოადგენდეს მთლიან მექანიზმს (კანონი), რომელიც

აუმჯობესებს ალტერნატიულ მექანიზმს (ბაზარი). ეი. სასამართლოს ან კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება მაშინ უნდა იქნეს მიღებული, როდესაც მას მოსდევს რაიმე სარგებელი, მაგალითად სამომხმარებლო კეთილდღეობის ამაღლება, ან კერძო სექტორის განვითარება, რაც სხვაგვარად არ მოხდებოდა.

საზოგადოდ, კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია, ქვეყნის შიგა და გარე ბაზარზე, ხელს უწყობს სახელმწიფოს ჩართვას შრომის საერთაშორისო განაწილებისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარების პროცესში, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ქვეყნის მონაწილეობას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო), ევროსაბჭოსა და სახელმწიფოების სხვა ეკონომიკურ კავშირებში. ამდენად, თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის წინაპირობას წარმოადგენს შიგა საბაზრო (ეროვნული) ეკონომიკური უროიერთობების განვითარება და კონკურენციის პოლიტიკის თანმიმდევრული გატარება.

კონკურენციის შიგა და საგარეო პოლიტიკის გაერთიანება შეიძლება უფრო თვალსაჩინოდ გამოვლინდეს ევროსაბჭოს ფარგლებში, რომლის „ . . . კონკურენციის პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ევროპული ეკონომიკის ძირითად ელემენტებზე ზემოქმედება, რომელთა დახმარებით ეროვნული ბაზრები ღებულობენ საჭირო მოქნილობას და უზრუნველყოფენ ინიციატივის, ინოვაციების, დინამიურობის და ეფექტურობის განვითარებას რესურსების განაწილებაში".[30]

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „ . . . საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება უნდა იყოს მოქცეული რეგულირების სპეციალურ ფარგლებში, რომელიც, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს კონკურენციის საერთო პოლიტიკას ქვეყანაში. ასე რომ, კონკურენციის პოლიტიკის ცნების ქვეშ იგულისხმება ის, რომ სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს საგარეო ეკონომიკურ რეგულირებას ან სხვა საქმიანობას სპეციალური კანონმდებლობის ბაზაზე, მიჰყვება რეგულირების ერთიან მოდელს – მოდელს, რომელიც დამახასიათებელია კონკურენციის შესახებ კანონმდებლობისთვის"[31].

---

30 XXV th Report on Competition Policy 1996. Europien Commission. Brussel. 1997. P. 17;

31 Васильева Н., Горячева Ю., Доронина Н. и др., Конкурентное право Российской федерации, М., „Логос", 1999, с. 352.

ფედერალურ დონეზე პირველი ანტიტრესტული (კონკურენციის შესახებ) კანონი, რომელსაც თავისი აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს მიღებულ იქნა მე-19 საუკუნის ბოლოს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის მთავარი მიზანი იყო „ . . . კერძო ეკონომიკური ძალაუფლების გამოყენებაზე კონტროლის დაწესება მონოპოლიების თავიდან აცილების, კარტელების სანქციონირებითა და კონკურენციის დაცვის სხვა საშუალებებით".[32]

ასევე, „ . . . კონგრესი ამუშავებდა სხვადასხვა ანტიმონოპოლიურ კანონებს ნაწილობრივ თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, რომ კონკურენციული ეკონომიკა ყველაზე უფრო შეესაბამება საზოგადოების დემოკრატიულობას. კონგრესს ამ კანონების შექმნა სურდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ კონკურენციული ეკონომიკა ხელს უწყობს მატერიალურ აყვავებას, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი კონკურენცია საუკეთესო სახით შეინარჩუნებს ჯეფერსონისეულ დამოუკიდებელ წვრილ ბიზნესმენთა საზოგადოებას. ამგვარად, „შერმანის აქტი" შემოღებულ იქნა ტრესტებისა და კავშირების ეპოქაში, რომლებიც ქმნიდნენ საფრთხეს სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების გაკონტროლებისას . . . შესაბამისად, ამ საკანონმდებლო აქტის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა ის, რომ ჩვენი ქვეყანა დაიცვას ცალკეული პირებისა და კორპორაციების სწრაფად ზრდადი სიმდიდრის ძლიერებისაგან . . . ეკონომიკური სიმდიდრის კონცენტრაციაზე მსჯელობისას სენატორი შერმანი აღნიშნავდა, რომ თუ ჩვენ ამ ქვეყანაში არ უნდა ავიტანოთ მეფე და იმპერატორი, მაშინ ჩვენ არ უნდა შევურიგდეთ ვაჭრობაში ავტოკრატიას".[33]

ამასთან, რაც შეეხება კონკურენციის კანონმდებლობის საბაზისო პრინციპს, მისი არსი „. . . მდგომარეობს იმაში, რომ მათი საერთო მიზანია ესა თუ ის კერძო შეზღუდვა, რომელთა მოქმედება შეიძლება წინ აღუდგეს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას" . . . ამიტომ, ამ მიზნის მისაღწევად ანტიტრესტული კანონები შეიცავენ მცოცავ დებულებებს, რომლებიც მიმართული არიან კერძო შეზღუდვების მიმართ . . . რომლებიც საშიშროებას უქმნიან

32 Гелхорн Э., Ковасик В., Антитрестовское законодательство и экономика, Вашингтон, 1995, с. 9;

33 Ван-Сайс Дж.Дж., Федеральное антимонопольное законодательство США, Третье пересмотренное издание, с анг. пер. Бакуркина Т.Н., № перевода Т-23100, Всесоюзный центр переводов, М., 1990, с. 25.

კონკურენციაზე (კონკურენტულობაზე) დაფუძნებულ ეკონომიკას".[34]

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის (competition law) წარმოშობა განპირობებულია ეკონომიკაზე მონოპოლიების დამამუხრუჭებელი ზემოქმედების განეიტრალებისა და ეკონომიკური აგენტებისათვის ბაზარზე თავისუფალი შესვლის პირობების უზრუნველყოფის და კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს ფორმირების, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის მათი მხრიდან ზედმეტი ე.წ. მარეგულირებელი ჩარევის და დაუმსახურებელ უპირატესობათა მინიჭების მოსპობის, მსხვილი ინფრასტრუქტურული ბიზნესის, არათავისუფლად ბრუნვადი საქონლის რეალიზაციით დაკავებულ საწარმოთა მიერ ბარიერების აღმართვის ქმედებებზე ხელის შეშლის აუცილებლობით.

საზოგადოდ „კონკურენციის კანონმდებლობის" წარმოშობა დაკავშირებულია, ცალკეულ ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან და საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობაში მიმდინარე ცვლილებებთან (ახალ მოვლენებთან). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის კანონმდებლობის შექმნისათვის ნიადაგის მომზადებას ერთის მხრივ ხელი შეუწყო ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის მიზეზებმა. კერძოდ, ეკონომიკური თვალსაზრისით ანტიმონოპოლიური (აშშ-ში ანტიტრესტული, ხოლო ევროპაში – კონკურენციული) კანონმდებლობის წარმოქმნა განაპირობა კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებაში მომხდარმა ხარისხობრივმა ცვლილებამ – თავისუფალი კონკურენციის ეპოქის მონოპოლიურით შეცვლამ, ხოლო მეორეს მხრივ, მისი წარმოშობა განაპირობეს იმ გარემოებებმა, რომლის თანახმადაც, მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით მონოპოლიზების პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების ზომები უკვე აშკარად არაადექვატური და არასაკმარისი იყო. ეს კი მოითხოვდა კონკურენციის სამართლის გამოყოფას სამოქალაქოდან და ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრირებას კონკურენ-

34 Ван-Сайс Дж.Дж., Федеральное антимонопольное законодательство США, Третье пересмотренное издание, с анг. пер. Бакуркина Т.Н., № перевода Т-23100, Всесоюзный центр переводов, М., 1990, с. 7.

ციის საკითხებზე.

„კონკურენციის კანონმდებლობის“ ცნების ქვეშ მოიაზრება სხვადასხვა ქვეყნების ანტიმონოპოლიური (ანტიტრესტული) კანონმდებლობა, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმებთან ერთად, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება კონკურენციის რეგულირება საერთაშორისო ბაზრებზე. საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებამ და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) შექმნამ, რომლის მიზანია, მისი წევრი ქვეყნებისათვის ვაჭრობის საერთაშორისო წესების შემუშავება (მიღება), ასევე რეგიონალური ეკონომიკური კავშირების (გაერთიანებების) წარმოშობა საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, გამოიწვია უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში ადრე დამკვიდრებული „ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის“ ცნების შეცვლა „კონკურენციის კანონმდებლობის“ ცნებით[35].

თავისთავად კონკურენციის კანონმდებლობის რეალობაში გატარება დიდად არის დამოკიდებული იმ მიზნებსა და ცნებებზე, რომლებსაც თვითონ ეს კანონმდებლობა ეყრდნობა. კონკურენციის კანონები განვითარებად ქვეყნებში უმთავრესად ეყრდნობიან ორ ძირითად ცნებას: 1) საბაზრო ძალას და 2) დომინირებას.

„საბაზრო ძალის“ ცნება უდევს საფუძვლად აშშ-ის, ხოლო „დომინირების“ ცნება ევროპის კავშირისა და მისი წევრი ქვეყნების კანონმდებლობას. აღნიშნული ცნებები ასევე იქნა გათვალისწინებული (ჩადებული) რეფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კონკურენციის კანონებში. მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობა 2005 წლის 3 ივნისამდე ეფუძნებოდა „დომინირებას“ (მონოპოლიას), ხოლო ქვეყნის ახალი საკონკურენციო სამართალი საერთოდ უარყოფს როგორც ერთს ისე მეორეს.

მიუხედავად იმისა, თუ რომელ ცნებას ეფუძნება კონკურენციის კანონი – „საბაზრო ძალას“ თუ „დომინირებას“, ის ეხება კომერციული საქმიანობის ან ოპერაციების მსგავს ფორმებს. მაგალითად, უმეტესობა კანონებისა ეხება ფასების ფიქსირებას და ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ შეზღუდვებს, ასევე კომპანიების შერწყმებსა და კორპორაციულ

35 Васильева Н., Горячева Ю., Доронина Н. и др., Конкурентное право Российской федерации, М., „Логос“, 1999, с. 350.

ურთიერთობებს. მიუხედავად ამისა, „საბაზრო ძალაზე“ დაფუძნებული კანონები უფრო ტარდება რეალობაში (სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა კომერციული ეფექტიანობით), ვიდრე ისინი, რომლებიც ეფუძნებიან „დომინირებას“. ამის მიზეზი კი არის, ის, რომ „საბაზრო ძალა“ და „დომინირება“ თუმცა, მსგავსი ცნებებია, მაგრამ ისინი იდენტურები არ არიან. „საბაზრო ძალა“ უკავშირდება მომწოდებლის უნარს იქონიოს გავლენა ბაზრის ფასზე ან შეზღუდოს ბაზარი რაიმე სპეციფიკური საქონლის ან მომსახურების მიმართებით. „დომინირების“ ცნება, მართალია მოიცავს ბაზრის ძალას, მაგრამ იგი უფრო შორს მიდის. მაგალითად, დიდი საწარმო შეიძლება ჩაითვალოს დომინირებულად, თუ მას შეუძლია შეზღუდოს ან გადაკეტოს კომერციული შესაძლებლობები მასთან შედარებით მცირე საწარმოებისა ან სავაჭრო პარტნიორებისა მაშინაც კი, როდესაც ასეთი ქმედებით არ ხდება გავლენა საბაზრო ძალაზე.

„საბაზრო ძალასა“ და „დომინირებას“ შორის არსებული განსხვავება თვალშისაცემია კანონის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში. კერძოდ, თუ ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკურ აგენტთა შერწყმის კონტროლის მექანიზმებს, დავინახავთ, რომ კონკურენტი ეკონომიკური აგენტები ხშირად ერწყმიან ერთმანეთს, რათა მოხდეს დუბლირებული აქტივებისა და შესაბამისი პერსონალის (მუშა-მოსამსახურეთა) რაციონალიზაცია (დანახარჯების მაქსიმალურ ოპტიმიზაციის მიზნით). თუ შერწყმული ეკონომიკური აგენტების ხვედრითი საბაზრო წილი მცირეა, საბაზრო ძალაზე დაფუძნებული კონკურენციის კანონი კონცენტრაციის ზრდაში ვერანაირ საშიშროებას ვერ ხედავს. უფრო მეტიც, ასეთი კანონი ამ სახით შერწყმებს სასარგებლოდაც კი მიიჩნევს, რადგანაც ის წაახალისებს შერწყმული აგენტის და კონკურენციის მიზეზით, მისი კონკურენტების შედარებით დაბალ ფასებს. ორივე შედეგს სარგებელი მოაქვს მომხმარებლისათვის. კანონით ასეთი შერწყმა ნებადართულია, ხოლო კანონი რომელიც დომინირებაზეა აგებული, შეიძლება კრძალავდეს („მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის კანონი კრძალავდა) დისტრიბუტორების შერწყმას და მასთან დაკავშირებულ კონკურენციის სასარგებლო მახასიათებლებს.

ბევრ შემთხვევაში, კომერციული ოპერაცია, ან საქმიანობის სხვა ფორმა საწარმოს აძლევს საშუალებას შეამციროს დანახარჯები და შესაბამისად აამაღლოს ეფექტიანობა. დანახარჯების შემცირება წაახალისებს საწარმოთა და მათი კონკურენტების (კონკურენციის საფუძველზე) მიერ დაბალი ფასების დაწესებას და ამაღლებს ეროვნული საწარმოების კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე.

ინდუსტრიული და რეფორმირებადი ქვეყნები, კონკურენციის კანონში სხვადასხვა პირობებით წარმოების ეფექტიანობის დაცვის გათვალისწინებით ხშირად ცდილობენ ხელი შეუწყონ ეფექტიანობის ამაღლებას. ამგვარი დაცვა საშუალებას აძლევს კერძო მომწოდებლებს, რომ მათ თავისუფლად აწარმოონ კონცეპტუალური შეთანხმებები და კორპორაციული ოპერაციები, რომლებიც სხვაგვარად აკრძალული იქნებოდა. დაცვა შეიძლება განხორციელდეს ორი ფორმით. მხარეებისათვის შეიძლება საკმარისი იყოს იმის დემონსტრირება, რომ ესა თუ ის ხელშეკრულება ან ოპერაცია აუცილებელია ეფექტიანობის მისაღწევად. მეორე ვარიანტით მხარებს შეიძლება მოეთხოვოთ იმის დასაბუთება, რომ ეფექტიანობა არსებობს და რომ ის სარგებელს მოუტანს მომხმარებელს (დაბალი ფასები, უკეთესი ხარისხი, უკეთესი მომსახურება).

ხშირად აკრიტიკებენ დომინირებაზე დაფუძნებული კანონის რეალობაში გატარებას იმისათვის, რომ ის იცავს მცირე ზომის არაეფექტიან ეკონომიკურ აგენტებს, დიდი ზომის ეკონომიკური აგენტების ეფექტიანი ფუნქციონირების და ოპერაციების აღკვეთის ხარჯზე. ეს ძირითადად ეხება იმ შემთხვევებს, რომლებიც გულისხმობენ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ შერწყმებს.

ფართო გაგებით, კონკურენციის კანონის პრაქტიკული რეალიზების ეფექტიანობა დამოკიდებულია კონკურენციის სააგენტოსა და სასამართლო სისტემის მუშაობაზე. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გამოკვლევებს კონკურენციის სფეროში მოეთხოვებათ იმის შეფასება, თუ რამდენად საკმარისია საბაზრო ძალები კონკურენციისადმი მიყენებული ზიანის აღსაკვეთად. ამასთან, თუ სხვა ყველაფერი თანაბარია (ბაზრის ბარიერები მინიმალურია), კარგად განვითარებული ბაზრის არსებობისას, კონკურენციის კანონის რეალობაში გატარება უნდა იყოს შედარე-

ბით შეზღუდული. ხშირ შემთხვევაში საბაზრო მექანიზმები მყიდველებს, მცირე ზომის საწარმოებსა და ინვესტორებს აწვდიან ბევრ კომერციულ ალტერნატივას, რაც კონკურენციას შესაძლო ზიანისაგან ათავისუფლებს. ამგვარად, სადაც საბაზრო მექანიზმი ეფექტიანია, კონკურენციის სააგენტო საერთოდ არ უნდა ჩაერიოს, ან მისი ჩარევა უნდა იყოს მინიმალური.

კანონები და რეგულირების წესები დიდ გაელენას ახდენენ ქვეყანაში კონკურენციის სიცოცხლისუნარიანობაზე, ბაზრების მასშტაბებსა და ზომებზე, მომწოდებლის კონცენტრაცის დონეზე, ბაზარზე შესვლისა და გასვლის პირობებზე, პოტენციური მომწოდებლის დანახარჯებსა და ეფექტიანობაზე. ხსენებულის პასუხად, კონკურენციის სააგენტოები ხშირად მოქმედებენ როგორც „კონკურენციის ადეოკატები“. ეს უკანასკნელი მოიცავს საზოგადოებისათვის ექსპერტული ანალიზის და კომენტარების მიწოდებას კანონების, რეგულირების წესების, ცენტრალური და ადგილობრიკი სამთავრობო ორგანოების გადაწყვეტილებების ასპექტებზე.

ფაქტია, პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე კონკურენციის ვერც ერთი სააგენტო ვერ გამოდგება ეკონომიკური რეფორმის გიდად. იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკურ რეფორმებს თან ახლავს პოლიტიკური მხარდაჭერა, კონკურენციის ორგანოს ძალუძს უზრუნველყოს მთავრობის ყოველ დონეზე განხორციელებული ქმედებების შესაბამისობა არჩეული რეფორმის კურსთან.

კონკურენციის კანონები კრძალავენ ისეთ კომერციულ პრაქტიკას, კონტრაქტებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ კონკურენციას, აძლიერებენ საბაზრო ძალასა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. იურიდიული სტანდარტები სახელმწიფოების მიხედვით განსხვავდებიან, რაც გამოწვეულია კონკურენციის ეროვნული დებულებების მიზნებითა და კომერციული ეფექტის შესახებ შეხედულების სხვადასხვაობით.

პორიზონტალური შეზღუდვები ითვალისწინებს ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც იდება კონკურენტ მომწოდებლებს შორის ფასების, ინვესტიციების, წარმადობის მოცულობის, პროდუქციის დიფერენციაციისა ან რეკლამირების შეზღუდვის მიზნით. არსებობს მრავალი სახის ჰორიზონტალური

შეზღუდვა, რომელთაგან ბევრი ითვლება საბაზრო ეკონომიკისათვის საზიანოდ და არასასურველად. ჰორიზონტალური ფასების ფიქსაცია ყოველთვის იკრძალება ინდუსტრიულ ქვეყნებში და აკრძალვის დარღვევა ხდება მკაცრი სამოქალაქო და კრიმინალური სანქციების გამოყენების მიზეზი. ამის საპირისპიროდ, სხვა ჰორიზონტალური შეზღუდვები, როგორიცაა მაგალითად, პროდუქციის სტანდარტების ჩამოყალიბებაზე შეთანხმება, ითვლება რომ ის აძლიერებს როგორც კონკურენციას, ასევე ეფექტურობას და კანონიერია ინდუსტრიული ქვეყნების უმრავლესობაში.

გონივრულობის პრინციპის გამოყენებით, არსებობს ისეთი ვარიანტი, რომლითაც რეფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში შეიძლება ჰორიზონტალური შეთანხმებების საკითხის მოგვარება იმგვარად, რომ ფასების ფიქსირება და სხვა აშკარად ანტიკონკურენტული პრაქტიკა აიკრძალოს, ხოლო პოტენციური ეფექტიანობის შეთანხმებები შენარჩუნდეს. უპირველეს ყოვლისა, კანონში დაკონკრეტებულ უნდა იქნეს შეთანხმებების ტიპები და კლასები და თითოეულს უნდა შეესატყვისებოდეს სხვადასხვა იურიდიული სტანდარტი (საქართველოს კონკურენციული კანონმდებლობა, კერძოდ, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ – საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონი, ამას არ ითვალისწინებდა, რაც მის ნაკლოვანებას წარმოადგენდა). კონკურენციული კანონმდებლობის სრულყოფის პროცესში, განვითარებული ქვეყნები ამ პრობლემის მოწესრიგებას ცდილობენ – „აბსოლუტური მონოპოლიური პრაქტიკის“ და „შედარებითი მონოპოლიური პრაქტიკის“ შემოღებით.

პირველ კატეგორიაში მოიაზრება ფასების ფიქსირება და მსგავსი შეთანხმება პროდუქციის შემცირებაზე, რეალიზაციის ტერიტორიის განსაზღვრასა და საზოგადოებრივ აუქციონებზე განაცხადების არაკეთილსინდისიერ პრაქტიკაზე. ესენი ყოველთვის საზიანო ქმედებებია და შესაბამისად ექვემდებარებიან უპირობო და მკაცრ აკრძალვას.

„შედარებითი მონოპოლისტური პრაქტიკა“ კი მოიცავს შეთანხმებებს ტექნოლოგიებისა და ობიექტების ერთობლივ გამოყენებაზე, რომლის კონკურენციული ეფექტი გაურკვეველი, მაგრამ არასაზიანოა. ამდენად ამ კონკრეტულ (ბოლო) შემთხვევაში კონკურენციის სააგენტოს შეუძლია ჰორი-

ზონტალური შეთანხმების დაშვება, თუ ისინი ეფექტიანობას უზრუნველყოფენ (გამონაკლისების საკითხი ევროკავშირის კანონმდებლობაში სწორედ ამას ეხება). ამ რეჟიმის შეთანხმება თავისუფლდება იურიდიული პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები წინასწარ აცნობებენ კონკურენციის სააგენტოს და წერილობით თანხმობას მიიღებენ მისგან. თუ ასეთი თანხმობა არ არსებობს, ჰორიზონტალური შეთანხმება შეიძლება გახდეს მკაცრი საჯარიმო სანქციის საგანი.

რაც შეეხება ვერტიკალურ შეთანხმებებს ის გულისხმობს იმ კონტრაქტებს, რომლებიც ზღუდავენ საქმიანობას მხარეებს შორის მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთობაში. მაგალითად, მწარმოებლებსა და მისი პროდუქციის დისტრიბუტორებს შორის. ეს შეთანხმება ჩვეულებრივ ანალიზდება ორი. ფაქტორით: ახალისებს თუ არა ის ბაზრის ძალის გამოყენებას და შედეგად წარმოქმნის თუ არა კონკურენციულ სიმეტრიას დისტრიბუტორებს შორის. სხვაგვარად, რომ ვთქვათ კომერციული შედეგი გაურკვეველია ვერტიკალური შეთანხმებების შემთხვევაში, ვიდრე ჰორიზონტალური შეთანხმებებისას. შედეგად იურიდიული სტანდარტები სახელმწიფოების მიხედვით განსხვავდება. მაგალითად, აშშ-ს პრეცედენტულ სამართალში შეიცვალა მიდგომები ვერტიკალური შეთანხმებებისადმი, უფრო კეთილგანწყობის მიმართულებით. 1985 წელს ანტიტრესტული დეპარტამენტის მიერ სახელმძღვანელო პრინციპების მიღებისას ვერტიკალური შეზღუდვების მიმართ აღინიშნა, რომ იგი არ აღძრავს განსახილველად საქმეებს ვერტიკალურ შეზღუდვებთან მიმართებაში, რომლებიც აკონტროლებენ ბაზრის 10%-ზე ნაკლებს და უფრო მეტიც, აუცილებლად არ გახდება დავის საგანი ის ვერტიკალური შეზღუდვები, რომლებსაც იყენებენ 10%-ზე მეტი საბაზრო წილის მქონე ფირმები, არამედ ისინი დაექვემდებარებიან შემდგომ ანალიზს „გონიერულობის პრინციპის“ შესაბამისად.

კანონის გატარების მექანიზმის გაცნობიერება მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკურენციის კანონის აღსრულებაში. თითქმის ყველა ინდუსტრიულ ქვეყანაში კონკურენციის კანონი იურიდიულად ტარდება არასპეციალიზირებული, დამოუკიდებელი სამოქალაქო ან ადმინისტრაციული

სასამართლო სისტემის მიერ, მაშინ როდესაც ბევრი რეფორმირებადი ეკონომიკის ქვეყანა იყენებს ადმინისტრაციულ სისტემას. იურიდიული და ადმინისტრაციული განხორციელება უპირველეს ყოვლისა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კანონის გატარების იურიდიული პრეცედენტების გამოყენებაში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კონკურენციის კანონის რეალობაში იურიდიული გატარებით წარმოიქმნება სტანდარტები დებულებების (კანონის) ენისა და პრეცედენტებიდან. პრეცედენტების გამოყენების მასშტაბი საერთაშორისოა და სახელმწიფოები კონკურენციის კანონების შედგენისას ხელმძღვანელობენ უფრო განითარებულ ქვეყნებში არსებული პრეცედენტებით. მაგალითად, საბერძნეთის კონკურენციის კომისია იურიდიული სტანდარტების შედგენაში დაეყრდნო ევროპის კავშირის პრეცედენტს კომპანიების შერწყმის კონტროლზე, ხოლო ახალი ზელანდია დაეყრდნო ავსტრალიისა და აშშ-ში ჩამოყალიბებულ იურიდიულ სტანდარტებს.

საქართველოში საკონკურენციო პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში მოწინავე განვითარებული ქვეყნების პრეცედენტული სამართლის ნორმების გამოყენებას (შესაბამისის სტანდარტების შემუშავებისას), ნაკლები ყურადღება ექცევა. უფრო მეტიც, მხოლოდ ერთად-ერთხელ (2001 წლის მეორე ნახევარი) ჰქონდა ადგილი საქართველოს სახელმწი- ფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში განვითარებული ქვეყენების იურიდიული პრეცედენტის გამოყენებას. კერძოდ, ევრო–სასამართლოს მიერ 1978 წელს (საქმე ECR 207) მიღებული დადგენილების თანახმად, ახალი ბანანის ბაზარი გამოყოფილ იქნა სხვა ახალი ხილის ბაზრისაგან, რადგანაც სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მომხმარებელთა ფართო წრე ჩვილი ბავშვებისა და მოხუცების სახით, რომლებიც ბანანის გარდა სხვა ახალ ხილს ვერ მოიხმარდნენ. სწორედ, ევრო-სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, როგორც პრეცედენტი, გამოყენებულ იქნა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ და შესაბამისი სასაქონლო ბაზრების კვლევის პროცესში ბანანის ბაზარი განხილულ იქნა სხვა ხილის ბაზრისაგან განცალკევებულად. აღნიშნულ სასაქონლო ბაზარზე კონკურენციული გარემოს შეფასებისა და ანალიზის პროცესში

გამოვლენილ იქნენ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები (შ.პ.ს. „აგროტექნიკი“ და „სოტობი ენტერპრაიზ ლიმიტედ“-ის წარმომადგენლობა), რომლებიც სამსახურის უფროსის 2001 წლის 25 სექტემბრის №8/60 ბრძანებით (დადგენილი წესის თანახმად) შეყვანილ იქნენ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრში და დაექვემდებარნენ მუდმივ ანტიმონოპოლიურ ზედამხედველობასა და კონტროლს.

საერთოდ, კონკურენციის შესახებ უცხოეთის ქვეყნების კანონმდებლობათა ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიყოს საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ორი ფორმა, რომელთაგან პირველი ემყარება ბაზარზე არსებული ყველა სამართლებრივი ურთიერთობების კონკურენციულ (ანტიმონოპოლიურ) რეგულირებაზე დაქვემდებარების პრინციპს. ამის მაგალითს წარმოადგენს, აშშ-ში უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება, რომელიც წარმოაჩენს აშშ-ში კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის თავისებურებებს, რომელთაგან უმთავრესი არის – ანტიმონოპოლიური რეგულირების მექანიზმის სრულყოფის ხარისხი.

საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მეორე ფორმა პირველისაგან განსხვავდება იმით, რომ კონკურენციული (ანტიმონოპოლიური) რეგულირების მოდელის მიხედვით ხდება კანონების მიღება, კონკრეტული სახის რეგულირების სამართლებრივი ურთიერთობებისათვის. მაგალითად, „ინვესტიციების შესახებ“ კანადის 1986 წლის კანონი, რომელიც წარმოადგენს ანტიმონოპოლიურ (კონკურენციის შესახებ) კანონს საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების სფეროში. ის იმეორებს სამართლებრივი რეგულირების სტრუქტურას და მეთოდს, რომლებიც დამახასიათებელია ანტიმონოპოლიური (კონკურენციული) რეგულირებისათვის, მაგრამ მისაღებია მხოლოდ საინვესტიციო საქმიანობისათვის[36]. იგივე შეიძლება ითქვას, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 2 ივნისის კანონზეც (№1514), რომელიც ასევე შეიცავს (ბევრად უფრო სრულყოფილი სახით), ანტიმონოპოლიური რეგულირებისათვის დამახასიათებელ ნორმებს, მაგრამ ის მხოლოდ კომუნიკა-

36 Васильева Н., Горячева Ю., Доронина Н. и др., Конкурентное право Российской федерации, М., „Логос“, 1999, с. 350.

ციების სფეროს ეხება.

ჩვეულებრივ ანსხვავებენ კონკურენციული კანონმდებლობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს, რომელთაგან პირველი (მისი ყველაზე ნათელი გამოვლინებაა აშშ-ს ანტიტრესტული კანონმდებლობა) გამოდის რა ბაზრის მონოპოლიზების წინააღმდეგ თავიდანვე (დომინირებული მდგომარეობის დაკავებამდე) მკაცრ კონტროლს აწესებს ამ პროცესებზე, რომელიც ხორციელდება, ძირითადად ეკონომიკურ აგენტთა შერწყმისა და გაერთიანების საფუძველზე. ანტიტრესტულ კანონმდებლობაში ჩართულია აგრეთვე ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ. ეს მოდელი, გარდა აშშ-სი, მოქმედებს კანადაში, იაპონიაში, არგენტინაში და ა.შ.

კონკურენციული კანონმდებლობის ევროპული მოდელი კი, უპირველეს ყოვლისა მიმართულია მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მონოპოლიებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფისაკენ; ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ევროპულ მოდელში გაერთიანებულია ცალკე კანონის რეგულირების სფეროდ. აღნიშნული მოდელი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და ევროპის რიგ ქვეყნებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

ამასთან, ცალკეული ქვეყნებში კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის წარმოშობა, განვითარება და მისი შემდგომი სრულყოფა არ შეიძლება განვიხილოთ თანამედროვე პირობებში იმ ნორმების გაუთვალისწინებლად, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობას.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ დღეისათვის კონკურენციის კანონმდებლობის განვითარება მიდის დაახლოებისა და უნიფიცირების გზით, როგორც ცალკეულ ქვეყნებში, რომლებმაც მიიღეს ესა თუ ის მოდელი, ასევე განსხვავებათა წაშლის გზით ამ ორ მოდელს შორის. ეკონომიკური და სამართლებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ფონზე დღის წესრიგში დადგა კონკურენციის წესების, კონკურენციული პოლიტიკის ერთიანი ნორმებისა და მიდგომების შექმნის აუცილებლობის საკითხი. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ჩარჩოებში; კერძოდ, „რომის

შეთანხმების“ საფუძველზე მიღებულ იქნა ამ გაერთიანების ყველა ქვეყნისათვის კონკურენციის ერთიანი წესები, შეიქმნა შესაბამისი ორგანიზაციული საფუძვლები მათი რეალიზებისათვის. საერთო ევროპულ დონეზე კონკურენციის წესების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ევროპულ გაერთიანებათა კომისიას, კერძოდ, მის ერთ-ერთ ქვედანაყოფს (Directerate General-IV ofec), რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს გაერთიანების წევრი ქვეყნების კონკურენციის ორგანოებთან. გარდა ამისა, იგი მეთოდურ და საკონსულტაციო დახმარებებს უწევს ყველა სხვა ქვეყნის შესაბამის დაინტერესებულ უწყებებსაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის კანონმდებლობის მიღების საფუძველს წარმოადგენდა კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის „ეროვნული“ დარღვევები თავისი ხასიათის მიხედვით, ხოლო ევროკავშირის ანტიმონოპოლიურ (კონკურენციის) ორგანოდ – ევროსაბჭოს კომისიის გადაქცევის მთავარ არგუმენტს შეადგენდა ის, რომ ცალკეული ეკონომიკური აგენტების ქმედებები ევროსაბჭოს შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების შიგა ბაზრებზე, სერიოზულ გავლენას (ზემოქმედებას) ახდენდნენ ევროკავშირის საერთო ბაზარზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევრო-კავშირის კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ, შეიძლება მივაკუთვნოთ კანონმდებლობის ახალ (მესამე) მოდელს, რომელიც წარმოიშვა და ყალიბდება საერთაშორისო სამართლის ნორმების ბაზაზე[37].

ეხლა, უშუალოდ გავეცნოთ (განვიხილოთ) კონკურენციული პოლიტიკის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს კონკრეტული (ტიპიური) ქვეყნების მაგალითზე. ასევე, ევროკავშირის მოდელის ძირითად პარამეტრებს, მახასიათებლებს და მისი აღსრულების მექანიზმებს.

37 Васильева Н., Горячева Ю., Доронина Н. и др., Конкурентное право Российской федерации, М., „Логос“, 1999, с. 351.

2.1 ამერიკული მოდელი (აშშ)

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კონკურენციის (ანტიტრესტული, ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობის საფუძველს წარმოადგენს აშშ-ში 1890 წელს მიღებული პირველი ფედერალური კანონი, „შერმანის“ აქტის სახელწოდებით (Sherman Act 1890), რომელიც აშშ კონგრესმა მიიღო ამერიკელი საზოგადოებრიობის და უპირველეს ყოვლისა, ფერმერებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა მხრიდან ძლიერი დაწოლის შედეგად, რომელთაც გაუჩნდათ საფუძვლიანი შიში კომპანიათა მცირე ჯგუფის ხელში საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციის გაძლიერების მიმართ, რაშიც ხედავდნენ საფრთხეს მეწარმეობისა და საერთოდ დემოკრატიისათვის.

ამასთან, კონგრესის მიერ ამ კანონის მიღება დაემთხვა პერიოდს, როდესაც საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შეხედულებები მნიშვნელოვნად შეიცვალა თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვის შეფასების სფეროში არსებულ სტანდარტებთან დაკავშირებით. 1890 წელს ამერიკელი მოსამართლეები იდგნენ სამართლის ორ მოდელს შორის არჩევანის წინაშე. <u>პირველი მათგანი</u> აფასებდა როგორც აშკარა, ასევე მეტნაკლებად ფარულ შეზღუდვებს „გონივრული მიდგომის“ წესის შესაბამისად და ახდენდა საკითხის დასმას იმ კუთხით, სასამართლო პროცესზე განსახილველთა ქცევას შეეძლო თუ არა მათი მოყვანა მონოპოლიამდე კონკურენტი კომპანიებისათვის ბაზარზე დაბრკოლებების შექმნის გზით. აღნიშნული შეხედულება ხაზს უსვამს, რომ ახალი სუბიექტების ბაზარზე შესვლის იძულებითი შეზღუდვების არსებობისას ბაზრის თვითკორექტირებადი ტენდენციები დაიცავენ მომხმარებელს. <u>მეორე მოდელი</u> ანაწილებდა ვაჭრობის თავისუფლების შეზღუდვას ორ კატეგორიად. დამატებითი (დამატებითი, არამთავარი) შეზღუდვა ფასდებოდა „გონივრული მიდგომის“ წესის შესაბამისად, ხოლო კარტელები განიხილებოდნენ როგორც თავისი არსით ამ წესის საწინააღმდეგო და ყველა შემთხვევაში ექვემდებარებოდნენ აკრძალვებს (ბაზარზე სიტუაციის მიუხედავად). ამ მიდგომის უარყოფით მხარეს (საშიშროებას) წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობის მოსალოდნელი პირდაპირი შეზღუდვა, მისი კერძო და ნება-

ყოფლობითი ხასიათის მიუხედავად[38].

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას აყალიბებს ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროსთან არსებული ანტიტრესტული კანონმდებლობის შემსწავლელი კომისიის ყოფილი წევრი ჯ. ეან-საისი მონოგრაფიაში „აშშ-ს ფედერალური ანტიტრესტული კანონმდებლობა". ის წერდა „ჩვენი მამები – კანონმდებლები ეთანხმებოდნენ არისტოტელეს იმაში, რომ „უკეთესია, საკუთრება იყოს კერძო, რადგანაც ასეთ შემთხვევაში „თითოეული ადამიანი იმუშავებს ისე, რომ გააუმჯობესოს თავისი კერძო საკუთრება" და ამით გაზარდოს ერთობლივი ინდუსტრიული სიმდიდრე. . . ამასთან, ისინი იზიარებდნენ აღამ სმითის მოსაზრებას წარმოებაში „უხლავი ხელის" ფაქტორთან დაკავშირებით. . . ისინი იყვნენ დარწმუნებული, რომ სახელმწიფოს რესურსების განაწილება არ შეიძლება იყოს დამოკიდებული ბიზნესის მაგნატების, ან სახელმწიფო დაგეგმვის ორგანოების პირად შეხედულებებზე . . . მიაჩნდათ, რომ კონკურირებადი ძალების ურთიერთქმედება ყველაზე ეფექტიანად წინ წაწევს ჩვენ მატერიალურ პროგრესს . . ."[39]

სწორედ იმისათვის, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული კონკურენცია და არა კონკურენტები (საქმეში Brunswick ციტირებულია პრინციპი „კონკურენცია, არაკონკურენტები", რომელიც წამოყენებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში შერწყმების შესახებ Brown Shoe საქმესთან დაკავშირებით) კონგრესმა მიიღო „შერმანის" კანონი, რითაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა აშშ-ში კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციას ფედერალურ დონეზე. რაც შეეხება, ცალკეულ შტატებს, მათ დონეზე ანტიტრესტული კანონმდებლობა უფრო ადრე არსებობდა. კერძოდ, ალაბამის შტატის მიერ 1883 წელს მიღებულ იქნა პირველი ანტიტრესტული კანონი, რომლის კვალდაკვალ კანზასისა და კიდევ სხვა ხუთ შტატში მიღებულ იქნა კანონები, რომლითაც უკანონოდ და დასჯადად გამოცხადდა ყოველგვარი გაერ-

---

38 Гелхорн Э., Ковасик В., Антитрестовское законодательство и экономика (Перевод на русский язык), Вашингтон, 1995, с. 17-18;

39 Ван-Сайс Дж.Дж., Федеральное антимонопольное законодательство США, Третье пересмотренное издание, с анг. пер. Бакуркина Т.Н., № перевода Т-23100, Всесоюзный центр переводов, Дата перевода 30.10.90 г., М., с. 23.

თიანება ვაჭრობის შევიწროებისა და შეზღუდვის კუთხით. საბოლოოდ, „შერმანის“ კანონის მიღების პერიოდისათვის აშშ-ს 18 შტატში მოქმედებდა ანტიტრესტული კანონები.

როგორც კონკურენციის სამართლის ცნობილი სპეციალისტები ე. გელხორნი და ვ. კოვასიკი თავიანთ ნაშრომში „ანტიტრესტული კანონმდებლობა და ეკონომიკა“ აღნიშნავენ, „ისტორიულად ამ კანონების საფუძველი (საწყისი) დევს საერთო სამართლის დებულებებში, რომლებიც მიმართული იყო ვაჭრობის შემზღუდველი საქმიანობის შემცირებაზე . . . თვითონ ამ კანონის ტერმინოლოგია კი მნიშვნელოვანწილად აღებულია „საერთო სამართლის ლექსიკონიდან“[40].

თავის მხრივ, საერთო სამართლის არასრულყოფილებამ წინ აღდგომოდა კომპანია-გიგანტების მხრიდან ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთას, XIX საუკუნის ბოლოს დღის წესრიგში დააყენა ისეთი საკანონმდებლო აქტის მიღების აუცილებლობა, რომელიც მაქსიმალურად შეზღუდავდა კონკრეტულ (შესაბამის) სასაქონლო ბაზრებზე ცალკეული დომინანტი კომპანიების გაბატონებულ ძალაუფლებას (ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას). „ამ მიმართულებით კონგრესის მიერ გადაგმულმა პირველმა ნაბიჯებმა (1887 წლის კანონი შტატებს შორის ვაჭრობის შესახებ და 1890 წლის შერმანის ანტიტრესტული საკანონმდებლო აქტი) ვერ შეამცირეს საზოგადოების უკმაყოფილება, რასაც ამერიკის ეკონომიკაში დომინანტი კომპანიების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ტალღოვანი ციკლები იწვევდა, რაც თავის მხრივ მეტყველებდა რა მოქმედი ანტიტრესტული კანონმდებლობის უკმარისობაზე, მისი სრულყოფის სურვილს ამძაფრებდა. საზოგადოებაში დაძაბულობა ამ კუთხით მატულობდა მანამ, სანამ ანტიტრესტული კანონმდებლობის პრობლემები არ გახდა დომინირებული საკითხი 1912 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და შედეგად უკვე 1914 წელს არ იქნა მიღებული „კლეიტონისა“ და „ვაჭრობის ფედერალური კომისიის შესახებ“ კანონები“[41].

ამდენად, დღეისათვის აშშ-ში, რომელიც აღიარებულია

40 Гелхорн Э., Ковасик В., Антитрестовское законодательство и экономика (Перевод на русский язык), Вашингтон, 1995, с. 9;

41 Гелхорн Э., Ковасик В., Антитрестовское законодательство и экономика (Перевод на русский язык), Вашингтон, 1995, ст. 19.

ანტიტრესტული კანონმდებლობის სამშობლოდ, ფუნქციონირებს კონკურენციული ეკონომიკის უზრუნველმყოფი სამი ძირითადი კანონი – 1) „შერმანის“ (1890 წ.), 2) „კლეიტონისა“ (1914 წ.) და 3) „ვაჭრობის ფედერალური კომისიის შესახებ“ (1914 წ.).

ეხლა მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

<u>„შერმანის“ კანონი</u> - კრძალავს დაუსაბუთებელ შეზღუდვებს ვაჭრობაში, ბაზარზე მონოპოლიის შექმნის მცდელობასა და მონოპოლიური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. კანონის დებულებები ფორმულირებულია ზოგადი სახით და იმ ფორმით, როგორც ეს დამახასიათებელია კონსტიტუციის მუხლებისათვის, რომლის ინტერპრეტაციისა და გამოყენების აკრძალვის (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში) უფლებამოსილება გააჩნია სასამართლო ორგანოებს, იუსტიციის სამინისტროსა და კერძო პირებისაგან შეტანილი სამოქალაქო თუ სისხლის სამართლებრივი საჩივრების საფუძველზე. თავის მხრივ, კანონი (ნაწილი I) გამოიყენება როგორც შტატებს შორის, ასევე მის ფარგლებს გარეთ განხორციელებულ ქმედებებზე მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებსაც ორ ან მეტ სუბიექტს შორის არსებული „ხელშეკრულება“, „კავშირი“ ან „ფარული შეთანხმება“ წარმოადგენს ვაჭრობის სფეროში კონკურენციის შემზღუდავ ქმედებას. ე.ი. კანონის გამოყენება ხდება იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც სასამართლოების მიერ გამოვლენილია ვაჭრობის შემზღუდავი, დაუსაბუთებელი ზემოქმედების განხორციელების ფაქტები ან ასეთი ზემოქმედების თაობაზე შესაბამისი წინასწარ განსრახულობა.

ამასთან, კანონის მე-2 ნაწილის თანახმად, ყველა ის პირი რომელსაც უკვე მონოპოლიზებული აქვს ბაზარი, ან ცდილობს მის მონოპოლიზებას, ასევე ქმნის კავშირს ან შედის ფარულ შეთანხმებაში ნებისმიერ სხვა პირთან (პირებთან) ვაჭრობის ამ თუ იმ სფეროს მონოპოლიზაციის მიზნით, როგორც შტატებს შორის, ისე უცხოეთის სახელმწიფოებთან, წარმოადგენს (ითვლება) სისხლის სამართლის დამნაშავეს. ე.ი. კანონის თანახმად, არავის არა აქვს ბაზრის მონოპოლიზაციის უფლება.

როგორც ვხედავთ, შერმანის კანონის პირველი ნაწილი ეხება შეზღუდვებს, ხოლო მისი მეორე ნაწილი შეზღუდვის

საბოლოო პროდუქტს – „მონოპოლიზაციას“, თუმცა, კანონით არაა დადგენილი მონოპოლისტად აღიარებისათვის (მონოპოლიზაციის) აუცილებელი საბაზრო წილის სიდიდე. თავისთავად დიდი საბაზრო წილის არსებობა აშშ-ში არ განიხილება კანონდარღვევად. ის ასეთი ხდება, როდესაც კორპორაცია ბაზრის სხვა სუბიექტების საწინააღმდეგოდ ეწევა ისეთ ანტიკონკურენტულ ქმედებებს, როგორიცაა ცალკეულ ფირმებთან კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებების დადება, ან წარმოების ხარჯებზე დაბალი ფასით პროდუქციის (მომსახურების) რეალიზაცია და ა.შ. თუმცა, ბაზრის მონოპოლიზაციის შესახებ საქმეთა განხილვის პროცესში მხედველობაშია მისაღები მთელი რიგი, სასამართლო პრაქტიკის შედეგებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული კრიტერიუმები. კერძოდ, გასათვალისწინებელია ისეთი კონკრეტული საკითხები, როგორიცაა – ფირმის ნოვატორობა, მოგების დონე, მაღალსერიული წარმოების გავლენა ბაზრის ხვედრით წონაზე და სხვა.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს ანტიტრესტული კანონმდებლობით იკრძალება არა კომპანიათა მონოპოლიური მდგომარეობა, არამედ ამ მდგომარეობის მოპოვების არაკეთილსინდისიერი გზები, რაც ძირითადად ბაზრიდან კონკურენტების მოშორებაში გამოიხატება.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ „შერმანის“ კანონის თანახმად მხოლოდ სასამართლოები იყვნენ უფლებამოსილნი მიეღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რა მიეკუთვნებოდა და რა არა აკრძალულ შეზღუდვებს, რადგან „აკრძალვები შერმანის კანონში არ იყო ჩამოყალიბებული ზუსტი და კრისტალურად ცხადი ტერმინების სახით . . . ამიტომ, ენის ბუნდოვნების გამო . . . სასამართლოები იძულებული იყვნენ თვითონ ჩაედოთ მასში შინაარსი . . .“ /კომპანია „აპექს ხოზიერი“ ლიდერის წინააღმდეგ, 310 u.s. 469, 489, 1940/.[42]

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, მოსამართლეებისათვის არ იყო ადვილი ყოველთვის ყოფილიყვნენ თვითდაჯერებულნი და ცალსახად გამოეტანათ გადაწყვეტილებები,

42 Ван-Сайс Дж.Дж., Федеральное антимонопольное законодательство США, Третье пересмотренное издание, с анг. пер. Бакуркина Т.Н., N² перевода Т-23100, Всесоюзный центр переводов, Дата перевода 30.10.90 г., М., с. 12.

რაც ნათლად დასტურდება აშშ-ს დაბალი ინსტანციის ერთ-ერთი სასამართლოს იმ დადგენილებიდან, სადაც აღნიშნულია, რომ „ . . . ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევა როდესაც სასამართლო არ ეჭვიანობს თავისი გადაწყვეტილების სისწორეზე, მიუხედავად იმისა, ის საუბრობს თუ არა ამის შესახებ“[43].

აშშ-ში სასამართლოს, რომელიც ყოველთვის ცდილობს კონკურენციის დაცვასა და მის სტიმულირებას, სარჩელის განხილვის პროცესში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება კომპანია-მონოპოლისტის დაშლაზე, რასაც ის ძირითადში მიმართავდა გასული საუკუნის დასაწყისში, ხოლო ამ ეტაპზე უფრო ხშირად გამოიყენება დასჯის ისეთი ფორმები, როგორიცაა კომპანია-მონოპოლისტის დანაწევრება (დაყოფა) ან მისი დიდი ნაწილის გაყიდვა, ისევე როგორც სხვა ფირმებთან შერწყმების და ვაჭრობის გაძღოლის ანტიკონკურენტული ხერხების აკრძალვა.

თავის მხრივ ცხადია, „ . . . ანტიტრესტული კანონმდებლობის პრაქტიკაში უფრო ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა საჭიროებს იმის დაზუსტებას, თუ რა წარმოადგენს არაკანონიერ პრაქტიკას ბიზნესის სფეროში. „გონივრული მიდგომის წესი“ უარყოფდა კომერციული საქმიანობის ხელმძღვანელობას და სასამართლოებს ანიჭებდა განუსაზღვრელ თავისუფლებას თავიანთი შეხედულებით გაეძლიერებინათ კანონი განმარტებების მეშვეობით. ამ პრობლემის მოწესრიგების მიზნით 1912 წელს ვ. ვილსონის მიერ შეთავაზებულ იქნა იდეა შეეცვლოთ შერმანის კანონი ახალი კანონით, რომელშიც ზუსტად იქნებოდა განსაზღვრული (ჩამოთვლილი) ყველა კანონსაწინააღმდეგო ქმედება (რაც პრაქტიკულად განხორციელდა „კლეიტონის“ კანონის მიღებით) და კანონდამრღვევთა შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი“[44].

აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ, „შერმანის“ კანონით გათვალისწინებული დებულებების შემდგომი სრულყოფის

---

43 Ван-Сайс Дж.Дж., Федеральное антимонопольное законодательство США, Третье пересмотренное издание, с анг. пер. Бакуркина Т.Н., № перевода Т-23100, Всесоюзный центр переводов, Дата перевода 30.10..90 г., М., с. 17;

44 Гелхорн Э., Ковасик В., Антитрестовское законодательство и экономика (Перевод на русский язык), Вашингтон, 1995, с. 27.

მიზნით იქნა მიღებული „კლეიტონის" კანონი, რომელიც არეგულირებს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კომპანიების შერწყმასა და შეძენასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და კრძალავს ბაზარზე ისეთ შერწყმასა და შეძენას (კორპორაციათა აქციები), რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონკურენციის შეზღუდვა (შესუსტება) და გამოკვეთოს (იკვეთება) მონოპოლიის შექმნის ტენდენცია. კანონის მე-7 მუხლის თანახმად, „არც ერთ პირს, რომელიც დაკავებულია ვაჭრობით ან სხვა ისეთი საქმიანობით, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ვაჭრობაზე, არა აქვს უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძინოს მთელი სააქციო კაპიტალი ან მისი ნაწილი . . . სხვა პირის . . . თუ ამის შედეგად მოსალოდნელია კონკურენციის მნიშვნელოვანი შესუსტება ან იქმნება მონოპოლიის ჩამოყალიბების ტენდენცია. თავის მხრივ, კანონში 1976 წელს შეტანილმა ცვლილებამ (იგივე „ხარტ-სკოტ-როდინოს" კანონი (Hart-Scott-Rodino Antitrust Improvement Act 1976) ხაზგასმა ჩემია), დაავალდებულა ეკონომიკური აგენტები წინასწარ შეატყობინონ იუსტიციის სამინისტროს ანტიტრესტულ დეპარტამენტს და ფედერალური ვაჭრობის კომისიას მოსალოდნელი შერწყმების შესახებ"[45]. ასეთი წინასწარი შეტყობინების საფუძველზე „აშშ-ს იუსტიციის სამინისტრომ 1994 წელს ჩაატარა კორპორაცია Microsoft–ის მიერ საპროგრამო უზრუნველყოფის შემმუშავებელი კომპანია Intuit-ის შერწყმის საკითხის გამოძიება. Intuit-ი ფლობდა უფლებას აშშ–ში ყველაზე პოპულარული პირადი ფინანსების მართვის კომპიუტერული პროგრამების Quicken-ის წარმოებაზე. საკითხის მრავალთვიანი გამოძიების შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ ჩათვალა, რომ Microsoft-ისა და Intuit-ის შერწყმა გამოიწვევდა ბაზარზე ერთი კომპანიის ხელში დასაშვებ ზღვარზე მეტი ძალაუფლების კონცენტრაციას და მიიღო გადაწყვეტილება ასეთი შერწყმის საწინააღმდეგოდ. შედეგად Intuit-ი დარჩა დამოუკიდებელ კომპანიად.[46]

ამდენად, როგორც ვხედავთ, აშშ-ში მოქმედი ანტიტრესტული კანონმდებლობის თანახმად კომპანიათა შერწყმის კონტროლი ხორციელდება წინასწარი ნოტიფიკაციების (შე-

45 Залесская М., Антимонопольное регулирование в зарубежных странах, М., 1991, с. 14;

46 Мэнкью Н. Грегори, Принципы экономикс, Санкт-Петербург, 1999, с. 317.

ტყობინების) სისტემის ბაზაზე (კანონის the hart Scott-Rodino Act შესაბამისად), რომელთა განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, ანტიტრესტული ორგანოების მიერ იკრძალება ისეთი შერწყმები (გაერთიანებები), რომლებიც იწვევენ ან შეიძლება გამოიწვიონ კონკურენციის შეზღუდვა ან მონოპოლიების შექმნა. თავის მხრივ, ნოტიფიცირების დადგენილი პირობების (ფასების) დაუცველობა იწვევს ეკონომიკური აგენტებისათვის საჯარიმო სანქციების დაკისრებას დღეში 10 ათასი დოლარის ოდენობით.

გარდა ამისა, „კლეიტონის" კანონი ასევე კრძალავს შტატებს შორის ვაჭრობაში დისკრიმინაციული ფასების გამოყენებას. თუმცა, ეს ეხება იმ კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც დიფერენცირებული ფასების გამოყენება ხდება ერთი და იმავე დასახელების პროდუქციის (საქონლის) გაყიდვის პროცესში. ამასთან, კანონით დასაშვებია სარეალიზაციო ფასის დიფერენცირება, რომელიც გამომდინარეობს (ეყრდნობა) დანახარჯების შემცირებიდან, ან იმ შემთხვევებიდან, როდესაც პირი ნებაყოფლობით თანხმდება კონკურენტის დაბალი ფასებით უზრუნველყოფას. როგორც ვხედავთ, თვითღირებულება „კლეიტონის" კანონით განიხილება, როგორც დამატებითი კერძო შეზღუდვა, რომელმაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს კონკურენციაზე დაფუძნებულ ეკონომიკას.

მოგვიანებით, „კლეიტონის" კანონის მე-2 მუხლი სრულყოფილ იქნა (შეტანილ იქნა ცვლილება) 1936 წელს მიღებული „რობინსონ-პატმანის" კანონით, რომელი ცვლილების ისტორიაც „ . . . მოწმობს კონგრესის დაინტერესებაზე მცირე მეწარმეების ბედითა და ფასების დაცემის შეწყვეტით, რაც ძირითადად განპირობებული იყო მსხვილი საცალო ვაჭრობის ქსელის მფლობელთა ქმედებებით . . . განსაკუთრებით სასურსათო მაღაზიების". ეს განწყობა დასტურდება სენატორ ლონგის (Huey Long) იმ სიტყვებიდან, რომ ის „უფრო დაეთანხმება ლუიზიანაში ქურდებისა და განგსტერების არსებობას, ვიდრე მაღაზიების ქსელისას" . . . , ხოლო კონგრესის დელეგატმა რაიტ პატმანმა (Wright Patman), მისი მოსახელე კანონის ნათლიამ თავისი განწყობა შემდეგი სახით გამოხატა – „ეს კანონი მიმართულია ყველა თაღლითების, მექრთამეების, და სხვა ხარბი მტაცებლების წი-

ნააღმდეგ, რომლებიც მიისწრაფიან მონოპოლიური ძალაუფლებისაკენ, რომელიც დაღუპავს ქვეყანას . . . . "[50].

საბოლოოდ, „ამ კანონის დებულებები მიმართულია არა იმ ქმედებებზე, რომელიც მატერიალიზებულია ვაჭრობის შეზღუდვაში, როგორც ეს „შერმანის" კანონშია განსაზღვრული, არამედ მიმართულია იმ პრაქტიკაზე, რომელიც ადგენს (უშვებს) იმის ალბათობას თუ როგორ შეზღუდვებს შეიძლება ზოგადად ჰქონდეს ადგილი . . . კონგრესმა ამ შემთხვევაშიც ხაზი გაუსვა თავის მიზანს სტიმულირება გაუწიოს კონკურენციას აკრძალვების მეშვეობით . . . რომელთა მნიშვნელობა უნდა განვითარდეს იმის მიხედვით, თუ როგორ წარიმართება საქმეების (საჩივრების) განხილვა სასამართლოებსა და ვაჭრობის ფედერალურ კომისიაში".[48]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ როგორც შერმანის, ასევე კლეიტონის კანონები ძირითადად მიმართულია იმ შეზღუდვების წინააღმდეგ, რომლებიც ემუქრება კონკურენციაზე დაფუძნებულ ეკონომიკას. ამასთან, ისიც ფაქტია, რომ ანტიტრესტული კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა აშშ-ში იყოფა მკაცრი და რბილი მიდგომების პერიოდებად. XX საუკუნის დასაწყისი გამორჩეული იყო ანტიტრესტული კანონმდებლობის რეალიზაციის უმკაცრესი რეჟიმით (1911 წელს აშშ-ს უმაღლესმა სასამართლომ Dr.Miles Medical Co v. John D. Parke @ Sons მიიჩნია უკანონოდ per se შეთანხმება მწარმოებელსა და დილერს შორის, რითაც მნიშვნელოვნად გააფართოვა „შერმანის" კანონის პირველი მუხლის შინაარსი, რომელიც კრძალავს შეთანხმებას კონკურენტ კომპანიებს შორის), მაშინ როდესაც 30-40-იან წლებში შეინიშნებოდა უფრო შერბილებული მიდგომები, ხოლო 50-70-იან წლებში კი პირიქით ისევ გამკაცრდა ანტიტრესტული რეგულირების რეჟიმი. შესაბამისად, სასამართლოები მონოპოლიზაციის პროცესების განხილვისას უკანონოდ მიიჩნევდნენ კომპანიათა პრაქტიკულად ნებისმიერ შეთანხმებულ მოქმედებას.

შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლების

47 Гелхорн Э., Ковасик В., Антитрестовское законодательство и экономика (Перевод на русский язык), Вашингтон, 1995, с. 303;

48 Ван-Сайс Дж. Дж., Федеральное Антимонопольное Законодательство США. Третье пересмотренное издание, Перевод Бакуркина Т.Н., № Перевода Т-23100, Дата перевода 30.10.90 г., М., с. 13.

ბოლოდან მოყოლებული, თითქმის მთელი ათეული წელი აშშ-ს ანტიტრესტულ პოლიტიკაში გაბატონებული იყო „ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის“ მიდგომები, რომელიც ეფუძნებოდა თავისუფალი ბაზრის უპირატესობას ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევასთან შედარებით. მიჩნეული იყო, რომ ადრინდელ ანტიტრესტულ დოქტრინებს როგორც არასწორს (მცდარს) საზოგადოებისათვის მოჰქონდა უფრო მეტი ზიანი, ვიდრე სიკეთე. აშშ-ს უმაღლესმა სასამართლომ გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს რიგ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებით ფაქტიურად გამოხატა „ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის“ თეორეტიკოსების – რ. ბარკის, რ. პოზნერის, ფ. ისტერბრუკის (რომლებიც აღიარებდნენ, რომ ანტიტრესტული რეგულირების ძირითადი პრინციპი უნდა იყოს მხოლოდ ღია ანტიკონკურენტული მოქმედებები) მიმართ სოლიდარობა. კერძოდ, XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე სახელმწიფო ორგანიზაციები, ან ფირმები რომლებიც ითხოვდნენ ამა თუ იმ კომპანიების გაერთიანების აკრძალვას, საკმარისი იყო თავიანთი მოთხოვნის დასასაბუთებლად დაყრდნობოდნენ შესარწყმელი კომპანიების მაღალ საბაზრო წილს და შესაბამისი საქონლის ან მომსახურების ბაზრის კონცენტრაციის მაღალ ხარისხს. 1974 წელს აშშ-ს უმაღლესმა სასამართლომ „United States v. General Dynamics Corp“-ის საქმის განხილვისას პირველად თქვა უარი (გადაუხვია) საკითხის ასეთი მარტივი ფორმით (არითმეტიკულ მიდგომით) გადაწყვეტაზე. დღეისათვის კი სასამართლოები ხელმძღვანელობენ „გონივრული სამართლიანობის“ პრინციპით კომპანიათა სტრატეგიისა და საზოგადოებაზე მისი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების ანალიზისას.[49]

რაც შეეხება უფრო რბილ მიდგომებს შერწყმების შეფასების საკითხებზე ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა გასული საუკუნის 80-იანი წლებში. კერძოდ, 1982 წელს გამოქვეყნებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად ძირითადი აკრძალვის საგანს წარმოადგენდა ჰორიზონტალური შერწყმები (კონკურენტი ფირმები რომლებიც აწარმოებენ ერთნაირ პროდუქციას ან ეწევიან ერთსა და იმავე

49 Ячейстова Н. И., Международная конкуренция: законодательство, регулирование и сотрудничество, ООН, Нью-Йорк и Женева, 2001, с. 43.

მომსახურებას), ხოლო ვერტიკალური (მოიცავს დასრულებულ სამრეწველო-ტექნოლოგიურ ციკლს - ნედლეულის მოპოვებიდან საბოლოო პროდუქტის რეალიზაციამდე) შერწყმებისა და კონგლომერატების (არაკონკურენტი კომპანიები, რომლებიც ასევე არ არიან დაკავშირებული საწარმოო-ტექნოლოგიური ციკლით) აკრძალვის საკითხები დამოკიდებული იყო იმის დასაბუთებაზე (გარკვევაზე), თუ რამდენად არსებითი იყო მათი ანტიკონკურენციული ეფექტი.

1984 წელს გამოქვეყნებულ იქნა ახალი სახელმძღვანელო პრინციპები, რამაც დასაშვები გახადა ისეთი ჰორიზონტალური შეთანხმებები (კონცენტრირებულ დარგებში), რომლებიც წარმოებაში დაუსაბუთებელი დუბლირების თავიდან აცილებას ახდენს და ხელს უწყობს ეფექტიანობის ზრდას წარმოების მასშტაბების გაფართოების სარჯზე. ასევე, იცავს ერთ-ერთ პარტნიორს (უფრო სუსტს) საბაზრო წილის დაკარგვისა და ბაზრიდან გამოდევნისაგან. ამაყე დოკუმენტითაა განსაზღვრული ამერიკული იმპორტის დონეზე შერწყმის ზემოქმედების გათვალისწინებაც.

მანამდე კი, 1982 წელს იუსტიციის სამინისტრომ გამოუშვა შერწყმაზე ახალი განახლებული სახელმძღვანელო, რომელიც მიიჩნევდა (ადგენდა) რომ შერწყმებს შეიძლება ჰქონოდათ დადებითი ეფექტი, ამიტომ აკრძალვებს ექვემდებარებოდა მხოლოდ ის შერწყმა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა (მოსალოდნელი იყო) ანტიკონკურენციული ეფექტი. თავის მხრივ, შერწყმის ამ განახლებულ სახელმძღვანელო დოკუმენტს წინ უსწრებდა 1997 წელს გამოცემული სახელმძღვანელო. გარდა ამისა, აშშ-ში მოქმედებს სახელმძღვანელო წესი ერთობლივი წარმოების (joint venture) შემთხვევებში ანტიტრესტული კანონმდებლობის გამოყენებაზე. პირველად იგი მიღებულ იქნა 1977 წელს. დღეისათვის კი joint venture შემთხვევების მიმართ გამოიყენება 1995 წლის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს კერძო მეწარმეებისათვის იმ კრიტერიუმების ახსნა, რომლის მიხედვითაც ახდენს სახელმწიფო ორგანო მათი საქმიანობის შეფასებას. სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია მითითება, თუ რა შემთხვევებში ითვლება joint venture-ე ანტიტრესტული კანონმდებლობის დარღვევად. ასევე, სახელმძღვანელო წესებში ჩადებული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ სა-

ხელმწიფო ორგანოები ინვესტიციების ბაზარზე კონკურენციის პირობების რეგულირებისას.

ამასთან, აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებულია სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც მოიცავს რეკომენდაციებს ამერიკული კომპანიების მიერ უცხოურ სახელმწიფოებთან ან სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებების დადების შემთხვევაში, რომლებიც განიხილება როგორც joint venture ნაირსახეობა.

როგორც მკვლევარი ნ. იაჩეისტოვა აღნიშნავს, „ითვლება, რომ რბილი კონკურენციის ეტაპი აშშ-ში დასრულდა 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც დაიწყო IBM ის მონოპოლისტობის საქმის განხილვა. კლინტონის ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა ანტიტრესტული კონტროლის გაძლიერებას და 1998 წელს აღძრა საქმე Microsoft-ის მონოპოლისტობის წინააღმდეგ. ანტიტრესტული საქმეები იქნა ასევე აღძრული ისეთი გიგანტი კომპანიების წინააღმდეგ, როგორებიცაა Intel, Staples, Toys „R" Us, Mastercard, Visa. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში კონკურენციული ურთიერთობების რეგულირება ამ ეტაპზე (დღეისათვის) წარმოადგენს ყველაზე კომპლექსურს და ეფექტიანს მსოფლიოში"[50].

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ამერიკული კომპანიების ფედერალურ დონეზე შერწყმების რეგულირება იზღუდება ძირითადად 1968 წელს მიღებული „უილიამსის" კანონის შესაბამისად, რომლის თანახმად კონტროლის ძირითადი ბერკეტები კორპორაციათა გაერთიანებების შესახებ მოქცეულია შტატების მთავრობათა ხელში.

თავის მხრივ, „შერმანისა" და „კლეიტონის" კანონები, გარდა სასამართლო დადგენილებებისა ივსება **„ვაჭრობის ფედერალური კომისიის შესახებ" კანონით** (Federal Trade Commission Act 1914), რომელიც ძალაში შევიდა 1914 წელს და რომელშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი 1938, 1973 და 1975 წლებში. კანონში 1975 წელს შეტანილი ცვლილების შესაბამისად „კონკურენციის არასწორი მეთოდების გამოყენება ვაჭრობაში . . . არასამართლიანი და მოტყუებითი აქტები ვაჭრობაში . . .

---

50 Ячейстова Н. И., Международная конкуренция: законодательство, регулирование и сотрудничество, ООН, Нью-Йорк и Женева, 2001, с. 43-44;

ცხადდება უკანონოდ".[51]

ამასთან, კანონი „ვაჭრობის ფედერალური კომისიის შესახებ" (FTC), გარდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის, როგორც კონკურენციული ბრძოლის არაკანონიერი ფორმის აღკვეთის მეთოდისა, განსაზღვრავს მარეგულირებელი ორგანოს სტატუსსა და როლს.

თავის მხრივ, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ზუსტი ცნება არაა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული აშშ-ს ანტიტრესტული კანონმდებლობით. ამიტომ, ის განისაზღვრება იმის და მიხედვით, თუ რამდენად საზიანოა ესა თუ ის მოქმედება საქმიანი მიმოქცევის პროცესში. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ კონკურენციული ბრძოლის ხერხები მუდმივ ცვალებადობას განიცდის. მარტო აშშ-ს ვაჭრობის ფედერალური კომისია, თავისი პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე, ანსხვავებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის 400-ზე მეტ ფორმას (გამოვლინების სახეს). ამ საკითხის მოწესრიგებას ემსახურება სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენცია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ცნებების გაგება ხდება სხვადასხვანაირად (საქართველოში ეს საკითხი, ნაწილობრივ დარეგულირებული იყო 1996-2005 წლებში „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონით (მუხლები მე-8 და მე-9), სადაც მოცემული იყო არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინების ფაქტების ჩამონათვალი, რასაც ჰქონდა პრეტენზია ამომწურავად მოეცვა თავისთავში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ყველა გამოვლინება, რაც ყოვლად შეუძლებელი იყო. სწორედ ამიტომ, უცხოელი ექსპერტები იძლეოდნენ რეკომენდაციას, რომ მე-9 მუხლს დამატებოდა ქვეპუნქტი შინაარსით „და სხვა მსგავსი ქმედებანი", რაც ქვეყნის კონკურენციის ორგანოს მისცემდა საშუალებას კონკრეტული ფაქტების გაანალიზებისა და საკითხის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება. აღნიშნული კანონის გაუქმების შემდეგ მიღებული ახალი საკონკურენციო სამართლებრივი

51 Ван-Сайс Дж.Дж., Федеральное антимонопольное законодательство США, Третье пересмотренное издание, с анг. пер. Бакуркина Т.Н., № перевода Т-23100, Всесоюзный центр переводов, Дата перевода 30.10.90 г., М., с. 17-18.

აქტი, მხოლოდ ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ხედავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლენის საშიშროებას, რითაც, ფაქტობრივად, რეგულირების (რეაგირების) გარეთ ტოვებს ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან მოსალოდნელი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების ყოველგვარ გამოვლინებას).

აშშ-ში „შერმანის", „კლეიტონისა" და „ვაჭრობის ფედერალური კომისიის შესახებ" ძირითადი ანტიტრესტული კანონების, გარდა კიდევ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მთლიანობაში შეადგენს ანტიტრესტული კანონმდებლობის ნაწილს. ანტიტრესტულ კანონმდებლობას მიეკუთვნებიან ასევე ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ითვალისწინებენ ანტიტრესტული კანონმდებლობის საერთო წესებიდან გამონაკლისებს („ბუნებრივი მონოპოლიები"), და ის ნორმატიული აქტები, რომლებიც მიღებულია უწყებრივი რეგულირების დონეზე და მიზნად ისახავს ბაზრის მონაწილეებისათვის ანტიტრესტული კანონმდებლობის გამოყენების წესის განმარტებას.

აშშ-ს ანტიტრესტული კანონმდებლობა, ისევე როგორც სხვა განვითარებული ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობა, ითვალისწინებს რიგ გამონაკლისს ზოგადი წესებიდან. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ბუნებრივად იქნა აღიარებული ცალკეული მონოპოლიების არსებობა, „შერმანის" კანონის მოქმედების არეალიდან ამოღებულ იქნა სატელეფონო და სატელეგრაფო კომპანიები („კავშირგაბმულობის ფედერალური კომისიის შესახებ" 1934 წლის კანონი), კომუნალური მომსახურების კორპორაციები („ენერგეტიკის ფედერალური კომპანიების შესახებ" 1935 წლის კანონი) და ა.შ. აღნიშნული კანონები ითვალისწინებს ნებართვების გაცემას სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად კავშირგაბმულობისა და ელექტროენერგიის მომარაგების სფეროში და იმავდროულად იცავს იმ კომპანიების მონოპოლიურ უფლებებს, რომლებიც საქმიანობენ ამ დარგებში.

გარდა ამისა, კონკურენციის კანონმდებლობიდან გამონაკლისების დაშვების ბლოკი მოიცავს საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროსაც. კერძოდ, „ვებ-პომერენის" 1918 წლისა და „საექსპორტო კომპანიების შესახებ" 1982 წლის კანონები ითვალისწინებს საექსპორტო კომპანიების

რეგისტრაციას და უშვებს მათი მონოპოლიური საქმიანობის განხორციელებას საექსპორტო ვაჭრობაში.

აქვე გვინდა ცალკე გამოვყოთ, „ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ 1988 წლის კანონი (Omnibus Trade and Competitiveness Act, 1988), რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის გაძლიერება და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის უფლებამოსილებების მინიჭება სავაჭრო მოლაპარაკებების ჩატარებაზე. ეს კანონი, როგორც კრებსითი აქტი საგარეო ეკონომიკური საქმიანობისა ახდენს ყველა იმ ნორმატიული აქტის კონსოლიდირებას (თითოეულ მათგანში შეტანილი ცვლილებების და დამატებების გათვალისწინებით), რომლებიც ეხება საგარეო ვაჭრობის სამართლებრივ რეგულირებას და უცხოურ ინვესტიციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ის ცვლილება, რომელიც 1988 წლის კანონით იქნა მიღებული გამომდინარეობს (ნაკარნახევი იყო) მსოფლიოში მიმდინარე ობიექტური პროცესებიდან (ეკონომიკის გლობალიზაცია, მსოფლიო სავაჭრო სისტემის შექმნა და ა.შ.).

აშშ-ს საკანონმდებლო სისტემაში, ისევე როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საუწყებო აქტები, რომლებიც გამოიცემა უფლებამოსილი აღმასრულებელი ორგანოების მიერ სახელმძღვანელოდ (Guidelines). საუწყებო აქტებში გათვალისწინებულია ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებითაც ხელმძღვანელობს კონკურენციის (ანტიტრესტული) კანონმდებლობის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო. ეს საუწყებო აქტები წარმოადგენს ერთდროულად როგორც ანტიტრესტული კანონმდებლობის გამოყენების გამოცდილების განზოგადებას, ასევე ინფორმაციას მეწარმეთათვის, რომლის საფუძველზე ამ უკანასკნელთ შეუძლიათ აირჩიონ, თუ როგორ მოიქცნენ ბაზარზე, რაც თავის მხრივ გამორიცხავს კოლიზიის შესაძლებლობას მარეგულირებელ ორგანოებთან ანტიტრესტული კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში ანტიტრესტულ რეგულირებაში მონაწილეობას ღებულობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები. აშშ-ს კონგრესი და შტატების საკანონმდებლო

ორგანოები ღებულობენ ანტიტრესტულ კანონმდებლობას და კონტროლს უწევენ მათ შესრულებას (აღსრულებას), ხოლო შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანოები უშვებენ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს და საკუთარი ან კერძო პირების ინიციატივით ახორციელებენ ანტიტრესტულ რეგულირებას. ფედერალურ ღონეზე აშშ-ში ანტიტრესტული (კონკურენციის შესახებ) კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს აშშ-ს ვაჭრობის ფედერალური კომისია და აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ანტიტრესტული კანონმდებლობის დეპარტამენტი. მათ ფუნქციებში შედის ბაზრის მონოპოლიზაციის თავიდან აცილება, კონკურენციის შენარჩუნება და მხარდაჭერა. ეს აღმასრულებელი ორგანოები უფლებამოსილნი არიან გამოსცენ კანონქვემდებარე აქტები, რომელთაგან ერთი ნაწილი არის სახელმძღვანელო (სავალდებულო შესასრულებლად), ხოლო მეორე კი წარმოადგენს სარეკომენდაციო ხასიათის აქტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის დეპარტამენტისა და ვაჭრობის ფედერალური კომისიის კომპეტენციები ძირითადში (მნიშვნელოვნად) ერთმანეთს ემთხვევა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ფედერალური ვაჭრობის კომისიაზე დელეგირებულია მხოლოდ სამოქალაქო საქმეების წარმოება, მაშინ როდესაც იუსტიციის დეპარტამენტი ამის პარალელურად ახორციელებს სისხლის სამართლებრივი საკითხების მოკვლევასაც. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ანტიტრესტული კანონმდებლობის ფორმირებასა და მათ პრაქტიკულ რეალიზაციაში ეკუთვნის სასამართლოებს, რომელთა როლი კანონის აღსრულების საქმეში მუდმივად იზრდება.

<u>აშშ-ს ვაჭრობის ფედერალური კომისია</u> (Federal Trade Commission) შედგება ხუთი წევრისაგან, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს აშშ-ს პრეზიდენტი და ამტკიცებს სენატი. კომისიის წევრების უფლებამოსილებების პერიოდი განისაზღვრება შვიდი წლით. ამასთან, კომისიის წევრთაგან ერთ-ერთს თავმჯდომარედ ნიშნავს აშშ-ს პრეზიდენტი. ერთსა და იმავე პოლიტიკურ პარტიას აქვს უფლება კომისიაში ჰყავდეს მაქსიმუმ სამი წარმომადგენელი. კომისიის შემადგენლობაში არის სამი ქვედანაყოფი, რომლებიც შესაბამისად

სპეციალიზებული არიან – კონკურენციის ზოგად საკითხებზე (Board of Competition), კონკურენციის ეკონომიკურ პრობლემებსა (Board of Economics) და მომხმარებელთა უფლებების დაცვის პრობლემებზე (Board of Consumer Protection), რომლებსაც ხელმძღვანელობს დირექცია (Board of Director). აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში ანტიტრესტული კანონმდებლობის შესრულებაზე უშუალოდ პასუხს აგებს ვაჭრობის ფედერალური კომისიის ორი კონკრეტული ქვეგანყოფილება (კონკურენციის და ეკონომიკური პრობლემების). ამასთან, კომისიის დაქვემდებარებაშია 10 რეგიონალური ქვეგანყოფილება.

როგორც მარეგულირებელი ორგანო, ვაჭრობის ფედერალური კომისია პროცესზე გამოდის ერთდროულად როგორც მხარე, ასევე, როგორც სახელმწიფო ორგანო. კომისიას მიყავს გამოძიება და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოძიების შედეგების მიხედვით მიმართავს სასამართლო ორგანოებს სარჩელით საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით. როგორც სახელმწიფო ორგანო, კომისია ახორციელებს ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებას (ადმინისტრაციული პროცედურის აღძვრა) იმ პირთა და ორგანიზაციათა წინააღმდეგ, რომელთა ქმედება განიხილება როგორც კონკურენციის დარღვევა. კომისიის მიერ ბრძანების გამოშვება დარღვევის შეწყვეტის შესახებ წარმოადგენს კონკურენციის დარღვევის ადმინისტრაციული პროცედურის განხილვის დასრულებას. ამასთან, კომისიას უფლება აქვს მიმართოს სამოქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით გადაწყვეტილების აღკვეთის ფორმით გამოტანაზე (injunction), იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც პირი, რომლის წინააღმდეგაც იყო ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება გამოტანილი, არ ასრულებს მას. თავის მხრივ მეორე მხარეს, რომლის წინააღმდეგაც იყო გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება, შეუძლია მიმართოს აპელაციით მეორე ინსტანციის ფედერალურ სასამართლოს.

<u>აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ანტიტრესტული კანონმდებლობის დეპარტამენტი</u> (Department of Justice Antitrust Division). დეპარტამენტს ხელმძღვანელობს აშშ-ს გენერალური პროკურორის თანაშემწე, რომელსაც თანამდე-

ბობაზე ნიშნავს აშშ-ს პრეზიდენტი სენატის თანხმობით. პროკურორის თანაშემწეს ჰყავს ხუთი მოადგილე, რომლებიც შესაბამისად იხილავენ და განაგებენ – ბაზრებზე კომპანიების შერწყმის, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების, აპელაციების, საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებისა და ეკონომიკური ანალიზის შედეგების გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას.

ანტიტრესტული კანონმდებლობის დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის თხუთმეტი განყოფილება და შვიდი რეგიონული ქვეგანაყოფილება. ამ დეპარტამენტის განყოფილებებისა და ქვეგანაყოფილებების ფუნქციებში შედის გამოძიებების წარმოება კომპანიათა შერწყმებზე, ასევე მონაწილეობის მიღება სამოქალაქო პროცესებში და კონტროლის განხორციელება იმ ამერიკული კომპანიების საქმიანობაზე, რომლებიც ბიზნესს ეწევიან საზღვარგარეთ.

იმ გამოკვლევის შედეგების მიხედვით, რომლებიც ტარდება ანტიტრესტული კანონმდებლობის დეპარტამენტის მიერ, მხარე, რომელსაც ადანაშაულებენ დარღვევაში, თანხმდება აღმოფხვრას ეს დარღვევა. თუმცა, ამისათვის აუცილებელია, რომ ასეთი შეთანხმება დადასტურებულ იქნეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელიც გამოტანილია საჯარო ინტერესის დასაცავად. სისხლის სამართლის გამოძიება ტარდება ისეთ „ვაჭრობის არაგონიერული შეზღუდვის" დროს, როგორიცაა მაგალითად, ფასების ფიქსირება, სპეკულაციური ფასების დამყარება, ტერიტორიის დაყოფა და სხვ.

გარდა ამისა, გასული საუკუნის 80-იან წლების დამდეგს <u>გენერალური პროკურორების ეროვნულ ასოციაციასთან</u> (National Assotation of Attorney General) შეიქმნა <u>ანტიტრესტული საკითხების შემსწავლელი „შტატებს შორისი" სამსახური</u>, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანტიტრესტული კანონმდებლობის რეალიზაციის საქმეში. ამ სამსახურის საქმიანობა თავმოყრილია შემდეგ სამ მიმართულებაში – 1) იმ საქმეების განხილვა, რომლებიც მოიცავს რამოდენიმე შტატს, 2) პრაქტიკული გამოყენების სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება და 3) სამსახურის შეხედულების უმაღლეს სასამართლოში წარდგენა.

იმ საქმეებზე, რომლებიც რამდენიმე შტატს მოიცავს,

სარჩელის აღძერის პროცესში გენერალური პროკურორები როგორც წესი, აკეთებენ არჩევანს ერთ-ერთ, რომელიმე ფედერალურ სასამართლოზე და მას მიმართავენ ერთობლივად. ასეთ „შტატებსშორის“ გამოძიებებს ჰქონდა ადგილი იმ შემთხვევებში, რომლებიც ეხებოდა ფასების ჰორიზონტალურ ფიქსაციას, გადამყიდველების ფასების ხელშეწყობას, ბოიკოტებს, მონოპოლიზაციასა და შერწყმებს.

ამასთან, ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა თანამშრომლობის მექანიზმები ფედერალურ და შტატების ანტიტრესტულ სამსახურებს შორის. ასევე, 1989 წელს ანტიტრესტული საქმეების აღსრულების პროცესების მოწესრიგების მიზნით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი (the Executive Working Group for Antitrust) – EWG), რომლის მიზანს წარმოადგენს ურთიერთგაგებისა და დიალოგის განვითარება და ფედერალური და შტატების ანტიტრესტული ორგანოების მიდგომებში კონფლიქტური სიტუაციების არსებობისას მისი აღმოფხვრა. ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობენ გენერალური პროკურორები და იუსტიციის სამინისტროს ანტიტრესტული დეპარტამენტისა და ვაჭრობის ფედერალური კომისიის წარმომადგენლები.

ანტიტრესტული კანონმდებლობის დამრღვევს აშშ-ში ეკისრება როგორც სისხლის სამართლებრივი, ასევე სამოქალაქო პასუხიმგებლობა. თავდაპირველად „შერმანის“ კანონის დარღვევისათვის მაქსიმალური სანქცია შეადგენდა 5 ათას დოლარს კონკრეტული კანონდამრღვევი კომპანიის თანამდებობის პირისათვის ან პატიმრობას ერთი წლის ვადით, ხოლო იურიდიული პირისათვის ჯარიმის ოდენობა არ აღემატებოდა 100 ათას დოლარს. თანდათანობით სანქციები ანტიტრესტული კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით გამკაცრებულ იქნა და გაიზარდა 10 მილიონ დოლარამდე; ამასთან, იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტი აყენებდა საკითხს (იძლეოდა რეკომენდაციას) საჯარიმო სანქციის 100 მილიონ დოლარამდე გაზრდის თაობაზე. მოგვიანებით უკვე, საჯარიმო სანქციის მოცულობა განისაზღვრა კომპანიის არაკანონიერი შემოსავლების ორმაგი მოცულობის დონეზე, ხოლო რაც შეეხება „კლეიტონის“ კანონს, მისი მე-4 მუხლის თანახმად კანონის დამრღვევს თაედაპირველად ეკისრებოდა ზარალის სამმაგი

ოდენობით ანაზღაურება, სასამართლო ხარჯების (ადვოკატის მომსახურების ჩათვლით) ანაზღაურებასთან ერთად. დროთა განმავლობაში სასამართლოთა მიდგომა ამ საკითხების მიმართ შეიცვალა და დღეს ის მხოლოდ ზარალის ერთმაგი ოდენობით განისაზღვრება. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ აშშ-ში ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით გათვალისწინებულია საგადასახადო სანქციები ანტიტრესტული კანონმდებლობის დამრღვევის მიმართ, რაც უკავშირდება კომპანია-დამრღვევის შემოსავლების გაანგარიშების პროცედურას.

რაც შეეხება კონკრეტულ დარღვევებს, აშშ-ში ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკურენტი კომპანიების მხრიდან ადგილი აქვს მაღალი მოგების მიღების მიზნით შეთანხმებული ფასების გამოყენებას, რითაც საბოლოო ჯამში ზარალდებიან მომხმარებლები. მაგალითად, 1978 წელს გამოვლენილ იქნა საიდუმლო შეთანხმება, რომელიც ეხებოდა გეოფრირებულ კონტეინერებზე ერთიანი ფასების დაწესებას. ასევე 1982 წელს იყო შემთხვევა, როდესაც ოცზე მეტი კომპანია იქნა ცნობილი დამნაშავედ ზოგადნაციონალურ საიდუმლო შეთანხმებებში მონაწილეობის გამო. საკითხი ეხებოდა კომპანიების მიერ მიღებულ საიდუმლო გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც მსხვილ ობიექტებში ელექტროდანადგარების მონტაჟი უნდა განხორციელებულ იყო შეთანხმებული (ერთიანი) ტარიფით. შეიძლება მოტანილ იქნეს კიდევ არაერთი მაგალითი და მათ შორის, წყალგაყვანილობის მილებზე ერთიანი ფასის დაწესების კონკრეტული შემთხვევა, რომლის თანახმად მთელი ექვსი წლის განმავლობაში „ფელის დოჯი“ და „რედინგ ინდასტრიზ“-ი, სხვა სამ კომპანიასთან ერთად აკონტროლებდა ამ წყალგაყვანილობის ბაზარზე წყლის მილების ფასებს. შედეგად, მილების რეალიზაციის მოცულობა ფიქსირებული ფასებით ყოველწლიურად შეადგენდა დაახლოებით 400 მილიონ დოლარს.

ამასთან, ფასებით დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენის მიზნით შესაბამისი სამსახურების მიერ მუდმივად ხორციელდება ანტიტრესტული გამოძიება, ხოლო გამოვლენილი დარღვევების აღკვეთის მიზნით, მარტო აშშ-ს ვაჭრობის ფედერალური კომისიის მიერ გასული საუკუნის დამდეგიდან დღემდე გამოცემულია 2 000 ბრძანებაზე მეტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს ანტიტრესტული კანონმდებლობა ძალიან მკაცრია, რაც ჩვენი აზრით, იმ პოლიტიკის ანარეკლს წარმოადგენს რასაც ამ ქვეყნის ხელისუფლება ახორციელებს და რომელიც, თავის მხრივ, განპირობებულია ანტიკონკურენციულ ქმედებებთან დაკავშირებით თვითონ ამერიკელ მოქალაქეთა მიერ აღიარებული ფასეულობებით. კერძოდ, „ამერიკელი ბიზნესმენისათვის არაა განხსვავება ქურდობასა და კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებას შორის. ამერიკელი ბიზნესმენის ცნობიერებაში კონკურენციის დარღვევა არის უფრო მძიმე მორალური დანაშაული, ვიდრე ქურდობა“[52].

ამერიკის ანტიტესტული კანონმდებლობის სიმკაცრეს უსვამს ასევე ხაზს სამართლის დოქტორი პატრიკ სპრედი, რომელიც 1995 წელს იყო საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მრჩეველს მაკროეკონომიკის საკითხებში. ის აღნიშნავდა, რომ „აშშ-ში ანტიტრესტული კანონმდებლობა უფრო მკაცრია, ვიდრე გაერთიანებულ სამეფოში. აშშ-ში არსებობს მოსაზრება, რომ მონოპოლია აუცილებლად უპირისპირდება სახელმწიფო ინტერესებს და . . . კანონმდებლობის მეშვეობით ხდება დიდი მონოპოლიების შესუსტება. აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოს მიდგომებს შორის სხვაობა გამომდინარეობს იქიდან, რომ აშშ ესაა საკმაოდ ფართო ბაზარი, რომელსაც უნარი შესწევს მრეწველობის ნებისმიერ დარგში იქონიოს მრავალი მსხვილი საწარმო, მაშინ როდესაც გაერთიანებული სამეფო თავის თავს მცირე ბაზრად აღიქვამს იმისათვის, რომ მსხვილი, გლობალური ოპერაციების განხორციელებისათვის კონკურენციაში ჩაებას“[53].

ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ აშშ ეს არის ქვეყანა სადაც სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ყველაზე უფრო სრულყოფილადაა წარმოდგენილი საკონკურენციო სამართლებრივი ნორმები, რაც, საბოლოო ანგარიშით ქვეყნის ხელისუფლების დამოუკიდებლობის და ეკონომიკის სიძლიერის მაჩვენებელია. რაც შეეხება

---

52 Инан Н., Краткая история и общая структура законодательства по конкуренции, Семинар - „Свободная рыночная экономика и конкуренция“, Стамбул. 2002. с. 15;

53 პ. სპრედი, მემორანდუმი, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა /კონკურენციული პოლიტიკის თაობაზე/, თბილისი, 1 ივნისი 1995 წელი, პუნქტი 27, გვ. 11.

ანტიტრესტული კონტროლის სახელმწიფო ორგანოთა (ძირითადად იუსტიციის სამინისტროს ანტიტრესტულ დეპარტამენტსა და ვაჭრობის ფედერალურ კომისიას შორის) შორის ფუნქციათა გარკვეულ დუბლირებას (რის უფლებასაც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ვერ მისცემს თავის თავს), მიგვაჩნია, რომ ეს შეგნებულად გადადგმული ნაბიჯია, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ამ სფეროში რეალიზებული პოლიტიკის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.

2.2 ევროპული მოდელი (დიდი ბრიტანეთი)

დიდ ბრიტანეთში ჯერ კიდევ კაპიტალიზმის წარმოშობამდე იყო ცნობილი ხელშეკრულებები მონოპოლიების შეზღუდვის შესახებ და გაცნობიერებული იყო მისი აცილებისათვის აუცილებელი იურიდიული ზომების მიღების აუცილებლობა, თუმცა, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემზღუდავი სპეციალური სამართლებრივი აქტების მიღებამდე კონკურენციის შემზღუდავი ქმედებების აღკვეთა ხორციელდებოდა სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების გზით. ამასთან, სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირება დიდ ბრიტანეთში სხვა ქვეყნებისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ აქ წამყვან როლს თამაშობდა პრეცენდენტული სამართალი. ამდენად, გარკვეული დროის განმავლობაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების აღკვეთა ხდებოდა ზოგადი (საერთო) პრეცენდენტული სამართლის ჩარჩოებში და ეფუძნებოდა „ვაჭრობის შეზღუდვის“ (restraint of trade doctrine) დოქტრინას, რომლის საფუძველში დევს XV საუკუნეში გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე (Dyer's Case 1414).

როგორც მკვლევარები ნ. ვასილიევი, ი. გორიაჩევი, ნ. დორონინი და სხვები მიუთითებენ – „ვაჭრობის შეზღუდვის“ დოქტრინის ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ მის მიერ მოცული ხელშეკრულებების სიერცე არ იყო საკმარისად განსაზღვრული, ხოლო გამოყენების სფერო შემოისაზღვრებოდა „მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვის“ მიზნებით. შესაბამისად მოსამართლეები, აფასებდნენ რა სახელშეკრულებო პირობების შემზღუდველ ეფექტს, ხელმძღვანელობდნენ მხარეების ქცევის „გონივრულობის“ კრიტერიუმით და ყურადსაღებად თვლიდნენ ხელშეკრულებების ზემოქმედებას სიტუაციაზე,

რომელიც წარმოიშობოდა ბაზარზე და მასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკაში[54].

ამასთან, ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასაწყისში ინგლისის სასამართლოების მიერ კონკურენციის შემზღუდავ საქმიანობად იყო მიჩნეული და იკრძალებოდა მეწარმეთა ისეთი ქმედება, რომლის თანახმად სამეწარმეო საქმიანობის სხვა პირზე გადაცემის პარალელურად ხდებოდა ისეთი ვალდებულების აღება, რომლის შესაბამისად მათ არ უნდა გაეგრძელებინათ ადრინდელი სამეწარმეო საქმიანობა.

მოგვიანებით, დიდ ბრიტანეთის (ინგლისის) სამართალში სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ზარალის ანაზღაურების და კონკურენტების არაკეთილსინდისიერი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ მოთხოვნილების სახით გამაგრებულ იქნა „სამარკო (ფაბრიკული) ნიშნების“ (1883 წლის) და „სავაჭრო ნიშნების“ (1887 და 1938 წლების) შესახებ კანონებით. პირველი მათგანი ითვალისწინებს სანქციებს საქონლის სამომხმარებლო თვისებების არასწორი გამოყენების (მითითების) შემთხვევებში. რაც შეეხება, „სავაჭრო ნიშნების შესახებ“ კანონს, ის 1988 წელს შეიცვალა ახალი ნორმით, რომლის თანახმად იკრძალება რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენება.

გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთის სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციული გარემოს დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა დროს მიღებულ იქნა რამდენიმე, კონკრეტული, კონკურენციის დამცავი სამართლებრივი ნორმა (კანონი), რომლებშიც კონტინენტალური სამართლისაგან განსხვავებით არ იყო არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ცნება საკმარისად გამოკვეთილი. ამიტომ, საერთო სამართლის დოქტრინის შესაბამისად, ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არ ეწინააღმდეგება პრეცენდენტს ითვლებოდა კანონიერად. ამასთან, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების თაობაზე, კონკრეტული სარჩელების საფუძველზე ხდებოდა „საქონელზე ცილისწამების“ და „ტიტულზე ცილისწამების“ შესახებ საერთო დელიკატური სამართლის ნორმების გამოყენება. მოგვიანებით, ამ საკითხების უფრო სრულყოფილად მოწესრიგების

54 Васильева Н., Горячева Ю., Доронина Н. и др., Конкурентное право Российской Федерации, 1999, с. 362.

მიზნით, მიღებულ იქნა „კონკურენციის შესახებ“ კანონი (1980წ.), რომელიც მთლიანობაში არეგულირებს სახელმწიფოს კონკურენციულ (ანტიმონოპოლიურ) საქმიანობას.

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით, მონოპოლიური მდგომარეობის მქონედ ითვლება ეკონომიკური აგენტი, თუ ის მარტო ან სხვა ეკონომიკურ აგენტებთან ერთად (შეთანხმებული მოქმედებით) აკონტროლებს ბრიტანეთის კონკრეტული (შესაბამისი) სასაქონლო (მომსახურების) ბაზრის 25%-ზე მეტს (ექსპორტის გამოკლებით). სადაოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს აქვს შესაძლებლობა ბოროტად გამოიყენოს თავის მდგომარეობა და ამით შეზღუდოს კონკურენცია კონკრეტულ (შესაბამის) სასაქონლო ბაზარზე, მაგრამ მონოპოლია, როგორც ასეთი, ბრიტანეთის კანონმდებლობით არ განიხილება კონკურენციის შემზღუდავ ერთადერთ საშუალებად, რადგანაც მიჩნეულია, რომ კონკურენციის შეზღუდვისა და აღკვეთის უამრავი სხვა გზაც არსებობს, რომლებიც, შესაძლებელია უფრო ნაკლებად არიან თვალში საცემი ვიდრე მონოპოლია, მაგრამ თითქმის ისეთივე ეფექტურობით ხასიათდებიან. ამის დამადასტურებელი არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება. კერძოდ, ფასებისა და მომარაგების კარტელები ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად კი – „მწარმოებელი ხშირად რეალიზაციის სისტემის კონტროლირებით ამკაცრებს კონკურენციას . . . დიდ ბრიტანეთში ლუდის გამომხდელებს აეკრძალათ თავიანთ საკუთარ კაფეებში სხვა მწარმოებლების ლუდის არგაყიდვა“[55] და სხვა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანეთის საკონკურენციო სამართლის ნორმები ძირითადად მიმართულია არა მონოპოლიების, არამედ მონოპოლიზაციის პროცესების წინააღმდეგ.

თავის მხრივ, კონკურენციის სამართლებრივი რეგულირების სისტემა დიდ ბრიტანეთში მოიცავს რამდენიმე კანონს. კერძოდ, ის შედგება – „მონოპოლიებისა და შემზღუდველი პრაქტიკის შესახებ“ (გამოძიების და კონტროლის პროცედურა 1948 წ.); „შემზღუდველი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“ (1956 წ); „მონოპოლიების და შერწყმების შესახებ“ (1965 წ.);

55 ჯ. სპრედი, კონკურენციის პოლიტიკის თაობაზე მემორანდუმი, თბ., 1 იენისი 1995 წ., გვ. 6-7.

„კეთილსინდისიერი ვაჭრობის შესახებ“ (1973 წლის კანონში ცვლილებები იქნა შეტანილი 1976 წელს); „კონკურენციის შესახებ“ (1980, 1998 და 2000 წლების კანონები); „საწარმოთა (კომპანიათა) შესახებ“ და „შეთანხმებათა აკრძალვისა და რეგულირების შეცვლის შესახებ“ (1994 წ.) კანონებისაგან, რომელთაგან ბოლო ოთხ კანონშია ჩამოყალიბებული კომპანიათა შერწყმის მარეგულირებელი დებულებები.

ეხლა იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას დიდი ბრიტანეთის საკონკურენციო სამართალზე, ჩვენს მიერ, მოკლედ იქნება მიმოხილული ზემოაღნიშნული კანონები, რომლებიც თავის დროზე, მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების უფრო სრულყოფილად დაცვის მიზნით იქნა მიღებული და დღემდე კეთილსინდისიერად ემსახურებიან ამ საქმეს.

<u>„მონოპოლიების და შემზღუდველი პრაქტიკის შესახებ“</u> 1948 წლის კანონი (გამოძიების და კონტროლის პროცედურა) (Monopolies and Restrictive Practices Act (Inquiry and Control) Act 1948) განსაზღვრავს დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს კომპეტენციას. კანონის შესაბამისად, სამინისტროს როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, უფლება აქვს (ჰქონდა) მიმართოს კანონის შესაბამისად შექმნილ კონკურენციის ორგანოს შუამდგომლობით იმ სიტუაციების გამოსაძიებლად, რომლის დროსაც ბაზარზე ერთ პირთან თავს იყრის (იყრიდა) კონკრეტული საქონლით ვაჭრობის მოცულობის ერთ მესამედზე მეტი (1973 წლიდან კი 25%-ზე მეტი), ან იმ შემთხვევებში, როდესაც პირთა მიერ ხდება კონკურენციის შესუსტება ბაზარზე. იგულისხმება, რომ ორივე შემთხვევაში იმ პირს, ვის მიმართაც უნდა დაიწყოს გამოძიება, ბაზარზე უკავია დომინირებული მდგომარეობა.

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ კონკურენციის ორგანო, რომელიც ატარებს გამოძიებას დაასკვნის, რომ კომპანიათა საქმიანობები ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ ინტერესებს, მაშინ მას აქვს უფლება შეიმუშაოს (დასახოს) კონკრეტული გასატარებელი ღონისძიებები. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ „საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის“ კონცეფცია ყოველთვის არ პასუხობდა ბაზარზე კონკურენციის დაცვის კრიტერიუმებს, სწორედ ამიტომ, საჭიროა გახდა დამატებითი

კანონების მიღება.

„შემზღუდველ სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“ 1956 წლის კანონმა (Restraint of Trade Practices Act 1956), გააფართოვა 1948 წლის კანონის მოქმედების სფერო. ამასთან, „მონოპოლიებისა და შერწყმების შესახებ“ 1965 წლის კანონმა (Monopoilies and Mergers act 1965) განაკრცო სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები მომსახურეობის ბაზრის კონკურენციის პირობებზე. შესაბამისად, გაიზარდა მთავრობის უფლებამოსილებები ბაზარზე კონკურენციის პირობების რეგულირების სფეროში. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ის საქმეები, რომლებიც შერწყმებთან არიან დაკავშირებულნი, ყოველთვის გამოირჩევიან კონფლიქტური სიტუაციებით (სიტუაციის სირთულითა და სიმწვავით), 1965 წლის კანონმა შემოიტანა შერწყმათა გამოძიების სპეციალური პროცედურა. დღეისათვის დიდ ბრიტანეთში კომპანიათა შერწყმის რეგულირება ხორციელდება ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად.

„კეთილსინდისიერი (სამართლიანი) ვაჭრობის შესახებ“ 1973 წლის კანონმა (The Fair Trading Act 1973) ცვლილებები შეიტანა იმ საქმეების კატეგორიების განსაზღვრაში, რომლებიც გამოძიებას ექვემდებარებიან. ამასთან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ამ კანონის მიღებამ გამოიწვია ის არის, რომ მოხდა ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისათვის დადგენილი წილის შემცირება 25%-მდე, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა იმ ეკონომიკურ აგენტთა რიცხვი, რომელთა საქმიანობის რეგულირების სფერო მოექცა ამ კანონის ჩარჩოებში.

გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს ბაზარზე კონკურენციის კონტროლის დამატებითი ორგანოს შემოყვანას – ბაზარზე სიტუაციების კონტროლის (კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისის) გენერალური დირექტორის სახით (Director General of Fair Trading), რომელსაც მიენიჭა უფლებამოსილება აწარმოოს გამოძიება მონოპოლიების მიმართ, მათ შორის ისეთ საკითხებზე, რომელთა გამოძიებას მანამდე ახორციელებდა უფრო ზემდგომი ინსტანცია – კომისია. ამ კანონითვე განისაზღვრა ასევე პასუხისმგებლობის საკითხი გენერალური დირექტორის მიერ ბაზარზე სიტუაციის გამოსწორების მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

თავის მხრივ, ბაზარზე სიტუაციის გამოსწორების ღონისძიება სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს მოლაპარაკებათა ჩატარებას იმ კომპანიათა შორის, რომელთა საქმიანობამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ ინტერესებს. აქ იგულისხმება ისეთი მოლაპარაკებების ჩატარება, რომლის მიზანია, შესაბამისი ცვლილებების შეტანა, როგორც კომპანიის სტრუქტურა'ში, ასევე მისი საქმიანობის პრაქტიკაში.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ გამოძიება იწყება იმ ინფორმაციის (რეგულარულად მიწოდებული ანგარიშები) საფუძველზე, რომელიც მიიღება გენერალური დირექტორის და კომისიის მიერ ბაზარზე არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით. ამასთან, გამოძიება შერწყმებთან დაკავშირებით, როგორც წესი ტარდება, თუ ახალი კომპანიის ხვედრითი წილი ბრიტანეთის სასაქონლო (მომსახურების) ბაზარზე შეადგენს 25%-ს (მონოპოლიური მდგომარეობის მქონედ ეკონომიკური აგენტისათვის დადგენილ ზღვარს) და მეტს (ე.წ. „მოწოდების ტესტი") და/ან თუ ერთ-ერთი კომპანიის ლიკვიდური აქტივები (საზღვარგარეთულის ჩათვლით) აღემატება 70 მილიონ ფუნტ სტერლინგს (ე.წ. „ტესტი აქტივებზე"). ტესტი გამოიყენება კომპანიის ყველა იმ აქტივის ღირებულებაზე, რომელიც მას გააჩნია კონკურენციის კომისიაზე მიმართვის მომენტისათვის. თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთის სამთავრობო ორგანოები იტოვებენ უფლებას თავისი შესედულებისამებრ აწარმოონ გამოძიება კომპანიათა შერწყმის ნებისმიერ ფაქტზე.

აქვე საინტერესოა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დიდი ბრიტანეთის სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისის უფლებამოსილება, დამოუკიდებლად განესაზღვრა შერწყმების კონტროლის ფორმა. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული კონკურენციის შესახებ სააპელაციო ტრიბუნალის ის გადაწყვეტილება, რომელიც ახდენდა კეთილსინდისიერი ვაჭრობის (კონკურენციის) ოფისისათვის დამატებითი მავალდებულებელი პირობების წაყენებას. კერძოდ, შერწყმათა კონტროლის პირველმა (დაბალმა) ინსტანციამ — კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისმა, სამედიცინო მომსახურების სფეროში სპეციალიზირებული ორი კომპანიის

Isoft-ისა და Torex-ის შერწყმის შესახებ საქმის განხილვის პროცესში, ჩატარებული გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება არ გადაეცა საქმე კომისიისათვის, რომელსაც უფრო მეტი უფლებამოსილება გააჩნდა შერწყმათა კონტროლის სფეროში და რომელსაც იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც შერწყმას შეეძლო გამოეწვია (ან იწვევდა) კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვა, ჰქონდა (აქვს) უფლებამოსილება განესაზღვრა ის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც უნდა ყოფილიყო შესრულებული, როგორც მთავრობის ასევე კომპანიების მხრიდან.

კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისის აღნიშნული გადაწყვეტილება, Isoft-ისა და Torex-ის კონკურენტმა ავსტრალიურმა კომპანიამ (IBA Health Ltd) გაასაჩივრა სააპელაციო ტრიბუნალში, რომელმაც დაადგინა, რომ ოფისს არა მარტო უნდა შეემოწმებინა რეალურად შერწყმა მოახდენდა თუ არა კონკურენციის შეზღუდვას, არამედ ისიც უნდა განესაზღვრა, იყო თუ არა შესაძლებელი, კომისიას მიეღო სხვა სახის გადაწყვეტილება. თავის მხრივ, ოფისის ხელმძღვანელთა განმარტებით, ასეთი გადაწყვეტილების შედეგად მოსალოდნელი იყო შერწყმების თაობაზე შემოსული შეტყობინებების გაორმაგება, განსახილველი საქმეების დანახარჯების ზრდასთან ერთად. კერძოდ, „შერწყმებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებების განხილვის ხარჯები ყოველ ახალ ინსტანციაზე იზრდებოდა და შესაბამისად ის შეადგენდა დაახლოებით 900 ათას ფუნტ სტერლინგს ერთ საჩივარზე (400 ათასი ოფისისათვის, ხოლო 500 ათასი კომპანიისათვის)“.[56] ამასთან, ისიც ფაქტია, რომ „ . . . შერწყმების თაობაზე შეტყობინებების განხილვა ოფისის მიერ გრძელდებოდა დაახლოებით 1 თვეს, მაშინ როდესაც იგივე პროცესი კომისიაში იწელებოდა დაახლოებით 5 თვესა და მეტ ხანს“.[57]

საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა სააპელაციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რაც სრულად იქნა მხარდაჭერილი ბიზნესის წარმომადგენელთა მხრიდან, რამეთუ ამ გადაწყვეტილებით მნიშვნელოვნად მცირდება განსახილველ საკითხებზე შესაბამისი გადაწყვე-

56 http://sg.biz.yahoo.com/040219/15/3i626.html;
57 http://sg.biz.yahoo.com/040219/15/3i626.html;

ტილების მიღების დრო და იურისტთა მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების მოცულობა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დიდ ბრიტანეთში შერწყმებსა და მათზე ნებართვების სავალდებულო პროცედურების არ არსებობა და სააპელაციო სასამართლოს ვერდიქტი ერთობლიობაში ინარჩუნებს ბიზნესისათვის ანტიმონოპოლიური რეგულირების საკმაოდ კეთილსასურველ რეჟიმს[58].

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონმდებლობის ახსნისა და მისი პრაქტიკული გამოყენების გაადვილების მიზნით, დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ შემუშავებულია კომპანიათა შერწყმის სახელმძღვანელო დოკუმენტი (Mergers Guidance), სადაც დეტალურადაა აღწერილი კომპანიათა შერწყმის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურა, ამ კომპანიებისა და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების წესი.

ამასთან, დიდ კომპანიათა შერწყმისას ევროკავშირის ფარგლებში მოქმედებს ევროკავშირის დებულება კომპანიათა შერწყმის შესახებ (The European Communitu Merger Regulation – Council Regulation №4064/89, მასში 1997 და 2004 წლებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), რომლის ბაზაზეც დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი სახელმძღვანელო წესი.

გამოძიების პროცედურის სირთულემ, რომელიც წარმოიშვა ბაზარზე კონტროლის დამატებითი ორგანოს (კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისის) გამოჩენის შედეგად, მოითხოვა დამატებითი ცვლილებების შეტანა, რომელმაც ასახვა ჰპოვა „<u>კონკურენციის შესახებ</u>“ 1980 წლის კანონში. მისი შემდგომი სრულყოფა მოხდა 2000 წელს.

აღნიშნული კანონი მთლიანად იმეორებს ევროკავშირის კანონს „კონკურენციის შესახებ“, რომელიც არეგულირებს კონკურენციის შემზღუდავ ქმედებებს და აღკვეთს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ბაზარზე. ამასთან, კანონითვეა დარეგულირებული მის დებულებებთან შეუსაბამო ქმედებებზე ეკონომიკურ აგენტთა მიმართ ჯარიმე-

58 http://www.prompolit. ru/126483

ბის დაკისრების (ადმინისტრირების) საკითხი. კერძოდ, კანონის დამრღვევი სუბიექტები შეიძლება დაჯარიმდნენ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე კომპანიათა ბრუნვის 10%-ის ფარგლებში. ამასთან, მონოპოლისტებისაგან დაზარალებულ ეკონომიკურ აგენტებს უფლება აქვთ (რჩებათ) მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ ზარალის ანაზღაურება.

გარდა ამისა, 2002 წლის კანონის (The Enterprise Act 2002) მიღებამ დააჩქარა „კეთილსინდისიერი ვაჭრობის შესახებ" კომპანიათა შერწყმის 1973 წლის კანონით დადგენილ ბრიტანულ წესში გარკვეული ცვლილებების შეტანა. კერძოდ, თვალშისაცემია კომპანიათა შერწყმის პროცესზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე პოლიტიკური გავლენის მინიმუმამდე დაყვანის პროცედურა, ამ უფლებამოსილებების გარკვეული ნაწილის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრიდან (სახელმწიფო მდივნიდან) დამოუკიდებელ, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოზე გადაცემის გზით (კეთილსინდისიერი (სამართლიანი) ვაჭრობისა და კონკურენციის ოფისები). ამასთან, კომპანიათა შერწყმის საკითხზე გადაწყვეტილებების მიღებისას, უფრო მეტი ყურადღება ექცევა არა მათ კონკურენტუნარიანობას, არამედ სახელმწიფოებრივ ინტერესების დაცვას.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კანონები წარმოადგენენ იმ ძირითად ნორმატიულ აქტებს, რომლებიც არეგულირებენ დიდი ბრიტანეთის ბაზარზე კონკურენციის პირობებს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამ კანონმდებლობათა აღსრულებაზე პასუხისმგებელ და კომპანიათა შერწყმის პროცესების მარეგულირებელ ორგანოთა ფუნქციებისა და ამოცანების განხილვის გარეშე, შეუძლებელია, სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა დიდი ბრიტანეთის საკონკურენციო სამართალზე. ამდენად, აუცილებელია, მოკლედ მიმოვიხილოთ, შესაბამის აღმასრულებელ (კეთილსინდისიერი ვაჭრობისა და კონკურენციის პოლიტიკის) ინსტიტუტთა ფუნქციები.

ვაჭრობისა და მრეწველობის სახელმწიფო მდივნის (მინისტრის) (The Secretary of State for Trade and Industry), კომპეტენციას წარმოადგენს, გამოძიების ჩატარების მიზნით, კონკურენციის კომისიისათვის, კომპანიათა შერწყმის საკითხების გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება. თავის მხრივ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სახელმწიფო

მდივანს შეუძლია გაითვალისწინოს სამართლიანი ვაჭრობის ოფისის გენერალური დირექტორის შეხედულებები. იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებული ძიების შემდეგ კონკურენციის კომისია დაასკვნის, რომ კომპანიათა შერწყმამ შეიძლება დააზარალოს სახელმწიფო ინტერესები, სახელმწიფო მდივანს შეუძლია დაბლოკოს ასეთი შერწყმა, ან წაუყენოს მის მონაწილეებს კონკრეტული პირობები (რეკომენდაციები) და მხოლოდ მათი დაკმაყოფილების (შესრულების) შემდეგ გასცეს თანხმობა.

ამასთან, სახელმწიფო მდივანს უფლება აქვს გენერალური დირექტორის რეკომენდაციების საფუძველზე მიმართოს კომისიას გამოძიების გასაგრძელებლად. რეკომენდაციების შესაბამისად მას შეიძლება წინ უძღოდეს მიმართვა შერწყმათა საბჭოში (Mergers Panel) – სათათბირო ორგანოში, რომელშიც შედიან სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებების წარმომადგენლები. თუ კომისია მივა დასკვნამდე, რომ კომპანიების შერწყმა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს, სახელმწიფო მდივანს უფლება აქვს მიმართოს გენერალურ დირექტორს თხოვნით დაიწყოს მოლაპარაკებები მხარესთან, რომელმაც დაარღვია კონკურენციის წესები. კომისია არ ახორციელებს კონკურენციის დარღვევის ფაქტების გამოძიებას, თუმცა, უფლება აქვს დაინტერესებული მხარის თხოვნით შეისწავლოს მონოპოლიათა შერწყმისა და ანტიკონკურენციული პრაქტიკის სხვა საკითხები.

<u>კეთილსინდისიერი (სამართლიანი) ვაჭრობის ოფისი</u> (The Office of Fair Traiding), რომელიც ჩამოყალიბდა „კეთილსინდისიერი ვაჭრობის შესახებ“ კანონის შესაბამისად 1973 წელს, ექვემდებარება კეთილსინდისიერი ვაჭრობის კომისიის გენერალურ დირექტორს (Director General of Fair Trading); კეთილსინდისიერი (სამართლიანი) ვაჭრობის ოფისის გენერალური დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება სახელმწიფო მდივნის მიერ. მიუხედავად ამისა, ოფისი საკმარისად დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია. ამ ოფისის მთავარი დანიშნულებაა გენერალური დირექტორისათვის დახმარების გაწევა, რომელიც, თავის მხრივ ახორციელებს ინფორმაციების შეგროვებას მონოპოლიებსა და შერწყმებზე, ახდენს ანტიკონკურენტულ ფაქტებზე გამოძიებების ჩატარებას და აწარმოებს შემზღუდავი ხასიათის მქონე შეთანხმება-

თა რეესტრს. კონკურენციის პირობების დარღვევების ფაქტებზე აღნიშნული ოფისი ღებულობს განცხადებებს და ახდენს მათ რეგისტრაციას. განცხადების საფუძველზე ხდება გამოძიების დაწყება, რომლის შედეგებიდან გამომდინარე, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გენერალური დირექტორი, რომელიც თავის მხრივ, ამ გადაწყვეტილებას შესაბამის რეკომენდაციასთან ერთად წარუდგენს სახელმწიფო მდივანს აუცილებელი ღონისძიებების გასატარებლად.

კონკურენციის კომისია (The Competition Commission) წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც სახელმწიფო მდივნის დავალებით ახორციელებს კომპანიათა შერწყმის გამოძიებას სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.

კონკურენციის კომისია:

- ისმენს ყველა დაინტერესებული მხარის პოზიციას;
- იხილავს კომპანიათა შერწყმის დასაბუთებულობას და მის შესაძლო შედეგებს სახელმწიფო ინტერესებისათვის;
- თუ შერწყმას მოჰყვება უარყოფითი (ნეგატიური) შედეგები ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, იძლევა მისი გამოსწორების ღონიძიებათა შესახებ, შესაბამის რეკომენდაციებს;
- სახელმწიფო მდივნისათვის მოხსენების წარდგენამდე, შერწყმაში მონაწილე მხარეთა თხოვნით იხილავს საკითხს, მოხსენებიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გამორიცხვის თაობაზე;
- მოხსენებას წინადადებებითურთ უგზავნის სახელმწიფო მდივანს გამოსაქვეყნებლად, მომზადებული მასალებიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გამოკლებით.

ამასთან უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დიდ ბრიტანეთში მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს სავალდებულო მოთხოვნას განსახორციელებელ ან უკვე განხორციელებული შერწყმის შეტყობინების თაობაზე. თავის მხრივ, კომპანიებს შეუძლიათ შერწყმის განხორციელებიდან ოთხი თვის განმავლობაში მიმართონ კონკურენციის კომისიას მათ მიერ ყველა დადგენილი პროცედურის დაცვისა და სახელმწიფო ინტერესებისათვის ზიანის მიუყენებლობის დასამტკიცებლად. პრაქტიკაში ბევრი კომპანია მიმართავს კომისიას შერწყმის განხორციელებამდე.

კანონი მხარეებს ანიჭებს უფლებას თვითონ აირჩიონ

კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისის გენერალური დირექტორისათვის შეტყობინების ფორმა, ე.წ. „წინასწარი შეტყობინების პროცედურები". ამ პროცედურების შესაბამისად მოქმედებს კანონით დადგენილი მაქსიმალური 35 დღიანი ვადა, რომლის პერიოდშიც უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შეტყობინება ეგზავნება გენერალურ დირექტორს შერწყმის განხორციელების შემდეგ, მაშინ მიმართების 90%-ზე გადაწყვეტილების მიღების ვადა იზრდება 45 დღემდე.

ამასთან, სანამ ინფორმაცია კომპანიათა შერწყმის შესახებ გახდება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, კომპანიებს შეუძლიათ კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისის მეშვეობით მოსთხოვონ სახელმწიფო მდივანს ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე გადაწყვეტილების მიღება. ალტერნატივის თვალსაზრისით მხარეებს შეუძლიათ სთხოვონ თანამდებობის პირს კეთილინდისიერი ვაჭრობის ოფისიდან ამ საკითხზე გამოიტანონ არაოფიციალური შეტყობინება; მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხები არ რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით, ის არც თუ იშვიათად გამოიყენება პრაქტიკაში.

ამასთან, კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისის გენერალურ დირექტორს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს სახელმწიფო მდივანს გადასცეს შერწყმის საკითხი კონკურენციის კომისიას, რომლის პარალელურად სახელმწიფო მდივანი უფლებამოსილია დაავალდებულოს გენერალური დირექტორი, რომ მან კატეგორიულად მოითხოვოს მხარეებისაგან შესაბამისი კანონით განსაზღვრული პირობების შესრულება. საბოლოოდ, მითითებული მოთხოვნები და რეკომენდაციები შერწყმების არასასურველი შედეგების გამოსწორების შესახებ ექვემდებარებიან გამოქვეყნებას სავალდებულო წესით.

თუ სახელმწიფო მდივანი აგზავნის შერწყმის საკითხს კონკურენციის კომისიაში, მაშინ ის ადგენს ვადებს, რომლის დროსაც კომისიამ უნდა წარუდგინოს მას მოხსენება. კანონით კომისიას შერწყმის შესახებ მასალების შეგროვებისა და ანალიზისათვის ეძლევა 6 თვიანი ვადა, რომელიც შეიძლება გაგრძელებულ იქნეს კიდევ სამი თვით. თუმცა, ბოლო წლების პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოხსენების წარდგენის საწყისი ვადა ისაზღვრება 3 თვით

და აუცილებლობის შემთხვევაში ხდება შემდგომში მისი ორკვირიანი ვადით გაგრძელება.

თავის მხრივ სახელმწიფო მდივანი, კომისიისაგან შერწყმების შესახებ მოხსენების მიღების შემდეგ, ვალდებულია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება 20 სამუშაო დღის განმავლობაში, კომისიის მოხსენების სავალდებულო გამოქვეყნებასთან ერთად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ შერწყმების კონტროლის საკითხი, როგორც კონკურენციის დაცვის ერთერთი სერიოზული ბერკეტი, უაღრესად პრიორიტეტულია დიდი ბრიტანეთის საკონკურენციო სამართალში, რომლის საილუსტრაციოდ არაერთი პრაქტიკული მაგალითის მოტანა შეიძლება. კერძოდ, კანონითაა დადგენილი შერწყმის სპეციალურ პირობა ე.წ. „საგაზეთო კომპანიების" მიმართ, რომლის თანახმადაც გაზეთებისა და საგაზეთო აქტივების გადაცემა გაზეთის უკვე არსებულ მფლობელზე საჭიროებს სახელმწიფო მდივნის წინასწარ წერილობით თანხმობას, იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც გამოცემათა მფლობელების ყოველდღიურ პუბლიკაციათა საშუალო ტირაჟის ჯამი (მათ მიერ შეძენილ პუბლიკაციებთან ერთად) შეადგენს 500 ათას ეგზემპლიარს და მეტს.

ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, კონკურენციის კომისიას მიემართოს მანამდე ვიდრე სახელმწიფო მდივანი გასცემს თავის თანხმობას, გარდა იმ კონკრეტული შემთხვევისა, როდესაც გაზეთის ყოველდღიური ტირაჟის მოცულობა ნაკლებია 50 ათას ეგზემპლიარზე (de minimis), ან გამოცემის ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს „არასიცოცხლისუნარიანს". პრაქტიკული რეალიზაციის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში გაკეთებული განცხადებები განეკუთვნებიან მდგომარეობას „de minmis".

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, როდესაც ინიშნება საგაზეთო კომპანიების შერწყმა, კომისია ვალდებულია განსაზღვროს (გამოავლინოს) ასეთი შერწყმის ნეგატიური შედეგები, რისთვისაც მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა ამ საკითხთან დაკავშირებული გარემოებები. მათ შორის, იმ აუცილებლობის გათვალისწინებით რომ საზოგადოებას ზუსტად უნდა მიეწოდოს სიახლე და უნდა არსებობდეს აზრის თავისუფალი გამოხატვის საშუალება.

კომისიის მოხსენების შედეგებიდან გამომდინარე, საგაზე-

თო კომპანიების შერწყმებზე გადაწყვეტილებას ღებულობს სახელმწიფო მდივანი (იძლევა თანხმობას ან უარს აცხადებს შერწყმის განხორციელებაზე). ამასთან, კეთილსინდისიერი (სამართლიანი) ვაჭრობის ოფისის გენერალური დირექტორი კანონის თანახმად არ მონაწილეობს საგაზეთო კომპანიების შერწყმის განხილვის პროცესში.

დიდ ბრიტანეთში საგაზეთო კომპანიების საქმიანობის რეგულირების საკითხის სიმკაცრეს უსვამს ხაზს, ასევე ცნობილი საერთაშორისო ექსპერტი პ. სპრედი, რომელიც წერს – „ყველაზე უფრო შემზღუდავი შეთანხმება გაერთიანებულ სამეფოში ესაა „შეთანხმება წიგნების ქსელის თაობაზე", რომლითაც წიგნის გამომცემლებს ეკრძალებათ თავად დააწესონ საკუთარი გამოცემის წიგნებზე საცალო ფასები. ამ შეთანხმების დადებით და უარყოფით მხარეებზე დღესაც გრძელდება მსჯელობა".[59]

გარდა ამისა, შერწყმის სპეციალური პირობაა დადგენილი ინგლისისა და უელსის წყალმომარაგების კომპანიებისათვის, რომელიც გამომდინარეობს „წყალმომარაგების შესახებ" 1991 წლის კანონიდან. სახელმწიფო მდივანი ვალდებულია კონკურენციის კომისიას გაუგზავნოს (გადასცეს) ნებისმიერი საქმე შერწყმის შესახებ, სადაც მონაწილეობენ ორი ან მეტი წყალმომარაგების საწარმოები (კომპანიები), რომელთა აქტივების მოცულობა (უცხოურის ჩათვლით), ხოლო უარეს შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანის აღემატება 30 მილიონ ფუნტ სტერლინგს.

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, შერწყმის ნეგატიური (უარყოფითი) შედეგის განსაზღვრისას, კონკურენციის კომისია ამოდის იქიდან, რომ ბაზარზე დამოუკიდებლად კონტროლირებადი წყალმომარაგების კომპანიების რიცხვი არ უნდა შემცირდეს (უპირატესია ნორმალური კონკურენციის დაცვა და მხარდაჭერა). კომისიის მიერ შერწყმის პროცესში შესაძლო ნეგატიური შედეგის გამოვლენისას სახელმწიფო მდივანი უფლებამოსილია დასახოს ღონისძიებები ამ ნეგატიური შედეგის გამოსასწორებლად.

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით, კომპანიები, რომლებიც აპირებენ შერწყმას ვალდებული არიან გადაიხადონ

59 პ. სპრედი, მემორანდუმი კონკურენციის პოლიტიკის თაობაზე, თბ., ივნისი 1995 წელი, გვ. 11.

გადასახადი (დადგენილი ოდენობით), იმის და მიუხედავად, მიმართეს თუ არა მათ კონკურენციის კომისიას. იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნდება შეტყობინება შერწყმის შესახებ, აუცილებელია, გადასახადი გადახდილ იყოს გამოქვეყნების დღეს. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში, გადასახადის გადახდა ხდება ან კომისიაზე მიმართვის დღეს, ან მაშინ, როდესაც სახელმწიფო მდივანი აკეთებს განცხადებას არ გადააგზავნოს შერწყმის საკითხი განსახილველად კომისიაში.

გადასახადის ოდენობა განსხვავდება შერწყმის აქტივების (უცხოეთის აქტივების ჩათვლით) მიხედვით. ამ ეტაპზე გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

- ლიკვიდური აქტივების 30 მილიონი ფუნტი სტერლინგი და ნაკლების შემთხვევაში – განაკვეთი უდრის 5 ათას ფუნტ სტერლინგს.
- 30 მილიონი ფუნტი სტერლინგის ზევით, მაგრამ არაუმეტეს 100 მილიონი ფუნტი სტერლინგის მოცულობის ლიკვიდური აქტივებისათვის – განაკვეთი უდრის 10 ათას ფუნტ სტერლინგს.
- თუ ლიკვიდური აქტივების ან შერწყმის ერთ-ერთი მხარის აქტივები მეტია 100 მილიონ ფუნტ სტერლინგზე – განაკვეთი უდრის 15 ათას ფუნტ სტერლინგს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სახელმწიფო მდივანს (მინისტრს) რჩება უფლებამოსილება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ეკონომიკურ აგენტთა ისეთ შერწყმაზე, რომელიც ეხება განსაკუთრებულ სახელმწიფო ინტერესებს (მაგალითად, თავდაცვა). გარდა ამისა, საწარმოთა ეს კატეგორია (თავდაცვითი კომპლექსის ობიექტები, წყალმომარაგების სფერო და ის ეკონომიკური აგენტები რომლებიც საგაზეთო სფეროში მოღვაწეობენ და ა.შ.), მათი შერწყმისას რჩებიან სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის საგანზე სავალდებულო ტესტის ჩასატარებელ ობიექტებად.

თავის მხრივ, კომისია ვალდებულია შეადგინოს პერიოდული ანგარიშები დიდი ბრიტანეთის ბაზრებზე კონკურენციის მდგომარეობის შესახებ.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთის საკონკურენციო სამართალი, რომელიც ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, მუდმივი სრულყოფისა და დახვეწის

პროცესშია. ამასთან, დღითი დღე ხდება მისი დაახლოება და საბოლოო ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რომელიც თავის მხრივ, ემყარება „რომის ხელშეკრულება"-ს და ემსახურება ევროპის ერთიანი ბაზრის სრულყოფას და ამ ბაზარზე კონკურენციის მაქსიმალურ წახალისებას და ხელშეწყობას.

2.3 ევროკავშირის მოდელი

ევროკავშირი ეს არის ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანება, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ომისშემდგომ ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა და ეკონომიკური ინტეგრაციის მეშვეობით წევრი ქვეყნების ერთობლივი განვითარება. კავშირი დაარსებულ იქნა ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების (თავდაპირველად ამ გაერთანებაში შედიოდა ექვსი ქვეყანა) მიერ 1951 წლის 18 აპრილს პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს ამ გაერთანების კონსტიტუციურ საფუძველს.

ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების წარმატებამ წევრ სახელმწიფოებს უბიძგა, დაედოთ მსგავსი ხელშეკრულებები სხვა სფეროებშიც და მიღწეული შეთანხმების საფუძველზე 1957 წლის 25 მარტს რომში ხელი მოაწერეს ევროპული ატომური ენერგიის გაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებებს. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ძირითადად „რომის ხელშეკრულების" სახელწოდებითაა ცნობილი, ძალაში შევიდა 1958 წლის 1 იანვრიდან და მის საფუძველზე ბრიუსელში ჩამოყალიბდა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის კომისია. „რომის ხელშეკრულებით" გათვალისწინებული იყო წევრი სახელმწიფოების უფრო მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც თავდაპირველად დაწყებულ იქნა თავისუფალი სავაჭრო ზონით, რაც მოგვიანებით საბაჟო კავშირში გადაიზარდა, ხოლო 1993 წლის 1 იანვრიდან უკვე შეიქმნა ერთიანი ევროპული საერთო ბაზარი, საერთო წესებითა და კანონმდებლობით

ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რამაც ფაქტიურად სულ სხვა სიბრტყეზე წამოსწია ამ ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური თანამშრომლობის ასპექტები.

ამასთან, XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში ევროპის კონტინენტზე მომხდარმა ფუნდამენტურმა ცვლილებებმა, კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის (დეკემბერი 1991 წელი) და საბჭოთა კონტროლისაგან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განთავისუფლების, ასევე გერმანიის გერთიანების (3.10.90წ) შედეგად ევროპის პოლიტიკური სტრუქტურის გადასხვაფერებამ, ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებს გადააწყვეტინეს გაეღრმავებინათ თავიანთი კავშირები და მოილაპარაკეს, დაედოთ ახალი ხელშეკრულება, რომლის ძირითად პრინციპებზე შეთანხმება მიღწეულ იქნა 1991 წლის 9 და 10 დეკემბერს მაასტრიხტში მიმდინარე ევროსაბჭოს სხდომაზე. საბოლოოდ, ხელშეკრულება „ევროკავშირის შესახებ“ ხელმოწერილ იქნა ამავე ქალაქში 1992 წლის 7 თებერვალს და ძალაშია 1993 წლის 1 ნოემბრიდან.

მოგვიანებით, ევროკავშირის გაფართოებისა და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მიერ მომზადებულ იქნა უკვე ახალი ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც 1997 წლის 2 ოქტომბერს მოეწერა ხელი ამსტერდამში. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ურთიერთკავშირი გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის უფრო მრავალისმომცველი და მტკიცე გახდა. განსაკუთრებით გაფართოებულ იქნა თანამშრომლობის მექანიზმები კანონმდებლობის დაცვის სფეროში.

კონკურენციის პოლიტიკა წარმოადგენს ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად შემადგენელ ნაწილს (მიმართულებას), რომელიც დაფუძნებულია ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის საკანონმდებლო ბაზაზე (მუხლი 81 - 90) და ემსახურება ერთიან ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის დაცვას და კონკურენციის სტიმულირებას საერთო ეკონომიკურ ტერიტორიაზე. ამდენად, შესაძლებელია ითქვას, რომ კონკურენციის პოლიტიკა ეს არის არა მიზანი, არამედ ინსტრუმენტი ამ მიზნის მისაღწევად.

„ევროკავშირის ერთობლივი პოლიტიკის ფორმირებას კონკურენციის დარგში ჰქონდა თავისი ობიექტური წინაპირობები, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- სამეურნეო კავშირების ინტენსიფიკაცია ინტეგრირებადი სახელმწიფოების საწარმოებს შორის, რომელიც იწვევს ცვლილებებს მიკროდონეზე და რომელსაც საშუალება აქვს გამოიწვიოს შემსღუდველი საქმიანი პრაქტიკის აქტივიზაცია და კონკურენციის დარღვევა;
- კონკურენციის გაძლიერება ფორმირებული საერთო ბაზრის ტერიტორიაზე, რამაც ეფექტური სახელმწიფო რეგულირების არ არსებობის პირობებში შექმნა დამანგრეველი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების საშიშროება;
- ეროვნული საწარმოებისათვის სახელმწიფო დახმარების აქტივიზაცია ინტეგრირებად ქვეყნებში კონკურენციის გამწვავების პირობებში ფორმირებულ საერთო ბაზარზე, რაც თავისი არსით წარმოადგენდა (ნიშნავდა), მალული პროტექციონისტური ბარიერების შემოღებასა და კონკურენციის დარღვევას"[60].

ევროკავშირის ფარგლებში, ერთობლივი კონკურენციული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების საჭიროებამ, დღის წესრიგში დააყენა, რეგულირების შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა (იურიდიული ბაზა – რეგულირების ინსტრუმენტებისა და შესაბამისი აღმასრულებელი ინსტიტუტის ფორმირება).

აქსიომაა ის, რომ კონკურენციის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძველში დევს „რომის ხელშეკრულება", რომლის უმთავრესი მიზანია ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდა და მეტი სტაბილურობის მიღწევა. ამასთან, კავშირის წევრ ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ბაზარზე ინტეგრაციის პროცესში ეს საკითხი წარმოადგენს ევროკავშირის კონკურენციული პოლიტიკის ძირითად კომპონენტს. თავის მხრივ, ცხადია, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნის ძირითადი მიზანი იყო კაპიტალის, სამუშაო ძალისა და საქონლის (მომსახურების) ერთიანი ბაზრის შექმნა, რომლის მიღწევა შეუძლებელია ევროკავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების კანონმდებლობათა დაახლოების გარეშე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის (ანტიმონოპოლიურ) კანონმდებ-

60 Ячейстова Н. И., Международная конкуренция: законодательство, регулирование и сотрудничество, ООН, Нью-Йорк и Женева, 2001, с. 146-147.

ლობას ევროკავშირის ქვეყნებისათვის აქვს განმასხვავებელი ნიშანი, რაც გამოიხატება კავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობების ეროვნული ნორმების ეტაპობრივ დაახლოებასა და ზოგადი (ერთიანი) სამართლებრივი ნორმების გამოყენებაში კავშირის წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობებისას, „რომის ხელშეკრულების“ 85-94 მუხლების (რეგულირების ძირითად პრინციპები) შესაბამისად (substantive principles of law).

კონკურენციის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია „რომის ხელშეკრულების“ 85 და 86 მუხლებში (ამსტერდამის ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლები). კერძოდ, 85-ე მუხლის შესაბამისად აკრძალულია ანტიკონკურენციული ხელშეკრულებები, რადგანაც მას შეუძლია მნიშვნელოვანი ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს კავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებულ ვაჭრობაზე და ამით ხელი შეუშალოს (დააზიანოს) კონკურენციას ერთიან ბაზარზე. ამავე ხელშეკრულების 86-ე მუხლის თანახმად იგივე მიზნით იკრძალება დომინირებული (გაბატონებული) მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. გარდა ამისა, „რომის ხელშეკრულება“ ასევე მოიცავს კავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ ეროვნულ დონეზე გაწეული სახელმწიფო დახმარების რეგულირების საკითხებს (მუხლი 92-94).

როგორც ვხედავთ, ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი დებულებებია 85 და 86 (ახალი ხელშეკრულების 81-ე და 82-ე) მუხლები, რომლებიც აკონტროლებენ ხელშეკრულების მონაწილე მხარეების კონკურენციულ საქმიანობას. შესაბამისად, კავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული კონკურენციული კანონმდებლობა შესატყვისობაში უნდა იყოს ამ მუხლებთან.

ზოგადად, ევროკავშირის კანონმდებლობა გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის ადგილი აქვს არასამართლიანი ვაჭრობის ფაქტებს. კერძოდ, თუ კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტთა ანტიკონკურენციული (მონოპოლიური) საქმიანობის შედეგად ზეგავლენის ქვეშ მოექცევა კავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებული ვაჭრობა, მაშინ ამ კავშირის წევრი ქვეყნების მთავრობები, ვალდებულნი არიან, იხელმძღვანელონ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის კანონმდებლობით. ამასთან, კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების კონკურენციის ეროვ-

ნულ კანონმდებლობების გამოყენება ხდება იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ქვეყნის შიგა და არა კავშირის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობას.

ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ჩამოყალიბების პირველ პერიოდში წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია არ განიხილებოდა, როგორც კონკურენციის სერიოზული საშიშროება. პირიქით, იმ პერიოდში ბატონობდა მოსაზრება იმაზე, რომ კონკურენციის პოლიტიკა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მსხვილი ევროპული კომპანიების ჩამოყალიბებას და მათ ტრანსნაციონალურ შერწყმებს, „მასშტაბის ეფექტის" უფრო სრული ექსპლუატაციის და საგარეო კონკურენციის უფრო ეფექტიანი დაპირისპირების მოსაზრებიდან გამომდინარე.

თუმცა, ინტეგრაციული პროცესების განვითარებამ და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნების საწარმოებს შორის ტრანსნაციონალური კავშირების შექმნამ და წარმოების კონცენტრაციამ მიიღო სულ უფრო ფართო მასშტაბები, რაც გარკვეული ეტაპისათვის უკვე გადაიქცა სერიოზულ საშიშროებად კონკურენციისა და ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. ამ პროცესის უარყოფით როლზეა ხაზი გასმული „ევროკავშირის კომისიის მესამე მოხსენებაში კონკურენციულ პოლიტიკაზე" (1974 წ.), სადაც აღნიშნულია, რომ ევროპული ფირმების გამსხვილების წახალისებამ ევროპულ ბაზარზე გამოიწვია უმსხვილესი კომპანიების „ზედმეტი კონცენტრაცია" და „დომინირებული მდგომარეობა"[61], რაც თავის მხრივ, აფერხებდა (შეეძლო შეეფერხებინა) ევროპის საერთო ბაზარზე კონკურენციას.

ამდენად, ინტეგრაციული პროცესების განვითარებამ, რომელსაც მოჰყვება საწარმოების ტრანსნაციონალური კავშირების გაფართოება და დივერსიფიკაცია, გამოიწვია მათი ზემოქმედების უფრო მკვეთრი რეგლამენტაციის საჭიროება, რამაც განაპირობა კონკურენციის რეგულირების იურიდიული ბაზის შემდგომი გაფართოება. მათ შორის, უშუალოდ წარმოების კონცენტრაციის რეგულირების მიმართულებით.

ევროკავშირის კონკურენციული (ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფაში დიდ

61 Commission of the European Communities, III Report on Competition policy, Brusse/Luxemburg, 1974, p. 30.

როლს თამაშობს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის კომისიის რეგლამენტი და დირექტივები, რომლებიც ეხებიან კონკურენციული ბრძოლის წესების დარღვევის საწინააღმდეგო სანქციებს, კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობის მოთხოვნების რეალიზაციასთან დაკავშირებულ საპროცედურო საკითხებს, ამა თუ იმ ფორმის შეთანხმებებზე აკრძალვების საკითხს და ა.შ. ამასთან, პირველი რეგლამენტი, რომელიც მიღებულ იქნა ევროკავშირის მიერ კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის პრინციპების რეალიზაციის მიზნით (1962 წელი), ეხებოდა გამოძიების პროცედურას, ხოლო 1971 წლის 2281/71 რეგლამენტით ევროპულ გაერთიანებათა კომისიას მიენიჭა სათანადო უფლებამოსილებები გამოძიების ჩასატარებლად ბაზარზე დომინირებისა და ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების დასადგენად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ხაზგასმით ითქვას, რომ ნორმატიული აქტების უდიდეს ნაწილს, რომელიც ეხება ევროკავშირის კონკურენციულ კანონმდებლობას, წარმოადგენს რეგლამენტები („რომის ხელშეკრულების“ 189 მუხლის შესაბამისად ევროკავშირში დადგენილია ერთობლივი პოლიტიკის განხორციელების 4 მთავარი ინსტრუმენტი: რეგლამენტი, დირექტივა, გადაწყვეტილება და რეკომენდაცია. მათგან რეგლამენტი ექვემდებარება უშუალო გამოყენებას წევრ ქვეყნებში; დირექტივა მიიღება დასახული მიზნის მისაღწევად და მისი განხორციელების ფორმებისა და მეთოდების არჩევა ხდება თავისუფლად, უშუალოდ წევრი ქვეყნების მიერ; გადაწყვეტილებები აუცილებელია შესასრულებლად, მხოლოდ იმ წევრი ქვეყნებისათვის, ვის მიმართაცაა ის მიღებული, ხოლო რეკომენდაციები არ ატარებენ შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს). ერთ-ერთი ასეთი რეგლამენტი, რომლითაც ხდება ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის სისტემის მიერ კომპანიათა შერწყმის გაკონტროლება, არის 1990 წლის და 1989 წლის რეგლამენტი 4064/89 (დებულება შერწყმის შესახებ), რომელშიც 1997 (ძალაში შევიდა 1998 წლის 1 მარტიდან) და 2004 წლებში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები შერწყმაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა ზღვრული მაჩვენებლების განსაზღვრის (დაზუსტების) კუთხით.

შერწყმის შესახებ 2004 წლის 139/2004 რეგლამენტის თანახმად გაერთიანების განზომილებაში შერწყმის განხორციელების თაობაზე კომისიას უნდა ეცნობოს შეთანხმების მიღწევიდან არა უგვიანეს ერთი კვირის ვადაში (4064/89 რეგლამენტით გათვალისწინებული იყო კომისიისათვის ყოველგვარი ინფორმაციის წინასწარ მიწოდება შერწყმის განხორციელებამდე). კომისია ვალდებულია შეისწავლოს მიღებული შეტყობინებები და ერთი თვის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება განხორციელებული შერწყმის კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე (შერწყმის შედეგად ადგილი ექნება თუ არა დომინირებული მდგომარეობის მოპოვებას, ან მის გაძლიერებას და შესაბამისად მოხდება თუ არა კონკურენციის შეზღუდვა საერთო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე). ყველა ის კონცენტრაცია, რომელიც არ აკმაყოფილებს რეგლამენტით გათვალისწინებულ პირობებს, შეუსაბამოდ ცხადდება და იკრძალება. ამასთან, კომისიას აქვს უფლება დართოს ნება შერწყმის განხორციელებაზე, თუ მოხდა ისეთი სავალდებულო შეთანხმების დადება მხარეებთან, რომლის მეშვეობითაც შერწყმა შეიძლება შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი გაერთიანების წესებთან.

თავის მხრივ, კავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ეროვნული კონკურენციული კანონები გამოიყენონ ისეთი შერწყმის მიმართაც, რომლებიც არ შეესაბამებიან შერწყმის შესახებ რეგლამენტით განსაზღვრულ ზღვრულ მაჩვენებლებს (ის თუ, რომელ ქვეყანაში რა ეტაპზე ხდება კონკურენციის ორგანოებისათვის შერწყმების შესახებ შეტყობინების მიწოდება იხილეთ დანართი 12.2).

ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია კონკურენციის კანონმდებლობის შესრულებაზე ევროკავშირში, წარმოადგენს ევროპულ გაერთიანებათა კომისია (Commission of European Communities), რომლის, როგორც ევროსაბჭოს მთავარი აღმასრულებელი ორგანოს, ფუნქციები განსაზღვრულია „რომის ხელშეკრულების" 155-ე მუხლის შესაბამისად. ამ მუხლში ჩამოთვლილი ოთხი ფუნქციიდან ორი („რომის ხელშეკრულების" დებულებების გამოყენების გარანტია და საკუთარი უფლებამოსილებებით მიიღოს გადაწყვეტილებები) უშუალოდ ეხება კომისიის იმ ქვეგანყოფილებას, რომელზეც არის დაკისრებული პასუხისმგებლობა „რომის ხელშეკ-

რულების“ 85-94 მუხლების, ე.ი. კონკურენციის შესახებ კანონ- მდებლობის რეალიზაციაზე.

ევროპულ გაერთიანებათა კომისია შედგება კავშირის წევრი ქვეყნების მიერ დანიშნული პირებისაგან (20 კაცი), რომლებიც სათავეში უდგანან 24 გენერალურ დირექტორატს (Directorates General); კომისია კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციას ახდენს ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოს – მინისტრთა საბჭოს (აერთიანებს კავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს) მიერ განსაზღვრულ ჩარჩოებში. კომისიის წევრის მიერ თავისი უფლებამოსილებების შესრულება სულაც არ ნიშნავს მისი წარმომდგენი სახელმწიფოს ინტერესების რეალიზაციას. ამასთან, ძირითად მოქმედ პირებს ევროგაერთიანებათა კომისიაში კონკურენციის პოლიტიკის და კანონმდებლობის შესრულების დარგში წარმოადგენს გენერალური დირექცია – IV (Directorates General IV), რომლის თანამშრომელთა რიცხოვნება მუდმივად იზრდება.

ევროკომისია უფლებამოსილია მოაგვაროს კავშირის ფარგლებში კონკურენციული (ანტიმონოპოლიური) საკითხები. „რომის ხელშეკრულების“ შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებები თავდაპირველად ატარებდნენ არაპირდაპირ ხასიათს. კერძოდ, კომისიას უნდა მიემართა წევრი ქვეყნებისათვის რეკომენდაციით აღეკვეთა გამოვლენილი (არსებული) დარღვევები. მოგვიანებით, კონკურენციის წესებზე ზეროვნული კონტროლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, კომისიის უფლებამოსილებანი მნიშვნელოვნად იქნა გაფართოებული. ევროკავშირის საბჭოს 1962 წლის №17 და №27 რეგლამენტების შესაბამისად, კომისიას მიენიჭა განსაკუთრებული უფლებები საწარმოთა შეთანხმებული, კოორდინირებული მოქმედებების აღკვეთისა და დაშვებაზე გადაწყვეტილებების მისაღებად. ზოგ შემთხვევაში, ეს უფლებამოსილება გადადის წევრ ქვეყანათა ხელმძღვანელობაზე და ეროვნულ სასამართლოებზე (მუხლი 81 და 82), მაგრამ ისეთი პრობლემატური საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა სახელმწიფო დახმარებებისა (კანონიერია თუ არა წევრი ქვეყნების დახმარება) და შერწყმების კონტროლი, წარმოადგენს ზენაციონალურს და ევროკომისიის კომპეტენციას. მხოლოდ ევროკომისიას აქვს უფლება დაუშვას კონკურენციის შემზღუდავი

ხელშეკრულებები. ასეთი ხელშეკრულებები კომისიის ნებართვის გარეშე ავტომატურად ბათილია; რაც შეეხება გამონაკლისებს, ისინი დაშვებულია იმ შემთხვევებში, როდესაც საქმიანობა სოციალურად სასარგებლოა და ძალიან მნიშვნელოვანი. ამასთან, ევროკომისია უფლებამოსილია, უკანონოდ მიღებული სახელმწიფო დახმარების დაბრუნება მოსთხოვოს მის მიმღებ ეკონომიკურ აგენტს (როგორც წესი, ევროკომისიას წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია გასაცემი სახელმწიფო დამხარების შესახებ).

ბოლო პერიოდში საწარმოთა კოორდინირებული მოქმედებების კონტროლის მიმართულებით ევროკავშირის საკონკურენციო სამართალში იგრძნობა დეცენტრალიზაციის ტენდენციები. 2004 წლის 1 მაისს ძალაში შევიდა ევროკავშირის განახლებული კონკურენციის რეჟიმი, რითაც კონკურენციის კანონის ამოქმედების ვალდებულება გადავიდა ევროპული კომისიიდან კონკურენციის ეროვნულ ხელისუფლებაზე და წევრი ქვეყნების ეროვნულ სასამართლოებზე. რეფორმის თანახმად გათვალისწინებულია, რომ კომისიამ თავისი შეზღუდული რესურსები უნდა გამოიყენოს განსაკუთრებით საშიშ კარტელურ გაერთიანებათა აღსაკვეთად და არ უნდა ხარჯოს ენერგია ნოტიფიკაციის სულ უფრო ზრდადი რაოდენობის განხილვაზე. ასე, რომ ევროკავშირის კომისიამ პერსპექტივაში უნდა აღძრას საქმეები ანტიკონკურენციული შეთანხმებების მიმართ არა ნოტიფიკაციების ბაზაზე, არამედ საკუთარი ინიციატივით და განიხილოს შემოსული საჩივრები კომპანიების ანტიკონკურენციულ ქმედებებზე. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ევროპული კომისიის უფლებამოსილებები საქმეების გამოძიების ასპექტში.

რეფორმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს კომისიის 1999 წლის 22 დეკემბრის №2790/1999 რეგლამენტი ვერტიკალური შესღუდვებიდან და ჰორიზონტალური შეთანხმებებიდან ჯგუფური გამონაკლისების მიმართ. ამ რეგლამენტების თანახმად გაუქმებულ იქნა ადრე დადგენილი ჯგუფური გამონაკლისების დადგენილი წესი და გამოიყენება ახალი წესები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის კომისიის მიერ მომზადებულმა თეთრმა წიგნმა გამოიწვია არაერთგვაროვანი რეაქცია ევროპის ქვეყნების საქმიან წრეებში, რადგა-

ნაც მან სხვა მიზეზებთან ერთად შეიძლება ევროკავშირის ჩარჩოებში გამოიწვიოს ერთობლივი საქმიანი პრაქტიკის დარღვევა, რომელიც ადრე, გადაწყვეტილებების ცენტრალიზებულად მიღების პროცესში გარანტირებული იყო. თუმცა, ევროკავშირის კომისია მიუთითებს თეთრ წიგნში, რომ გადაწყვეტილებების დეცენტრალიზაციამ არ უნდა გამოიწვიოს ევროკავშირის კონკურენციის ერთიანი წესების არაერთგვაროვანი გამოყენება.

რეფორმის მწვავე კრიტიკის მიუხედავად, ევროკავშირის კომისია არ აპირებს უარი თქვას მის ჩატარებაზე. იგულისხმება, რომ ერთიანი პოლიტიკა კონკურენციის სფეროში გარანტირებული იქნება ევროკავშირის კონკურენციის ორგანოებს და ამ ორგანოებსა და ევროკომისიას შორის ზემოქმედების მუდმივი ქსელის მეშვეობით[62].

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ევროკავშირის კონკურენციული კანონმდებლობა, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ კომპანიებზე არამედ სახელმწიფოებსეც, მუდმივ ცვლილებებს განიცდის იმ სიახლეებისა და პრაქტიკული რეალობების გათვალისწინებით, რასაც ადგილი აქვს ევროკავშირის სინამდვილეში. შესაბამისად, ბოლო წლებში, ევროკავშირის კონკურენციული კანონმდებლობიდან ამოღებულ იქნა ვერტიკალური შეთანხმებების დარეგულირების საკითხი, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ვერტიკალური ხელშეკრულებების რეჟიმს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული კომისიის საქმიანობის ბევრი ასპექტი მუდმივი განახლებისა (განხილვისა) და სრულყოფის პროცესშია, სადაც უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ის, რომ ევროკავშირის კონკურენციულმა წესებმა უზრუნველყონ კარტელების შექმნის აცილება და ხელი შეუწყონ საწარმოების ეკონომიკურად მიზანმიმართულ კორპორაციას, რომელიც აძლიერებს კონკურენციას ბაზარზე.

ამასთან გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1996 წლის დებულება კონკურენციის შესახებ (მუხლი 84 და 85) შეიცვალა ახალი 2001 წლის დებულებით, ამ დებულებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ის იყო, რომ მინისტრებს არ

62 Ячейстова Н. И., Международная конкуренция: законодательство, регулирование и сотрудничество, ООН, Нью-Йорк и Женева, 2001, с. 159-162.

ჰქონდათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება. ახალ დადგენილებებში აღწერილი ზომები წააგავდნენ 1998 წლის კონკურენციის კანონს, რომლის თანახმად საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება ჰქონდა სამართლიანი ვაჭრობის გენერალურ დირექტორს. მისი გადაწყვეტილება კი გასაჩივრებას ექვემდებარებოდა მხოლოდ კონკურენციის კომისიის სააპელაციო სასამართლოში.

გამონაკლის შემთხვევებში, საკითხის განხილვის დროს კომისია მიმართავდა ვაჭრობისა და მრეწველობის განყოფილებას. არსებობს აგრეთვე სამართლიანი ვაჭრობის განყოფილება, რომელიც კომისიასთან მუშაობს ინდივიდუალურ შემთხვევებზე. თავის მხრივ, არც ვაჭრობისა და მრეწველობის განყოფილებას და არც სამართლიანი ვაჭრობის განყოფილებას არ შეუძლია კონკრეტული რჩევების მიცემა, მაგრამ მათ შეუძლიათ დააკვალიანონ დაინტერესებული პირი, თუ როგორ მიმართოს ევროპულ კომისიას.

გარდა ამისა, გადაწყვეტილებები, რომლებსაც ღებულობს კომისია, ექვემდებარებიან განხილვას შემზღუდველი პრაქტიკის და მონოპოლიების საკონსულტაციო კომიტეტში (Advisory Committee on Restrictive Practices and Monopolies), რომელიც შედგება წევრი ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლებისაგან. საკონსულტაციო კომიტეტი უფლებამოსილია კომენტარი გააკეთოს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მაგრამ არ შეუძლია შეცვალოს ის, ან იმოქმედოს მის ხასიათზე. კომისიის გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის ევრო-სასამართლოში.

კონკურენციის პოლიტიკის ინსტიტუციონალურ მექანიზმში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ასევე ევროსაბჭოს სასამართლოს (ევროსაბჭოს სასამართლოს ადგილსამყოფელი არის ლუქსემბურგში; შედგება 15 მოსამართლისაგან და 6 გენერალური ადვოკატისაგან. ორივე ჯგუფი ინიშნება 6 წლით წევრი ქვეყნების შეთანხმებით. სასამართლოს მოქმედებები დაფუძნებულია „რომის ხელშეკრულების" 164, 171, 173, 174 და 187 მუხლებზე. სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვთ აღმასრულებელი ძალა წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე). მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენენ დამატებით იურიდიულ საფუძველს

კონკურენციის რეგულირებაზე კომისიების მოქმედებისათვის. მათ შორის, ევროსაბჭოს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე იყო იდენტიფიცირებული ცნება „დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე", გაკეთებულია დასკვნები „რომის ხელშეკრულების" 86-ე მუხლის (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ბაზარზე) გამოყენებაზე კონცენტრაციული ხასიათის ოპერაციების მიმართ, ამ მუხლის გავრცელების შესახებ მომსახურების სფეროზე, კონკურენციის წესების ექსტერიტორიული ხასიათის შესახებ. პრეცენდენტული სამართლის ასეთი სახით გამოყენება წარმოადგენს ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკის განუყოფელ მახასიათებელს.[63]

ევროკავშირის სასამართლოში შესული აპელაციების სირთულემ და მრავალრიცხოვნობამ განსაზღვრულ ეტაპზე გამოიწვია სერიოზული სიძნელეები საქმეების ოპერატიულ განხილვაში, ამიტომ 1988 წელს შეიქმნა სპეციალური ორგანო, <u>პირველი ინსტანციის სასამართლოს</u> სახით, რომელიც ამ საკითხებით დაკავდა. ის წარმოადგენს შუალედურ საფეხურს კომისიასა და ევროკავშირის სასამართლოს შორის.

ცხადია, კომისიის მუშაობა არაეფექტიანი იქნება, თუ მისი ზედამხედველობითი და საკონტროლო საქმიანობა არ იქნება დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისა და ჯარიმის დაწესების უფლებაზე. ამდენად, ევროკავშირის კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია მკაცრი ადმინისტრაციული სანქციები, რომლის შესაბამისად კომისიას უფლება აქვს არა მხოლოდ აკრძალოს ანტიკონკურენციული შეთანხმება, არამედ დააწესოს ჯარიმები ანტიკონკურენციულ საქმიანობაში მხილებული ეკონომიკური აგენტების მიმართ (ევროკომისია ყოველწლიურად იხილავს კონკურენციის შემზღუდავ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ ასეულობით საქმეს). გარდა ამისა, ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესახებ მტკიცებულობების გამოსაველენად, კომისია უფლებამოსილია გაჩხრიკოს ეკონომიკური აგენტის ოფისი საიდუმლო ხელშეკრულების მოსაძიებლად.

ევროკომისია ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური ძალა-

63 Ячейстова Н. И., Международная конкуренция: законодательство, регулирование и сотрудничество, ООН, Нью-Йорк и Женева, 2001, с. 152-153.

უფლების განსაზღვრისას მსედველობაში იღებს მის საბაზრო წილს და სხვა ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა, კონკურენტი კომპანიებისა და საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის არსებობა და სხვა. არის ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკურ აგენტს საშუალებას აძლევენ თავი აარიდონ ნორმალურ კონკურენციას. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკური აგენტი ფლობს მთლიან ბაზარს ან ამ ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს და აქედან გამომდინარე, ის იყენებს ამ მდგომარეობას მაღალი ან დაბალი ფასის დასადგენად, აღვილი აქვს კონკურენციის შესუსტებას, რაც (დომინირებული (მონოპოლიური) მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) გამონაკლისებს არ ითვალისწინებს და ყოველთვის იკრძალება. ევროკომისიას ასეთ შემთხვევებში შეუძლია მიიღოს ეკონომიკური აგენტის დაჯარიმების გადაწყვეტილება, ხოლო ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დანაშაულის დამამძიმებელი (დარღვევის გამეორება) და შემამსუბუქებელი გარემოებები (კომპანიების თანამშრომლობა). აქედან გამომდინარე, ჯარიმების ოდენობა შეიძლება შეადგენდეს 10%-ს ეკონომიკური აგენტის საერთო ბრუნვიდან.

ევროკომისიამ 1999 წელს აღმოაჩინა, რომ „British Airways"-ი ბოროტად იყენებდა გაბატონებულ მდგომარეობას. კერძოდ, ავიაკომპანიამ შექმნა მისი სავაჭრო მარკის მიმართ ერთგულების სისტემა, რომლის თანახმადაც ის ტურისტულ სააგენტოებს სთავაზობდა ღამატებით გასამრჯელოს, თუ მისი ბილეთების გაყიდვის მოცულობა გაუტოლდებოდა ან გადააჭარბებდა წინა წლის რეალიზაციის მოცულობას. აღნიშნული აქციის მთავარი მიზანი იყო სავაჭრო მარკის მიმართ ტურისტული სააგენტოების ერთგულების ზრდა. ამის შედეგად, ტურისტული სააგენტოები კარგავდნენ დაინტერესებას სხვა კომპანიების ბილეთების შეთავაზებაში, რითაც „British Airways"-მა გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა და მის მიერ მოფიქრებული სისტემით სერიოზული ბარიერი შეექმნა სხვა კონკურენტ ავიაკომპანიებს. კომისიამ საკითხის შესწავლის შემდეგ ჩათვალა, რომ აღნიშნული ქმედება წარმოადგენდა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტს, რომელიც ზეგავლენას ახდენდა სატრანსპორტო ბაზარზე და მიიღო გადაწყვეტილება

მისი აღკვეთის თაობაზე[64].

აღნიშნული მაგალითი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის სრულყოფილებას, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს საკონკურენციო სამართალზე. კერძოდ, საქართველო'ში ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე 2002 წლის ბოლოსა და 2003 წლის დამდეგს ადგილი ჰქონდა მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მხრიდან, ერთი შეხედვით, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტს, როდესაც მის მიერ ამ ბაზრის (სადაზღვევო მომსახურების ბაზარი) მომხმარებელთათვის შესთავაზებულ იქნა მომსახურება 90%-იანი ფასდაკლებით (სინამდვილეში კი ტარიფი მოქმედი კანონმდებლობით იყო რეგულირებადი), რამაც სამართლიანად გამოიწვია მისი კონკურენტი სადაზღვეო კომპანიების გაღიზიანება[65]. საკითხის სრულყოფილად შესწავლის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მონოპოლისტი კომპანიის ამ კონკრეტულ ქმედებას ვერ მისცა ანტიკონკურენციული საქმიანობის კვალიფიკაცია, რაც ჩვენის აზრით, გამოწვეული იყო უფრო საკანონმდებლო ლაფსუსით, ვიდრე ანტიკონკურენციული ქმედების არ არსებობით.

ამასთან, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს წარმოადგენს რა ფასობრივი კარტელი, ევროკომისიის საქმიანობის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ასეთი კარტელების გამოვლენა და მათი ანტიკონკურენციული ქმედებების აღკვეთა. კერძოდ, ევროკანონმდებლობით აკრძალულია ისეთი შეთანხმებების დადება, რომლის საფუძველზედაც კომპანიები ერთობლივად ადგენენ ფასებს, რაც საბოლოო ჯამში მომხმარებლებს ართმევს შესაძლებლობას ისარგებლონ კონკურენტი მომწოდებლების ფასებით. ამ მიმართულებით არსებული დარღვევების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით ევროკომისიის მიერ გაწეულია გარკვეული მოცულობის სამუშაო. მათ შორის, კომისიის მიერ 1998 წელს გამოვლენილ და

---

64 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა;

65 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა.

აღკვეთილ იქნა დისტანციური გათბობის მილის ბაზარზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცხადებული ტენდერისათვის პირობებისა და ფასები ერთობლივად დადგენის კარტელი. როგორც გაირკვა, კარტელი შეიქმნა 1990 წლის ბოლოს დანიაში და გავრცელდა გერმანიასა და ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში. 1994 წელს კარტელი მოედო მთელ ევროპულ ბაზარს. დანიასა და გერმანიაში კომპანიებმა გამოიგონეს სისტემა სატენდერო პროცედურების დასადგენად, რომლის თანახმად „ფავორიტი" იგებდა ყოველ კონტრაქტს, ხოლო კარტელის დანარჩენი წევრები ზრდიდნენ ფასებს, რომელიც „ფავორიტის" ფასებზე მაღალი იყო. შედეგად კარტელის წევრები ინაწილებდნენ ეროვნულ ბაზრებს და ერთობლივად ადგენდნენ ფასებს დისტანციური გათბობის მილებზე. აღნიშნული ანტიკონკურენციული ქმედებით ზარალდებოდნენ, როგორც კარტელური გაერთიანების კონკურენტი კომპანიები, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. კომისიის მიერ კარტელის წევრებზე დაკისრებულ იქნა დახლოებით 92 მილიონი ევროს ჯარიმა.

კომისიის მიერ ასევე გამოვლენილ იქნა კარტელური შეთანხმება გაერთანებული სამეფოს შაქრის ბაზარზე (ფასებით შეთანხმების ფაქტი). რის შედეგადაც შაქრის ბაზრის მომხმარებლები იძულებული იყვნენ შაქარი შეეძინათ უფრო ძვირად. საკითხის შესწავლის შემდეგ ევროკომისიის მიერ 1998 წელს აღკვეთილ იქნა აღნიშნული კარტელური შეთანხმება და მის მონაწილეებს დაეკისრა ჯარიმის სახით 50 მილიონი ევრო[66].

აღნიშნული საფუძველს იძლევა დაბეჯითებით ითქვას, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ურთიერთობა დღითიდღე უფრო მყარდება (საერთო კანონმდებლობა, ვალუტა, ერთიანი ევროპული ბაზარი და ა.შ.) და შორს არაა ის დრო, როდესაც ეს გაერთიანება გახდება ყველა შეთანხმებათა მონაწილე ერთი სახელწოდებით — ევროკავშირი ან ევროპა. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ ევროკავშირი როგორც დამოუკიდებელი სავაჭრო პარტნიორი უკვე იღებს მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებებში. მათ შორის, ვაჭრობის მსოფ-

66 საქაროველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა.

ლიო ორგანიზაციასთან მარაკეშში 1994 წლის 15 აპრილს მიმდინარე მოლაპარაკებაში (GATT-ის (ზოგადი შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ), ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პროცესში) ევროკავშირი მონაწილეობდა როგორც ბლოკი და მოლაპარაკებებს აწარმოებდა ევროკავშირის სახელით. აღნიშნული გარემოებანი, კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის ნორმებს ევროკავშირში აძლევს იგივე დატვირთვას, როგორი დატვირთვაც აქვს აშშ-ს, იაპონიის, ევროპისა და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის საკანონმდებლო ნორმებს. ყოველივე ეს კი თავის მხრივ ეფუძნება „რომის ხელშეკრულების" პირველ ნაწილს, რომლის მე-5 მუხლის შესაბამისად, გაერთიანების წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან უარი თქვან ნებისმიერ იმ ზომაზე, რომელმაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ამ ხელშეკრულების მიზნების მიღწევა. ისინი უზრუნველყოფენ გაერთიანების მიზნების მიღწევას იმით, რომ თავის თავზე იღებენ ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს რომის საერთაშორისო ხელშეკრულებიდან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ, რომელი მოდელის (ამერიკული, ევროპული თუ ევროკავშირის) შესატყვისიც არ უნდა იყოს ამ თუ იმ ქვეყნის კონკურენციის (ანტიტრესტული, ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობა, ყველგან რეგულირების საგანს წარმოადგენენ ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებული არიან ბაზარზე კონკურენციის პირობების განსაზღვრასთან და საბაზრო ურთიერთობების მონაწილეების მხრიდან ამ პირობების დაცვის კონტროლის განხორციელებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიოს ყველა ქვეყნის კონკურენციის კანონმდებლობაში, გათვალისწინებულია (გათვალისწინებული უნდა იყოს) ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს ჩარევის წესს სამოქალაქო-სამართლებრივ ან ეკონომიკურ (სამეურნეო), ე.ი. საბაზრო, ურთიერთობებში.

3. საქართველოში კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის ჩამოყალიბების წინაპირობები და საერთაშორისო ვალდებულებები

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ღია საზოგადოების უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამ ტიპის საზოგადოებაში შეზღუდული ეკონომიკური რესურსების ოპტიმალური განაწილება ხდება საბაზრო მეურნეობის პირობებში, სადაც მაქსიმალურადაა დაცულია კონკურენციული გარემო. ასევე, პრაქტიკა ადასტურებს იმას, რომ საზოგადოების ეკონომიკურ წარმატებას და აყვავებას განაპირობებენ ის ურთიერთობები, რომლებიც ეფუძნებიან კონკურენციას. შესაბამისად, მსოფლიოში დღეს უკვე არავინ დაობს იმაზე, რომ თანმიმდევრული კონკურენციული პოლიტიკა, რომელსაც საფუძველს უმაგრებს ჯანსაღი საკონკურენციო სამართალი (პოლიტიკურ ნებასთან ერთად), წარმატებული საბაზრო ეკონომიკის საწინდარია. სწორედ, ამიტომ, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე მრავალმა (მათ შორის პოსტსოციალისტურმა) ქვეყანამ, რომლებმაც განახორციელეს საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ისეთი მნიშვნელოვანი რეფორმები, როგორიცაა ვაჭრობის ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია და დერეგულირება, მიიღეს (გაატარეს) ისეთი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კეთილსინდისიერი კონკურენციის დაცვასა და მის შემდგომ სრულყოფას. შესაბამისად, გასული ათასწლეულის ბოლოს, რამდენიმე ათეულმა განვითარებადმა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანამ შეიმუშავა ან საგრძნობლად განაახლა საკონკურენციო სამართალი კონკურენციის თავისუფლების დაცვის მიზნით. იმ ქვეყნებში, კი სადაც დღემდე არ არსებობს ასეთი ნორმატიული აქტები, კონკურენციის თავისუფლების დაცვა ხორციელდება კანონმდებლობის ტრადიციული ინსტიტუტებით, კერძოდ, გამოიყენება სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციულ კანონმდებლობათა ცალკეული ნორმები.

ყოფილი საბჭოთა კავშირის (რომლის შემადგენლობაში 1924-1991 წლებში იძულებით იმყოფებოდა საქართველო)

ტერიტორიაზე პირველი საკანონმდებლო აქტი, რომლიც საფუძველს უყრიდა ქვეყანაში ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, იყო საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 16 აგვისტოს დადგენილება – „სახალხო მეურნეობის დემონოპოლიზაციის საფუძვლების შესახებ“, რომლის შესაბამისად საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან უნდა შექმნილიყო ანტიმონოპოლიური კომიტეტი; ამავე დადგენილებით გათვალისწინებული იყო ასევე ეკონომიკის სხვა სფეროებში გასატარებელი დემონოპოლიზაციის ღონისძიებებიც; თუმცა ეს დადგენილება, ვერ იქნა განხორციელებული საბჭოთა კავშირის სუვერენულ სახელმწიფოებად დაშლასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეს ამ მიმართულებით თითქმის არანაირი მემკვიდრეობა და გამოცდილება არ მიუღია.

თავის მხრივ, კონკურენციის პოლიტიკა წარმოადგენს რა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ელემენტს და მის სწორ წარმართვაზე არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონე, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღიდან საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა დღის წესრიგში დააყენა ახალი, ადეკვატური სამართლებრივი ბაზის შექმნის აუცილებლობა. სწორედ, ამიტომ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების მსგავსად ყურადღება მიექცია ქვეყანაში კონკურენციული პოლიტიკის გატარებისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კონკურენციის კანონმდებლობის შერწყმა ქართულ სინამდვილესთან განხორციელდა მეტად რთულად და მტკივნეულად (შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ის დღემდე არაა ბოლომდე განხორციელებული სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობის გამო), რაც გარკვეულწილად გამოწვეული იყო იმით, რომ დამოუკიდებლობამდე საქართველოს სახალხო მეურნეობის, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა ეკონომიკის ფორმირება ხდებოდა „ერთი საწარმოს“ პრინციპით.

საქართველომ სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების ანალოგიურად დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოკლე

დროში მიიღო საკონკურენციო სამართლებრივი ნორმა, კერძოდ ისეთი, როგორიცაა სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი – „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ (1992 წ.), რომლის აღსრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქცია დაეკისრა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს. თუმცა, იმთავითვე ცხადი იყო, რომ საქართველოში მოქმედი საკონკურენციო სამართალი შორს იყო სრულყოფილებისაგან და ის საჭიროებდა შემდგომ დახვეწასა და ჰარმონიზაციას განვითარებული ქვეყნების და პირველ რიგში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით. ეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირში ინტეგრაციის თაობაზე. თანაც ეს განცხადება დაემთხვა პერიოდს, როდესაც მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროპაში აქტიურად მიმდინარეობდა კონკურენციის სფეროში საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების ფორმირების პროცესი. სულ უფრო იზრდებოდა საერთაშორისო სამართლის როლი თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, რასაც მოწმობდა ის ფაქტიც, რომ „XX საუკუნის ბოლო დეკადა გაერო-ს გადაწყვეტილებით „საერთაშორისო სამართლის ათწლეულად“ იყო გამოცხადებული“[67].

3.1 ევროკავშირი და საქართველო

საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირთან ემყარება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ლუქსემბურგში 1996 წლის 22 აპრილს გაფორმებულ ხელშეკრულებას (ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო 1992 წელს), რომელიც ძალაშია 1999 წლის 1 ივლისიდან (შეთანხმება დაიდო ათწლიანი ვადით და მხარეთა პროტესტის არ არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მისი გაგრძელება). ამ ხელშეკრულებით შეიცვალა ევროგაერთიანებასა და საბჭოთა კავშირს შორის 1989 წლის 18 დეკემბერს ხელმოწერილი შეთანხმება სავაჭრო, კომერციული და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.

67 Ячейстова Н. И., Международная конкуренция: законодательство, регулирование и сотрудничество, ООН, Нью-Йорк и Женева, 2001, с. XIV.

ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულებით, ერთის მხრივ, საქართველოს მიერ აღებულ იქნა ვალდებულება, რომ ქვეყანაში არსებული და სამომავლო კანონმდებლობა, მათ შორის, კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები და მომხმარებელთა დაცვის საკითხები, დაეახლოვებინა (ეტაპობრივად მოეყვანა შესაბამისობაში) ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან (შეთანხმების 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი), ხოლო მეორეს მხრივ, ევროგაერთიანების მიერ გამოთქმულ იქნა მზადყოფნა ამ ვალდებულებების შესრულების საქმეში საქართველოსათვის გაეწია ტექნიკური დახმარება (შეთანხმების 44-ე მუხლი). კერძოდ, ევროკავშირის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის შემუშავებისა და სრულყოფის სფეროში საქართველოსათვის აღმოეჩინა დახმარება განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა – 1) ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდავი ან შემაფერხებელი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადება; 2) ბაზარზე დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; 3) კონკურენციის შემზღუდავი სახელმწიფო დახმარებები; 4) სახელმწიფო მონოპოლიები (საქართველოს კანონმდებლობაში სახელმწიფო მონოპოლიის ცნება ცალკე არ არსებობდა და ის ფაქტობრივად გაიგივებული იყო ბუნებრივი მონოპოლიის ცნებასთან); 5) სახელმწიფო გამგებლობაში არსებული საწარმოები და სპეციალური და ექსკლუზიური უფლებების მქონე ეკონომიკური აგენტები;

ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმება საკონკურენციო კანონმდებლობის გამოყენებასა და მასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში ყოფნის შემოწმებასა და ზედამხედველობაზე. გარდა ამისა, ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ – „იმ შემთხვევაში, თუ კონკურენციის შესახებ კანონი პრობლემებს შეუქმნის ვაჭრობის განვითარებას, მხარეები კომპეტენტური კომისიების ერთობლივი მოღვაწეობის მეშვეობით შეეცდებიან შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნას“[68].

---

68 „რას წარმოადგენს შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ?“, ევროპულ გაერთიანებათა კომისია, გამოცემულია საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის მიერ, მარტი, 2000, გვ. 23.

საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის მიღწეული შეთანხმების ის ნაწილი, რომელიც კონკურენციის სფეროს ეხება და რომელთანაც შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ქვეყნის კონკურენციული კანონმდებლობა, გამომდინარეობს ევროგაერთანების დამფუძნებელი ხელშეკრულების („რომის ხელშეკრულების“) 81-ე და 82-ე მუხლებიდან (ძველი რედაქციის 85 და 86 მუხლები). კანონმდებლობათა დაახლოების პროცესში ასევე მხედველობაშია მისაღები ევროკავშირის საკონკურენციო სამართლის 1989 წლის რეგლამენტი 4064/89, მასში 1997 (რეგლამენტი 1310/97) და 2004 (რეგლამენტი 139/2004) წლებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით (აღნიშნული რეგლამენტით იკრძალება ევროგაერთიანების სივრცეში კონკურენციის შემზღუდავი კონცენტრაციები).

ამასთან, საკონკურენციო სამართლებრივი ნორმის სრულყოფის პროცესში გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოში (მსოფლიოს არაერთი სახელმწიფოს ანალოგიურად) კონკურენციული (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა მომხმარებელთა უფლებების დაცვა (2005 წლის 3 ივნისამდე), რომლის (მომხმარებლის აქტიური მონაწილეობის) ხელშეწყობის საკითხი ჩადებულია ევროპული კავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში (მუხლი 153). გარდა ამისა, ეს მოთხოვნა – პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახით მოცემულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინდივიდუალურ დირექტივებში. აღნიშნულმა ასევე ასახვა ჰპოვა ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ დადებულ შეთანხმებაში, რომლის 66-ე მუხლი მთლიანად ეთმობა მომხმარებელთა დაცვის სისტემების შესაბამისობის საკითხს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესში, ჩვენი აზრით, ასევე გასათვალისწინებელია ევროკავშირის 1990 წლის 13 ივნისის დირექტივა „პაკეტური მოგზაურობის, დასვენებისა და ტურების შესახებ“, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ტურისტული მომსახურების სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. ამასთან, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის ცალკეული დებულებების სრულყოფის

პროცესში მხედველობაშია მისაღები გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 9 აპრილის №39/248 რეზოლუციის მე-5 მუხლის კომენტარები. მასში განხილულია მომხმარებელთა დაცვის ზოგიერთი შესაძლებელი ასპექტი, რომლის თანახმად, რიგ ქვეყანაში კანონმდებლობა შემზღუდავი საქმიანი პრაქტიკისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის თაობაზე ცალ-ცალკე არსებობენ. თუმცა, არც ის უნდა დაგვაეიწყდეს, რომ კონკურენციის პრობლემები იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული მომხმარებელთა ეკონომიკურ ინტერესების დაცვასთან, რომ ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრალია, უნგრეთი, პოლონეთი, საფრანგეთი, ვენესუელა, ინდოეთი, ლიტვა და სხვ.) კონკურენციის შემზღუდავი საქმიანი პრაქტიკის შესახებ კანონში ასევე ასახულია დებულებები მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით. გარდა ამისა, კონკურენციის ტიპიური კანონის ტექსტში (1984 წლის ვარიანტი), რომელიც შედის დოკუმენტში TD/B/RBP/15/Rev.1, ჩამოყალიბებულია ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომლებიც სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ შემზღუდავი საქმიანი პრაქტიკის შესახებ კონკრეტულ კანონმდებლობათა შემუშავების პროცესში[69].

მნიშვნელოვანია აგრეთვე გაეროს გენერალური ასამბლეის 151 რეზოლუცია მომხმარებლების დაცვის შესახებ, რომლითაც გენერალურმა ანსაბლეამ 1985 წელს მიიღო ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები, სადაც მოცემულია მკაფიო მინიშნება მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის შემზღუდავი საქმიანი პრაქტიკის კონტროლისათვის პრინციპებისა და წესების კომპლექსზე, ასევე რეკომენდაცია მთავრობისათვის, რათა შემუშავდეს, გაძლიერდეს ან შენარჩუნებული იქნეს ზომები, რომლებიც ეხება შემზღუდავ და სხვა მავნე პრაქტიკას, რომელსაც შეუძლია მიაყენოს ზიანი მომხმარებელს, ასეთი ზომების განხორციელების უზრუნველყოფის საშუალებათა ჩათვლით (152).

რაც შეეხება საკონკურენციო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებას, როგორიცაა სარეკლამო საქმიანობის რეგულირება (საქართველოში 2005 წლის 3 ივნისამდე მოქმედი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“

---

69 ТИПОВОЙ ЗАКОН О КОНКУРЕНЦИИ, Серия документов ЮНКТАД по проблематике законодательства и политики в области конкуренции, ООН, ЖЕНЕВА, 2003, с. 89.

საქართველოს კანონის მე-20 მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, სარეკლამო საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი ქვეყნის მთავარი კონკურენციის ორგანოს კომპეტენციას წარმოადგენდა), უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის მოწესრიგებით ევროკავშირი ჯერ კიდევ 1998 წლიდან იყო დაინტერესებული. კერძოდ, ევროკავშირის მიერ 1998 წლის 14-22 იანვარს საქართველოში მოწვეულ იქნა გერმანიისა და ევროპის ეკონომიკის სამართლის პროფესორი ნორბერ რეიხი, რომელმაც წინასწარი დაკვირვებიდან გამომდინარე მოამზადა კომენტარები „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე (კანონი „რეკლამის შესახებ“ მიღებულ იქნა 18.02.98წ.).

მიუხედავად იმისა, რომ „რეკლამის შესახებ” საქართველოს კანონის ცალკეული დებულებები მეტ-ნაკლებად შეესატყვისებიან განვითარებულ სახელმწიფოებში აპრობირებულ სამართლებრივ ნორმებს, ის ამ ეტაპზე (ჩვენი აზრით) შემდგომ სრულყოფასა და დახვეწას მაინც საჭიროებს. შესაბამისად, ქართული სარეკლამო სამართლის სრულყოფის პროცესში აუცილებლად მიგვაჩნია გათვალისწინებულ იქნეს ევროკავშირის ისეთი დირექტივები როგორიცაა – 1984 წლის 10 სექტემბრის 84/45/ეეკ დირექტივა (რეკლამის კანონისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნების შესახებ), რომლის თანახმად კავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან აკრძალონ არასათანადო რეკლამა (შეიძლება ითქვას, რომ ამ დირექტივას მეტნაკლებად უკვე პასუხობს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი, თუმცა, საჭიროა მისი აღსრულების მექანიზმების დახვეწა). ასევე გასათვალისწინებელია 1978 წლის 18 იანვრის 79/112/ეეკ (საკვები პროდუქტების მარკირების), 1989 წლის 3 ოქტომბრის 89/552ეეკ (ტელერეკლამის და არა რადიო რეკლამის), 1990 წლის 13 ივნისის 90/314/ეეკ (შეფუთვის), 1992 წლის 31 მარტის 92/28/ეეკ (საყოველთაო მოხმარების სამედიცინო პროდუქტების რეკლამის შესახებ), 1993 წლის 10 მაისის 92/22/ეეკ (ფასიანი ქაღალდების), 1994 წლის 26 ოქტომბრის 94/47/ეეკ (აქციების), 1997 წლის 30 ივნისის 97/36ეეკ (ტელემაღაზიების) და 1998 წლის 16 თებერვლის 98/7/ეეკ (სამომხმარებლო კრედიტის) შესახებ დირექტივები.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ევროკავშირის გაფართოების შემდეგ 2004 წლიდან, სამეზობლო პოლიტიკა იქცა უპირველეს პრიორიტეტად, რომლის

მიზანს წარმოადგენს გაფართოებულ ევროკავშირსა და მის სამხრეთ და აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან ახალი გამყოფი ხაზების გაჩენის თავიდან აცილება. თავის მხრივ, სამეზობლო პოლიტიკის საფუძველს საერთო ღირებულებების ერთგულება წარმოადგენს, ხოლო საშუალებებს კი არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება ყველა მიმართულებით. აღნიშნული „ . . . პოლიტიკის სამოქმედო გეგმა საქართველოსათვის არის პოლიტიკური დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია კონკრეტულ ქვეყანასა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნები. იგი ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების განხორციელებას და დაეხმარება ქვეყანას ევროპულ ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებში შემდგომი ინტეგრაციის მიმართულებით“[70].

ევროკავშირი თანამშრომლობის ფაზიდან ეკონომიკურ ინტეგრაციაზე გადადის იმ ქვეყნებთან, რომლებიც ამისათვის მზად არიან და შესაბამისი შესაძლებლობებიც გააჩნიათ. თუმცა, გამოცდილება ადასტურებს, რომ ყველაზე რთული და პრობლემატური სწორედ კონკურენციის საკითხებია. კერძოდ, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებისა და ხელშეწყობის თაობაზე“ საბჭოს შეტყობინების მიხედვით: „პარტნიორ ქვეყნებთან დიალოგის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონკურენციის საკითხი ძალზე რთულია . . . . და, რომ კონკურენციისა და შიგა ბაზარზე მონაწილეობის საკითხებს შორის კავშირი ხშირად არასწორად არის გაგებული“ (ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო). ამასთან, სამეზობლო პოლიტიკით ასევე პრიორიტეტული სფეროებია: 1) ანტიტრესტული პოლიტიკა და სახელმწიფო დახმარებების პოლიტიკის კონტროლი; 2) პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების თანახმად, ევროკავშირის კონკურენციასთან დაკავშირებულ პრინციპებთან შესაბამისობა“[71].

---

70 საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოსაზრება (მიდგომა) სამეზობლო პოლიტიკასთან დაკავშირებით (2005 წლის იანვარი);

71 ხუან რამონ იტურია გაგოიტია, „საკონკურენციო სამართლისა და პოლიტიკის რეფორმის საკითხები: ევროკავშირის ნორმებთან მისადაგების დასაბუთება“, GEPLAC-ის მიერ ორგანიზებული სემინარი, თბილისი, 2006 წლის 27 თებერვალი.

ამრიგად, კონკურენციის განვითარება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა ევრო-კომისიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, კავშირის ფარგლებში მიღებული სამართლებრივი ნორმების განხორციელებაზე პასუხისმგებლობის პარალელურად, მაქსიმალურად ცდილობს ქმედითი კონკრეტული დახმარებები აღმოუჩინოს კავშირის არაწევრ ქვეყნებსაც, რაც საბოლოო ჯამში უფრო დაცულსა და მომგებიანს ხდის ბიზნესის წარმოებას.

3.2 მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და საქართველო

საქართველოს საკონკურენციო სამართლის სრულყოფის პროცესში, ჩვენი აზრით, ასევე მხედველობაშია მისაღები ის საერთაშორისო ვალდებულებები, რომელთა შესრულება ქვეყანამ იკისრა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს. მსო-ს, რომელიც დაფუძნდა 1994 წლის 8 დეკემბერს, როგორც 1947 წელს შექმნილი „ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების“ (GATT) სამართალმემკვიდრე (მუშაობას შეუდგა 1995 წლის 1 იანვრიდან), საქართველო დამკვირვებლის სტატუსით ჯერ კიდევ 1996 წლის 26 ივნისს მიუერთდა, ხოლო 1999 წლის 6 ოქტომბრიდან გახდა მისი სრულუფლებიანი წევრი (მსო-სთან საქართველოს მიერთების შეთანხმება ქვეყნის პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 2000 წლის 14 ივლისს).

მსო-ს მიზანს წარმოადგენს მრავალმხრივი სავალდებულო ხელშეკრულებების საფუძველზე ამ ორგანიზაციის წევრთა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება, ხოლო მისი ძირითადი ამოცანა მდგომარეობს საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციაში, მისი სამართლიანობის, წინასწარი განჭვრეტისა და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის გზით, რამაც თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური აღმავლობის პროცესსა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.[72]

72 ნ. რეხი, 1998 წლის კომენტარები საქართველოს კანონზე „რეკლამის შესახებ“, წინასწარი დაკვირვება /ევროგაეროიანების ექსპერტთა რჩევები საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე/, თბ., 1998., გვ. 191-203.

ფაქტია, რომ „ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებისა“ და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების შესაბამისად, სახელმწიფოთა შორის სავაჭრო თანამშრომლობას საფუძვლად უდევს ქვეყნის უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი (ანუ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი), რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ „ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების“ მონაწილე ერთ-ერთი ქვეყნის მიერ მეორე მონაწილე ქვეყნისათვის მინიჭებული თითოეული საბაჟო შეღავათი ავტომატურად ვრცელდება ამ შეთანხმებაში მონაწილე ყველა ქვეყანაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ეს არის, სამართლებრივი დოკუმენტების პაკეტთა ერთობლიობა (ერთგვარი მრავალმხრივი სავაჭრო ხელშეკრულება), რომელიც განსაზღვრავს მთავრობათა უფლება-მოვალეობებს საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში.

რაც შეეხება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებს კონკურენციის სფეროში, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი სწორედ ასეთი მრავალმხრივი შეთანხმებების (სამართლებრივი დოკუმენტების) პაკეტის შემადგენელი ნაწილია, რომლის ნორმებითა და პრინციპებით, ამჟამად მსოფლიო ვაჭრობის (საქონლითა და მომსახურებით) 90%-ზე მეტი რეგულირდება. თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ „ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება“ თავის არც ერთ დებულებაში არ ახდენდა და არც მსო-ს დებულებებით ხდება იმის პირდაპირი დეკლარირება, რომ ისინი ემხრობიან კონკურენციის პრინციპებს (არ ახასიათებენ დასადგენ წესებს როგორც „კონკურენციის წესებს“). მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მსო-ს წესების არსშია ჩადებული საგარეო-ეკონომიკური გარიგებების კონკურენციული პირობები, დისკრიმინაციისა და ხელოვნური შეზღუდვების მოხსნის მეშვეობით. აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მსო მთლიანად ეყრდნობა ღია კონკურენციის პირობებს. მისთვის დასაშვებია სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მეთოდების გამოყენება, მათ შორის – ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება, მათი გამოყენების მკაცრი რეგლამენტაციის პირობებში, რაც არ ისახავს მიზნად კონკურენციის შეზღუდვას.

„ზოგადად, აღნიშნული . . . ეროვნული მრეწველობის „დაცვის“ მიზნით იმ სავაჭრო დათმობების გაუქმების ან მოქმედების შეჩერების საშუალებას იძლევა, რომლებიც შემოღებულ იქნა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ითვალისწინებს ზომების ორ კატეგორიას. პირველი, დროებითი ზომები, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას, ხოლო მეორე – მუდმივმოქმედი ზომები, წარმოადგენენ გამონაკლისებს ვმო-ს მიმართ ნაკისრი ვალდებულებებიდან. ვმო-ს მიერ გათვალისწინებული დროებითი ზომებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- გადაუდებელი ღონისძიებები, რომლებმაც უნდა დაიცვან იმპორტული საქონლის კონკურენციით სერიოზულად დაზარალებული ეროვნული მრეწველობა. თითოეულ ქვეყანას უფლება აქვს მიიღოს „უსაფრთხოების“ ზომა რომელიმე პროდუქციაზე საიმპორტო ქვოტების ან გადასახადების დაწესების მეშვეობით, თუ იმპორტის გაზრდილი მოცულობა ადგილობრივ მწარმოებელთათვის ზიანის ან საფრთხის მომტანია (GATT-ის XIX მუხლი – ზოგიერთი დასახელების პროდუქციის იმპორტთან დაკავშირებული გადაუდებელი ღონისძიებები, ვმო-ს შეთანხმება უსაფრთხოების ზომების შესახებ);
- ქვეყნის მიერ ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟის შემოღება ერთი ან მეტი ქვეყნიდან არაკეთილსინდისიერი გზით განხორციელებული იმპორტის მიმართ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ან ზიანის მიყენების საშიშროება შეუქმნა ეროვნულ მრეწველობას (GATT-ის VI მუხლი – ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟი, ვმო-ს შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე 1994 წლის გენერალური შეთანხმების VI მუხლის განხორციელების თაობაზე, შემდგომში „ანტიდემპინგური შეთანხმება“, და ვმო-ს შეთანხმება სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ);
- განვითარებადი ქვეყნების მიერ საიმპორტო შეზღუდვების შემოღება საგადამხდელო ბალანსისა და ქვეყნის საგარეო ფინანსური მდგომარეობის დაცვის მიზნით (GATT-ის XVIII „ბ“ მუხლი – საიმპორტო ზომები საგადამხდელო ბალანსის მიზნებისათვის)“.[73]

---

73 ა. ბარნეული, ადგილობრივი მრეწველობის დაცვა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის უსაფრთხოების ზომების შესახებ შეთანხმების საფუძველზე, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, ქართული სამართლის მიმოხილვა, მესამე კვარტალი, 1999, გვ. 37-38;

ამასთან, მსო-ს შეთანხმე- ბის მე-8 მუხლის (მონოპოლიები და მომსახურების განსაკუთრებული მიმწოდებლები) პირველი პუნქტის თანახმად „თითოეული წევრი უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი მონოპოლიური მომწოდებელი მის ტერიტორიაზე . . . არ მოქმედებდეს ისეთი სახით, რომელიც არ მიესადაგება . . . ვალდებულებებს . . . შეთანხმების . . . შესაბამისად ვალდებულებები ვრცელდება ასევე განსაკუთრებული საკუთრების მფლობელთა მიერ მიწოდებული მომსახურების მიმართაც, თუ ისინი ბოროტად იყენებენ მონოპოლიურ მდგომარეობას".[74]

სადაოს არ არის ის გარემოება, რომ სახელმწიფოთა თანამედროვე საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა კონკრეტული ისტორიული პირობების განვითარების ზემოქმედებით ხორციელდება. ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში, შიგა ბაზრის დროებითი დაცვა სრულიად გამართლებულია (მაგალითად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც ეროვნულ ეკონომიკას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს) და საერთოდ, ყველა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანაში ეროვნული კომპანიების პოზიციების გამაგრებას მსოფლიო ბაზარზე უპირობო პრიორიტეტი ენიჭება სამართლიანი კონკურენციის პრინციპებისა და შიგა ბაზრებზე მონოპოლიზმის დაუშვებლობის მიმართ.

შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ანტიმონოპოლიური პოლიტიკა განეკუთვნება შიგა ბაზრის პოლიტიკას, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება, ხოლო რაც შეეხება მსო-ში გაწევრიანებული ქვეყნების ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათი რეგულირება ხორციელდება საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ წარმოიქმნას კონფლიქტური სიტუაციები. სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში, პროფესიონალთა წრეებში აქტიურად განიხილება კონკურენციის საერთაშორისო წესების შემოღების, ამოქმედებისა და მსო-ს საქმიანობის სფეროში მათი ჩართვის საკითხები.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გლობალიზაციის პირობებში, წარმოიშვება ანტიკონკურენციულ პოლიტიკაზე გლობა-

74 Ячейстова Н.И., Международная конкуренция: законодательство, регулирование и сотрудничество, ООН, Нью-Йорк и Женева, 2001, с. 355-356.

ლური მასშტაბით კონტროლის დაწესებისა და განხორციელების, ასევე, კონკურენციული ურთიერთობების გარკვეული სტანდარტებით რეგულირების შეთანხმების აუცილებლობა, რითაც საბოლოო ჯამში უნდა იხელმძღვანელოს მსო-ს თითოეულმა წევრმა ქვეყანამ.

ამასთან, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველო, სხვა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მსგავსად, იძულებულია, მსო-ს წევრი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისაგან განსხვავებით გადაჭრას არა მარტო კონკურენციის დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფის პრობლემები, არამედ კონკურენციული გარემოს ფორმირების საკითხიც.

ამდენად, რეალურად რომ მოხდეს მსო-ს წევრი ქვეყნების მხრიდან საქართველოს, როგორც თანასწორი პარტნიორის აღიარება, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს საბაჟო წესებისა და მათი ადმინისტრირების, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, რეპრესალიებისა და სხვა მსგავსი, ბიზნეს გარემოს მომწესრიგებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომლებიც თავის მხრივ გავლენას ახდენენ, როგორც საქონლის, ასევე მომსახურების რეალიზაციაზე. მით უმეტეს, საქართველოს მიერ ასეთი კონკრეტული ვალდებულებები აღებულ იქნა მსო-ში გაწევრიანების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს. კერძოდ, „ . . . აღებულ იქნა ვალდებულება არ განეხორციელებინა ვაჭრობის რეპრესალიები (დაცვის, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟის დაკისრების ღონისძიებები), სანამ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისი მარეგულირებელი და საკანონმდებლო აქტები არ იქნებოდა ქვეყანაში მიღებული. ამჟამად, საქართველოს არ გააჩნია ვაჭრობის რეპრესალიების მარეგულირებელი კანონმდებლობა. დამკვირვებელთა უმეტესობის აზრით, საქართველოში ამგვარი პროცედურების მიღება საჭიროა მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია არც ერთ წევრ ქვეყანას ამას არ ავალდებულებს"[75].

ამასთან, დონორების (1997 წლის 17 ნოემბერს საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების

---

75 სავაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბება და საქაროველოს მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნების დაცვა, მომზადებულია Bearing Point-ის მიერ, 5 იულისი, 2004 წელი, გვ. 27.

სამინისტროსთან, კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (CIDA) დახმარებით, ჩამოყალიბდა საქართველოს სავაჭრო პოლიტიკისა და საკანონმდებლო საკითხების ცენტრი – CTPL) ტექნიკური დახმარებით „CTPL-ის მიერ შემუშავებულ იქნა კანონპროექტი „ანტიდემპინგური, საკომპენსაციო და უსაფრთხოების ზომების შესახებ“,[76] რომელიც მთავრობას გადაეგზავნა განსახილველად. უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, აღნიშნული კანონპროექტი საქართველოს პარლამენტშიც კი იყო წარდგენილი, თუმცა, მისი მიღება საბოლოოდ ვერ მოხერხდა. ამ კანონპროექტის თანახმად, ის სამთავრობო ორგანო, რომელიც ვაჭრობის რეპრესალიების ადმინისტრირებას განახორციელებდა უნდა ყოფილიყო ანტიმონოპოლიური სამსახური[77].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ საქართველოში ამ ეტაპზე არ არსებობს შიგა სამართლებრივი ბაზა (უსაფრთხოების მექანიზმების სრულად მომცველი საკანონმდებლო აქტები), რომელიც დაარეგულირებს ანტიდემპინგურ და საკომპენსაციო ბაჟის დაკისრების ღონისძიებებს. საკითხი უფრო აქტუალური გახდა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმების შემდეგ, რომლის მე-9 მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოელინებად ითვლებოდა და იკრძალებოდა კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა დემპინგური ფასების გამოყენებით. ასევე, ამავე კანონის მე-13 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ეკრძალებოდა დემპინგური ფასების გამოყენება და ა.შ. ეს ერთი შეხედვით გვაძლევს იმის თქმის საფუძველს (ქმნის იმის საშიშროებას), რომ ქვეყნის შიგა ბაზარზე ადვილი შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სხვა ქვეყნების უსამართლო ვაჭრობას (პროდუქციის იმპორტს დემპინგურ ფასებში), თუმცა,

---

76 თ. ბერუჩაშვილი, მსოფლიო საეაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების შემდგომი პერიოდი, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები, კვარტალური მიმოხილვა, №2, 2000, გვ. 5;

77 საეაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბება და საქართველოს მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნების დაცვა, მომზადებულია Bearing point-ის მიერ, 5 ივნისი, 2004 წელი, გვ. 27.

ისიც ცხადია, რომ უსაფრთხოების ამგვარი კანონმდებლობის არსებობის შემთხვევაშიც კი მათი გამოყენების ალბათობა ძალზე მცირე იქნება, რადგანაც გამოკვლევების ჩატარება (არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით) და შესაბამისი ზომების გამოყენება მოითხოვს ადმინისტრაციული, კვლევითი და სამართლებრივი ხასიათის დიდ დანახარჯებს. ფაქტია, რომ „ადმინისტრაციული ხასიათის დაბრკოლება იმდენად მაღალია, რომ მსგავს ეკონომიკურ სიტუაციაში მყოფმა ქვეყნებმა აღნიშნულ ზომებს მხოლოდ რამოდენიმეჯერ მიმართეს.“[78]

ამრიგად, თუ სიღრმისეულად გავაანალიზებთ (კრიტიკულად შევხედავთ) ანტიდემპინგური ღონისძიებების გატარების კუთხით არსებულ (მოსალოდნელ) მდგომარეობას (ყველა მოსალოდნელ შედეგთან ერთად) შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოსათვის ამ ეტაპზე ნაკლებად კატასტროფულია რეპრესალიების შესახებ საკანონმდებლო ბაზის არ არსებობა. როგორც დამოუკიდებელ ექსპერტთა გარკვეული ნაწილი, ჩვენც ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ საქართველოსათვის საკომპენსაციო ბაჟის დაკისრებისა და ანტიდემპინგის პროცედურებთან შედარებით ამ ეტაპზე უფრო მისაღებ და შეიძლება ითქვას უფრო ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს მსო-ს დებულებების გამოყენება – დაცვის ღონისძიებების შესახებ. კერძოდ, „არსებობს უფრო იაფი და დაუყოვნებლივი შედეგების მომცემი საშუალებები, როგორიცაა მაგ.: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულება დაცვის ღონისძიებების შესახებ,“[79] რომელიც მართალია ნაკლებად ძლიერი ინსტრუმენტია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას მაინც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ადგილობრივი წარმოების დაცვის საქმეში. შესაბამისად, ის, კერძო სექტორს აძლევს სტიმულს, რათა იმპორტთან მიმართებაში დამცავი პროცედურების მოქმედების პერიოდი გამოიყენოს კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

აქვე აღსანიშნავია, რომ გარდამავალ პერიოდში მყოფი ზოგიერთი ქვეყნის მიერ (ლატვია და ყირგიზეთი) მსო-ში

78 ა. ბარნევიცი, ადგილობრივი მრეწველობის დაცვა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის უსაფრთხოების ზომების შესახებ შეთანხმების საფუძველზე. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, ქართული სამართლის მიმოხილვა, მესამე კვარტალი, 1999, გვ. 38;

79 საყაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბება და საქართველოს მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნების დაცვა, მომზადებულია Bearing point-ის მიერ, 5 ივნისი, 2004 წელი, გვ. 27.

გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს იქნა მიღებული ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომების შესახებ კანონები და სამართლებრივი აქტები.

განსაკუთრებით საყურადღებოა დაცვითი პროცედურების ის დადებითი მხარე, რომ ისინი თავისი ბუნებით ერთმნიშვნელოვანია და მასში პროცედურების დამრღვევი მხარის მონაწილეობა არაა სავალდებულო. კერძოდ, ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც დამცავი პროცედურების შემოღება სურს, არ სჭირდება იმის მტკიცება, რომ იმორტირებული პროდუქტი უსამართლო სუბსიდირებას იღებს ან დემპინგურია. უბრალოდ საკმარისია უფრო მარტივად მოხდეს იმის გარკვევა, რომ იმპორტირებული პროდუქტი კონკურენტი (მსგავსი, ურთიერთჩანაცვლებადი) პროდუქციის ადგილობრივ მწარმოებლებს აყენებს სერიოზულ ზიანს ან ქმნის მისი მიყენების საშიშროებას. ასეთ შემთხვევებში ზიანის მიყენების სტანდარტიც უფრო მარტივად განისაზღვრება, ვიდრე ანტიდემპინგური პროცედურებისა და საკომპენსაციო ბაჟის შემთხვევებში გამოძიების ჩატარების დროს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მსო-ს მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულება დამცავ პროცედურებთან მიმართებაში ბევრად უფრო მარტივი[80] და ეფექტიანია (ეკონომიურია), რაც მისი გამოყენების ალბათობას ზრდის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მხრიდან. უფრო მეტიც, იგი პოლიტიკური თვალსაზრისითაც მომგებიანია, რამეთუ უზრუნველყოფს იმ ადგილობრივი საწარმოების დაცვას, რომლებსაც კონკურენტულ გარემოში ადაპტაცია უჭირთ. შესაბამისად სტიმული ეძლევა ადგილობრივ წარმოებას, რომელსაც მთავრობა თავისი პოლიტიკით ეხმარება სიძნელეების დაძლევასა და ბაზარზე დამკვიდრებაში.

აქვე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მსო-ს დებულებების თანახმად დაცვის ღონისძიებები, რომლის

---

80 მაგალითად: დემპინგთან ან სუბსიდიებთან დაკავშირებული გამოძიების ჩატარების დროს აუცილებელია გადამოწმდეს ინფორმაცია და ანალიზის შედეგები დადასტურებულ იქნას იმ ქვეყნიდან, რომელსაც უსამართლო სავაჭრო პრაქტიკა ედება ბრალად. დაცვის პროცედურების მიხედვით კი, რადგანაც უსამართლო ვაჭრობის ბრალდება არ არსებობს და ზიანის სტანდარტი უფრო მარტივია, საესებით საკმარისია გამოკვლევის დროს შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე ანალიზი განხორციელდეს მხოლოდ ქვეყნის შიგნით.

მთავარ მიზანს წარმოადგენს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება იმპორტთან მიმართებაში, დროებით ხასიათის ატარებენ. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ამ ღონისძიებების პერიოდში ადგილობრივი მეწარმის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ვერ მოხერხდა, დამცავი პროცედურების მოხსნის შემდეგ არაა გამორიცხული, რომ კონკრეტული საწარმოები იგივე ან ბევრად უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ, ვიდრე დაცვის პროცედურების ამოქმედებამდე იყვნენ. შესაბამისად, „ . . . დაცვის პროცედურები ეკონომიკური რეფორმის და რეგიონალური ინტეგრაციის დამხმარე ღონისძიებად შეიძლება მივიჩნიოთ . . . ისინი ქმნიან გარემოს, რომელშიც კერძო სექტორი ქმედითუნარიანი უნდა გახდეს და ამგვარად რეგიონალური და გლობალური მასშტაბით კონკურენტუნარიანობა შეიძინოს“[81].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოში ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟის დაკისრების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობის მიუხედავად, რეალურადაა შესაძლებელი სრულყოფილი საკონკურენციო პოლიტიკის განხორციელება მსო-ს დებულებების ფარგლებში (დაცვის ღონისძიებების შესახებ), რომ არა მისი რეალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი გარემოება, როგორიცაა დაცვის ღონისძიებების მომკვლევი (შემსწავლელი) და მასზე გადაწყვეტილებების მიმღები სახელმწიფო ინსტიტუტის ერთმნიშვნელოვნად განუსაზღვრელობა (არ არსებობა).

აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმდა, რომელსაც მართალია პირდაპირ არ ევალებოდა „დაცვის ღონისძიებების შესახებ“ მსო-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მექანიზმების აღსრულება, მაგრამ ქვეყანაში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის („მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი) შესაბამისად ის ახორციელებდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას ქვეყნის კონკრეტულ

81 სავაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბება და საქართველოს მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნების დაცვა, შომზადებულია Bearing point-ის მიერ, 5 ივნისი, 2004 წელი, გვ. 29.

(შესაბამის) სასაქონლო ბაზრებზე, ხოლო მისი ლიკვიდაციისა (2005 წლის 19 აგვისტო) და „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმების შემდეგ ამ მიმართულებით (არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით) არც ერთი სახელმწიფო ორგანო არ მუშაობს, რაც ფაქტობრივად რეალურ საფრთხეს უქმნის ადგილობრივი წარმოების დაცვას მოძალებული იმპორტის ფონზე.

შესაბამისად, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს ქვეყანაში იმ სახელმწიფო ორგანოს განსაზღვრა, რომელიც იქნება დამცავი პროცედურების შესახებ მსო-ს ხელშეკრულებით განსაზღვრული წესების აღმსრულებელი ინსტიტუტი (ჩვენი აზრით, ასეთი ინსტიტუტი უნდა იყოს ქვეყნის კონკურენციის მთავარი ორგანო), რომლის პარალელურადაც აუცილებელია ქვეყნის შიგა საკონკურენციო სამართალი („თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში კონკურენციის შეზღუდვის მექანიზმები დაყვანილია მხოლოდ ხელისუფლების (სახელმწიფო ან ადგილობრივი) ორგანოების მხრიდან კონკურენციის შემზღუდავი ქმედებების აკრძალვამდე) შესაბამისობაში იყოს მოყვანილი მსო-ს წევრი, განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოების ანალოგიურ სტანდარტებთან.

და ბოლოს, ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ პროცესის დაჩქარებას (მსო-ს სტანდარტებთან საკონკურენციო სამართლის დაახლოებას) ხელი შეიძლება შეუწყოს იმანაც, რომ მსო-ს აქტიური წევრია (1995 წლის 1 იანვრიდან) ევროკავშირიც, რომელიც მუდმივად ცდილობს გააძლიეროს ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები ევროკავშირსა და ამ კავშირის გარეთ დარჩენილ სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის, რითაც ის ამ ქვეყნებს აძლევს შანსს განახორციელონ ევროკავშირის შიგა ბაზარზე შესვლა მსო-სა და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოების (ჰარმონიზაციის) გზით. შესაბამისად, ევროკავშირს აქვს დიდი პოტენციალი მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საქართველოს ინტეგრაციას მსო-ში.

3.3 დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და საქართველო

საქართველო 1993 წლიდან გაერთიანებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ), რომლის ეკონომიკა დღემდე გამორჩეულია წარმოების მონოპოლიზაციის მაღალი დონით და კონკურენტული გარემოს ფორმირების შემაფერხებელი ელემენტებით. შესაბამისად, ამ სივრცეში კონკურენტული გარემოს ფორმირების პროცესი თანდათანობით ხორციელდება.

სიახლეს არ წარმოადგენს თუ ვიტყვით, რომ კონკურენტული გარემოს ფორმირებას დსთ-ს ქვეყნებში გარკვეულწილად აფერხებდა და დღესაც აფერხებს, ეკონომიკის საერთო, ზოგადი მდგომარეობა, რომელიც განსხვავებული იყო და არის, როგორც დსთ-ს ცალკეული ქვეყნების, ისე კონკრეტული დარგების მიხედვით (განსხვავება შეიძლება იყოს, როგორც რეფორმების დაწყების სასტარტო პირობებში, ისე ბევრ სხვა ფაქტორში). სწორედ ამიტომ, დსთ-ს სივრცეში კონკურენტული გარემოს მარეგლამენტირებელი სამართლებრივი ნორმების მიღებას და მათ პრაქტიკაში დანერგვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა (მას აქტუალობა არც დღეს დაუკარგავს). ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დსთ-ს ქვეყნების ძირითად შეთანხმებაში სავაჭრო ზონების შესახებ, იმთავითვე იყო ჩადებული მსო-ს ძირითადი პრინციპები, რასაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიერ აღებული კურსი, მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ინტეგრაციის კუთხით, უნდა დაეახლოებინა მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული და მსო-ს დოკუმენტებში დაფიქსირებულ პრინციპებსა და წესებთან. კერძოდ, დსთ-ს მიერ 1994 წლის 15 აპრილს მიღებული შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ და მისი 1999 წლის 2 აპრილის ოქმი ითვალისწინებდა მსო-ს წესების მსგავსი (ტიპის) მთელ რიგი ხელშეკრულებების ხელმოწერას. მათ შორის, ხელშეკრულებებს იმპორტის ლიცენზირებისა და სავაჭრო საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, შემუშავებულ იყო ხელშეკრულებათა პროექტები მომსახურების ბაზრის ლიბერალიზაციისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ასევე, მიმდინარეობდა მუშაობა სუბსიდიების პრინციპებისა და საკომპენსაციო ღონისძიებების, სპეციალური, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომების შემოღებისა და გამოყენების შესახებ და სხვ. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო, დსთ-ს წინაშე მდგარი საკითხების უმეტესობა ვერ იქნა ბოლომდე გადაწყვეტილი მის წევრ ქვეყნებს შორის არსებული შეუთანხმებლობის შედეგად.

თავის მხრივ, საქართველო, როგორც დსთ-ს სრულუფლებიანი წევრი, თავიდანვე იყო ჩართული ამ სივრცის ერთიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში, რომელიც გამომდინარეობს, თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურების მიერ 1993 წლის 23 დეკემბერს აშხაბადში ხელმოწერილი „ერთიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარების შესახებ“ სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებიდან (მოგვიანებით, აღნიშნული ხელშეკრულების ცალკეული დებულებები 2000 წლის 25 იანვარს იქნა დაზუსტებული და სრულყოფილი). ამ ხელშეკრულებამ საბოლოოდ განსაზღვრა დსთ-ს წევრი სახელმწიფოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები კონკურენციის სფეროში. კერძოდ, 1) მონოპოლიური საქმიანობისა და/ან არაკეთისინდისიერი კონკურენციის აღკვეთისა და შეზღუდვის მიმართულებით ერთობლივ მოქმედებათა კოორდინაცია; 2) ანტიმონოპოლიური კანონმდებლობების დაახლოება იმ ფორმით, როგორც ეს აუცილებელია შეთანხმების რეალიზაციისათვის; 3) კონკურენციის განვითარებისათვის პირობების შექმნა, სასაქონლო ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა; 4) მეურნე სუბიექტებისა და მმართველობითი ორგანოების მონოპოლიური საქმიანობის შეფასებისა და განხილვის წესის შეთანხმება და მის საფუძველზე თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა.

ხელშეკრულება ასევე შეიცავს კონკურენციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან განსაზღვრებებს და ზოგად წესებს, როგორიცაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მეურნე სუბიექტების ანტიკონკურენტული შეთანხმებები და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია.

აღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველსაყოფად შექმნილია

ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფოთაშორისი საბჭო, რომლის მუშაობაში 2005 წლის 23 აგვისტოდან ჩართულია (ყოველ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ის უნდა იყოს ჩართული) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინიტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, ხოლო მანამდე კი 1997 წლის 14 მარტიდან 2005 წლის 19 აგვისტომდე საბჭოს მუშობაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური (1994-1996 წწ. დსთ-ს ანტიმონოპოლიური საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო). საბჭოს სხდომები, რომელშიც გარდა თანამეგობრობის ანტიმონოპოლიური ორგანოების ხელმძღვანელი პირებისა, მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აღმოსავლეთ ევროპის კონკურენციის სააგენტოების წარმომადგენლები (მთლიანობაში, საბჭოს ხელი აქვს მოწერილი მემორანდუმზე კონკურენციის სფეროში თანამშრომლობაზე ლატვიის, რუმინეთისა და კორეის კონკურენციის ორგანოებთან). სხდომები რიგრიგობით (წელიწად'ში ორჯერ) იმართებოდა დსთ-ს წევრ სახელმწიფოებში და 1994-2007 წლებში ჩატარდა სულ ოცდახუთი სხდომა (ერთადერთი შემთხვევა იყო 1997 წელი, როდესაც დსთ-ს სახელმწიფოების ანტიმონოპოლიურ ორგანოებში მიმდინარე რეორგანიზაციიის გამო არ გამართულა აღნიშნული საბჭოს სხდომები). სამწუხაროდ, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფოთაშორისი საბჭოს სამდივნოს არაერთი მცდელობის მიუხედავად, სხდომის საქართველოში ჩატარება ვერ მოხერხდა (იხილეთ დანართი 12.3). შესაბამისად, საქართველოს ანტიმონოპოლიურ ორგანოს დსთ-ს წევრი სხვა სახელმწიფოების მასპინძლობით ჩატარებულ სხდომებზე უხდებოდა (ძირითადად 1995-2005 წწ.) ქართული სამარკო ღვინოებისა თუ მინერალური წყლების სასაქონლო ნიშნების დასაცავად ბრძოლა, რაც ჩვენის აზრით, ბევრად უფრო ეფექტიანი და შედეგიანი იქნებოდა სხდომის თბილისში ჩატარების შემთხვევაში; იგი ხელს შეუწყობდა ქართველ მეწარმეთა კანონიერი უფლებების დაცვასა და ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას, რომ არაფერი ვთქვათ თვით ანტიმონოპოლიური ორგანოს იმიჯისა და ავტორი-

ტექტის ამაღლებაზე.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფოთაშორისი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ასევე წარმოადგენდა და წარმოადგენს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფერო, რომლის სამართლებრივი საფუძვლები გამომდინარეობს დსთ-ს მთავრობათა მეთაურების მიერ 2000 წლის 25 იანვარს ქ. მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმებიდან. აღნიშნული შეთანხმების მიზანი იყო დსთ-ს სივრცეში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთიანი შეთანახმებული პოლიტიკის საწარმოებლად შესაბამისი სამართლებრივი ბაზის ფორმირება და მის საფუძველზე თანამშრომლობა.

გარდა ამისა, დსთ-ს ანტიმონოპოლიური საბჭოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს თანამეგობრობის სივრცეში არაკეთილსინდისიერი (არასათანადო) რეკლამის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით თანამშრომლობა, რომელიც ეყრდნობა 2003 წლის 19 დეკემბერს დსთ-ს ეკონომიკურ საბჭოს სხდომაზე ხელმოწერილ შეთანხმებას – სარეკლამო საქმიანობის რეგულირების შესახებ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ როგორც დსთ-ს ანტიმონოპოლიური საბჭოს სხდომებზე განხილული საკითხებიდან ჩანს, თანამეგობრობის სივრცეში ყველაზე გავრცელებულ დარღვევებს წარმოადგენდა და წარმოადგენს შემდეგი: დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენება; მომხმარებელთა უფლებების შელახვა, უხარისხო, ფალსიფიცირებული პროდუქციის მიყიდვით და ა.შ. ანუ თანამეგობრობის სივრცეში პრობლემატიური იყო და არის ის საკითხები რომლებიც არანაკლებად აქტუალურია საქართველოსათვის. ასევე აქტიური მსჯელობისა და განხილვის საგანი იყო – სამრეწველო–ფინანსური ჯგუფებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნის გაკონტროლების მექანიზმების შემუშავების საკითხები და ა.შ.

3.4 საქართველოს სახელშეკრულებო ურთიერთობები სხვა ქვეყნების კონკურენციის ორგანოებთან

თანამედროვე მსოფლიოში სადაო არ არის ის გარემოება, რომ ეკონომიკის ზრდადი ინტეგრირების პირობებში აქტუალური როლი ენიჭება როგორც მრავალმხრივი, ასევე ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის გააქტიურებას კონკურენციული ურთიერთობების სფეროში.

სწორედ ამ მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით 2002 წლის 16 ივლისს ქ. თბილისში დაიდო ხელშეკრულება საქართველოსა და უკრაინას შორის – „საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის საკონკურენტო პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ".

აღნიშნული ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს მხარეთა თანამშრომლობა კონკურენციის განვითარებისა და დახმარების სფეროში, რომელიც მიმართულია: 1) საქართველოსა და/ან უკრაინის სასაქონლო ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირების პირობების უზრუნველსაყოფად; 2) იმ ქმედებების დაუშვებლობისა და აღკვეთისათვის მიმართული ურთიერთქმედებების მექანიზმის შექმნა, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს კონკურენციაზე საქართველოსა და/ან უკრაინის სასაქონლო ბაზრებზე; 3) კონკურენციის სფეროში საქართველოსა და/ან უკრაინის კანონმდებლობათა ჰარმონიზაციის საკითხთა გადასაწყვეტად; 4) იმ ანტიკონკურენციული ფაქტების (ქმედებების) ერთობლივი განხილვისათვის, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ კონკურენციის განვითარებაზე საქართველოს და/ან უკრაინის სასაქონლო ბაზრებზე.

ამასთან, ხელშეკრულების გამოყენების ერთ-ერთ სფეროდ განისაზღვრა (მუხლი 2, პუნქტი 1) სამეურნეო სუბიექტთა ისეთი ქმედებების განხილვა, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ კონკურენციაზე საქართველოსა და/ან უკრაინის სასაქონლო ბაზრებზე, იმ შემთხვევაში, თუ: ამ ქმედებებში მონაწილეობს ერთი ან რამდენიმე სამეურნეო სუბიექტი, რომელიც საქართველოსა და/ან უკრაინის სასაქონლო ბაზრებზე ახორციელებს თავის სამეწარმეო საქმიანობას; ეს

ქმედებები ჩადენილია ერთი სახელმწიფოს სასაქონლო ბაზრებზე და შეუძლიათ ნეგატიური გავლენა იქონიონ კონკურენციაზე მეორე სახელმწიფოს სასაქონლო ბაზრებზე (ქართული საკონკურენციო სამართლის (ჩარჩო კანონი) მოქმედების სფერო მნიშვნელოვნადაა შეზღუდული ხელშეკრულების ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებზე რეაგირების კუთხით).

ანალოგიურად, კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და რუმინეთის კონკურენციის საბჭოს მიერ ქ. თბილისში 1999 წლის 18 ნოემბერს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოს და რუმინეთის კონკურენციის ორგანოებს შორის (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით) თანამშრომლობის თაობაზე.

გარდა ამისა, „ . . . ანალოგიური დოკუმენტის პროექტი მომზადდა თურქეთის ანტიმონოპოლიურ ორგანოსთან შეთანხმების გასაფორმებლად. პროექტი გადის შესაბამის შეთანხმების პროცედურას დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებში“[82] (სამწუხაროდ აღნიშნულ პროექტზე ხელმოწერა, ისევე როგორც 2002 წელს სომხეთის მხარის ინიციატივით მომზადებულ პროექტზე ვერ მოხერხდა გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად უნდა განახორციელოს ქვეყნის საკონკურენციო სამართლის ჰარმონიზაცია ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან. ქვეყნის ხელისუფლება უბრალოდ ვალდებულია გამოიყენოს ევროგაერთიანების გამოცდილება ქვეყანაში ეფექტიანი კონკურენციული სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი სრულყოფის მიმართულებით, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვასა და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას (ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას). ამასთან, შესაბამისი ინსტიტუტების (კონკურენციის და მომხმა-

82 საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის 1999 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, თბ., 2000, გვ. 13.

რებელთა უფლებების დაცვის სამსახურები) მეშვეობით უნდა გაღრმავდეს ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობები და განსაკუთრებით, მეზობელი სახელმწიფოების (აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის, რუსეთის, უკრაინის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უნგრეთის) შესაბამის სამსახურებთან. რადგანაც ძირითადად ამ ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის შემოდინება ხდება საქართველოში, ისევე როგორც სამამულო წარმოების პროდუქციის ძირითად ბაზარს სწორედ ეს სახელმწიფოები წარმოადგენენ.

4. კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის სრულყოფისა და რეალიზაციის სფეროში საქართველოსათვის (კონკურენციის ორგანოსათვის) გაწეული საერთაშორისო დახმარებები 1992 წლიდან

საქართველომ, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულმა ქვეყანამ, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი წლიდან დაისახა მიზნად, ხელი შეეწყო თავისუფალ ვაჭრობისა და კონკურენციისათვის, რომლის მიღწევა საბაზრო ეკონომიკის შემაფერხებელი ელემენტების (გარემოებების) გამოელენისა და აღკვეთის ქმედითი ბერკეტების (მექანიზმების) არსებობის გარეშე შეუძლებელი იყო.

ყოველივე ეს, საქართველოს ხელისუფლებას იმთავითვე ჰქონდა გაცნობიერებული, მაგრამ ცხადია, მისი მოგვარება მოწინავე კაპიტალისტური სახელმწიფოების მხარდაჭერისა და სათანადო გამოცდილების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციათა თანადგომის (ტექნიკური, ექსპერტული) გარეშე შეუძლებელი (ძნელად მიღწევადი) იყო.

სწორედ ამიტომ, საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზის სრულყოფის პროცესში, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა გაეღრმავებინა საერთაშორისო თანამშრომლობა, რასაც შესაბამისი მხარდაჭერა მოჰყვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეგობარი ქვეყნების მხრიდან.

გერმანიის მთავრობის მიერ, 1995-1996 წლებში „იუსტიციის სამინისტროს გაეწია დახმარება სხვადასხვა კანონპროექტების შემუშავებაში . . . შემუშავდა . . . კანონპროექტი . . . კონკურენციის სფეროში საქმიანობის შესახებ და წარედგინა პარლამენტს განსახილველად.“[83]

აღნიშნული პროექტის შემუშავების პროცესში, გერმანიის მთავრობასთან თანამშრომლობა, რიგ სხვა გარემოებებთან ერთად იმის მაჩვენებელია, რომ იმ პერიოდში საქართველოში მოქმედი საკონკურენციო სამართალი, რეალიზებულ კონკურენციულ პოლიტიკასთან ერთად, შორს იყო სრულყოფილები-

83 საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო 1992-2000. დახმარების მიმოხილვა, თბ., მარტი, 2000, გვ. 128.

საგან და საჭიროებდა სერიოზულ გადამუშავებას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია, როგორც ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სრულიად ახალი მიმართულება, საჭიროებდა შესაბამის ორგანიზაციულ-სამართლებრივ, საკადრო, ტექნიკურ და ინფორმაციულ უზრუნველყოფას, აგრეთვე როგორც მეწარმეთა, ისე მომხმარებელთა ინფორმირებას ანტიმონოპოლიური რეგულირების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე, მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებებზე.

დავის საგანს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ აქ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელება შეუძლებელი იყო (არის) მყარი ფინანსური რესურსების გარეშე, რომლის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს კონკურენციის ორგანო მუდმივად (სისტემატიურად) თანამშრომლობდა (თანამშრომლობს) საზღვარგარეთის ქვეყნების კონკურენციის (ანტიმონოპოლიურ) სამსახურებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

სწორედ, ასეთი თანამშრომლობის შედეგი იყო (თავდაპირველ სტადიაზე ტექნიკური დახმარების მოზიდვის თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კადრების მომზადებისა და საოპერაციო ტექნიკით უზრუნველყოფის საკითხებს) ის ტექნიკური დახმარება, რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ 1998 წელს გაეწია საქართველოს. კერძოდ, მსოფლიო ბანკის დახმარებით (80 ათასი აშშ დოლარის გრანტი) საოპერაციო ტექნიკა (კომპიუტერები, ფაქსები, ქსეროქსები) იქნა შეძენილი საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის.

ამასთან, გასული საუკუნის 90-იან წლებში, საერთაშორისო ორგანიზაციების (განსაკუთრებით TACIS-ის) დაფინანსებით, საქართველოში ჩატარდა რამდენიმე სემინარი, ანტიმონოპოლიური რეგულირების, კონკურენციული პოლიტიკისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე, მათ შორის:[84]

- საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, სემინარი პარლამენტარებისა და ანტიმონოპოლიური ორგანოს თანამშრომლებისათვის, თბილისი, 1996 წლის ივლისი,

84 ვ. მაისურაძე, ქ. ლაფაჩი, შ. გოგიაშვილი, ს. ფეტელავა, გ. მელაძე, კრებული საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისათვის, თბ., საქართველოს ბიზნეს სამართლის ცენტრი, 1999, გვ. 34-36.

(30 მონაწილე);

- საქართველოში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების სირთულეები და შესაძლებლობანი, გუდაური, 1996 წლის 7-9 ნოემბერი (50 მონაწილე);
- ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენციის დაცვა, სემინარი ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთათვის, თბილისი, 1997 წელი (100 მონაწილე);
- ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და პრაქტიკის საკითხები ანტიმონოპოლიური სამსახურის პერსონალისა და მოსამართლეებისათვის, თბილისი, 1997 წლის 13-17 ოქტომბერი (60 მონაწილე);
- ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და პრაქტიკის საკითხები, სემინარი ანტიმონოპოლიური სამსახურის პერსონალისა და მოსამართლეებისათვის, თბილისი, 1997 წლის 8-12 დეკემბერი (60 მონაწილე);
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხები, სემინარი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, გუდაური, 1998 წლის 24-26 მარტი (60 მონაწილე);
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხები, სემინარი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, თელავი, 1998 წლის ნოემბერი (30 მონაწილე);
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხები, სემინარი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, ქუთაისი, 1999 წლის მარტი (40 მონაწილე);
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხები, სემინარი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, ონი, 1999 წლის ივნისი (30 მონაწილე);

ამავე პერიოდში (1998 წლის 13-15 მაისი) თბილისში გაეროს (UNCTAD) ეგიდითა და დაფინანსებით ჩატარდა სემინარი კონკურენციული პოლიტიკისა და კანონმდებლობის საკითხებზე (30 მონაწილე).

ასევე, ბიზნეს სამართლის ცენტრის ორგანიზებითა და

ებერტის ფონდის დაფინანსებით, 1999 წელს ჩატარდა თბილისში სემინარი, ანტიმონოპოლიური სამსახურის ტერიტორიული სამსახურების ხელმძღვანელ მუშაკთათვის (30 მონაწილე).

ამასთან, საქართველოს კონკურენციის ორგანოს თანამშრომლები (წელიწადში მინიმუმ 10-12 კაცი) სისტემატურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწყობილი ღონისძიებებში, სტამბულში (წელიწადში ორ-სამჯერ), ვენაში, ჟენევაში, ბრიუსელში, ვაშინგტონში, სანქტ-პეტერბურგში და მოსკოვში (წელიწადში თითო-თითოჯერ), რაც სხვა ქვეყნების ანალოგიური სტრუქტურების გამოცდილების გაზიარების, საერთაშორისო დონის ექსპერტებთან ურთიერთობისა და შესაბამისად კვალიფიკაციის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

სწორედ, საქართველოს ანტიმონოპოლიური ორგანოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას ისახავდა მიზნად, აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მიერ, 1997 წლის სექტემბრის ბოლოს (20.09.07–04.10.07) დაფინანსებული 7 კაციანი დელეგაციის (სამი სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის, ერთი სახელმწიფო კანცელარიის, ერთი ეკონომიკის სამინისტროს და ორი პარლამენტარის) საინფორმაციო ვიზიტი აშშ-ში. კერძოდ, აღნიშნული მიეკლინების მთავარი მიზანი იყო ქართულ მხარეს შეესწავლა „... აშშ იუსტიციის დეპარტამენტის ანტიტრესტულ სამმართველოს, აშშ ფედერალური სავაჭრო კომისიის, აშშ კონგრესის ანტიტრესტულ საკითხთა კომიტეტის, მომხმარებელთა დაცვის სააგენტოებისა და კერძო სექტორის კომერციული ჯგუფების ანტიტრესტული პოლიტიკის განხორციელება."[85] ამავე მიზანს ემსახურებოდა, გაეროს ეკონომიკური განვითარების ფონდის (UNDP) მიერ, ჯერ კიდევ 1995 წლის დეკემბერში დაფინანსებული ანტიმონოპოლიური ორგანოს სამი წარმომადგენლის ვიზიტი აშშ-ში, მაკროეკონომიკის პოლიტიკის საკითხებზე სემინარის (სახელმწიფო ფუნქციების დეცენტრალიზაცია) მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

გარდა ამისა, ევროგაერთიანების (TACIS) დაფინანსებით 1997-1999 წლებში ანტიმონოპოლიური სამსახურის შვიდი წარმომადგენელი მონაწილეობდა ბელგიის ქალაქ ლუვენ ლა

85 Larry C. Morgan, Evaluation of the CEPAR Antimonopoly Judicial Training Workshop I (Conucted during October 13-17, 1997), CENTR FOR ECONOMIC POLICY AND REFORM, November 14, 1997, c. 2.

ნევას კათოლიკური უნივერსიტეტის მოხმარების სამართლებრივი ცენტრის მიერ მომხმარებელთა დაცვის საკითხებზე მოწყობილ საზაფხულო პროგრამის მუშაობაში, ხოლო ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა ბელგიის, საფრანგეთისა და ინგლისის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების პრაქტიკული გამოცდილების გასაცნობ ტურში.

ამავე ორგანიზაციის მიერ, საქართველოსათვის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფარგლებში გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი ტექნიკური დახმარებები საკონკურენციო და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და შესაბამისი სპეციალისტების მომზადების საქმეში. კერძოდ, დაფინანსებულ იქნა მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე ექვსთვიანი პროექტი (1997 წელი), რომლის წარმატებით დასრულებისთანავე იგი გაგრძელებულ იქნა და გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ საქართველოს ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და ლუვენ ლა ნევას კათოლიკური უნივერსიტეტის მოხმარების სამართლებრივ ცენტრს შორის[86].

TACIS-ის მიერ 1997-98 წლებში ასევე დაფინანსებულ იქნა ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების რესტრუქტურიზაციის პროექტი, რომლის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების, კერძოდ, ტრანსპორტის (სარკინიგზო ხაზის მართვა) და კავშირგაბმულობის სფეროში რესტრუქტურიზაციისა და სტრუქტურული რეორგანიზაციის პროექტის მომზადება[87].

ამასთან, საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში დადებული ხელშეკრულების 44-ე მუხლის თანახმად (რასაც ამ ნაშრომში არაერთხელ ვუსვამთ ხაზს), საქართველოს საკონკურენციო სამართლის დებულებების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახ-

86 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით ბოლო ათწლეულში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია, თბ., 2002, გვ., 24-25 (სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა);

87 საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო 1992-2000, დახმარების მიმოხილვა, თბ., მარტი, 2000, გვ. 47-48.

ლოების ფარგლებში ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (TACIS-GEPLAC) ექსპერტები აქტიურად იყვნენ ჩართული „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფისა და ევრო-კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესში.

ამ მიმართულებით, „ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისა და რეფორმების ცენტრმა (CEPAR) ჩაატარა გამოყენებითი ეკონომიკური ანალიზი . . . აღნიშნული ცენტრის საქმიანობა, უპირატესად და მკაცრად კონცენტრირებული იყო საქართველოსათვის ტექნიკური დახმარების გაწევაზე, რათა ქვეყანა გაწევრიანებულიყო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (WTO) და განეხორციელებინა კანონმდებლობის სამართლებრივი ექსპერტიზა . . . “.[88]

თავის მხრივ, ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის მიერ სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან თანამშრომლობით მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მოწონებულ იქნა კონრად ადენაურის ფონდის მიერ (ფონდის ამიერკავკასიის წარმომადგენლობა), რომლის ფინანსური მხარდაჭერით მოხდა კანონპროექტის პრეზენტაცია-დისკუსია (ფართო საზოგადოების მონაწილეობით) 2003 წლის 1 ივლისს ქ. თბილისში.

ამასთან, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მხარდაჭერითა და ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ დაფინანსებით მეცნიერთა ერთი ჯგუფის (ხელმძღვანელი ე.მ.კ. შ. გოგიაშვილი) მიერ 2003 წლის პირველ ნახევარში შემუშავებულ იქნა ნორმატიული აქტის პროექტი – „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ბარიერების (მონოპოლიური ფასების) გამოვლენისა და აღკვეთის ინსტრუქცია“, ხოლო მანამდე ამავე ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებზე დაყრდნობით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ვებ-გვერდი /www. antimonopoly.ge/, 2002 წელს.

და ბოლოს, გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციას (2005 წლის 19 აგვისტო) ხელი არ შეუშლია

88 საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო 1992-2000, დახმარების მიმოხილვა, თბ., მარტი, 2000, გვ. 47-48.

და არ შეუნელებია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ქვეყნის ახალი კონკურენციის ორგანოს – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს (შეიქმნა 2005 წლის 23 აგვისტოს) საქმიანობისადმი, რომლის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სააგენტოს ჩამოყალიბებიდან 2006 წლის ბოლომდე არაერთი პროექტი იქნა მათ მიერ დაფინანსებული. კერძოდ, პრივატიზირებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის (2006 წლის მარტი) და ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ (2006 წლის ოქტომბერი) დაფინანსებულ იქნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს 2-2 (ორ-ორი) თანამშრომლის (ჯამში ოთხი თანამშრომლის) მივლინება აშშ-ში, კერძო სამართლის საზოგადოებრივ ინსტიტუტში (IP3) კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე (კონკრეტულ ღონისძიებებში) მონაწილეობის მისაღებად.

აღნიშნულის პარალელურად, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლები (საჯარო მოხელეები) სააგენტოს ჩამოყალიბების პირველივე დღიდან სისტემატიურად არიან ჩართულები და მონაწილეობას ღებულობენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საბჭოს (OECD) ეგიდით ორგანიზებულ საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში. კერძოდ, 2006 წლის განმავლობაში სააგენტოს ხუთი წარმომადგენელი ღებულობდა მონაწილეობას კონკურენციის საკითხებზე ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი) მოწყობილ სამ ღონისძიებაში. ასევე, სააგენტოს ერთი წარმომადგენელი მონაწილეობდა ამავე ორგანიზაციის მიერ მოწყობილ სემინარში ქ. ვენაში (ავსტრია). აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საბჭოს აღნიშნული პროგრამა გრძელდება 2007 წელსაც (ქ. ბუდაპეშტი) და მასში (სხვადასხვა სახის სემინარებსა და კონფერენციებში) მონაწილეობას ღებულობენ სააგენტოს საჯარო მოხელეები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ საკონკურენციო სამართლისა და პოლიტიკის რეფორმის საკითხების ევროკავშირის ნორმებთან მისადაგების დასაბუთების თაობაზე GEPLAC–ის მიერ ორგანიზებულ იქნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისათვის

სემინარი ქ. თბილისში 2006 წლის 27 თებერვალს,[89] ხოლო მანამდე კი 2005 წლის 26-28 სექტემბერს SIPCA–ს პროექტის ფარგლებში (PCA–ს განხორციელების პროცესის მხარდაჭერა) სააგენტოს თანამშრომლებისათვის, GFSIS-ის (საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდი) თბილისის ოფისში მოეწყო ორი სემინარი – (1) სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სტრუქტურირების საკითხები ევროპის კონკურენციულ პოლიტიკაში და (2) ევრო-გაერთიანებაში კონკურენციული პოლიტიკის ეკონომიკურ ასპექტებსა და სხვა გარდამავალი ქვეყნების გამოცდილებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, 2007 წლის მაისში GEPLAC–ის მიერ სერიოზული ტექნიკური დახმარება გაეწია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს, რაც უახლესი კომპიუტერული და სხვა საოპერაციო ტექნიკის უსასყიდლოდ შეძენაში გამოიხატა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ქვეყნის კონკურენციის ძირითადი ორგანო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მუდმივად ღებულობდა და ღებულობს კონკრეტულ მიზნობრივ დახმარებებს, რაც მისასალმებელი და მხარდასაჭერია, რამეთუ, ქვეყანაში სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის განვითარება შეუძლებლად მიგვაჩნია, თანმიმდევრული და გარე სამყაროსთან ადაპტირებული (შესატყვისი) კონკურენციული პოლიტიკის გარეშე, რისი მიღწევა ანალოგიურ სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და განვითარებულ ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების გაანალიზებისა და მისგან გამომდინარე სათანადო დასკვნების გაკეთების გარეშე წარმოუდგენელია. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ ქვეყნის კონკურენციის ორგანოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, საზოგადოების გათვითცნობიერებასთან ერთად (რასაც ძირითადად აფინანსებენ საერთაშორისო ორგანიზაციები) არის საწინდარი კონკურენციული პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმების სრულყოფილებისა.

---

89 GEPLAC-ის მიერ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისათვის ორგანიზებული სემინარის მასალები, თბ., 27 თებერვალი, 2006.

5. კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის ფორმირების (ჩამოყალიბებისა და რეალიზაციის) ეტაპები საქართველოში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ფორმირებისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს როლისა და სტატუსის განსაზღვრის საკითხებს აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების ანალოგიურად საფუძველი ჩაეყარა 1992 წლიდან. ამდენად, საქართველოს კონკურენციის პოლიტიკა სულ თხუთმეტიოდე წელიწადს ითვლის. მიუხედავად ამისა, მისი ფორმირებისა და პრაქტიკული რეალიზაციის პერიოდი ჩვენი შესედულებით, შეიძლება დაიყოს შემდეგ ოთხ ეტაპად:

<u>პირველი ეტაპი (1992 წელი – 1996 წლის პირველი ნახევარი)</u>. ეს პერიოდი ემთხვევა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის ძირეული რეფორმირების საწყის ფაზას, როდესაც ქვეყანაში დაიწყო გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლის პროცესი. სწორედ, საბაზრო მეურნეობის პრინციპებზე ორიენტირებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობისა (სამართლებრივი საფუძვლების ფორმირების პროცესი) და ამ პროცესებში ყოველგვარი კატაკლიზმების თავიდან აცილების მიზნით, 1992 წლის დამდეგს ვიცე-პრემიერ რომან გოცირიძის ხელმძღვანელობით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეიქმნა ეკონომიკური რეფორმების შტაბი (შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე იყო პროფესორი მიხეილ ჯიბუტი), ცნობილ მეცნიერ და პრაქტიკოს ეკონომისტთა მონაწილეობით, რომლებსაც ბოლომდე ჰქონდათ გააზრებული მთავრობის როლი და ადგილი ქვეყნის ეკონომიკური აღმშენებლობის პროცესში. შტაბის მთავარი ამოცანა მდგომარეობდა მაქსიმალურ ხელშეწყობაში უმტკივნეულოდ განხორციელებულიყო ეკონომიკისა და თავისუფალი სამეწარმეო სისტემის შერწყმა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ნაკლები პრობლემებით უნდა მომხდარიყო სოციალისტური ეკონომიკის სისტემიდან (რომელიც მთლიანად ემყარებოდა დირექტიულ სახელმწიფო გეგმას და საწარმოო საშუალებებზე და პროდუქციაზე საზოგადოებრივ საკუთრებას) კერძო

საკუთრებ'ზე დაფუძნებულ თავისუფალ სამეწარმეო სისტემაზე გადასვლა. ეკონომიური რეფორმების შტაბის ძალისხმევით ჩაეყარა საფუძველი საქართველოს რეპუბლიკაში კონკურენციის პოლიტიკას (დაიწყო პირველი ნაბიჯების გადაგმა).

პირველი საკონკურენციო სამართლებრივი აქტი, რომელიც ქვეყანაში საფუძველს უყრიდა კონკურენციული პოლიტიკის (ანტიმონოპოლიური რეგულირების) რეალიზაციას მიღებულ იქნა ფაქტიურად ეკონომიკური რეფორმების შტაბის ჩამოყალიბებისთანავე. კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1992 წლის 17 მარტს მიღებულ იქნა დადგენილება (№323) – „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ", რომლის მთავარი დანი'შნულება იყო სახალხო მეურენობის ცალკეულ დარგებში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილ მონოპოლიურ ერთეულებს (კონცერნებს, ასოციაციებს, გაერთიანებებს და ა.შ.) არ შეეშალათ ხელი პირველადი სამეურნეო ერთეულების ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკის დემონოპოლიზაციის პროცესისათვის. სწორედ, ამ ამოცანის განხორციელების მიზნით დაევალათ სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, სახელმწიფო საწარმოების ბაზაზე შექმნილი კონცერნების, ასოციაციებისა და გაერთიანებების დაშლის, დაწერილ-ერთეულების ან გაუქმების თაობაზე მიეღოთ ოპერატიული გადაწყვეტილება, სახალხო მეურნეობის დეცენტრალიზაციის, კონკურენტული გარემოს შექმნისა და სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის დემონოპოლიზაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, რასაც თავის მხრივ, უნდა გაევლო ანტიმონოპოლიური ექსპერტი'ზა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სამმართველო'ში, რომელიც შეიქმნა 1992 წლის თებერვალ'ში.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ეს იყო პერიოდი, როდესაც სიტყვა „მონოპოლია" და „კონკურენცია" განეკუთვნებოდნენ საგინებელ სიტყვათა კატეგორიას და გვხვდებოდნენ „ბურჟუაზიული ეკონომიკური თეორიების" კრიტიკისას. ამასთან, ამ სფეროს სპეციალისტები საქართველო'ში არ არსებობდნენ, ამიტომ უაღრესად დიდი მოცულობის სამუშაომ გადაიარა ენთუზიასტთა მცირე ჯგუფზე (განსაკუთრებით აღსანიშნა-

ვია მაშინდელი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის მოადგილის, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ამირან ხეცურიანის და ამავე სამინისტროს თანამშრომლების, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატების ქეთევან ლაფაჩისა და მამუკა ლობჟანიძის საქმიანობა).

ამ ჯგუფის მიერ იქნა შემუშავებული „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ დეკრეტის პროექტი, რომელიც მთავრობის (ეკონომიკური რეფორმების შტაბის) მხარდაჭერის შემდეგ მიღებულ იქნა სახელმწიფო საბჭოს მიერ 1992 წლის 16 ოქტომბერს, რითაც განისაზღვრა კონკურენციის განვითარების, მონოპოლიური საქმიანობის და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების, შეზღუდვისა და აღკვეთის ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები. დეკრეტის შესაბამისად, ქვეყანაში მეწარმეობის მხარდაჭერისა და კონკურენციის განვითარების, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციები დაეკისრა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, რომელიც აღნიშნულ ფუნქციას ახორციელებდა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სამმართველოს (1993-1995 წლებში სამმართველოს ერქვა კონკურენციის განვითარების, მონოპოლიზმის შეზღუდვისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სამმართველო) მეშვეობით. ეს სამმართველო 1992-1996 წლებში თავის საქმიანობას ამ დეკრეტის შესაბამისად წარმართავდა, თუმცა ანტიმონოპოლიური მოთხოვნები გათვალისწინებული იყო აგრეთვე ცალკეული მუხლების სახით სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში.

1995 წლის მარტში მიღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება (№60) – „არაკეთილსინდისიერი რეკლამისაგან მომხმარებელთა დაცვის შესახებ“, რომლითაც ქვეყნის ანტიმონოპოლიურ ორგანოს დაეკისრა სარეკლამო საქმიანობაზე კონტროლის ფუნქციაც. ამ უკანასკნელის სრულყოფილად აღსრულების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 20 მარტის №160 დადგენილების თანახმად ეკონომიკის სამინისტროს შესაბამის სამმართველოს დაემატა საშტატო რიცხოვნება და გადაკეთდა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარ სამმართველოდ (მთავარი სამმართველო შედგებოდა – 1) კონკურენციის განვითარების და 2) მომხმარებელთა უფლებების

დაცვისა და სარეკლამო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოებისაგან).

ამავე პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება (26.04.95წ. №325), რომლის თანახმად სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით საჭიროდ გახდა მუდმივი სახელმწიფო კონტროლის ობიექტების განსაზღვრა (მათი საქმიანობის შემდგომი რეგულირების მიზნით); „მონოპოლისტი საწარმოებისა და გაერთიანებების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ დებულების (მიღებულ იქნა ეკონომიკის სამინისტროს კოლეგიის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №12) 1993 წლის 30 აპრილს; მინისტრი: პროფესორი მიხეილ ჯიბუტი) შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოხდა ქვეყანაში პირველი მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების გამოცხადება (ეკონომიკის სამინისტროს კოლეგიის სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი №10) მიღებულ იქნა 1995 წლის 6 ივლისს; მინისტრი: პროფესორი ვლადიმერ პაპავა), თუმცა, მონოპოლისტობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი იყო არა კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ხვედრითი წილი შესაბამის სასაქონლო ბაზარზე, არამედ მათ მიერ წარმოებული (იმპორტირებული) პროდუქციის მოცულობა და ცალკეულ შემთხვევებში ბაზარზე მათი პროდუქციისა თუ გაწეული მომსახურების ერთად-ერთობის პრინციპი. მონოპოლისტად გამოცხადებულ და შესაბამის სახელმწიფო (საჯარო) რეგისტრში[90] შეყვანილ იყვნენ შემდეგი სუბიექტები – 1) ს/ს „ბორჯომი“, 2) ს/ს „ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხანა“,

---

90 სახელმწიფო რეგისტრში ერთად იყო შეყვანილი როგორც ბუნებრივ მონოპოლიათა სუბიექტები (პორტები, „აერონავიგაცია“, რკინიგზა, „საქგაზი“, რომელთა მომსახურებისა და ერთეული პროდუქციის ფასი იყო რეგულირებადი) ასევე სხვა (არარეგულირებადი) მონოპოლისტი ეკონომიკური აგენტები, რაც ალბათ არ იყო გამართლებული; სწორედ ამიტომ, მოგვიანებით (1998-2000 წწ.) „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებულ იქნა ნორმატიული აქტები, რითაც ცალ-ცალკე განისაზღვრა ბუნებრივ მონოპოლიათა სუბიექტებისა და შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ქცევებზე დაკვირვების წესები (როგორც ეკონომიკურ აგენტთა რეესტრში შეყვანისა და გამოყვანის, ასევე მათზე დაკვირვების განხორციელებისა და რეგულირების მექანიზმები).

3) ს/ს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“, 4) ს/გ „აზოტი“, 5) ს/ს „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა“, 6) საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი, 7) საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო, 8) შპს „გზა მშვიდობისა“, 9) დეპარტამენტი „საქნერგო“, 10) დეპარტამენტი „საქგაზი“, 11) დეპარტამენტი „საქნავთობი“, 12) ს/ს „ჭიათურმანგანუმი“, 13) სახელმწიფო საწარმო „საქაერონავიგაცია“, 14) ს/ს „კასპიცემენტი“, 15) ს/ს „რუსთავცემენტი“,16) ს/ს „ლინო“ („თბილისის ლინოლიუმის ქარხანა“), 17) ს/ს „მეტეხის კერამიკა“, 18) ს/ს „მეტეხი“ („მეტეხის აგურის №1 ქარხანა“), 19) ს/ს „გარდაბანი“ (გარდაბნის „მუყაო-რუბეროიდის ქარხანა“), 20) დედოფლისწყაროს საწარმო „არწივის ხეობა“, 21) ს/ს „რუსთავის ამწემშენებელი ქარხანა“, 22) ფოთის პორტი, 23) ბათუმის პორტი, 24) ს/ს თბილისის თამბაქოს ფაბრიკა „ქართლი“, 25) ს/ს „თბილთამბაქო“, 26) ს/ს „თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“, 27) ს/გ „ქიმბოჭკო“. მონოპოლისტი საწარმოების სახელმწიფო რეგისტრ'ში შეყვანილი სუბიექტების გარკვეულმა ნაწილმა ძალიან მალე დაკარგა ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა, ხოლო ზოგიერთი საერთოდ გაკოტრდა ან პროფილი შეიცვალა (ს/ს „გარდაბანი“, დედოფლისწყაროს საწარმო „არწივის ხეობა“, ს/ს „რუსთავის ამწემშენებელი ქარხანა“, ს/ს „ლინო“ და ა.შ.) პროდუქციის რეალიზაციის ბაზრის უქონლობის გამო და სხვა[91].

თავის მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დადგენილება „მონოპოლიტი საწარმოების რეგისტრის შესახებ“ გულისხმობდა მასში შეყვანილი სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობაზე დაკვირვებას (შესწავლას), ხოლო იმ შემთხვევა'ში, თუ რეგისტრში შეყვანილი სუბიექტების მხრიდან მოხდებოდა საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის ნორმების დარღვევა, მაშინ ავტომატურ რეჟიმ'ში უნდა მომხდარიყო მათი გადაყვანა მონოპოლისტ საწარმოთა სახელმწიფო რეესტრში და განხორციელებულიყო ეკონომიკური რეგულირების ისეთი ბერკეტებით ზემოქმედება, როგორიცაა – ფიქსირებული ფასების ან რენტაბელობის ზღვრული ნორმის დაწესება და ა.შ. (რე-

91 ამას სახელმწიფო რეგისტრ'ში შესაბამისი ცვლილებების შეტანა არ მოყოლია.

გისტრის არსებობის მანძილზე ასეთ პრეცენდენტს ადგილი არ ჰქონია).

გარდა ამისა, საქართველოში კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი დაემთხვა მასობრივი პრივატიზების პროცესს, რაც კიდევ უფრო ზრდიდა კონკურენციის ორგანოს ფუნქციონალურ დატვირთვას ახალი მონოპოლიური წარმონაქმნების დაუშვებლობისა და ჯანსაღი სამეწარმეო გარემოს ხელშეწყობის კუთხით. შეიძლება ითქვას, რომ ამ ამოცანას მეტნაკლები წარმატებით ახორციელებდა ეკონომიკის სამინისტრო (შესაბამისი შიგა სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით), რაც ასევე დასტურდება საქართველოს ხელისუფლების მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაკეთებული განცხადებიდან – „1992 წელს მასობრივი პრივატიზაციის პროცესის დაწყებამდე არსებობდა სახელმწიფო მონოპოლიების კერძო მონოპოლიებად გარდაქმნის საშიშროება. ასეთი პროცესის თავიდან ასაცილებლად, საწარმოების შერწყმა განხორციელდა ანტიმონოპოლიური სამსახურის კონტროლის ქვეშ, რითაც ხელი შეეშალა მრავალი მონოპოლიური სუბიექტის შექმნას“[92].

<u>მეორე ეტაპი (1996 წლის მეორე ნახევარი – 2002 წლის პირველი ნახევარი)</u>. ამ პერიოდიდან იწყება ქვეყანაში სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო სამართლის სხვა კანონების კოდიფიცირება ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან (ძირითადად გერმანულ კანონმდებლობასთან). სამწუხაროდ, კოდიფიცირება არ განხორციელებულა სრულყოფილად. ასე მაგალითად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის რიგი დებულებები გადმოტანილ იქნა ეროვნულ კანონმდებლობაში, მაგრამ ევროპული კავშირის თანამედროვე დირექტივები, მათ შორის დირექტივა სამომხმარებლო საქონლის შესყიდვაზე მასში არ იქნა გათვალისწინებული.

ამასთან, ეს პერიოდი ემთხვევა ქვეყანაში საკონკურენციო სამართლის კონსტიტუციურ საფუძვლებზე ფორმირების პროცესს. ქვეყნის ახალი კონსტიტუციით (24.08.95 წ.) გაცხადებულ იქნა, რომ – „სახელმწიფო ვალდებულია ხელი

92 ხუან რამონ იტურია გაგოიტია, „საკონკურენციო სამართლისა და პოლიტიკის რეგფორმის საკითხები: ევროკავშირის ნორმებთან მისადაგების დასაბუთება“, GEPLAC-ის მიერ ორგანიზებული სემინარი, თბილისი, 27 თებერვალი, 2006 წელი.

შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით“ (მუხლი 30, პუნქტი 2).[93]

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება საქართველოში მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ანტიმონოპოლიური ორგანოს – საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის სუბიექტის – საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბება და დაკომპლექტება (სამსახური თავდაპირველად დაკომპლექტდა 150 საშტატო ერთეულით, რომელსაც მოგვიანებით კიდევ დაემატა 20 ერთეული).

ამავე პერიოდშია მიღებული „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ (1996 წ.) და „რეკლამის შესახებ“ (1998 წ.) საქართველოს კანონები და ქვემდებარე ნორმატიული აქტები. მათ შორის, ვაჭრობისა და მომსახურეობის 26 წესი. გარდა ამისა, ამ დროისათვის (1997-2000 წწ.) საბოლოოდ დასრულებულ იქნა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნის პროცესი (პირველი ეტაპი), რამაც საშუალება მისცა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს დაეწყო სრული დატვირთვით მუშაობა. კერძოდ, ამ პერიოდში გაანალიზებულ და შესწავლილ იქნა ისეთ ბუნებრივ მონოპოლიათა სუბიექტების საქმიანობა, როგორიცაა: შპს „თბილწყალკანალი“; შპს „საქართველოს რკინიგზა“; ს/ს საქართველოს ელექტროკავშირი“; შპს „საქართველოს ფოსტა“; „მაგისტრალური მილსადენი“; შპს „საქაერონავიგაცია“ და ა.შ.

ასევე, მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები იქნა ჩატარებული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების (სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონონოდ გამოყენება) გამოვლენისა და აღკვეთის [ყავა „ნესკაფე“-ს („ინსკაფე“), სიგარეტი „კონგრესი“-ს („კონგრეს-მანი“), „მესხური პურის“ (ცხობის ტექნოლოგია), შიკოლადი „მარსი“-სა და „ბაუნტი“-ს (ფერთა შეხამება), მინერალურ წყალ „ბორჯომი“-ს (ეტიკეტის უკანონო გამოყენება), ღვინო „შუამთა“-ს („მთაშუა“), სასკოლო სახელმძღვანელოების (ქსეროქსზე გადაღებული წიგნების

93 საქართველოს კონსტიტუცია, გამომცემლობა „რაიზი“, თბ., 2003, გვ. 11.

რეალიზაცია და თანხმობის გარეშე სასკოლო რეეულების გარეკანზე ცნობილ ადამიანთა სურათების დაბეჭდვა) და სხვა)], კონკურენციის შეზღუდვის (,,თბილისის საერთაშორისო აეროპორტის" ტერიტორიაზე თავისუფალი სავაჭრო ზონის („დუტი-ფრი"), ცემენტის, მინერალური წყლების, ავიაციის, დაზღვევის და სხვა), დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების (სარკინიგზო გადაზიდვების, კოსმეტიკური ფანქრების, ტელეკომუნიკაციის, ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის და სხვა) და სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მიღებული კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილებების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით (სასკოლო სახელმძღვანელოების რეალიზაციის ექსკლუზიური უფლების მინიჭება (განათლების სამინისტრო), დედაქალაქის ნორჩ ტურისტთა ერთ-ერთი სადგურისათვის ექსკლუზიური უფლების მინიჭება (განათლების სამინისტრო), ნავთის რეალიზაციის ბაზარზე ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტისათვის ექსკლუზიური უფლების მინიჭება (ერთ-ერთი რაიონული გამგეობა), საავიაციო მომსახურების (საჰაერო ტრანსპორტის ადმინისტრაცია, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო), მინერალური წყლების (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო) და სხვა ბაზრებზე, ასევე წყლის დიფერენცირებული ტარიფის დაწესების კუთხით. ამავე პერიოდში მომზადებულ იქნა საქართველოს რკინიგზის დემონოპოლიზაციის პროგრამა, რომლის რეალი'ზაცია გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.[94]

გარდა ამისა, 2001 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო და სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 2002 წლის ბოლომდე გრძელდებოდა კონკრეტული სასაქონლო ბაზრების კვლევა ამ ბაზრებზე არსებული კონკურენციული გარემოს შეფასების კუთხით. სასაქონლო ბაზრების კვლევის საფუძველზე მოხდა პირველი მონოპოლისტი ეკონომიკური აგენტების გამოვლენა. გამოვლენილი მონოპოლისტი ეკონომიკური აგენტები დადგენილი პროცედურის დაცვით

94 უფრო ღეტალურად სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის პრაქ'იკული რეალი'ზაციის შედეგები იხილეთ ნაშრომის 7.1 ნაწილში;

შეყვანილ იქნენ მონოპოლისტ საწარმოთა სახელმწიფო რეესტრში. 2001 წლის შემოდგომაზე გამოვლენილ იქნა ცხრა მონოპოლისტი ეკონომიკური აგენტი. კერძოდ ესენი იყვნენ: 1) ს/ს „რუსთავცემენტი“ (ცემენტის ბაზარი); 2) შპს „აჩი“ (ასანთის ბაზარი); 3) „სოტობი ენტერპრეიზ ლიმიტედი“-ს წარმომადგენლობა (ბანანის ბაზარი), 4) შპს „აგროტექნიკი“ (ბანანის ბაზარი); 5) ს/ს „საქართველოს შუშისა და მინერალური წყლების კომპანია“ (მინერალური წყლების ბაზარი); 6) შპს „ბათუმის ოილ ტერმინალი“ (მაზუთის ბაზარი); 7) ს/ს „ყაზბეგი“ (ლუდის ბაზარი); 8) შპს „ლომი“ (შაქრის ბაზარი); 9) „საწვავით მომსახურეობის კომპანიის“ წარმომადგენლობა (ნავთის ბაზარი). მონოპოლისტად გამოცხადებული ეკონომიკური აგენტები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შეყვანილ იყვნენ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრში[95].

მოგვიანებით კიდევ სამჯერ (ჯამში სულ ოთხჯერ) მოხდა მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების გამოვლენა. მათ შორის, უკანასკნელად რეესტრის დაზუსტება სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა განახორციელა 2002 წლის წლიური მონაცემების საფუძველზე, რომელიც გამოქვეყნდა 2003 წლის 27 ოქტომბრის (№43) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ში (იხილეთ დანართი 124).

თავის მხრივ, მონოპოლისტ საწარმოთა სახელმწიფო რეესტრში შეყვანილ ეკონომიკურ აგენტთა 2/3-ზე მეტი სხვადასხვა დროს აწარმოებდნენ სასამართლო დავებს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის წინააღმდეგ ერთადერთი მიზნით, რამენაირად გასულიყვნენ საკონკურენციო სამართლის მოქმედების არეალიდან.

ამავე პერიოდში შეინიშნებოდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის გააქტიურება მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების კუთხით. ესაა პერიოდი, როდესაც სამსახურმა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ (განსაკუთრებით დსთ-ს ბაზარზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სამარკო პროდუქციის სასაქონლო ნიშნის (მინერალურ წყალ „ბორჯომი“, ღვინოები „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“) დაცვის საქმეში; გამოვლინდა და აღიკვეთა

95 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №245 (3986), 5 ოქტომბერი, 2001 წელი.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და მომხმარებელთა ინტერესების შელახვის ათეულობით ფაქტი. გარდა ამისა, კონკურენციის შეზღუდვის აღკვეთისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის კუთხით მოგებულ იქნა რამოდენიმე ხმაურიანი სასამართლო დავა, მათ შორის, სასამართლო პროცესები დეპარტამენტ „სამტრესტი“-სა (უზენაეს სასამართლოში) და ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (რაიონულ სასამართლო'ში) წინააღმდეგ.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამშრომლობა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან და უცხოეთის ანალოგიურ სტრუქტურებთან (იხილეთ ნაშრომის მეოთხე ნაწილი), რომლებიც თავის მხრივ, დადებითად იყენენ განწყობილნი ანტიმონოპოლიური სამსახურის მიმართ (დადებითად აფასებდნენ სამსახურის მიერ გაწეულ მუშაობას).

აღნიშნულის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა, საკმაოდ მაღალ დონე'ზე იქნა შეფასებული ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 1999 წლის ანგარიშში, რომელიც ეხება პოსტკომუნისტურ ქვეყნებ'ში კონკურენციის პოლიტიკის მიმდინარეობის საკითხებს[96].

<u>მესამე ეტაპი (2002 წლის მეორე ნახევარი – 2004 წლის ოქტომბერი)</u>. ეს პერიოდი იწყება „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით (13.09.02წ.) და მას შეიძლება თამამად ვუწოდოთ ერთიანი ცენტრალიზებული კონკურენციული პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმების ვიწრო დარგობრივ ჭრილ'ში დანაწევრების (გადანაწილების) ეტაპის დასაწყისი. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ის ცარიელ ნიადაგზე არ წარმოშობილა. კერძოდ, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ქვეყანა'ში ეტაპობრივად მწიფდებოდა ნიადაგი, რათა ინფრასტრუქტურის დარგის საწარმოთა ანტიკონკურენციულ ქმედებებზე ზედამხედველობის საკითხი გასულიყო ქვეყნის

96 საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის 1999 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, თბ., 2000, დანართი №1, გვ. 66-69.

კონკურენციის დაცვის მთავარი (ძირითადი) ორგანოს, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის კომპეტენციიდან. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს იმ პერიოდში ინფრასტრუქტურის სფეროებში მიღებული კონკრეტული კანონები. კერძოდ, 1999 წლის 23 ივლისს მიღებულ იქნა „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონი (მუხლი 20, პუნქტი 5, ქვეპუნქტი „კ“), ხოლო 2001 წლის 20 ივლისს კი „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ“ საქართველოს კანონი (მუხლი 9, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „დ“), რომელთა თანახმად, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და ტრანსპორტის ადმინისტრაციების ფუნქციებად განისაზღვრა მათ სფეროებში „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული ნორმების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი. მიუხედავად საკანონმდებლო ბაზაში არსებული ასეთი ჩანაწერებისა, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური მაინც ცდილობდა მიეღწია ერთიანი კონკურენციული პოლიტიკის გატარებისათვის ქვეყანაში, რისთვისაც ხშირ შემთხვევებში სასამართლოს მეშვეობით ახდენდა ჩარევას კონკრეტული ანტიკონკურენციული ქმედებებისა და მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების აღმოსაფხვრელად. ეს ცხადია არ განაპირობებდა შესაბამისი დარგობრივი მარეგულირებელი ორგანოების კეთილგანწყობას.

შესაბამისად, „დღის წესრიგში დადგა“ ისეთი ნორმის მიღების აუცილებლობა, რაც გამორიცხავდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ყოველგვარ (პირდაპირ-რეგულირების გზით, არაპირდაპირ-საჩივრის საფუძველზე) ჩარევას ამ დარგებში. ამ მიზნით და ერთიანი კონკურენციული პოლიტიკის საზიანოდ, მოხდა, „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება, რომლის პარალელურად (21.06.02წ. №1553-IIს) „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი, რითაც სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ზე-

დამხედველობის არეალიდან მთლიანად იქნენ გამოყვანილი ის სფეროები, სადაც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები არსებობდნენ (ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, კომუნიკაციების ეროვნული კომისია და ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო, რომელსაც მოგვიანებით ტრანსპორტის სფეროს მარეგულირებელი ინსტიტუტიც დაემატა, თუმცა დროებით).[97]

ამავე პერიოდში, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან (დაინტერესებულ მხარესთან) შეთანხმების გარეშე, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინიციატივით შეტანილ იქნა ცვლილება „სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში (2002 წლის 25 დეკემბერი №1851-რს), რომლის ძალითაც სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის მიუწვდომელი გახდა პირველადი მონაცემები ეკონომიკური აგენტების სამეწარმეო საქმიანობის შესახებ (პროდუქციის წარმოების მოცულობა). აღნიშნული ინფორმაციის გარეშე კი ანტიმონოპოლიური სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას აღესრულებინა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ისეთი ამოცანა, როგორიცაა „კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენის მიზნით სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ანალიზი“ (მუხლი 20, „ვ“-პუნქტი). ანალოგიური შინაარსის ცვლილება იქნა შეტანილი საბაჟო კოდექსშიც, რამაც ფაქტიურად შეუძლებელი გახადა (2003 წლის იანვრიდან) სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობა, როგორც ქვეყნის სასაქონლო ბაზრების ანალიზის, ასევე მონოპოლისტ საწარმოთა სახელმწიფო რეესტრის გადახედვის კუთხით (მოქმედი კანონმდებლობა კი წელიწადში ერთხელ ავალდებულებდა სამსახურს რეესტრის გადახედვას).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობა 2003 წლიდან გარკვეული შეფერხებებით მიმდინარეობდა, რაც ძირითადში გამოწვეული იყო ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით. შესაბამისად, ძირითადი აქცენტი გადატანილი

97 უფრო დეტალურად იხილეთ ნაშრომის 7.2 ნაწილი.

იყო სარეკლამო საქმიანობის რეგულირებასა (გარე რეკლამის კონტროლი) და მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე (კვების პროდუქტებზე, საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე, კოსმეტიკურ ნაწარმსა და ფარმაცევტულ პროდუქციაზე ქართულენოვანი ნიშანდების საკითხები), თუმცა, ამ მიმართულებითაც იყო გარკვეული ხელისშემშლელი ფაქტორები (მოულოდნელი (გაუფრთხილებელი) შემოწმების ჩატარების გამორიცხვა), ამიტომ, ამ პერიოდში ქვეყანაში კონკურენციული პოლიტიკის რეალიზაცია ძირითადში ხორციელდებოდა კონკრეტული საჩივრების საფუძველზე, რომელთა უმეტესობის გადამისამართება, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, ხდებოდა შესაბამისი დარგის მარეგულირებელ კომისიებზე.

<u>მეოთხე ეტაპი (იწყება 2004 წლის დეკემბერიდან და გრძელდება დღემდე)</u>. „ესაა პერიოდი, როდესაც საქართველოში მოქმედ საკონკურენციო სამართალში („მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" და „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონებსა და 40-მდე მათ ქვემდებარე აქტებში) ცვლილებების განუხორციელებლად, მოხდა ქვეყნის მთავარი კონკურენციული ორგანოს რიცხოვნების რადიკალური შემცირება (1.12.04 წ.), რითაც ფაქტიურად უარი ეთქვა 1992 წლიდან მიმდინარე საკონკურენციო პოლიტიკას და დაიწყო ინტენსიური მუშაობა ახალ განსხვავებულ ხედვაზე დაფუძნებულ საკონკურენციო სამართლის ჩამოსაყალიბებლად. მისი ფორმირება ფაქტობრივად დასრულდა 2005 წლის 3 ივნისს „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებით. ამ კანონმა გააუქმა ქვეყანაში მანამდე მოქმედი ყველა საკონკურენციო სამართლის ნორმა შესაბამის ინსტიტუტთან ერთად და დასაბამი მისცა ახალ, ევროპის, ამერიკისა და ევროკავშირის კანონმდებლობებისაგან განსხვავებულ ხედვას საკონკურენციო სამართლის პრინციპების გააზრებაში, რომლის დადებით და უარყოფით მხარეებზე მსჯელობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც აღნიშნული კანონის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგები იქნება დანახული და გაანალიზებული"[98].

98 ს. ფეტელავა, კონკურენციის პოლიტიკის ფორმირების ეტაპები საქართველოში (1992-2005 წწ.), ჟურნალი „ეკონომიკა", №3, თბ., 2006, გვ. 5-10.

6. საქართველოს ანტიმონოპოლიური (კონკურენციის) კანონმდებლობა და შესაბამისი აღმასრულებელი ინსტიტუტები

რამდენადაც, კონკურენციის (ანტიტრესტული, ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობა ესაა ქვეყნის ეკონომიკური სისტემის კონსტიტუცია, მისი მიღების აუცილებლობა აღიარებულია მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის მიერ, როგორც თავისუფალი ვაჭრობისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი. როგორც მკვლევარი მ. ზალესკაია თავის ნაშრომში „ანტიმონოპოლიური რეგულირება საზღვარგარეთის ქვეყნებში" აღნიშნავს, კონკურენციის კანონმდებლობის წარმოშობა განპირობებულია ეკონომიკაზე მონოპოლიების დამანგრეველი ზემოქმედების და საშუალო და მცირე მეწარმეების მიერ მსხვილი კაპიტალის დიქტატით უკმაყოფილების შედეგად[99].

ამასთან, ცნობილი მეცნიერი ფ. ჰაიეკი თავის წიგნში „ინდივიდუალიზმი და ეკონომიკური წესრიგი" ხაზს უსვამს, რომ „ . . . გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სახელმწიფო მოწყობა უკვე არსებობს . . . და კონკურენციის პროცესი მიმდინარეობს უკვე არსებულ სისტემაში. რეალურ სახელმწიფო'ში სრულყოფილი კონკურენციის მოდელი ოდესმე, რომ არსებულიყო, არ წარმოიქმნებოდა არავითარი შეზღუდვები საქმიანობის არც ერთ სფეროში. მაგრამ ეს ფაქტიურად შეუძლებელია, რადგან სახელმწიფოებრივი შეზღუდვები სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს"[100].

თავის მხრივ, სადაოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ „ . . . კონკურენციის პოლიტიკისა და რეგულირების სფეროში მიღებული სამართლებრივი ნორმები ემსახურებიან მონოპოლიათა ძალაუფლებისაგან საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, რომლის მიღწევის საქმეში, კონკურენცის კანონმდებლობა და რეგულირება ასრულებს მთავრობის ძირითადი ინსტრუმენტის ფუნქციას. თუმცა, აქვე ხაზი უნდა

---

99 Залесская М., Антимонопольное регулирование в зарубежных странах. М., 1991. с. 4;

100 Hayek F., „Individualism and Economic order, Chicago", Univ. of Cnicago Press., 1948, p. 92-96.

გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს ინსტრუმენტები განსხვავდებიან ხასიათისა და ზემოქმედების ზომების მიხედვით. შესაბამისად, კანონმდებლობა კონკურენციის სფეროში და რეგულირება არ წარმოადგენენ სინონიმურ ცნებებს. უფრო მეტიც, შეიძლება გამოიყოს (არსებობს) კონკურენციის კანონმდებლობის (პოლიტიკის) და რეგულირების პრობლემების შესაძლო შეთანხმებულობის ოთხი ვარიანტი:

1. <u>რეგულირება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონკურენციის პოლიტიკას</u>. კერძოდ, მან შეიძლება პირდაპირ წაახალისოს ან ხელი შეუწყოს ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც პრინციპში ეწინააღმდეგებიან კონკურენციის პოლიტიკას. მაგალითად, დადგენილი რეგულირების ჩარჩოებში ნორმებმა შეიძლება დაუშვან ფასების კოორდინაცია, ხელი შეუშალონ რეკლამის გავრცელებას ან მოითხოვონ ბაზრების ტერიტორიული დაყოფა. აქვე, სხვა მაგალითის სახით შეიძლება მოტანილ იქნას თვითღირებულებაზე დაბალი ფასებით პროდუქციის რეალიზაციის კანონები, რომლებიც, თავის მხრივ, მოწოდებული არიან წაახალისონ კონკურენცია.

2. <u>რეგულირებას შეუძლია შეცვალოს კონკურენციის პოლიტიკა</u>. კერძოდ, ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების პირობებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფასების დადგენით („ფასების ჭერი“) მონოპოლისტის საბაზრო გავლენაზე პირდაპირი კონტროლის დაწესების მცდელობას. ამასთან, არაა გამორიცხული თანამედროვე ტექნოლოგიურმა და ინდუსტრიულმა ცვლილებებმა გამოიწვიონ ამ საკითხის გადახედვა რეგულირების მიმართულების სასარგებლოდ. შესაბამისად, მოსალოდნელია წინ იქნეს წამოწეული თეზისი, რომლის თანახმად კონკურენციის სფეროში არსებულ პოლიტიკას და მისი გატარებით დაკავებულ ორგანოებს არ შესწევთ ძალა ეფექტიანად განახორციელონ მონოპოლიური საქმიანობისა და საბაზრო გავლენის აღკვეთა.

3. <u>რეგულირებას შეუძლია მოახდინოს კონკურენციის პოლიტიკის (კონკურენციის კანონმდებლობით განსაზღვრული ამოცანების) კოპირება.</u> კერძოდ, როგორც რეგულირებას და შესაბამი მარეგულირებელ ორგანოებს, ასევე კონკურენციის პოლიტიკასა და მისი რეალიზაციის ინსტიტუტებს შეუძლიათ (ძალუძთ) თავიდან აიცილონ ამა თუ იმ დარგის მაკოორდინირებელი მოქმედება და დომინი-

რებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. მაგალითად, რეგულირების ჩარჩოებში შეიძლება დადგინდეს კეთილსინდისიერი კონკურენციის სტანდარტები ან ვაჭრობის ისეთი წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანსაღი კონკურენციის საფუძვლებს. ამასთან, სხვადასხვა მარეგულირებელ ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა სტანდარტები, ხოლო ცვლილებებს ან განსხვავებებს რეგულირებადი ორგანოების პრაქტიკაში შეუძლიათ ფაქტობრივად ერთნაირი პოლიტიკის პირობებში განსხვავებული შედეგების მიღება.

4. <u>რეგულირების სისტემას შეუძლია გამოიყენოს კონკურენციის საკითხებით დაკავებული ორგანოს მეთოდები</u>. კერძოდ, რეგულირების მიზნების მიღწევის ინსტრუმენტარი შეიძლება შემუშავდეს ისეთი გზით, რომ სრულად იქნეს გამოყენებული საბაზრო სტიმული და კონკურენციის დინამიკა. არაა გამორიცხული, რომ საჭირო გახდეს მოქმედებათა კოორდინაცია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ ინსტრუმენტებმა სათანადოდ იმოქმედონ კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნების კონტექსში"[101].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა წარმოადგენს მონოპოლიზმისა და კონკურენციის პროცესებზე ზემოქმედების მოხდენის უმნიშვნელოვანეს ბერკეტს, რომლის მიღებით საქართველომ არჩევანი გააკეთა დასავლეთის ფასეულობების (სამართლებრივი გამოცდილების გზის) სასარგებლოდ, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. შესაბამისად, ქვეყანაში ამ გზის არჩევით დაიწყო ეკონომიკის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დემონტაჟი და საბაზრო ეკონომიკის რელსებზე მისი გადასვლის პროცესი, რასაც საფუძველი, როგორც უკვე ზემოთ (არაერთხელ) გავუსვით ხაზი, გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ჩაეყარა.

ამასთან, მართალია საქართველოში კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბება დაიწყო 1992 წლიდან, მაგრამ რამდენადაც კონსტიტუციურ საფუძვლებზე დაყრდნობით საკონკურენციო სამართლის ფორმირების პროცესი დაიწყო

---

101 ТИПОВОЙ ЗАКОН О КОНКУРЕНЦИИ, Серия документов ЮНКТАД по проблематике законодательства и политики в области конкуренции, ООН, ЖЕНЕВА, 2003, с. 27.

1996 წლიდან, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის მიღებით, ჩვენს მიერ, წინამდებარე ნაშრომის ამ ნაწილში განხილული იქნება საკონკურენციო სამართლის ის ნორმები და ინსტიტუტები, რომლებიც საქართველოში ახალი კონსტიტუციის მიღების შემდგომი (1995 წლის 24 აგვისტო) პერიოდიდან მოქმედებენ (მოქმედებდნენ) და შესაბამისად ემსახურებიან (ემსახურებოდნენ) ქვეყანაში კონკურენციული პოლიტიკის (ანტიმონოპოლიური აზრის) ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი სრულყოფის პროცესებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ პერიოდშივე იქნა მიღებული ცალკეული დარგების (სფეროების) მარეგულირებელი ისეთი სამართლებრივი ნორმები (კანონები), სადაც ჩადებული იყო ანტიმონოპოლიური რეგულირების მექანიზმები. სწორედ, ამ მექანიზმების მეშვეობით ახდენდნენ და ახდენენ კონკურენციული (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის რეალიზაციას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკი და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიები.

ამდენად, საქართველოში ბოლო ათწლეულში მოქმედ საკონკურენციო სამართალზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად მოკლედ მიმოვიხილავთ (მოქმედების სფერო, მიზნები და ამოცანები) ქვეყანაში 1996-2007 წლებში მიღებულ ყველა ძირითად საკონკურენციო სამართლებრივ ნორმას, მათ აღსრულებაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებთან ერთად, სადაც ცხადია, უფრო მეტი ყურადღება ექნება დათმობილი – „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონებს (ჩარჩო კანონები) და მათ აღმასრულებელ ინსტიტუტებს (ნაშრომის მეშვიდე ნაწილი), საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს.

6.1 ანტიმონოპოლიური (კონკურენციული) რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები (ჩარჩო კანონმდებლობა)

აქსიომაა ის, რომ საქართველოში 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციით განისაზღვრა ქვეყნის (სახელმწიფოს) როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური მოწყობის მექანიზმები. კონსტიტუციით გაცხადებული პრინციპების თანახმად, საქართველო არის დასავლეთის ფასეულობათა გამზიარებელი, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყანა, რომელსაც აღებული აქვს ვალდებულება ხელი შეუწყოს თავისუფალ მეწარმეობასა და კონკურენციის განვითარებას და არ დაუშვას ქვეყანაში მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთან, სახელმწიფო არის გარანტი და ხელშემწყობი იმისა, რომ ქვეყანაში მაქსიმალურად იქნეს დაცული მომხმარებელთა უფლებები.

სწორედ, კონსტიტუციური პრინციპების სრულყოფილად რეალიზების მიზნით, დაიწყო საქართველოში საკონკურენციო სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა პროფესორმა ვ.პაპავამ, მინისტრის მოადგილემ გ.ჩარკვიანმა, ამავე სამინისტროს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარი სამმართველოს უფროსმა ვ.მაისურაძემ და მათი ხელმძღვანელობით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის წევრებმა – ს.ფეტელავამ (კონკურენციის განვითარების სამმართველოს უფროსი), ლ. რობაქიძემ (კონკურენციის განვითარების სამმართველოს უფროსის მოადგილე), ე.მ.კ. ქ.ლაფაჩმა (ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარი საამართველოს უფროსის მოადგილე) და ე.მ.კ. შ.გოგიაშვილმა (ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე). შესაბამისად, ამ საინიციატივო ჯგუფის მიერ იქნა მომზადებული „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონპროექტი, რომელზეც საექსპერტო (დადებითი) დასკვნა მიღებულ იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან[102].

საბოლოოდ, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს

102 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასა;

მიერ შემუშავებული საკონკურენციო სამართლის პროექტი იქნა განხილული და მიღებული ქვეყნის პარლამენტის მიერ საკომიტეტო მოსმენებსა და პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წელს მიღებული საკონკურენციო სამართლით, ქვეყანაში 2005 წლამდე (2005 წლის 3 ივნისამდელ პერიოდში) რეალიზებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკა მოიცავდა – კონკურენციის (ანტიმონოპოლიური რეგულირების), მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის სფეროებს. შესაბამისად, საქართველოში რეალიზებულ (სარეალიზაციო) კონკურენციულ პოლიტიკაზე სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად, აუცილებელია, მოკლედ იქნეს მიმოხილული, ის ძირითადი საკანონმდებლო ბაზა (ჩარჩო კანონმდებლობა), რითაც რეგულირდებოდა (რეგულირდება) ქვეყანაში კონკურენციის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, სარეკლამო საქმიანობის და ფასწარმოქმნის პროცესები.

◆ <u>„მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“</u> საქართველოს კანონი[103] (ძირითადი ჩარჩო კანონი) რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 25 ივნისს ემსახურებოდა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობას, კონკურენციული გარემოს შექმნისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრიეი ბაზის შექმნასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას (მუხლი 1, პუნქტი 1). კანონითვე იყო განსაზღვრული ეკონომიკური აგენტების პასუხისმგებლობა მათ მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და სხვა ქმედებისათვის, რასაც შეეძლო გამოეწვია კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა ბაზარზე (მუხლი 1, პუნქტი 2).

კანონი ასევე ვრცელდებოდა იმ ურთიერთობებზე, რომლებიც ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე გავლენას ახდენდნენ კონკურენციაზე და რომლებშიც მონაწილეობდნენ იურიდიული და ფიზიკური (მათ შორის უცხოელი) პირები, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები: სამინისტროები, სხვა სახელმწიფო უწყებები და დაწესებუ-

---

103 „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი მის ქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან ერთად გაუქმდა 2005 წლის 12 იელისს.

ლებები, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. კანონი აგრეთვე ითვალისწინებდა კონკურენციული წესების ექსტერიტორიალურ გამოყენებას (მუხლი 4, პუნქტი 1), ხოლო მისგან გამონაკლისების დაშვების უფლება ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ჰქონდა მხოლოდ საქართველოს პარლამენტს (მუხლი 5, პუნქტი 2).

კანონი შეიცავდა თავებს კონკურენციის შეზღუდვისა (თავი III) და მონოპოლიური მდგომარეობის (თავი IV) შესახებ, რომლებიც მართალია ბოლომდე არ შეესაბამებოდნენ განვითარებული ქვეყნების საკონკურენციო სამართლის ნორმებს, მაგრამ მათ მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ ქვეყანაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის, ასევე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მხრიდან მათი გაბატონებული (მონოპოლიური) მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის საქმეში.

კანონის გავრცელების სფეროდან გამოსული იყო საავტორო და გამომგონებელთა უფლებებთან, სავაჭრო ნიშნებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებული ურთიერთობები (მუხლი 5, პუნქტი 1), ხოლო რაც შეეხება ფასიანი ქაღალდებისა და საფინანსო მომსახურების ბაზრებზე მონოპოლიურ მდგომარეობასა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ისინი რეგულირდებოდნენ 'შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით, გარდა იმ 'შემთხვევებისა, როდესაც ეს ურთიერთობები გავლენას ახდენდნენ ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე არსებულ კონკურენციაზე (მუხლი 6). ამასთან, მოგვიანებით სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ზედამხედველობის არეალიდან გამოყვანილ იქნენ ის სფეროები, სადაც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიები არსებობდნენ (მუხლი 5, პუნქტი 3).

კანონის მე-5 თავის შესაბამისად, მისი შესრულებისადმი ზედამხედველობისა და სახელმწიფო კონტროლის ფუნქცია ეკისრა <u>საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს</u> (უფრო დეტალურად იხილეთ ნაშრომის 7.1 ნაწილი), ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სხვა ტერიტორიულ ერთეულებში – ამ კანონით

უფლებამოსილ ანტიმონოპოლიურ ორგანოებს (მუხლი 3). ამასთან, კანონი საზღვრავდა საქმიანობის იმ ძირითად მიმართულებებს, უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც კონკურენციის მთავარი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა, ისევე როგორც სამსახურის უფროსის დანიშვნისა და განთავისუფლების საკითხებს.

კანონი ითვალისწინებდა ასევე, ქვეყანაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარების მიზნით, ანტიმონოპოლიურ სამსახურთან 5 წლის ვადით ანტიმონოპოლიური საბჭოს შექმნას, საბჭოს თავმჯდომარისა (იგივე ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი) და 10 წევრის შემადგენლობით (მუხლი 17).

თავის მხრივ, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლისა და საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბების (1997 წლის 14 მარტი) შემდეგ, უცხოელ ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიღებულ იქნა რიგი ქვემდებარე ნორმატიული აქტები, როლებმაც შეავსეს და სრულყვეს ქვეყნის საკონკურენციო სამართალი. კერძოდ,

1) 1998 წლის 22 თებერვალს მიღებულ იქნა „<u>ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების შესახებ</u>" – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №95, რომლითაც დამტკიცებულ იქნა – ა) „ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ" და ბ) „ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების რეგულირებისა და დანახარჯების კონტროლის შესახებ" დებულებები.

ა) „<u>ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ</u>" დებულების მიზანს წარმოადგენდა ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების საქმიანობის რეგულირების მიზნით მათი ჩამონათვალის ფორმირება, რასაც უნდა უზრუნველეყო როგორც ეკონომიკური აგენტებისა და მომხმარებელთა კანონიერი უფლებების დაცვა, ასევე ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების ეფექტიანი ფუნქციონირება და განვითარება.

„ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფო რეესტრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 20 მაისის №334, 1997 წლის 20 აპრილის №206 და 1997 წლის 6 ნოემბრის №631 ბრძანებულებების თანახმად ბუნებრივ

მონოპოლიებს განეკუთვნებოდნენ: 1) საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროდან – ა) სახელმწიფო საფოსტო კავშირით მომსახურება; ბ) სიხშირეთა სპექტრის განაწილება; 2) საქართველოს სარკინიგზო დეპარტამენტიდან – სარკინიგზო ხაზი; 3) ს/ს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციიდან" – საქართველოს ტერიტორიაზე მაგისტრალური მილსადენით ბუნებრივი გაზის შემოტანა და ტრანზიტი; 4) სახელმწიფო კომპანია „საქენერგოდან" – მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი სისტემა; 5) სახელმწიფო საწარმო „საქაერონავიგაციიდან" –„საჰაერო სივრცის გამოყენების სამარშრუტო და სადისპეტჩერო უზრუნველყოფა", რომელიც გასული საუკუნის ბოლოს შეიცვალა შემდეგი სახით – „საჰაერო მოძრაობის სადისპეტჩერო მომსახურება მარშრუტზე" (9.10.99 წ. №583); 6) საქართველოს საზღვაო სანაოსნო დეპარტამენტიდან – ა) ფოთის საზღვაო ნავსადგური; ბ) ბათუმის საზღვაო ნავსადგური; გ) სოხუმის საზღვაო ნავსადგური (მუხლი 5). მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 ივნისის №235 ბრძანებულებით ბუნებრივ მონოპოლიათა სუბიექტების სახელმწიფო რეესტრში შეყვანილ იქნა – სააეროდრო სადისპეტჩერო მომსახურება და ქ. თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს რაიონების (ქალაქების) წყალმომარაგების საწარმოები (წყალკანალები) (9.10.99 წ. №583; 15.06.01 წ. №235);

ბუნებრივ მონოპოლიათა სფეროებში ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების (კერძოდ, ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტებისა და მომხმარებელთა ინტერესების ბალანსის უზრუნველყოფის) მიზნით, ანტიმონოპოლიური სამსახური ახორციელებდა სახელმწიფო კონტროლს ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების მიერ ან მათი მონაწილეობით განხორციელებულ ქმედებებზე, რომლებსაც შეიძლება გამოეწვიათ მათ მიერ წარმოებული საქონლის (სამუშაოს მომსახურების) მომხმარებელთა ინტერესების შელახვა (მუხლი 17). ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანტიმონოპოლიური სამსახური იყენებდა რეგულირებისა და კონტროლის შემდეგ მექანიზმებს: ა) ადგენდა და აზუსტებდა რეესტრს; ბ) აანალიზებდა ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობას; გ) დადგენილი წესით თავის კომპეტენციის

ფარგლებში იღებდა გადაწყვეტილებებს ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების მონოპოლიურად მაღალი მოგების რეგულირების შესახებ (თვითღირებულების, წარმოების მოცულობისა და ინფლაციის დონის ცვლილებების გათვალისწინებით); დ) ამოწმებდა დანახარჯების ფაქტობრივ შემადგენლობას და მოგების ნორმას; ე) აქვლენდა სასაქონლო ბაზრებზე შესაძლო არაკეთილსინდისიერ ქმედებებს (მუხლი 18); ანტიმონოპოლიურ სამსახურს ჰქონდა უფლება ასევე გამოეყენებინა კონტროლისა და რეგულირების ისეთი მეთოდი როგორიცაა – ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების საქმიანობის სტრუქტურული კონტროლი. ასევე ეწარმოებინა ფასების რეგულირება, ფასების (ტარიფების) ან მათი ზღვრული დონეების, აგრეთვე რენტაბელობის ზღვრული დონის დაწესებით.

სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ჰქონდა უფლება ბუნებრივ მონოპოლიათა რეესტრში შეყვანილი ეკონომიკური აგენტის საქმიანობის რეგულირება და კონტროლი განეხორციელებინა, არა მხოლოდ რეესტრის დაზუსტებისა და გეგმიური შემოწმების პროცესში, არამედ, კონკრეტული საჩივრის საფუძველზეც. ამასთან, ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებული ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილებები სავალდებულო ხასიათის იყო და მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში სამსახურს შეეძლო გაეტარებინა ადმინისტრაციული ზომები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში (დაჯარიმება, ზემდგომ ინსტანციაში საკითხის დასმა და სხვა).

რაც შეეხება, ბ) <u>„ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების რეგულირებისა და დანახარჯების კონტროლის შესახებ</u>“ დებულებას, ის შემუშავებულ იქნა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და „ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად და განსაზღვრავდა ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების საქმიანობის რეგულირებისა და დანახარჯების კონტროლის წესს. შესაბამისად მის მიზანს წარმოადგენდა – ფასებისა და ტარიფების ინდივიდუალურ რეგულირებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ბუნებრივი მონოპოლიების

სუბიექტების დანახარჯებისა და ფასების რეგულირებისა და კონტროლის მეთოდების განსაზღვრა და სამეურნეო სტრუქტურების დემონოპოლიზებისათვის ეკონომიკურად დასაბუთებული წინადადებების შემუშავება (მუხლი 2).

აღნიშნული დებულება, ავსებდა რა ქვეყნის საკონკურენციო სამართალს, ანტიმონოპოლიურ სამსახურს ანიჭებდა უფლებას სათანადო ანალიზის საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების საქმიანობის ფასებით (ტარიფით) რეგულირების შესახებ. კერძოდ, სამსახურს ჰქონდა უფლება დადგენილი წესით განეხორციელებინა კონტროლი ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების მიერ ფასწარმოქმნის რეგულირების შესახებ გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირობებისა და ბაზარზე მოქმედების წესების დაცვისადმი, ისევე როგორც, პროდუქციის თვითღირებულებაში შესატანი დანახარჯების შემადგენლობის შესახებ დებულებების დაცვისადმი და ფასებში (ტარიფებში) გათვალისწინებული მოგების ნორმის დასაბუთებულობისადმი. სამსახურს ჰქონდა ასევე უფლება გაეკონტროლირებინა ისეთი ეკონომიკური აგენტების წარმოქმნის პროცესი, რომლებსაც ფაქტიურად უნდა მოეხდინათ ბუნებრივი მონოპოლიების ძირითადი საქმიანობის დუბლირება (მუხლი 7).

ამასთან, ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტებს ეკრძალებოდათ თავისი ძირითადი ფონდების იმ ნაწილის გაყიდვა, იჯარით ან სხვა წესით გადაცემა, რომელიც გათვალისწინებული იყო რეგულირებას დაქვემდებარებული პროდუქციის (მომსახურების) წარმოებისათვის (რეალიზაციისათვის). ასევე, აკრძალული იყო სახსრების დაბანდება (მათ შორის კაპიტალური მშენებლობის გზით, სამეურნეო ამხანაგობების დაარსებით სხვა მეურნე სუბიექტებთან ხელშეკრულებებით) იმ საქონლის წარმოება-ში (რეალიზაციაში), რომელთა მიმართაც არ გამოიყენებოდა რეგულირება (სამწუხაროდ, როგორც ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკიდან (ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალები) ჩანს, ბუნებრივ მონოპოლიათა სუბიექტების მხრიდან არც თუ იშვიათად ჰქონია ადგილი აღნიშნული დებულებების იგნორირებას გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს).

გარდა ამისა, კანონმდებლობა ითვალისწინებდა ბუნებრი-

ვი მონოპოლიის სუბიექტის მიერ სხვა ეკონომიკური აგენტის (მისი შვილობილი საწარმოს) აქციების ან წილის (პაის) შეძენისას საჯალდებულო წესით ანტიმონოპოლიური სამსახურის საექსპერტო დასკვნის არსებობას (მუხლი 13), ხოლო ფასწარმოქმნის დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევებში გათვალისწინებული იყო ეკონომიკური სანქციების გატარება, რომლის დაკისრების საფუძველს წარმოადგენდა რეგულირებადი ფასის რეჟიმის დარღვევა (თავისუფალ ფასში პროდუქციის (მომსახურების) რეალიზაცია, როდესაც ფასი რეგულირებადია (ფიქსირებულია)). თუმცა, ფაქტია და სადაოს არ წარმოადგენს, რომ ამ უკანასკნელი სამართლებრივი ნორმის აღსრულების მექანიზმები არ იყო ბოლომდე სრულყოფილი (გააზრებული), რაც ნათლად ჩანს იმ კონკრეტული მაგალითიდან, რომელსაც 2002 წლის ბოლოსა და 2003 წლის დამდეგს ჰქონდა ადგილი დაზღვევის ბაზარზე. კერძოდ, როდესაც ერთ-ერთმა ცნობილმა სადაზღვეო კომპანიამ, ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე (მომსახურების ფასით რეგულირებადი ბაზარი), ფიქსირებულ ფასზე 90%-ით დაბალ ფასად შესთავაზა თავის მომხმარებლებს მომსახურება. ამ კონრეტულ ქმედებაზე კონკურენციული სამართლის ნორმათა მისადაგება მონოპოლიური ფასის გამოვლენის ზოგადი წესის არ არსებობის გამო ვერ მოხერხდა. თავის მხრივ, როგორც ნაშრომის მეოთხე ნაწილში აღვნიშნეთ, ასეთი წესის მიღების მცდელობა ჰქონდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს, როდესაც ფონდ „ღია საზოგადოების“ დაფინანსებითა და ანტიმონოპოლიური სამსახურის მხარდაჭერით მეცნიერთა ერთი ჯგუფის მიერ (ე.მ.კ. შ. გოგიაშვილი (ხელმძღვანელი), ე.მ.კ. გ. თუთბერიძე, ე.მ.კ. ჯ. ჯანჯღავა, ექსპერტი კონკურენციის საკითხებზე ბ. ცაავა და სხვა) 2003 წლის პირველ ნახევარში შემუშავებულ იქნა ინსტრუქცია (წესი) – „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ბარიერების (მონოპოლიური ფასების) გამოვლენა და აღკვეთა“, რომლის საჯარო განხილვასაც მოჰყვა მეწარმეთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. კერძოდ, საქართველოს ბიზნეს კონფედერაციის მიერ აღნიშნული ინსტრუქცია აღქმულ იქნა როგორც ფასების ინსპექციის ფუნქციების

დუბლირება და შესაბამისად გამოხატულ (გამოთქმულ) იქნა უარყოფითი დამოკიდებულება[104], რამაც საბოლოდ ჯამში ხელი შეუშალა (დროში გაწელა) მის საბოლოო მიღებას.

2) **„საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“** დებულების (საქართველოს პრეზიდენტის 30.09.00 წ. №426 ბრძანებულება) მიზანს წარმოადგენდა – ქვეყნის ცალკეულ სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების დადგენა, აღრიცხვა და მათი საქმიანობის კონტროლი; ასევე, მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ეკონომიკური აგენტების მიმართ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებათა განხორციელება;

რეესტრს აწარმოებდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც კონკრეტული სასაქონლო ბაზრების ანალიზის (მონიტორინგის) შედეგების საფუძველზე ახდენდა მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტების გამოვლენასა და მონოპოლისტ საწარმოთა სახელმწიფო რეესტრში მათ შეყვანას. რეესტრში შეყვანილი ეკონომიკური აგენტების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდებოდა მუდმივად, რაც გულისხმობდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის ეკონომიკური აგენტის საქმიანობის ამსახველი საერთო მაჩვენებლების სახით ანგარიშის წარდგენას. კერძოდ, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის (სსსდ) მიერ საქაროველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურთან შეთანხმებით შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმები – ფორმა №1-მონ. კვარტალური და ფორმა №1 ს-მ მონ. ნახევარწლიური (სსსდ-ს 29.01.01 წ. №17-ს ბრძანება). მოგვიანებით, მოხდა აღნიშნული ფორმების დაზუსტება და საბოლოოდ სსსდ-ს 2001 წლის 15 ნოემბრის №100-ს ბრძანებით მიღებულ იქნა – 1) ფორმა №03-VII-01 (ნახევარწლიური) მონოპოლისტ საწარმოთა საქმიანობის გამოკვლევა და 2) ფორმა №05-VII-01 (კვარტალური) მონაცემები საწარმო-მონოპოლისტის სამრეწველო

104 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა.

საქმიანობის შესახებ.

როგორც სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალებიდან ირკვევა ხშირი იყო ეკონომიკური აგენტების მხრიდან სამსახურისათვის აღნიშნული ფორმების მიწოდების შეფერხების და მასზე სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ რეაგირებების დაყოვნების (განუხორციელებლობის) ფაქტები, რამაც აიძულა ანტიმონოპოლიური სამსახური მიეღწია ამ ფორმების (ასევე, ახალი დამატებითი ფორმის – ბუნებრივ მონოპოლიათა სუბიექტების ანგარიშგების (წლიური) შესახებ) საკუთარი ნორმატიული აქტით დამტკიცებისათვის, რაც რეალურად განხორციელდა 2004 წლის დეკემბრის ბოლოს. შესაბამისად, ანტიმონოპოლიურ სამსახურს მიეცა შესაძლებლობა დადგენილი ინფორმაციის მიუღებლობის ან დაგვიანებით მიღების შემთხვევებში თვითონ მიეღო ადმინისტრაციული ზომები ურჩი მონოპოლისტი კომპანიების მიმართ.

ამ ფორმების საფუძველზე პირველწყაროდან მიღებული მონაცემები წარმოადგენდნენ ძირითად ბაზას მონოპოლისტ საწარმოთა სახელმწიფო რეესტრში შესული ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქცევაზე დაკვირვებისათვის, რასაც უნდა გამოერიცხა დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან მათი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. თუმცა, ისიც ცხადია, რომ საქართველოში 2005 წლის 3 ივნისამდე მოქმედი საკონკურენციო სამართალი, მხოლოდ, მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტის მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევის შემთხვევაში ითვალისწინებდა ზემოქმედების ისეთ ფორმებს, როგორიცაა ფიქსირებული ფასის დაწესება (რენტაბელობის ზღვრული ნორმის განსაზღვრა) ან დაწვრილერთეულება, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევებში სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური საკონკურენციო სამართლის დამრღვევ ეკონომიკურ აგენტს უგზავნიდა მიწერილობას კონკრეტული დარღვევის მითითებითა და გამოსწორების ვადების ჩვენებით და მხოლოდ მისი არ შესრულების შემთხვევაში იყენებდა ადმინისტრაციული ზემოქმედების (დაჯარიმების) ბერკეტებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყნის სასაქონლო

ბაზრებზე კონკურენციული გარემოს შეფასებისა და ამ ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების გამოვლენის სფეროში არსებული საკონკურენციო სამართლებრივი (ადმინისტრაციული) ხარვეზები შევსებულ იქნა ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მიერ 1998 წლის 3 დეკემბერს მიღებული „სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდური რეკომენდაციებით“ და სამსახურის უფროსის 2000 წლის 12 დეკემბრის ნორმატიული აქტით – „შესაბამის (კონკრეტულ) სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის შესახებ“ (ბრძანება №8/42). შესაბამისად, სამართლიანია ითქვას, რომ ამ უკანასკნელი ნორმატიული აქტის მიღებით (ამ ნორმის არ არსებობა უარყოფითად იყო შეფასებული როგორც საერთაშორისო ექსპერტების, ასევე კონტროლის პალატის რევიზორების მხრიდან) საბოლოოდ დასრულდა საქართველოში საკონკურენციო სამართლის კონსტიტუციურ საფუძვლებზე ფორმირების პირველი ეტაპი (შეიკრა წრე) და დაიწყო არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყანაში არსებული საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას და ჰარმონიზაციას. ამ პროცესში თავიდანვე აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური „GEPLAC“-ის ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტებთან ერთად.

3) <u>**„საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან არსებული ანტიმონოპოლიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ**</u>“ (23.04.98წ. №262). საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა სამსახურთან არსებული ანტიმონოპოლიური საბჭოს დებულება. საბჭო არ იყო იურიდიული პირი და მისი ძირითადი ფუნქცია იყო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე რეკომენდაციების შეთავაზება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ა) ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შემუშავება; ბ) საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შეზღუდვისა და აღკვეთისათვის საჭირო ღონის-

ძიებათა განხორციელება; გ) ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო რეგულირების ფორმების შემუშავება და ამ სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვა; დ) მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის განხორციელებისათვის საჭირო ნორმატიული აქტების შემუშავება, მათი ეფექტიანად შესრულება; ე) რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დაცვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და ა.შ. (მუხლი 6).

კანონის თანახმად საბჭოს ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი და მის წევრებს ნიშნავდა საქართველოს პრეზიდენტი. დებულების შესაბამისად საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ 1) ეკონომიკის სამინისტროს, 2) ეროვნული ბანკის, 3) კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს, 4) სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, 5) ტრანსპორტის სამინისტროს, 6) მრეწველობის სამინისტროს, 7) სტატისტიკის დეპარტამენტის, 8) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის, 9) საქართველოს კავკასიის მომხმარებელთა ფედერაციის და 10) საქართველოს მრეწველთა კავშირის წარმომადგენლები. აღნიშნული საბჭოს შემადგენლობა დამტკიცებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 ივნისის №336 განკარგულებით.

საბჭოს სხდომები უნდა გამართულიყო სამ თვეში ერთხელ. სამწუხარო, ის მხოლოდ ერთხელ 1998 წლის მეორე ნახევარში ჩატარდა და ატარებდა საბჭოს წევრთა გაცნობით ხასიათს. მას შემდეგ ანტიმონოპოლიური საბჭო არც ერთხელ არ შეკრებილა. უფრო მეტიც, საბჭოს წევრთა შემადგენლობაში არ შესულა არანაირი ცვლილება, რაც აუცილებელი იყო საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში სხვადასხვა დროს განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან (ცალკეული სამინისტროების გაუქმება) გამომდინარე, თუ საბჭოს წევრთა სხვა სამსახურში გადასვლისა და სამსახურიდან განთავისუფლების გამო.

ამდენად, ფაქტია, რომ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან არსებულ ანტიმონოპოლიურ საბჭოს მისი ჩამოყალიბების პირველივე დღიდან სამსახურის ლიკვიდაციამდე არ უმუშავია, რაც ნამდვილად არ მეტყველებს იმ პერიოდში ქვეყანაში რეალიზებული საკონკურენციო

პოლიტიკის სასარგებლოდ. ჩვენის მხრივ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული გარემოება სხვა რიგ მიზეზებთან ერთად საბოლოო ჯამში გახდა ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციის.

4) „<u>საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შემოწმების მოწყობის შესახებ</u>“ (საქართველოს პრეზიდენტის 10.01.02წ. №8 ბრძანებულება) ინსტრუქცია მიღებულ იქნა ანტიმონოპოლიური, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის შესახებ კანონმდებლობების, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსების, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მის მიზანს წარმოადგენდა – ა) საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ადმინისტრაციული და კონტროლის კომპეტენციებისა და ფარგლების განსაზღვრა ანტიმონოპოლიური, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის შესახებ კანონმდებლობების სფეროში, ბ) სამართალდარღვევათა გამოვლენა, თავიდან აცილება, აღკვეთა და ადმინისტრაციული სახდელის დადების ღონისძიებების სწორად, ორგანიზებულად და ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფა, აგრეთვე მათი ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა.

ინსტრუქციის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულო იყო ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამშრომლებისათვის, ხოლო მისი შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება იწვევდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში 2005 წლამდე მოქმედ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას თითქოს ბოლომდე სრულყოფილი სახე ჰქონდა. ამაზე მოსაზრებას ავითარებენ ვ.მაისურაძე, ქ.ლაფაჩი, შ.გოგიაშვილი, ს.ფეტელავა და გ.მელაძე (სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ყოფილი უფროსი და მისი მოადგილეები) ნაშრომში – „კრებული საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისათვის“, სადაც წერენ, რომ „ . . . ბოლო წლებში გატარებული სამართლებრივი რეფორმების შედეგად კონკურენტული პოლიტიკის,

ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში პრაქტიკულად არ არის საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ვაკუუმი . . . ."[105], რასაც დღევანდელი გადასახედიდან ბოლომდე ვერ გავიზიარებთ, შემდეგ გარემოებათა გამო. კერძოდ, თუ შევადარებთ ქართული საკონკურენციო სამართლისა (ჩარჩო კანონის, როგორც 1996 წლის, ასევე 2005 წლის რედაქცია) და ევროპული გაერთიანების სადამფუძნებელო ხელშეკრულების შესაბამის დებულებებს (31-ე. 81-ე და 82-ე მუხლები), ასევე, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იაპონიის და სხვა განვითარებული ქვეყნების ანტიმონოპოლიურ საკანონმდებლო ნორმებს და გაეროს მოდელურ კანონს კონკურენციის შესახებ, ვნახავთ, რომ განვითარებული სახელმწიფოების კონკურენციის კანონებთან შედარებით „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში (ისევე როგორც „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში) მოცემული ნორმები – ანტიკონკურენციული ქმედებების, მონოპოლიური მდგომარეობის და შერწყმების შესახებ, საკმაოდ ზედაპირული, ზოგადი და ბუნდოვანი იყო (არის).

როგორც ამას, „GEPLAC"-ის უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტები ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს აღნიშნავდნენ[106](რასაც ჩვენის მხრივ ბოლომდე ვიზიარებთ), „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი არ ითვალისწინებდა ჯგუფურ და ინდივიდუალურ გამონაკლისებს. მართალია, კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ეკონომიკურ აგენტს ეკრძალებოდა ისეთი გადაწყვეტილების მიღება, ან ისეთი ხელშეკრულების დადება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ იწვევდა კონკურენციის შეზღუდვას, თუმცა, მისი შინაარსიდან გამომდინარე გაუგებარი იყო, კონკრეტულად თუ რა სახის ურთიერთობებს აწესრი-

---

105 ვ. მაისურაძე, ქ. ლაფაჩი, შ. გოგიაშვილი, ს. ფეტელავა, გ. შელაძე, კრებული საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისათვის, საქართველოს ბიზნეს სამართლის ცენტრი, თბ., 1999, გვ. 10;

106 ა. ტუშური, ტ. ურჯუმელაშვილი, საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ – მიმოხილვა, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, ქართული სამართლის მიმოხილვა, პირველი-მეორე კვარტალი, 2000 წელი, გვ. 56-72.

გებდა ეს მუხლი. ერთის მხრივ, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ „ა“ პუნქტი აწესრიგებდა ვერტიკალურ შეთანხმებებს (მაგალითად მწარმოებლებსა და დისტრიბუტორებს შორის), მაგრამ მას (მოცემულ აკრძალვას) აზრი ჰქონდა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულებაში მონაწილე ერთ-ერთი მხარეს მონოპოლიური მდგომარეობა ეკავა; თავის მხრივ, ასეთი სახის ურთიერთობები კი მე-13 მუხლის მოქმედების სფეროში ექცეოდა (მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება). მეორის მხრივ, „გ“ პუნქტი არეგულირებდა ჰორიზონტალურ ურთიერთობებს (ე.ი. შეთანხმებას კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის), მაგრამ იგი ზედმეტად ზოგადი იყო, რადგანაც მხოლოდ იმ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს კრძალავდა, რომლებიც ურთიერთმანაცვლებად სასაქონლო ბაზრებზე ზღუდავდნენ კონკურენციას. შესაბამისად, საჭირო იყო ამ მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტების შემდგომი კონკრეტიზაცია, ხოლო რაც შეეხება „ბ“ პუნქტს, ის გარკვეულწილად ასახავდა ევროგაერთიანების ხელშეკრულების შესაბამის დებულებას (81-ე მუხლის „ე“ პუნქტი).

გარდა ამისა, საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, ქვეყანაში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით არ იკრძალებოდა ყველა ისეთი შეთანხმებული ქმედება ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომლებსაც შეიძლება გამოეწვიათ კონკურენციის შეზღუდვა. მართალია, „ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, აკრძალული იყო მეურნე სუბიექტების შეთანხმებული მოქმედება, თუკი ის კონკურენციის შეზღუდვას გამოიწვევდა, მაგრამ აღნიშნული აკრძალვა მხოლოდ ფასების განსაზღვრის პროცესზე ვრცელდებოდა. ამასთან, კანონში არაფერი იყო ნათქვამი შეზღუდული რესურსების ხელმისაწვდომობაზე და ბაზარზე ეკონომიკურ აგენტთა მაქსიმალურად თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფაზე.

თავის მხრივ ფაქტია, რომ რომ არც ერთი ხელშეკრულება და გადაწყვეტილება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას კანონის დარღვევად, თუ იგი არ ექცევა ანტიკონკურენციული შეთანხმებებისა და გადაწყვეტილებების ნუსხაში. აქედან გამომდინარე, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით არ იყო (არც ახალი საკონკუ-

რენციო სამართლებრივი ნორმითაა) აკრძალული რიგი ანტიკონკურენციული ხელშეკრულებები, გადაწყვეტილებები და შეთანხმებული ქმედებები, რომელთაც ევროგაერთიანების და ზოგადად, განვითარებული ქვეყნების კონკურენციული კანონმდებლობა არაკანონიერად მიიჩნევს. ამასთან, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებდა გამონაკლისებს ანტიკონკურენციულ ქმედებათა აკრძალვიდან (რაც გარკვეულწილად აიხსნება იმით რომ ანტიკონკურენციული შეთანხმებების და გადაწყვეტილებების ჩამონათვალი მეტად ზოგადი, ბუნდოვანი და მოკლე იყო). შესაბამისად, თუ მოცემული ხელშეკრულება შეიცავდა გარკვეულ „პროკონკურენციულ“ ასპექტებს, მაგალითად, თუ მას შედეგად მოჰყვებოდა ბაზარზე მიწოდების პირობების გაუმჯობესება, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა მომსმარებლისათვის, ან გამოიწვევდა წარმოების ზრდას, წარმოებისა და დისტრიბუციის ხარისხის გაუმჯობესებას, ან ხელს შეუწყობდა ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროგრესს, იგი მაინც ანტიკონკურენციულად და შესაბამისად, ბათილად იქნებოდა გამოცხადებული.

ასევე, არასწორი და გაუმართლებელი იყო კანონში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებათა ნუსხის ამომწურავადობა (ახალი საკონკურენციო სამართლიდან ეს მუხლი საერთოდ ამოღებულ იქნა), რადგანაც კანონის დებულებებით გათვალისწინებული ჩამონათვალის იქით, კონკურენციის შესწღუდვის სხვა ქმედებას ვერ მიეცემოდა (ვერ მიეცემა) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კვალიფიკაცია.

ამასთან, როგორც ექსპერტები მიუთითებდნენ, არ შეიძლება დადებით მომენტად ყოფილიყო მიჩნეული ის გარემოება, რომ სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს ჰქონდა კანონით მინიჭებული უფლება თვითონ განესაზღვრა (დაედგინა) შესაბამის სასაქონლო ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა ხვედრითი წილი (სამსახურის 14.12.00 წლის ნორმატიული აქტით ასეთ წილად განისაზღვრა 35%), რადგანაც ასეთ შემთხვევებში ვერ იქნებოდა გათვალისწინებული ისეთი გარემოებები, როდესაც დაბალი ხვედრითი წილის მიუხედავად ეკონომიკურ აგენტს მისი საბაზრო ძალა აძლევდა შესაძლებლობას ბოროტად გამოეყენებინა თავისი დომინირებული მდგომარეობა (ევრო-

პის, პოსტსოციალისტური და დსთ-ს ქვეყნების უმრავლესობაში – გერმანია, საბერძნეთი, ლატვია, უნგრეთი, ბულგარეთი, უკრაინა, რუსეთი, პოლონეთი და ა.შ. დომინირების პრეზუმციული ნორმა კანონითვეა განსაზღვრული. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თანამედროვე ეტაპზე დომინირებული მდგომარეობის გამოვლენის მექანიზმები ბევრად უფრო შემოქმედებით (ანალიტიკურ) მიდგომას საჭიროებს და ის არამც და არამც არ იგივდება ეკონომიკური აგენტის ხვერდით წილთან).

მართალია, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვას ითვალისწინებს ევროგაერთიანების ხელშეკრულების 82-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ითვლება ისეთი ქმედებები როგორიცაა არასამართლიანი ფასების (მონოპოლიური ფასების) დაწესება, თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა და სავაჭრო პარტნიორების დისკრიმინაცია და სხვა, მაგრამ გაუმართლებელია ანტიმონოპოლიურ რეგულირებას დაექვემდებაროს ისეთი მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების საქმიანობა, რომელთაც ასეთი მდგომარეობა დაიკავეს მხოლოდ რესურსების არსებული სივრცობრივი განაწილების გამო და რომლებიც არ ეწევიან მონოპოლიურ საქმიანობას და არც გააჩნიათ ამის პრაქტიკული შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, ამ საკითხებთან დაკავშირებით აუცილებელი იყო შემოქმედებითი და დიფერენცირებული მიდგომა სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

ასევე, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დიდ ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ მასში არ იყო განსაზღვრული „შესაბამისი ბაზრის“, „გეოგრაფიული ბაზრის“ ცნებების განმარტებები (აღნიშნული სამწუხაროდ არც ახალ კანონში იქნა გათვალისწინებული). ამასთან, დაზუსტებას საჭიროებდა „ეკონომიკური აგენტის“ ცნების მნიშვნელობა (ეს გარკვეულწილად მოაწესრიგა ახალმა კანონმა), რადგან არსებული ფორმულირება რიგ შემთხვევებში არ იძლეოდა შესაძლებლობას მეწარმეები განხილულ იყო ერთ ეკონომიკურ აგენტად.

გარდა ამისა, კანონში არ იყო განმარტებული „მონოპოლიის“ ცნება (ეს გათვალისწინებულია ხალი კანონით),

ხოლო „ბუნებრივი მონოპოლიის“ არსებული ცნება საჭიროებდა კორექტირებას. რადგან ის პირდაპირ გადმოტანილი იყო უცხოური სიტყვიდან „Natural Monopoly“ – დან და მისი განმარტებიდან გამომდინარე ფოთის, ბათუმისა და სოხუმის პორტები მიჩნეულ იყო როგორც ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტი, თუმცა რეალურად ეს ასე არაა, რადგანაც ჯერ ერთი ისინი ერთმანთის კონკურენტებს წარმოადგენენ და მეორეც თეორიულად საკსებით შესაძლებელია ახალი პორტებიც აშენდეს (ანაკლია, ფიჩორი, გაგიდა, ყულევი, სუფსა და ა. შ.), რომლებიც უკვე არსებული პორტების კონკურენტები იქნებიან.

იგივე შეიძლება ითქვას შერწყმების რეგულირებასთან მიმართებაშიც. ზოგიერთი შერწყმა შეიძლება ანტიკონკურენციული ხასიათის იყოს და მიზნად ისახავდეს კონკურენციის აღკვეთას და დომინირებული მდგომარეობის ხელოვნურად და არა ეკონომიკურ საქმიანობის საფუძველზე მიღწევას. მეორეს მხრივ შერწყმამ შეიძლება საკმარისად შეამციროს კონკურენტების რაოდენობა და საშუალება მისცეს დარჩენილ ფირმებს სათანადო კოორდინაცია გაუწიონ თავიანთ საქმიანობას. აქედან გამომდინარე, საკონკურენციო სამართალი უნდა მოიცავდეს დებულებებს ასეთი შერწყმის აღკვეთის მიზნით. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი სათანადოდ ვერ არეგულირებდა, ხოლო ახალი საკონკურენციო სამართალი საერთოდ არ არეგულირებს შერწყმას. კერძოდ, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, მხოლოდ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი იყო ვალდებული, სხვა ეკონომიკურ აგენტთან შერწყმისას რეგისტრაციამდე გაეარა ანტიმონოპოლიური ექსპერტიზა, ხოლო უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სასამართლოს არ უნდა მოეხინა მისი (შერწყმის) რეგისტრაცია (სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით ამ მოთხოვნის დაცვა სამწუხაროდ ყოველთვის არ ხერხდებოდა).

კანონის (მე-10 მუხლი) სერიოზული ნაკლს წარმოადგენდა აგრეთვე ის, რომ ერთის მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალებოდა – სახაზინო სა-

წარმოების გაერთიანება, შერწყმა, კავშირების, ასოციაციების, კონცერნების, კონსორციუმების, მართვის შუალედური რგოლების, დარგთაშორისი რეგიონალური გაერთიანებების შექმნა, თუ რა თქმა უნდა ეს იწვევდა კონკურენციის შესუსტებას და შეზღუდვას და მეორეს მხრივ, ამ დროს კანონში არ იყო მოცემული „შერწყმის“ განმარტება. კანონი ასევე არ აწესრიგებდა შერწყმის პროცესს (ეს არც ახალი კანონითაა მოწესრიგებული). კერძოდ, არ იყო განსაზღვრული:

- როდის და რა ფორმის ექსპერტიზა უნდა ჩატარებულიყო;
- რა სახის შეტყობინება უნდა მიწოდებოდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს;
- მოთხოვნილი შერწყმის თაობაზე თანხმობის ან უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადები;
- მოთხოვნილ საქმიანობაზე თანხმობის ან უარის გაცხადების საფუძველი.

აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ კანონი საყოველთაოდ აღიარებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, აწესრიგებდა მხოლოდ სახაზინო (ბოლო წლებში კი საქართველოში ასეთი ფორმის საწარმოები არ არსებობდნენ და არ იყვნენ ისინი საჯარო სამართლის სუბიექტები) საწარმოების გაერთიანებას ან ისეთი სახის შერწყმებს, როდესაც ერთერთ მხარეს (როგორც უკვე აღვნიშნეთ) წარმოადგენდა მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი. ეს იმ დროს, როდესაც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში კონკურენციის ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება შერწყმებზე ნებართვების მისაღებად სავალდებულო ხასიათს ატარებს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თუკი მოცემული ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი აღემატება დადგენილ ზღვრულ მაჩვენებელს და საშუალება აქვს უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე, იმის და მიუხედავად შერწყმაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე იმყოფება თუ არა მონოპოლიურ მდგომარეობაში აუცილებელია შერწყმის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს კონკურენციის ორგანოს.[107]

ასევე სერიოზულ საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენდა ის, რომ „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის

---

107 საქართველოს ანტიმონოპოლიური და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონთა განხორციელებისათვის რეკომენდირებული მითითებანი, CEPAR-ის ანალიტიკური მოხსენება №8, 10 აპრილი 1997 წელი.

შესახებ“ კანონის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ერთმნიშვნელოვნად ეკრძალებოდათ ეკონომიკური აგენტებისათვის რაიმე საგადასახადო ან სხვა სახის შეღავათების დაწესება (რაც ფაქტობრივად ნიშნავს ყველა სახის სუბსიდიების აკრძალვას), რომლებიც კონკურენტებთან (ან პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებდა მათ და იწვევდა კონურენციის შეზღუდვას, მაშინ როდესაც ევროკავშირის კანონმდებლობით დაშვებული იყო (არის) ცალკეული გამონაკლისები „გონივრულობის“ პრინციპზე დაყრდნობით (ეს საკითხი მეტ-ნაკლებად დაარეგულირა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონმა).

გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ბოლომდე არ იყო გააზრებული ის საკანონმდებლო ცვლილებები (1999-2002 წწ.), რითაც მნიშვნელოვნად შესუსტდა (შეიზღუდა) სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილებები ინფრასტრუქტურის სფეროში (საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, როგორც ზედმეტი რგოლის ლიკვიდაციის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2007 წლის თებერვლის ბოლოს საქართველოს მთავრობაში გაკეთებული განცხადება სწორედ ამის დასტურია). ასევე პრობლემატიური იყო და არის, ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც ანტიმონოპოლიურ სამსახურს შეუწყდა მისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოწოდება საბაჟო და სტატისტიკის სამსახურებიდან.

თავის მხრივ, საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის (მათ შორის, სამსახურის როლისა და სტატუსის ამაღლების) მიზნით, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, „GEPLAC“-ის უცხოელ და ადგილობრივ ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით 2003 წლის დამდეგს მომზადდა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ – საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი.

კანონპროექტზე მუშაობის პროცესში გათვალისწინებულ იქნა ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (TACIS-GEPLAC-ის ეგიდით 2000-2003 წწ. სახელმწიფო ანტიმონოპო-

ლიური სამსახურთან თანამშრომლობდა ირლანდიელი ექსპერტი ჯონ ფეი მაკარდლი) მიერ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის რეკომენდირებული საკითხები – არაკეთილსინდისიერი კონკურენციის, ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებების, მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა შერწყმების, სამსახურის სტრუქტურული მოწყობის, აგრეთვე საჯაროობის, ანგარიშგების, ანგარიშვალდებულებისა და სხვა ანტიკორუფციულ პრინციპებთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, თვეობით გაიწელა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის (ევროკავშირის კანონმდებლობასთან მეტნაკლებად ჰარმონიზებული ვარიანტი) აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ინსტიტუტებთან შეთანხმების პროცესი და ის მხოლოდ 2004 წლის ივნისის დამდეგს დასრულდა.[108] თუმცა, როგორც სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასლებიდან ირკვევა, ამ კანონპროექტს, შემდგომი მსვლელობა არ მისცემია[109] და მის ნაცვლად შე- მუშავებულ და მიღებულ იქნა, ახალ განსხვავებულ ხედვაზე დაფუძნებული საკონკურენციო სამართალი – „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სახით.

◆ <u>„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი</u>. დღეისათვის საქართველოში კონკურენციული კანონმდებლობის ძირითად ჩარჩო სამართლებრივ აქტს (კანონს) წარმოადგენს, საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 3 ივნისს მიღებული „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ძალაშია 2005 წლის 12 ივლისიდან (გამოქვეყნებიდან 15 დღის შემდეგ). ამ კანონის მიღებით გაუქმებულ იქნა საქართველოში მანამდე მოქმედი საკონკურენციო სამართლის ყველა ნორმატიული აქტი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის ნორმების

---

108 უფრო დეტალურად იხილეთ ნაშრომის მეთერთმეტე ნაწილში;

109 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მოასალა.

უმეტესობასთან ერთად.

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი შესდგება შვიდი თავისა და 16 მუხლისაგან. კანონის პირველ და მეორე თავებში განსაზღვრულია ზოგადი დებულებანი და კონკურენციის აკრძალვის მექანიზმები (რაც სამწუხაროდ, მხოლოდ ხელისუფლების ორგანოების მიერ კონკურენციის საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილებების აკრძალვამდეა დაყვანილი). მესამე თავი ეხება სახელმწიფო დახმარებებისა და მიზნობრივი პროგრამების გაცემის და მიღების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმებს, ხოლო მეოთხე თავი რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებს. მეხუთე თავში ჩამოყალიბებულია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებები და საქმიანობის ძირითადი მოვალეობები, ხოლო მეექვსე და მეშვიდე თავებში გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი.

ზოგადად, კანონის მიზანს წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის მიუხედავად, საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისათვის ბარიერების მოხსნა. კერძოდ:

ა) ეკონომიკური აგენტების კონკურენციისათვის ხელის არშემშლა;

ბ) ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული ბარიერების აღკვეთა და ბაზარზე ეკონომიკური აგენტების თავისუფალი დაშვებისათვის ხელის არშეშლა;

გ) სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან დისკრიმინაციული ბარიერების არსებობის აღკვეთა ან მათი შექმნის დაუშვებლობა;

დ) შეზღუდული კონკურენციის პირობებში რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში საზოგადოების სასიცოცხლო და ეკონომიკური ინტერესების დაცვა;

ე) სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი საერთაშორისო ვალდებულების აღების დაუშვებლობა, რომლებიც შეაფერხებენ თავისუფალ ვაჭრობას ქვეყნის შიგნით და გარეთ.

ამასთან, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდება – ა) იმ ურ-

თიერთობებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენციასა და თავისუფალ ვაჭრობაზე და რომლებშიც მონაწილეობენ იურიდიული ან/და ფიზიკური პირები ან/და სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები; ასევე, ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების იმ ქმედებებსა ან/და გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით გავლენას ახდენენ (ან შეუძლიათ მოახდინონ) კონკურენციულ გარემოზე და თავისუფალ ვაჭრობაზე. რაც შეეხება. საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან, სავაჭრო ნიშნებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ეს სხვა საკანონმდებლო ნორმებით რეგულირდება.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფერო თითქმის ემთხვევა მისი წინამორბედი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლების შინაარსს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ორი კანონის ცალკეულ დებულებებს შორის არსებული განსხვავება თვალშისაცემია და ნამდვილად არ მეტყველებს ახალი საკონკურენციო სამართლებრივი ნორმის (კანონის) სასარგებლოდ. კერძოდ, კონკურენციის ახალი კანონმდებლობით უგულებელყოფილია ბაზარზე ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის მექანიზმები. კანონი არ შეიცავს მონოპოლიური საქმიანობის ცნებას და მისი გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმებს. კანონი არ ვრცელდება ინფრასტრუქტურის სფეროებში კერძო ინვესტიციებით შექმნილი არათავისუფლად ბრუნვადი საქონლის ტრანსპორტირების (გატარების) საშუალებებზე (მუხლი 11, პუნქტი 4) და ა.შ.

კანონი არ ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტების შერწყმების (როგორც ვერტიკალური (შეზღუდვა) ასევე ჰორიზონტალური (შეთანხმება) ინტეგრაციის) არანაირი სახით კონტროლს, თუ რა თქმა უნდა, საკითხი არ ეხება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული განსაკუთრებული საკუთრების მფლობელის მიერ მის ქსელზე დაშვება არ დაშვების საკითხებს (საჩივრის საფუძველზე).

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით არაა განსაზღვრული

განსაკუთრებული საკუთრების მფლობელთა ჩამონათვალი. თუმცა ფაქტია, რომ ასეთ სუბიექტებს განეკუთვნებიან ის ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ფლობენ (განკარგავენ) ან იჯარით აქვთ აღებული – 1) მაგისტრალური მილსადენი, 2) რკინიგზის ხაზი, 3) მაღალი ძაბვის გადამცემი სისტემა, 4) საეროდრომო-სადისპერტჩერო მომსახურება მარშუტზე და ა.შ., ანუ ეს ის სფეროებია, სადაც მარეგულირებელი ორგანოებია შექმნილი და რომლებზეც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ისედაც არ ერცელდება.

კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე და წინგადადგმული ნაბიჯი არის ის, რომ აკრძალულია ისეთი სახელმწიფო დახმარება და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის გაცემა, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას (მუხლი 8 და 9). შესაბამისად, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო დახმარებებისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების აკრძალვის მექანიზმები და განსაზღვრულია ის გამონაკლისები, რა შემთხვევებშიც შეიძლება ნება დაერთოს მათ გამოყენებას. ე.ი. კანონში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო დახმარებებისა და მიზნობრივი პროგრამების გაცემის მექანიზმების გაკონტროლების წესი. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ის ბოლომდე არაა დახვეწილი, რაც მისი აღსრულების პროცესში ქმნის გარკვეულ პრობლემებს. სწორედ ასეთი გაურკვევლობის შედეგია ის, რომ 2005 წლის 12 ივლისიდან (კანონის ძალაში შესვლიდან) დღემდე ვერ ხერხდება „ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მიღების ზოგადი წესის“ და „სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის ზოგადი წესის“ შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება დაინტერესებული სამინისტროებიდან თანხმობის მიუღებლობის გამო, რაც ჩვენის აზრით, მოგვარებადია თუ:

- „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ცალკეულ დებულებებს შორის არსებული შეუსაბამობები აღმოიფხვრება (განსაკუთრებით აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ დებულებებზე, რომლის თანახმა-

დაც ერთის მხრივ იკრძალება კონკურენციის შემზღუდავი სახელმწიფო დახმარებებისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების გაცემა (ეს უკანასკნელი თავისი შინაარსით იგივე სახელმწიფო დახმარებას წარმოადგენს), ხოლო მეორეს მხრივ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია შეიმუშაოს და გასცეს მხოლოდ რეკომენდაციები, რაც არ წარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტს სახელმწიფო ორგანოსათვის).

• თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს მიერ „ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მიღების ზოგადი წესის“ დამტკიცებამდე სპეციალური ნორმატიული აქტით განისაზღვრება, თუ რომელ ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებზეა საუბარი.

• დადგინდება რა სტადიაზე უნდა მოხდეს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ჩართვა ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შეთანხმების პროცესში (ჩვენი აზრით, სააგენტოს ჩაროვა უნდა მოხდეს მანამ სანამ მოხდება ამა თუ იმ პროგრამით განსაზღვრული თანხის კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებზე გაცემა. ისე, უფრო სწორი იქნება, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებისა და სახელმწიფო დახმარებების გაცემის პროცედურის მომწესრიგებელი დებულებები გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ერთ მუხლში).

აქვე ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – <u>თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო</u>. ამასთან, ამ კანონის მე-15 მუხლის (გარდამავალი დებულებები), „გ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობას ევალებოდა კანონის ამოქმედებიდან (2005 წლის 12 ივლისი) 9 თვის ვადაში წარედგინა პარლამენტისათვის, კანონის აღმსრულებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს მთავრობისაგან დამოუკიდე-

ბელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების შესახებ“ კანონპროექტი, რაც კანონით განსაზღვრული ვადის ამოწურვის მიუხედავად დღემდე არაა შესრულებული.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი უფრო აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის შესახებ კანონს წარმოადგენს („თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი იმეორებს „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლს), ვიდრე ზოგადად კონკურენციის (ანტიმონოპოლიურ) კანონს. შესაბამისად, ის უფრო დაშორდა, ვიდრე დაუახლოვდა ევროკავშირისა და ზოგადად, მსოფლიოს განვითარებული სახელმწიფოების საკონკურენციო სამართლებრივ ბაზას.

◆ <u>მომხმარებელთა უფლებების დაცვა</u>. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში 2005 წლის 12 ივლისამდე ანტიმონოპოლიური რეგულირების („მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის) ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა მომხმარებელთა უფლებების დაცვა. შესაბამისად, დავას არ იწვევდა ის გარემოება, რომ სამომხმარებლო პოლიტიკა და კონკურენციის პოლიტიკა მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ. ამდენად, ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ფორმირება იყო მომხმარებელთა დაცვის სისტემის გაუმჯობესების საფუძველი და გარანტი. ამასთან, მომხმარებელთა ინფორმირება და ბაზრის გამჭვირვალობა წარმოადგენდა მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და კეთილსინდისიერი კონკურენციის უზრუნველყოფის ძირითად პირობას.

ზოგადად აღიარებულია, რომ მომხმარებელთა უმთავრეს უფლებას წარმოადგენს პროდუქციის უსაფრთხოება, რომელიც განსაზღვრულია „მომხმარებელთა დაცვის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ“ გაეროს 1985 წლის რეზოლუციის შესაბამისად და რომლის ძირითადი მიზანია, სასაქონლო ბაზრებზე, მხოლოდ უსაფრთხო პროდუქციის არსებობა. ასევე, პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფორმებისა და მწარმოებელთა პასუხისმგებლობის კრიტერიუმების განსაზღვრა.

სწორედ, პროდუქციის (მომსახურების) უსაფრთხოების

გაეროსეულ პრინციპებს ეყრდნობა საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ (მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 20 მარტს), რომლის პროექტზე მუშაობა, ჯერ კიდევ 1992 წელს დაიწყო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლების მ.ლობჟანიძისა და ე.მ.კ. ქ.ლაფაჩის ინიციატივით. მოგვიანებით, კანონპროექტის სრულყოფასა და მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ე.მ.დ. ვლ. პაპავამ (ეკონომიკის მინისტრი), გ. ჩარკვიანმა (ეკონომიკის მინისტრის მოადგილე), ვ. მაისურაძემ (ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარი სამმართველო უფროსი), ა. თავაძემ (ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი) და სამინისტროს თანამშრომლებმა: ე.მ.კ. შ. გოგიაშვილმა, ვ. ფანცულაიამ, ნ. ბაბუციძემ, ლ. თომაშვილმა, მ. ლაშხმა და სხვ.

თავის მხრივ, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით საფუძველი ჩაეყარა ქვეყანაში მომხმარებელთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკას. შესაბამისად, გაძლიერდა საზოგადოებრივი მოძრაობაც. ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობა თანდათანობით დაექვემდებარა მოხმარებელთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებს, გაძლიერდა კონტროლი პროდუქციისა და მომსახურების უსაფრთხოებაზე. კანონით განისაზღვრა ის ძირითადი მოთხოვნები, რაც წაყენებული უნდა ჰქონოდა პროდუქციას და მომსახურებას, რომ ზიანი არ მიდგომოდა მომხმარებლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მის ქონებასა და გარემოს (აღნიშნულის გაკონტროლების მიზნით კანონის 31-ე მუხლი პროდუქციის უსაფრთხოების მაკონტროლებელი უწყებების უფლებამოსილებებს განსაზღვრავდა).

ამასთან, კანონის 30 მუხლის თანახმად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა საქართველოს ანტიმონოპოლიურ ორგანოს (თავდაპირველად საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს (მის ცენტრალურ აპარატს), ხოლო 1997 წლიდან ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს). შესაბამისად, განსაზღვრული ვალდებულებების სრულყოფილად აღსრულების მიზნით, საქართველოს პრეზი-

დენტის 1998 წლის 11 მაისის №314 ბრძანებულებით (მოგვიანებით, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 31 მარტის №145 ბრძანებულებით შეტანილ იქნა მასში ცვლილება), საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან შეიქმნა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორისო საბჭო, რომლის ძირითად ამოცანად განისაზღვრა – საქართველოს სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობათა კოორდინაცია „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების სფეროში. თუმცა, როგორც ჩანს, ამ საბჭომ ვერ უზრუნველყო მასზე დაკისრებული ამოცანის სრულყოფილად შესრულება, რაც ნათლად დასტურდება საბჭოს სხდომების რაოდენობისა და მასზე გატანილი საკითხების შესახებ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის არქივში მოძიებული მასალებიდან. კერძოდ, იმის და მიუხედავად, რომ საბჭოს დებულება ითვალისწინებდა სხდომების ორ თვეში ერთხელ გამართვას (მუხლი 8), ის ანტიმონოპოლიური სამსახურის არსებობის მანძილზე (1997-2005 წწ.) სულ ოთხჯერ ჩატარებულა. მათ შორის, ერთი 1998 (გაცნობითი ხასიათის) და სამი 2002 წელს (ერთ-ერთი ბოლო სხდომა, რომელიც ეხებოდა დედაქალაქში 1 კვ/სთ ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირების საკითხს, ჩატარებულა სახალხო დამცველის ოფისში), რაც ნათლად მიუთითებს საბჭოს არაეფექტიან ფუნქციონირებაზე, მაშინ, როდესაც მას, ჩვენის აზრით, შეეძლო (ევალებოდა) ბევრად მეტი დადებითი როლის შესრულება (მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობათა კოორდინაციაზე მეტი პრინციპულობისა და აქტიურობის გამოჩენით) მომხმარებელთა უფლებების დაცვის საქმეში.

რაც შეეხება „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისათვის აუცილებელ სამართლებრივ ნორმებს, უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ძალაში შესვლამ დღის წესრიგში დააყენა შესაბამისი (აუცილებელი) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების საჭიროება, რომლის მოწესრიგების მიზნით, 1996 წლის 13 სექტემბერს გამოცემულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №596, რითაც განისაზღვრა იმ კონკრეტული

ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რომელთა შემუშავება და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მიღება დაევალა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს (ანტიმონოპოლიურ ორგანოს).

შესაბამისად, 1996-97 წწ. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ სხვადასხვა სამინისტროებთან ერთად (ინტერესთა სფეროს გადაკვეთიდან გამომდინარე) მომზადებულ და მიღებულ იქნა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს ქვემდებარე შემდეგი ნორმატიული აქტები (ვაჭრობისა და მომსახურების წესები):

1. ცალკეული სახის სასურსათო და არასასურსათო საქონლის გაყიდვის წესი;
2. საზოგადოებრივი კვების ობიექტებში პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის (მომსახურების) წესები;
3. აგრარული ბაზრების მუშაობის წესები;
4. ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობის წესები;
5. წვრილი სავაჭრო ქსელის, არასასურსათო საქონლის ორგანიზებული საცალო ბაზრობების მუშაობის წესი;
6. ნიმუშების მიხედვით საქონლის გაყიდვის წესი;
7. მოქალაქეთათვის ხანგრძლივი მოხმარების საგნების კრედიტით (განვადებით) მიყიდვის წესები;
8. არასასურსათო საქონლით საკომისიო ვაჭრობის წესები;
9. ალკოჰოლური სასმელებითა და ლუდით საცალო ვაჭრობის წესები;
10. საქონლის შეკვეთით და მყიდველის სახლში მიტანით გაყიდვის წესები;
11. ბეწვეული საქონლის გაყიდვის წესები;
12. საქართველოში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების წესი;
13. კომუნალური მომსახურების გაწევის წესი;
14. მყარი და თხევადი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე გაწეული მომსახურების წესები;
15. ვეტერინალური მომსახურების წესები;
16. მოსახლეობის კონო-ვიდეო მომსახურების წესები;
17. სასტუმროებში გაწეული მომსახურების წესი;
18. ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვებისაგან დამზადებულ ნაკეთობათა გაყიდვის წესები;

19. ძვირფასი ლითონებისა და მისი ჯართის, ასევე ძვირფასი ქვების ნაკეთობათა მოსახლეობისაგან შესყიდვის წესები;

20. ახალი ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებების გაყიდვის წესები;

21. ავტოსატრანსპორტო საშუალებების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების გაწევის წესები;

22. სატელეგრაფო კავშირით მომსახურების გაწევის წესები;

23. სადენური მაუწყებლობით (რადიოფიკაციით) მომსახურების წესები;

24. პერიოდული ბეჭდითი გამოცემების ხელმოწერით გაერცელების წესები;

25. საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების წესები;

26. ადგილობრივი სატელეფონო ქსელებით მომსახურების გაწევის წესები[110].

მოგვიანებით, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის აღსრულების პროცესში, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 2000 წელს შემოწმდა რა ტურისტული მომსახურების სააგენტოები, აღმოჩნდა, რომ არც ერთი მათგანი არ აფორმებდა მომხმარებელთან ხელშეკრულებას. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ტურისტული მომსახურების წესების“ შემუშავების თაობაზე, რაც თავის მხრივ გამომდინარეობდა ევროკავშირის 1990 წლის 13 ივნისის დირექტივიდან „პაკეტური მოგზაურობის, დასვენებისა და ტურების შესახებ“ და ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულებიდან. სამწუხაროდ, აღნიშნული მომსახურების წესის პროექტის შემუშავების (ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად) მიუხედავად (2003 წ.), მისი საბოლოო სახით მიღება ვერ მოხერხდა გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო.

რაც შეეხება უშუალოდ „მომხმარებელთა უფლელების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს, მასში სხვადასხვა დროს შეტანილ იქნა რამდენიმე ცვლილება, რომელთაგან

110 ჟურნალი „ეკონომიკა“–ს სპეციალური გამოშვება, №4, თბ., 1997 წელი, გვ. 5-151.

უმნიშვნელოვანესი იყო პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მომხმარებელთათვის ქართულ ენაზე მიწოდების მომცველი დებულებები. კერძოდ, საქართველოში ამ ცვლილების განხორციელებამდე მომხმარებლებზე პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა მხოლოდ უცხო ენაზე, რაც ხელს უშლიდა მომხმარებლის სათანადო ინფორმირებულობას ამა თუ იმ პროდუქციის შესახებ, რის გამოც ბევრისათვის გაურკვეველი რჩებოდა პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანა, ვარგისიანობის ვადები, შენახვისა და გამოყენების პირობები, შემადგენლობა, საკვებდანამატები და რიგი სხვა საკითხები. ამ პრობლემის სიმწვავის კულმინაციად იქცა 2001 წლის ზამთრის პერიოდში ათეულობით თბილისელის ოჯახში დატრიალებული ტრაგედია, რომელიც უცხოური წარმოების გაზის ერთ-ერთი გამათბობელი მოწყობილობის არასწორმა ექსპლუატაციამ გამოიწვია. რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო აუცილებელი გამაფრთხილებელი მოთხოვნების მხოლოდ უცხო ენაზე მითითებით[111].

ამ და სხვა მსგავსი გარემოებების გათვალისწინებით, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის (2001-2003 წწ.) არმაზ თავაძის ინიციატივით მომზადდა კანონ-პროექტი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წლის 21 ნოემბერს. შესაბამისად, ამ ცვლილებამ დაავალდებულა დამამზადებელი (გამყიდველი) საკვებ პროდუქტებზე, კოსმეტიკურ ნაწარმზე, საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და ფარმაცევტიულ პროდუქციაზე მომხმარებელს მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია ქართულ ენაზე, რომელიც უნდა განთავსდეს პროდუქციის შეფუთვაზე, ეტიკეტზე, ან იარლიყზე, ხოლო თუ მათი ზომის სიმცირის გამო ან სხვა პატივსადები მიზეზით ეს შეუძლებელია, იგი უნდა განთავსდეს პროდუქციის ყოველ ერთეულზე თანდართულ ფურცელზე ან წარმოებაში მიღებული ნებისმიერი სხვა ფორმით.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლო-

111 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის გაწეული მუშაობის ანგარიში, სარეკლამო პოლიგრაფიული საწარმო „არადანი“, თბ., 2003, გვ. 13-14.

ბის შესახებ“ დადებული შეთანხმების 43-ე მუხლის თანახმად, ევროპული კავშირი მუდმივად ეხმარებოდა საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის, მათ შორის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის, ევროპულ სამართალთან დაახლოებაში. თავის მხრივ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესებას ერთერთი პრიორიტეტული მნიშვნელობა უკავია ევროკავშირის საქმიანობაში, რომლის მიღწევა შეუძლებელია მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე. სწორედ, ამ საკითხების მოწესრიგების ფარგლებში მუშაობდნენ ევროკავშირის ექსპერები საქართველოში[112]. თუმცა ვფიქრობთ, რომ მათი რეკომენდაციები არაა ბოლომდე გათვალისწინებული. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციის შემდეგ დღემდე არაა განსაზღვრული მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის აღსრულებაზე ერთიანი ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო, რაც ამ სფეროს სამართლებრივი რეგულირების სასარგებლოდ ნამდვილად არ მეტყველებს. მით უმეტეს, იმ დროს, როდესაც გაუქმებულია „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონქვემდებარე ყველა ნორმატიული აქტი. ასევე, კანონიდან ამოღებულია 21–ე მუხლი, რომლის თანახმად დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი ვალდებული იყო დაედო მომხმარებელთან ხელშეკრულება სამუშაოს (მომსახურების) შესრულებაზე (ე.ი. კანონიდან ამოღებული იქნა მუხლი, რომელიც ავალდებულებდა ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს, ისე მოეწყო თავისი საწარმოო ან სხვა სამეურნეო საქმიანობა, რომ სათანადოდ და შეუფერხებლად დაეკმაყოფილებინა მოქალაქეთა მოთხოვნები. ამდენად, დომინირებული მდგომარეობის სუბიექტები (წყალკანალი, რკინიგზა, თელასი, გაზის გამანაწილებელი კომპანიები და ა.შ) მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობით განთავისუფლდნენ ისეთი ვალდებულებებისაგან, როგორიცაა სახელშეკრულებო პრინციპით მომხმა-

112 კლაუს საკოესკი, მოკლევადიანი სამუშაო ვიზიტის ანგარიში, GEPLAC-ის ექსპერტი, თბ., 2004 წლის 10-21 თებერვალი, გვ. 1.

რებლებთან ურთიერთობა, რაც არ შეიძლება იყოს დადებითი შედეგის მომცემი).

◆ **რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა** 2005 წლის 3 ივნისამდე წარმოადგენდა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის შემადგენელ ნაწილს. კერძოდ, სარეკლამო საქმიანობის რეგულირება „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (მე-20 მუხლის, „ე“ პუნქტი) იყო ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის ერთერთი ძირითადი მიმართულება.

თავის მხრივ, რეკლამა გარდა იმისა, რომ პროდუქციის გასაღებას უწყობს ხელს, იგი მომხმარებელზე ზემოქმედების უძლიერეს იარაღს წარმოადგენს და ფაქტობრივად საზოგადოებას ცხოვრების გარკვეულ წესს კარნახობს. ზოგიერთ შემთხვევაში, მან შეიძლება ნაწილობრივ შეცვალოს, ან პროპაგანდა გაუწიოს და განამტკიცოს უკვე დამკვიდრებული სტერეოტიპები. რეკლამა მასების აზროვნებაზე განუწყვეტელი ზემოქმედების შედეგად, შემკვეთისათვის სასურველი საზოგადოებრივი განწყობილების ჩამოყალიბების ბრწყინვალე საშუალებას იძლევა. ამ გაგებით, იგი სცილდება ერთი შეხედვით მისთვის წინასწარ განკუთვნილ ჩარჩოებს (რომელიც მხოლოდ პროდუქციის გასაღებას გულისხმობს) და გარკვეულწილად, საზოგადოების მართვის მექანიზმად გვევლინება.

თანამედროვე ეტაპზე, რეკლამა იძლევა არა მარტო ინფორმაციას საქონელსა და მომსახურებაზე, არამედ იწვევს ემოციებს, განავითარებს იდეებსა და აზროვნებას. ასე, რომ რეკლამა ახდენს მომხმარებლის აღზრდას, მის ჩამოყალიბებას და ადაპტირებას ახალ გარემოსთან, რის გამოც, იგი შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და პოლიტიკური მოვლენა. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ რეკლამა ხელს უწყობს ინდივიდის თვითდამკვიდრებას, როგორც შრომის, ასევე საქონლის მოხმარების პროცესში.

საქართველოში, ისევე როგორც მთელს პოსტკომუნისტურ სივრცეში, რეკლამა წარმოადგენდა საქმიანობის სრულიად ახალ მიმართულებას. შესაბამისად, რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა (თუ არ ჩავთვლით სარეკლა-

მო საქმიანობის რეგულირების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის №60 ბრძანებულებას), ისევე როგორც ზოგადად საკონკურენციო სამართალი, იყო სიახლე გასული საუკუნის 90-იან წლების ქართულ საკანონმდებლო პრაქტიკაში.

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის 18 თებერვალს ემსახურებოდა და ემსახურება რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილებასა და აღკვეთას. კანონი ვრცელდება საქართველოს და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე აწარმოებენ, განათავსებენ და ავრცელებენ რეკლამას საქართველოში. კანონი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქმედება რეკლამის სფეროში იწვევს (შეიძლება გამოიწვიოს) შესაბამის უარყოფით შედეგებს (კონკურენციის შეზღუდვა, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შეცდომაში შეყვანა) საქართველოს ტერიტორიაზე.

კანონი არ ვრცელდება პოლიტიკურ რეკლამაზე და ფიზიკურ პირთა იმ განცხადებებზე, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით საქართველოს ხელისუფლება შეეცადა, რეკლამის სფეროს სამართლებრივი რეგულირება მოეყვანა შესაბამისობაში დროის მოთხოვნებთან და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, რომელთა ნაწილთანაც საქართველო უკვე იყო იმ პერიოდისათვის მიერთებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რეკლამის კანონი მეტ-ნაკლებად შეესაბამება ბერნის 1886 წლის კონვენციას, საავტორო უფლებების დაცვის შესახებ[113], რასაც მიერთებულია საქართველო. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ

---

113 საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ (ანალიტიკური მასალა), საქართველოს რეკლამის მწარმოებელთა და გამავრცელებელთა კავშირი, თბ., 1998, გვ. 5 (საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალებიდან).

რეკლამის კანონის მიღებას, ისევე როგორც ყველა სიახლეს, გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. მათ შორის იყო რეკლამის მწარმოებელთა და გამავრცელებელთა კავშირი, რომელსაც მიაჩნდა, რომ კანონის მიღებული ფორმით რეალიზაცია გამოიწვევდა ბევრ სირთულეს და სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა ამ ბაზრის განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში ზიანის მომტანი აღმოჩნდებოდა ქვეყნისათვის.

კავშირის წევრთა ასეთი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონმა გაუძლო დროის გამოცდას და მის აღსრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოს – საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ეფექტიანი მუშაობის შედეგად ამ ბაზრის სუბიექტები ნელ-ნელა შეეჩვივნენ კანონის მოთხოვნებს და ზოგიერთი გამონაკლისის გარდა მათთვის უკვე მისაღები აღმოჩნდა სულ ცოტა ხნის უკან მათ მიერვე უარყოფილი დებულებები.

საქართველოში მოქმედი სარეკლამო საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შემუშავებასა და მის შემდგომ სრულყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შემდეგ თანამშრომლებს: პროფესორ ვ.პაპავას (ეკონომიკის მინისტრი), გ.ჩარკვიანს (მინისტრის მოადგილე), ვ.მაისურაძეს (სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი), გ.ისაკაძეს (სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი), ვ.უგულავას (სარეკლამო საქმიანობის რეგულირებისა და ლიცენზირების სამმართველოს უფროსი/სამსახურის უფროსის მოადგილე), გ.მელაძეს (სარეკლამო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს უფროსის მოადგილე/სამმართველოს უფროსი/სამსახურის უფროსის მოადგილე), ს. ფეტელავას (სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოადგილე), ნ.ბუტიკაშვილს (სარეკლამო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს განყოფილების უფროსი/სამმართველოს უფროსის მოადგილე/სამმართველოს უფროსი), ე.მ.კ. შ.გოგიაშვილს (სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე), დ.ოდილავაძეს (ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარი სამმართველოს რეკლამის განყოფილების უფროსი), ნ.ფეიქრიშვილს (ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარი სამმართველოს მთავარი

სპეციალისტი/განყოფილების უფროსი) და სხვ.

„რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონში სხვადასხვა დროს შეტანილ იქნა, რამდენიმე ცვლილება. მათ შორის, ბოლო ცვლილება შევიდა 2005 წლის 3 ივნისს, რომლის თანახმად რეკლამის კანონმდებლობის აღსრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქცია გადაეცა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს (საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციის პარალელურად), რაც ჩვენი აზრით, არაა ბოლომდე სწორად გათვლილი. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ მედიით გავრცელებული არასათანადო რეკლამა სხვა არაფერია, თუ არა შესაბამის (კონკრეტულ) სასაქონლო ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი (კონკურენციაში უპირატესობის მიღწევის მცდელობა), რომლის მოკვლევა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება უნდა წარმოადგენდეს არა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, არამედ კონკურენციის სააგენტოების კომპეტენციას (ეს დასტურდება, როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი გამოცდილებით).

♦ <u>ფასებისა და ფასწარმოქმნის სამართლებრივი ბაზა</u>. ქვეყანაში სრულფასოვანი კონკურენციული პოლიტიკის რეალიზაცია შეუძლებელია რეგულირებას დაქვემდებარებული ეკონომიკური აგენტების ფასებით კონტროლის სრულყოფილი მექანიზმების არსებობის გარეშე. ამ მიმართულებით ძირითად კანონს, რომელიც იყო ამოსავალი საკონკურენციო სამართლის ფასებით რეგულირების ნაწილისა, წარმოადგენდა „ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია 1993 წელს. ესაა პერიოდი, როდესაც ქვეყანაში იწყებოდა გეგმიურ-რეგულირებადი ეკონომიკიდან თავისუფალ-საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი. მას შემდეგ, რაც რეალურად განხორციელდა ქვეყანაში ფასების ლიბერალიზაციის პროცესი, 1997-1999 წლებში მოხდა ამ კანონის გადახალისება (შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები, თუმცა არასაკმარისი).

ზოგადად, ფასების კანონი განსაზღვრავდა საქართველოში ფასების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების, საბაზრო ფასწარმოქმნის ფორმირებისა და ფუნქ-

ციონირების სამართლებრივ საფუძვლებს. ასევე, მეწარმეთა, მოქალაქეთა, სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ძირითად უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას ფასწარმოქმნის სფეროში. ამდენად, კანონში ჩამოყალიბებული იყო ფასწარმოქმნის საფუძვლების ზოგადი ნორმები, რომელთა გამოყენებით და თანმიმდევრული დაცვით უნდა მომხდარიყო ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მშენებლობა.

ამასთან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე („ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ" კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი) საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ახორციელებდა იმ საქონლის (პროდუქციის, მომსახურების) ნუსხის (ნომენკლატურის) დამტკიცებას, რომლებზეც ვრცელდებოდა ფასების (ტარიფების) სახელმწიფო რეგულირება (ამ საქონლის (მომსახურების) ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის, აგრეთვე ბაზრის მონოპოლიზაციის დონისა და დაბალანსების გათვალისწინებით). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ (კანონის მე-7 და მე-10 მუხლები) განსაზღვრული იყო სახელმწიფო რეგულირებადი ფასების დადგენის სამართლებრივი საფუძვლები.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროდუქციასა და მომსახურებაზე სახელმწიფო რეგულირებადი ფასების შესახებ ნუსხა შემოღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 29 იანვრის №83 დადგენილებით „ფასების ლიბერალიზაციის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ", რომლის თანახმადაც ამ ნუსხის გარეთ დარჩენილ პროდუქციასა და მომსახურებაზე ვრცელდებოდა ფასების ლიბერალიზაცია და თავისუფალი ფასწარმოქმნის პრინციპი, ხოლო მასში მოხვედრილი პროდუქცია (მომსახურება) ექცეოდა ფასების სახელმწიფო რეგულირების სფეროში. ამასთან, ამა თუ იმ სფეროში კონკურენციული გარემოს შექმნის კვალობაზე მუდმივად მიმდინარეობდა მასში ლიბერალიზაციის კუთხით სათანადო ცვლილებების შეტანა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ნუსხის დამტკიცების შესახებ დოკუმენტი ერთის მხრივ განსაზღვრავდა იმ პროდუქციასა და მომსახურებას, რომელზეც ვრცელდებოდა ფასების სახელმწიფო რეგულირება, ხოლო მეორეს მხრივ

ნუსხის გარეთ დარჩენილი პროდუქციის (მომსახურების) გამომშვებ ეკონომიკურ აგენტებს ავტომატურად ენიჭებოდათ უფლებამოსილება ბაზრის კონიუქტურის მიხედვით უშუალოდ, თვითონ განესაზღვრათ ფასები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც თითოეულმა ტარიფის დამდგენმა სახელმწიფო რგოლმა, ასევე უშუალოდ, რეგულირებას დაქვემდებარებულმა ეკონომიკურმა აგენტმა, იცოდა, რომ ესა თუ ის კონკრეტული საქონელი (პროდუქცია, მომსახურება) ვის მიერ და რომელი ნორმატიული აქტის შესაბამისად იყო რეგულირებადი.

„ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, რეგულირებადი ფასების კონტროლის ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ფასების სახელმწიფო ინსპექცია, რომლის საქმიანობის ძირითადი სფერო იყო დამტკიცებული ტარიფების არასწორად გამოყენების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, რაც საბოლოო ჯამში, მომხმარებელთა ინტერესების დაცვასთან ერთად, ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას ემსახურებოდა. ამ მიმართულებით, ფასების ინსპექციამ XXI საუკუნის დამდეგს (2000-2003 წწ.) მნიშვნელოვან (მანამდე არნახულ) წარმატებებს მიაღწია, რომლის მთავარი შემომქმედი იყო ფასების სახელმწიფო ინსპექციის ახალი უფროსი (2000-2002 წწ.) პროფესორი მიხეილ ჯიბუტი (2003 წელს მ.ჯიბუტი კურირებდა ფასების ინსპექციის საქმიანობას, როგორც საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე). სწორედ, მიხეილ ჯიბუტის ძალისხმევის შედეგად იქნა გამოვლენილი და აღკვეთილი ფასწარმოქმნის მექანიზმების დარღვევის ათეულობით ფაქტი, რომლებზეც საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლო პროცესები დღემდე მიმდინარეობს.

როგორც ფასების ინსპექციის საარქივო მასალებიდან ირკვევა, გამოვლენილ დარღვევებზე განხორციელებული ადმინისტრირების გზით, ქვეყნის ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხულ იქნა, ათეულობით მილონი ლარი. მათ შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქვეყნის ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხულ იქნა 10 472 675 ლარი. გარდა ამისა, სასამართლო განხილვის სტა-

დიაშია . . . სულ 14 167 942 ლარის საქმე[114].

2005 წლის 3 ივნისს „ფასებისა და ფასწამოქმნის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი მის ქვემდებარე ყველა ნორმატიულ აქტთან ერთად გაუქმებულ იქნა. ასევე ლიკვიდირებულ იქნა – ფასების სახელმწიფო ინსპექცია, რამაც საბოლოო ჯამში (საწყის სტადიაზე) შექმნა გარკვეული საკანონმდებლო ვაკუუმი, რამეთუ ერთის მხრივ, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ვერ არკვევდნენ რა სფერო ერეგულირებინათ (წყალმეურნეობა, შიდა ტრანსპორტი, დასუფთავება, ნაგვის გატანა, გარე განათება და ა.შ.) და ცდილობდნენ საკითხის გარკვევას სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში და მეორის მხრივ, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროს მიკუთვნებულმა ეკონომიკურმა აგენტებმა, არ იცოდნენ, მათ მიერ გაწეული მომსახურება ექვემდებარებოდა თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ფასებით (ტარიფით) რეგულირებას. შესაბამისად, საკითხი გაურკვეველი იყო მანამ, სანამ საქართველოს პრეზიდენტის კონკრეტული ბრძანებულებით (08.02.2006 წლის №104) არ განისაზღვრა რეგულირებადი ეკონომიკური სფეროები (გარდა კონკრეტული დარგების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული საქმიანობებისა). კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის ამ ბრძანებულების თანახმად რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებს წარმოადგენენ შიდა საქალაქო ტრანსპორტით მომსახურება და წყალმეურნეობის (წყალკანალები) დარგი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ (საქართველოში მოქმედი საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების (ძველი და ახალი) გაანალიზებიდან გამომდინარე), სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის (განსაკუთრებით) და ფასების სახელმწიფო ინსპექციის უფლებამოსილებები და კომპეტენციის საზღვრები (ლიკვიდაციამდელ პერიოდში) მრავლისმომცველი, მაგრამ ბოლომდე სრულყოფილი არ იყო. ამასთან, ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების კონტროლის მექანიზმების აღსრულების პროცესში, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და ფასების ინსპექციას უნდა ემოქმედათ ერთობლივი ძალებით (მჭიდრო თანამშრომლობის გზით), რაც ჩვენის აზრით,

114 ფასების სახელმწიფო ინსპექციის საარქივო მასალებიდან.

ბევრად უფრო ეფექტიანს და შედეგიანს გახდიდა მათ მუშაობას. შესაბამისად, მოგებული დარჩებოდნენ, როგორც მეწარმეები, ასევე მომხმარებელლები და ბევრად უფრო მასშტაბური და მრავალისმომცველი იქნებოდა რეალიზებული საკონკურენციო პოლიტიკის შედეგები.

საბოლოოდ როგორც ვხედავთ, საქართველოში კონკურენციული აზროვნების (ანტიმონოპოლიური აზრის შექმნის) ჩამოყალიბებისთანავე, დღის წესრიგში დადგა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის და მისი აღმასრულებელი ინსტიტუტის ფორმირების საკითხი. მართალია, როგორც საკანონმდებლო ბაზა, ასევე ინსტიტუტებიც (სტრუქტურულად) იცვლებოდნენ, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მთავარი (ძირითადი) კონკურენციული (ანტიმონოპოლიური) ორგანო, პრინციპში, დღემდე უცვლელი რჩება. კერძოდ, მთავარ (ძირითად) სახელმწიფო ორგანოს, რომელიც 1992 წლიდან დღემდე ახორციელებდა ქვეყანაში გლობალურ დონეზე ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკის შემუშავებასა და მის რეალიზაციას, წარმოადგენდა და წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის (ეკონომიკური განვითარების) სამინისტრო[115].

◆ <u>საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსები.</u> შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების დაცვის უზრუნველყოფა ხორციელდებოდა და ხორციელდება ეკონომიკური აგენტების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და მათი თანამდებობის პირების მიერ საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების (ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის) მოთხოვნათა ნებაყოფლობით შესრულების მეშვეობით, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული კანონმდებლობა ირღვევა ან არ სრულდება ნებაყოფლობით, მაშინ მის დაცვას უზრუნველყოფენ ისეთი იძულებითი პროცესუალური ნორმები, რომლებიც შეიძლება განეკუთვნებოდნენ, როგორც ადმინისტრაციულ ისე სისხლის სამართლებრივ კანონდარღვევებს.

ამ პრობლემების მოწესრიგების მიზით, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღებისთანავე, გასული საუკუნის 90-იან წლებში, შეტანილ იქნა შესაბამისი მუხლები <u>ადმი-</u>

115 იხილეთ დანართი 12.5.

ნისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსში, სადაც დროთა განმალობაში შედიოდა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პრაქტიკული რალიზაციის შედეგების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში ახალი საკონკურენციო სამართლის მიღებამდე (2005 წლის 3 ივნისი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ჩადებული იყო შემდეგი მუხლები 153, 158, 158[1], 159, 159[1], 159[2], 159[3], 159[4] და 173[5], სადაც გათვალისწინებული იყო სასჯელები მეწარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევისათვის, სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებისათვის, მომხმარებელთა უფლებების შელახვისათვის, რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელების დადგენილი წესების დარღვევისათვის, არასათანადო რეკლამის განთავსებისათვის (გავრცელებისათვის), ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამდებობის პირთა მიწერილობის შეუსრულებლობისათვის, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის, ჩვილ ბავშვთა ხელოვნურად კვების რეკლამისათვის, სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებაზე ხელის შეშლისასთვის.

ამასთან, ცხადია ისიც, რომ ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, თავისი მცირე მოცულობის გამო, არაეფექტური იყო. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული მეწარმეთა პროვოცირება სამართალდარღვევის მიმართულებით. მაგალითად, ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევისათვის ისევე, როგორც სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენებისათვის გათვალისწინებული იყო ჯარიმა 30 ლარიდან 150 ლარამდე, რაც ნამდვილად ვერ უზრუნველყოფდა სადამსჯელო ზომების ქმედუნარიანობას და ეფექტურობას.

მოგვიანებით, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან ერთად, ცვლილებები იქნა შეტანილი ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად კოდექსიდან ამოღებულ იქნა 153-ე მუხლის მე-3-5 ნაწილი. ასევე, განისაზღვრა დარღვევათა ის სახეები (159[2] მუხლი – თავისუფალი ვაჭრო-

ბისა და კონკურენციის სააგენტოს თანამდებობის პირთა მიწერილობის შეუსრულებლობა და 159[3] მუხლი – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობა), რაზეც უფლებამოსილება ენიჭება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს (2007 წლის 31 იელისის მდგომარეობით), შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალ- დარღვევათა ოქმი.

გარდა ამისა, <u>სისხლის სამართლის კოდექსში</u> გათვალისწინებულია კონკრეტული სანქციები კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, როგორიცაა – მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენცის შეზღუდვა, სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის უკანონოდ გამოყენება, აშკარად ყალბი რეკლამის გავრცელება და ფალსიფიკაცია. თავის მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსში განსაზღვრული სანქციები ბევრად უფრო მკაცრია ვიდრე ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდესით განსაზღვრული სანქციები.

ამასთან, ისიც ფაქტია, რომ სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სანქციები ამ ეტაპზე არ შეესაბამებიან საქართველოში მოქმედ ახალ საკონკურენციო სამართალს, რადგანაც კონკურენციის ჩარჩო კანონით უკვე არ რეგულირდება მონოპოლიური საქმიანობის აღკვეთისა და სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენების ფაქტები. ამდენად, მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლი (მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა), შესაბამისობაშია მოსაყვანი მოქმედ ჩარჩო საკონკურენციო სამართლის ნორმებთან.

და ბოლოს, რაც შეეხება, სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ სანქციებს სარეკლამო საქმიანობის რეგულირებისა და ფალსიფიკაციის საკითხებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა გამოსულია ქვეყნის მთავარი კონკურენციის ორგანოს – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს კომპეტენციიდან და შესაბამისად, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების და შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას წარმოადგენენ.

6.2 რეგულირებადი ეკონომიკური სფეროების საკონკურენციო სამართლებრივი ნორმები და ინსტიტუტები

ფაქტია, რომ კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგლამენტირებელ სამართლებრივ ნორმებს, გარდა ზემოაღნიშნული (ნაშრომის 6.1 ნაწილი) საკანონმდებლო აქტებისა, შეიცავს ასევე ცალკეული დარგების (რეგულირებადი ეკონომიკური სფეროების) მარეგულირებელი კანონმდებლობა, სადაც განსაზღვრულია კონკრეტულ დარგში კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის თეორიული საკითხები და ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმები. სწორედ ასეთ, ცალკეული დარგების მარეგულირებელ ძირითად საკანონმდებლო აქტებს წარმოადგენენ – 1) „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 23 ივნისის ორგანული კანონი; 2) „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 23 თებერვლის კანონი; 3) „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 2 მაისის კანონი; 4) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი; 5) „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს 2002 წლის 13 სექტემბრის კანონი; 6) „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონი; 7) „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი; 8) „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 2 ივნისის კანონი; 9) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 16 აპრილის კანონი; 10) „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ“ საქართველოს 2001 წლის 20 ივლისის კანონი; 11) ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონი და 12) „წიაღის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 17 მაისის კანონი.

ამ კანონთა აღსრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქციას ახორციელებ(დნენ)ენ შემდეგი ცენ-

ტრალური სახელმწიფო ორგანოები (სამინისტროები) და დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები – 1) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; 2) საქართველოს ეროვნული ბანკი; 3) საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური; 4) საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია; 5) საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია; 6) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; 7) ნავთობისა და გაზის სააგენტო; 8) ტრანსპორტის ადმინისტრაციები / კომისია / ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია[116].

ეხლა იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას ამა თუ იმ რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში რეალიზებულ საკონკურენციო პოლიტიკაზე, აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ ზემოაღნიშნულ სამართლებრივ ნორმათა (სპეციალური კანონების) ის დებულებები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებ(ოდა)ა კონკრეტულ სფეროში (დარგში) კონკურენციისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ ინსტიტუტებსაც, რომლებიც ახდენენ კონკრეტული დარგის (სფეროს) ადმინისტრირებას.

◆ **„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის** 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად – „ბანკებს ეკრძალებათ ისეთი გარიგებები და ქმედებები, რომელთა შედეგად ისინი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად აღმოჩნდებიან დომინირებულ მდგომარეობაში ფულად, საფინანსო ან საკრედიტო ბაზარზე, აგრეთვე ყოველგვარი მანიპულაციები, რომლებიც დაუმსახურებელ უპირატესობას მიანიჭებს მათ ან მესამე პირებს, შექმნიან საბანკო საქმიანობის კონკურენციის შესუსტების, საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციის შესაძლებლობას ან საშიშროებას.

საბანკო საქმიანობაში კანონმდებლობის შესაბამისად ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას ახორციელებს **საქართველოს ეროვნული ბანკი**, რომელიც განსაზღვრავს ამ სფეროში საბანკო საქმიანობის დასაშვებ პარამეტრებს, შეფასების კრიტერიუმებსა და ზემოქმედების ზომებს“ და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საბანკო მომსახურების ბაზარზე

116 იხილეთ დანართი 12.6.

მონოპოლიურ მდგომარეობასა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული ურთიერთობები გაელენას ახდენდნენ ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე არსებულ კონკურენციაზე, საკითხის შესწავლის (გადაწყვეტის) პროცესში ერთვებოდა (1997-2005 წწ.) საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური.

ასევე, კანონის ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „კომერციულ ბანკს არა აქვს უფლება რომელიმე კლიენტთან დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სესხის გაცემის ან რაიმე საბანკო მომსახურების გაწევის პირობაა ამ ბანკის ან მისი რომელიმე მონათესავე საწარმოს არასაბანკო მომსახურების შესყიდვა ან გამოყენება".

♦ „<u>დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის</u> მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „აკრძალულია მონოპოლიური და ყველა სხვაგვარი საქმიანობა განსაზღვრულ სადაზღვევო ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის მიზნით. უპირატესობების მიცემა ან მიღება მზღვეველის (მზღვეველების) მიერ სხვა მზღვეველის (მზღვეველების) მიმართ". ამასთან, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „ . . . საბიუჯეტო ორგანიზაციას ეკრძალება სადაზღვევო ორგანიზაციის დაფუძნება და სადაზღვევო ორგანიზაციის დამფუძნებლად ყოფნა."

რაც შეეხება სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებას, კანონის მე-19 მუხლის თანახმად, ამას ახორციელებდა - თავის საქმიანობაში დამოუკიდებელი (ანგარიშვალდებული საქართველოს პრეზიდენტის წინაშე), საჯარო სამართლის იურიდიული პირი – <u>საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური</u>, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებას წარმოადგენდა მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

ამასთან, ფაქტია ისიც, რომ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, სადაზღვევო ბაზარზე ანტიკონკურენციული ქმედებების აღკვეთის მიმართულებით ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილებანი შეზღუდული იყო. სწორედ ამიტომ, მას სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან (ლიკვიდაციამდე) მჭიდრო თანამშრომლობის გზით უწევდა (უხდებოდა) სადაზღვევო ბაზრებზე არსებული ანტიკონკუ-

რენციული ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა (დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს ამ მიმართულებით დამოუკიდებელი მოქმედებისათვის შესაბამისი ბერკეტები არ გააჩნდა, რაც ნათლად წარმოაჩინა ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე 2002 წლის ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა).

და ბოლოს, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში 2007 წლის 29 ივნისს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად (№5162-რს) ლიკვიდირებულ იქნა (კანონის შესაბამისად სამსახურის ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს ორი თვის ვადაში) რა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, მის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელი ორგანო – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

♦ <u>„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის</u> მიზანს წარმოადგენს – საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.

ამავე კანონის 33-ე მუხლის (საბროკერო კომპანიათა და ბროკერთა მოვალეობანი), თანახმად „ . . . მათ არ უნდა გაუწიონ კონკურენცია თავიანთი კლიენტის დავალებას, არ უნდა მოახდინონ კლიენტის დავალების მანიპულირება, ან არ გადაწყვიტონ კლიენტის დავალების შესრულება ისეთი ფასითა და დავალების შესრულების ხარჯებით, რომლებიც ნაკლებად ხელსაყრელია კლიენტისათვის ამ საქმეში მონაწილე ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალთან შედარებით . . ." (მე-4 პუნქტი) და ასევე „ბროკერს კომპანიის სახელით, ეკრძალება კლიენტისათვის შეგნებულად შეცდომაში შემყვანი რეკომენდაციებისა და ინფორმა-

ციის მიცემა . . .“ (მე-5 პუნქტი).

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებაზე ზედამხედველ და მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომელიც თავის საქმიანობასა და გადაწყვეტილებების მიღებაში დამოუკიდებელი იყო სხვა სახელმწიფო უწყებისა და ორგანიზაციისაგან.

კომისია შედგებოდა ხუთი წევრისაგან, რომლებსაც საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავდა საქართველოს პრეზიდენტი.

ამასთან, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2007 წლის 29 ივნისს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად (№5162-რს) ლიკვიდირებულ იქნა (კანონის შესაბამისად კომისიის ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს ორი თვის ვადაში) საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომლის უფლებამონაცვლედ ამავე კანონის შესაბამისად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელი ორგანო – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

♦ „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კომუნიკაციების სფეროში „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული ნორმების შესრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქცია ეკისრება კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას.

ამასთან, როგორც ნაშრომის მეხუთე ნაწილში აღვნიშნეთ, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2002 წელს შეტანილი ცვლილების (დამატება) თანახმად „მხოლოდ დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი კომისიები და ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო არიან უფლებამოსილნი, შესაბამისი კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ რეგულირება

და კონტროლი“ (მუხლი 5, პუნქტი 3).

გარდა ამისა, „დამოუკიდებელი მარეგულირებლი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიებს დაევალათ შეემუშავებინათ და მიეღო „მომხმარებლის საჩივრების მიღების, განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურების შესახებ“ მარეგულირებელი წესი (მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი).

თავის მხრივ, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონში 2003 წლის 22 ივლისს შეტანილ იქნა დამატება (მუხლი 34[1]), რომლის თანახმადაც არაკონკურენციული საბაზრო რეგულირების პირობებში მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დამატებითი გარანტიების შესაქმნელად საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასა და საქართველოს კომიუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ამ კომისიების აპარატისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, 1999-2003 წლებში საკონკურენციო სამართალსა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ენერგეტიკის, კომუნიკაციებისა და ნავთობისა და გაზის სფეროებში კონტროლს ახორციელებდნენ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიები და შესაბამისი სააგენტო.

◆ ცალკე განხილვის საგანია <u>„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი</u>, რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ადგენს ამ სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისა და რეგულირების პრინციპებს (მუხლი 1). მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით საქმიანობაში მონოპოლიური მდგომარეობის დაუშვებლობასა და მომსახურების ბაზრის ლიბერალიზაციას; თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას; ავტორიზებული პირებისათვის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მინიჭებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით საქმიანობისას მათ შორის ექსკლუზიური ხელშეკრულებების დადების დაუშვებლობას; მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვას; კომისიის

მარეგულირებელი გადაწყვეტილებების მიღებისას მაქსიმალურ საჯაროობას, არადისკრიმინაციულობას, გამჭვირვალობასა და ტექნოლოგიურ ნეიტრალობას (მუხლი 4).

ამასთან, კანონის ცალკეული თავი ეხება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას (თავი IV), სადაც მოცემულია კონკურენციის რეგულირების მიზნები და ამოცანები (მუხლი 20), კონკურენციის კვლევის მიზნით მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის პრინციპები (მუხლი 21). ამ მუხლის თანახმად, კომისია ბაზრის კვლევის (ანალიზის) შედეგებზე დაყრდნობით ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრას ახორციელებს კომისიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელი კომისია, სწორედ იგივე საქმიანობას ეწევა კონკრეტულ დარგში, რასაც საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური ახორციელებდა 2005 წლის 3 ივნისამდელ პერიოდში მთელი ქვეყნის მასშტაბით. კერძოდ, ქვეყნის შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე ხდებოდა კონკურენციული გარემოს შეფასება და მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების გამოვლენა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონში არის ისეთი მუხლები, როგორიცაა „მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის ეტაპები, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის განსაზღვრის ზოგადი დებულებები (მუხლი 22); მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება (მუხლი 23); მომსახურების ბაზრის ანალიზთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება (24); შერწყმისა და წილის შეძენის რეგულირება (მუხლი 25); შერწყმის ან წილის შეძენის გამოკვლევა (მუხლი 27); კომისიის მიერ კონკურენციის უზრუნველყოფის უფლებამოსილებანი (მუხლი 28). ამასთან, კანონის მე-V თავი მთლიანად ეთმობა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის სპეციფიკურ ვალდებულებებს, ხოლო მე-VI თავი კი ავტორიზებულ პირთა შორის წარმოშობილი დავების განხილვასა და გადაწყვეტის წესს.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ კანონის მე-20 მუხლიდან 37-ე მუხლის ჩათვლით მოცემული დებულებები აყალიბებენ ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე საკონკურენციო პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმებს და ეს ბევრად უფრო სრულყოფილად (როგორც მოცულობითი სახით, ასევე შინაარსობრივად) ხდება ვიდრე საქართველოს ძირითად (ჩარჩო) საკონკურენციო სამართალში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული საკონკურენციო სამართალი (არც ძირითადი და არც დარგობრივი) ამ კანონის მიღებამდე შერწყმების კონტროლს არ ითვალისწინებდა, რაც ქართული საკონკურენციო სამართლის არასრულყოფილებაზე მიუთითებს. შესაბამისად, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, სადაც შერწყმების კონტროლის მექანიზმებია ჩადებული, სერიოზული პროგრესი იქნა მიღწეული საკონკურენციო სამართლის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების საქმეში. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ეს მხოლოდ კონკრეტულ დარგს (ელექტრონული კომუნიკაციები) და არა ზოგად (ჩარჩო) საკონკურენციო სამართლებრივ ნორმას ეხება („თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ძირეულად განსხვავდება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისაგან).

თავის მხრივ პარადოქსია და არანაირი სიკეთის მომტანი არაა ქვეყნის ეკონომიკისათვის ის ფაქტი, რომ ზოგადი (ჩარჩო) და დარგობრივი საკონკურენციო სამართალი ასე მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (დარგობრივი საკონკურენციო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ერთიან კონკურენციულ (ანტიმონოპოლიურ) პოლიტიკას). უფრო მეტიც, მან შეიძლება გარკვეული სირთულეები შეუქმნას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კანონით მასზე დელეგირებული ფუნქციების აღსრულების პროცესში. კერძოდ, ერთის მხრივ, კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინადადებათა გათვალისწინებით შეიმუშავებს საქართველოს მთავრობა . . .“, ხოლო მეორეს მხრივ, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (სამინისტროს სისტემა-

ში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან ერთად) პასუხისმგებელია ქვეყანაში ერთიანი კონკურენციული პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაზე, მაშინ როდესაც ძირითადი საკონკურენციო სამართლის ნორმები, რასაც ეს ერთიანი პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს, ეწინააღმდეგება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის დებულებებს. შესაბამისად, არაა გამორიცხული, რომ მთავრობისათვის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საკონკურენციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსასაზღვრავად შეთავაზებული წინადადებები არ შეესაბამებოდეს ზოგად კონკურენციულ პოლიტიკას.

რაც შეეხება კომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელი ორგანოს (კომისიის) კომპეტენციის საკითხებს ის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმადაა განსაზღვრული. ამასთან, კანონის შესაბამისად სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ამ სფეროში წარმართავს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო მის განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა (მუხლი 6, პუნქტი 2).

◆ <u>„ტრანსპორტისა და კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის</u>[117] მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის (ადმინისტრაციის ძირითადი ფუნქციები) „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ტრანსპორტის სფეროში „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისი ნორმების შესრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება დაეკალათ <u>საავტომობილო, საზღვაო, სამოქალაქო ავიაციისა</u> და <u>სარკინიგზო ტრანსპორტის ადმინისტრაციებს,</u> რომლებიც (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტის ადმინისტრაციისა) ჩამოყალიბდნენ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2001 წლის 28 დეკემბერის გადაწყვეტილების საფუძველზე (ბრძანებები №110, №111 და №113). ამდენად, ტრანსპორტის სფეროში 2001 წლის ბოლოს დაიწყო და 2002 წლიდან კიდევ უფრო გაღრმავდა დამოუკიდებელი საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის წარმოება.

ამასთან, „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების

117 ძალა აქვს დაკარგული (გაუქმებულია) 2007 წლის 30 მარტიდან.

შესახებ“ საქართველოს კანონში 2003 წლის 14 აგვისტოს შეტანილი ცვლილების (№2951-რს) შესაბამისად, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების რანგში იქნენ აყვანილი ტრანსპორტის ადმინისტრაციები, რომელთა დებულებები დამტკიცებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2004 წლის ივლის (სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის დებულება 23.07.04 წ. №287 ბრძანებულება) აგვისტოში (საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის დებულება 18.08.04 წ. №339 ბრძანებულება).

მოგვიანებით, ქვეყანაში ტრანსპორტის რეგულირების სფეროში მოქმედ საკანონმდებლო ნორმებში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად, სატრანსპორტო სისტემითა და სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურებაზე ტარიფების დამტკიცებისა და რეგულირების უფლებამოსილება, ისევე როგორც ამ სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის აღსრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქცია, გადაეცა საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას. შესაბამისად, „ტრანსპორტის სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (იგივე „ტრანპორტისა და კომუნიკაციების შესახებ“ კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქაროველოს პრეზიდენტის 2006 წლის 12 ოქტომბრის №599 ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა – დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულება, რითაც განისაზღვრა კომისიის უფლებაუნარიანობა და რეგულირერების სფერო (ჩარჩოები).

კომისიის შემადგენლობა განსაზღვრული იყო ხუთი წევრით, ხოლო უფლემაბოსილების ვადა 6 წლით (დაუშვებელი იყო კომისიის წევრის ზედიზედ ორ ვადაზე მეტი ხნით არჩევა). კომისიის წევრებს თანამდებობაზე ნიშნავდა და თანამდებობიდან ანთავისუფლებდა საქართველოს პრეზიდენტი. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტი, კომისიის წევრთაგან ერთ-ერთს ნიშნავდა კომისიის თავმჯდომარედ, რომლის პასუხისმგებლობისა და თანამდებობიდან გადგომისა თუ მისი უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი განსაზღვრული იყო ზემოაღნიშნული კანონითა და დებულებით.

◆ „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ" საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონი. რამდენადაც, ვერ გაამართლა ტრანსპორტის სფეროში შექმნილმა ეროვნულმა მარეგულირებელმა კომისიამ მასზე გაცემული ავანსები და ქვეყანაში ტრანსპორტის დარგის განვითარების ხელისშემშლელ ბერკეტად იქცა, საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება ამ სფეროში რადიკალური (კარდინარული) რეფორმების განხორციელების შესახებ, რაც საბოლოო ჯამში ასახულ (რეალიზებულ) იქნა „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ" საქართველოს კანონში.

ამ კანონის მიღებით გაუქმებულ იქნა ქვეყანაში მანამდე მოქმედი „ტრანსპორტის სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ". საქართველოს 2001 წლის 20 ივლისის კანონი, მის ქვემდებარე სამართლებრივ ნორმებთან და შესაბამის აღმასრულებელ ინსტიტუტთან ერთად. შესაბამისად, მოხდა, საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეორგანიზაცია და მის ნაცვლად შეიქმნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია. აღნიშნული ადმინისტრაციის ფუნქციად განისაზღვრა ტრანსპორტის სფეროს ტექნიკური რეგულირება, ხოლო ტრანსპორტის სფეროს სახელმწიფო მართვის უფლებამოსილება გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ კონკურენციის პრობლემატიკაც ტრანსპორტის სფეროში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შესაბამისი ადმინისტრაციის კომპეტენციას წარმოადგენს.

◆ „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლი შეიცავს საკონკურენციო სამართლებრივ ნორმას, რომლის თანახმად აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების, დაქვემდებარებული უწყებებისა და ორგანიზაციების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფო ან სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მონოპოლიას წიაღით სარგებლობის სფეროში; აკრძალულია წიაღით მოსარგებლეთა ინფრასტრუქტურით სარგებლობის

შეზღუდვა და მხოლოდ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებითაა შესაძლებელი გამოცხადდეს სახელმწიფო მონოპოლია გარკვეული ტიპის წიაღისეულის ან ცალკეული საბადოს დამუშავებაზე.

კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვას და შესაბამისი პოლიტიკის გატარებას ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკონკურენციო სამართალი (ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა) არა მხოლოდ ზემოჩამოთვლილი კანონებისა და საკანონმდებლო აქტებისაგან შესდგება, არამედ ის თავის თავში მოიცავს მთელს სამოქალაქო კანონმდებლობას, რამდენადაც კონკურენციის უზრუნველყოფა გულისხმობს ასევე ისეთ სამართლებრივი წესებისა და ნორმების დაცვას, როგორიცაა არჩევანის, ხელშეკრულების დადების თავისუფლების უზრუნველყოფა და სხვ.

7. საქართველოს კონკურენციის (ანტიმონოპოლიური რეგულირების) მთავარი (ძირითადი) ორგანოები

როგორც უკვე, ამ ნაშრომში არაერთხელ გავუსვით ხაზი, კონკურენციული პოლიტიკის გატარება, აუცილებელი პირობაა საზოგადოებაში ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების დაფუძნებისათვის. ის (კონკურენცია), როგორც საბაზრო ეკონომიკის სახელმძღვანელო პრინციპი, ჩვენი საზოგადოების, ეკონომიკური ორგანიზაციის მოდელის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ კონკურენცია არის ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ობიექტური საფუძველი და დემოკრატიის არსებობა კონკურენციის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია.

ამასთან, საბაზრო ურთიერთობათა სრულყოფის პროცესში, არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, რომლის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს სწორედ, კონკურენციის სტიმულირება, გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარება და ეკონომიკური პროცესის მონაწილეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთა, როდესაც იგი ხელყოფს ჯანსაღი კონკურენციული ბრძოლის მექანიზმებს. შესაბამისად, კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია (შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების შექმნა) ნებისმიერ ქვეყანაში საკმარისად ღიად მიუთითებს ამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სხვა (უფრო მაღალ) ხარისხობრივ დონეზე გადასვლას, როდესაც განსაკუთრებულად მძაფრდება კონკურენციული ბრძოლა და ძირითადი ორიენტირი ხდება მომხმარებლის მოთხოვნილების მაქსიმალური (ეფექტიანი და ხარისხიანი) დაკმაყოფილება. თავის მხრივ, ცხადია, რომ ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ეკონომიკის დემონოპოლიზაციისა და სრულფასოვანი კონკურენციული გარემოს ფორმირების კუთხით, წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური რეფორმების (საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი ეტაპის) უმნიშვნელოვანეს მიმართულებას.

სიახლეს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საწარმოთა თავისუფალ საქმიანობაში, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის

ჩვევა, მეტად სიცოცხლისუნარიანია (მას შეუძლია წინ აღუდგეს საბაზრო ურთიერთობათა ფორმირებასა და კონკურენციის განვითარებას). აქედან გამომდინარე, ეფექტიანი სახელმწიფო ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება და სრულფასოვანი კონკურენციული გარემოს ფორმირება წარმოადგენს, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამაელი ეტაპის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ანტიმონოპოლიური რეგულირების ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულება: 1) ნორმატიული და 2) ორგანიზაციული.[118]

ნორმატიული რეგულირების არსი გამოიხატება სამეურნეო საქმიანობის წარმართვის წესების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით დადგენასა და მათი განხორციელების კონტროლში. თავის მხრივ, ანტიმონოპოლიური რეგულირების ტიპიურ გამოვლინებას წარმოადგენს საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს, ისეთ საკონსტიტუციო ნორმებსა და საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც ანტიმონოპოლიური მიმართულების მქონე წესებს წარმოადგენენ; მათ შორის, ცენტრალური ადგილი 1996 წლის 26 სექტემბრიდან 2005 წლის 3 ივნისამდე ეკავა საქართველოს კანონს „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ". სწორედ, ამ კანონსა და მის შესაბამისად მიღებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, უნდა უზრუნველეყოთ საქართველოში კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა (ყოველგვარი ბარიერების მოხსნა) და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან, ეფექტურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის უმტკივნეულოდ განხორციელება.

თავის მხრივ ცხადია, რომ კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარების გარეშე, საბაზრო ეკონომიკა ვერ ჩაითვლებოდა უფრო პროგრესულ და წინგადაგმულ ნაბიჯად გეგმიურ ეკონომიკასთან შედარებით. ამიტომ, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ძირითადი პოსტულატი მდგომარეობდა იმაში, რომ თანაბარი პირობები შექმნოდა ყველა ეკონომიკურ აგენტს და შესაბამისად, მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და დომინანტი ეკონომიკური აგენტების ზემოქმედებისაგან, ზოგადად მეწარ-

118 Тотьев К., Конкуренция и монополии, М., 1996, с. 20.

მეთა, მაგრამ, განსაკუთრებით იმ მეწარმეთა უფლებები, რომლებიც ბაზარზე პირველად აპირებდნენ შესვლას.

რაც შეეხება ორგანიზაციულ რეგულირებას, მისი არსი მდგომარეობს, სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების (პირველ რიგში ანტიმონოპოლიური ორგანოს) შექმნასა და მათთვის შესაბამისი უფლებამოსილებების მინიჭებაში, რათა მათ შეეძლოთ, რეალური და დადებითი ზემოქმედების მოხდენა, ეკონომიკურ ურთიერთობებზე და საბოლოო ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

7.1 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური

საქართველოში კონკურენციული პოლიტიკის რეალიზაციის მოცულობის ზრდის შესაბამისად (კონკურენციის პოლიტიკა 1995-2005 წწ. მოიცავდა სარეკლამო საქმიანობის რეგულირების, ხოლო 1996-2005 წწ. მომსმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებსაც), დღის წესრიგში დადგა, კონკურენციული (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანოს (1992-1996 წლებში კონკურენციის პოლიტიკის გამტარებელი ორგანო საქართველოში იყო ეკონომიკის სამინისტროს (ცენტრალური აპარატი) სტატუსისა და უფლებამოსილების გაფართოების საკითხი, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენცის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის „. . . განხილვისას პარლამენტის პლენალურ სხდომაზე დაისვა საკითხი უწყებრივად დამოუკიდებელი ანტიმონოპოლიური ორგანოს შექმნის თაობაზე. საკითხი დადებითად ვერ გადაწყდა, თუმცა კენჭისყრის შედეგები იყო (64-67) . . .“[119]. აღნიშნული ნათლად ადასტურებს იმ კეთილგანწყობას, რომელიც რეალურად არსებობდა საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებაში საკონკურენციო სამართლის და მისი აღმასრულებელი ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცეს'ში.

სწორედ, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობებისა და კონკურენციის განვითარების

119 ქ. ლაფანი, დებატები ანტიმონოპოლიური ორგანოს დამოუკიდებლობის შესახებ, გაზეთი „24 საათი“, 2003 წლის 31 მაისი, №10(359).

ხელშეწყობისა და სტიმულირების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის (შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპების დაცვისა და განვითარების, მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების) წარმოების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 დეკემბრის №848 ბრძანებულებით ჩამოყალიბდა (შეიქმნა) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის სუბიექტი (შემდეგში უკვე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება) – **საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური**, რომლის ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილება, ასევე მისი ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების პასუხიმგებლობის საკითხი განისაზღვრა ზემოაღნიშნული კანონითა და შესაბამისი საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. სამსახურის დებულება და სტრუქტურა დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 მარტის №137 ბრძანებულებით (სამსახურის საშტატო რიცხოვნება განისაზღვრა 150 კაცის რაოდენობით. მათ შორის, 65 კაცი ცენტრალურ აპარატში, ხოლო 85 ავტონომიური რესპუბლიკებისა და მხარეების შესაბამის სამსახურებში). თუმცა ისიც ფაქტია, რომ საბოლოო ჯამში ქვეყანაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის „. . . აღსრულების საკითხი . . . მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის ხარისხს, რაც ობიექტური ფაქტორების გარდა განპირობებული იყო სუბიექტური გარემოებებითაც“.[120]

კანონისა და დებულების შესაბამისად სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის კომპეტენციად განისაზღვრა:

- საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზარზე კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ დაცვაზე კონტროლის განხორციელება;
- მონოპოლიური საქმიანობისა და მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა;

120 ვ. მაისურაძე, ქ. ლაფაჩი, შ. გოგიაშვილი, ს. ფეტელავა, გ. მელაძე, კრებული საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისათვის. თბ., 1999, გვ. 10.

◆ ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობის რეგულირება;

◆ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით წინადადებების შემუშავება და წინასწარი ღონისძიებების გატარება;

◆ მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მათ დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

◆ სარეკლამოს საქმიანობის რეგულირება;

◆ კანონპროექტებისა და ნორმატიული აქტების შემუშავება მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის და კონკურენციის განვითარების, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის სფეროებში;

◆ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის განსახილველად სავალდებულო წინადადებების წარდგენა კონკურენციის განვითარებისა და მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის ღონისძიებათა გატარების მიზნით;

◆ ანტიმონოპოლიური, მომხმარებელთა უფლებების დაცვის და სარეკლამო სფეროს კანონმდებლობათა დარღვევის ფაქტების განხილვა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

◆ თანამშრომლობა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრის მიზნით.

გარდა ამისა, ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილი იყო:

◆ შესაბამისი ორგანოს წინაშე დაეყენებინა საკითხი იმ ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ, რომელიც დაარღვევდა ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას;

◆ მოეთხოვა ამ კანონის დამრღვევი ორგანოსათვის მის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება;

◆ ეკონომიკური აგენტისათვის მოეთხოვა ამ კანონის დარღვევით დადებული ხელშეკრულების და მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

◆ ასევე, ეკონომიკური აგენტისაგან მიეღო ცნობები მისის სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო საქმიანობების შესახებ;

◆ გასცნობოდა ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ მასალებს;

◆ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეემოწმებინა და ამოეღო ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

◆ დაეყენებინა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირის ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი;

◆ სამინისტროების, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების, ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელი ორგანოებისაგან მოეთხოვა ნებისმიერი, მისთვის საჭირო ინფორმაცია;

◆ განესაზღვრა სამეურნეო საქმიანობის კონკრეტულ სფეროში ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე სასაქონლო-საფინანსო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის წილის ზღვრული ოდენობა და ა.შ

თავის მხრივ, თუ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური დაადგენდა ეკონომიკური აგენტის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტს, მას შეეძლო დაევალდებულებინა ეკონომიკური აგენტი აღეკვეთა არსებული მდგომარეობა. ამასთან, ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო იყო შესასრულებლად როგორც ეკონომიკური აგენტისათვის, ასევე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის.

„მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსს ეკონომიკის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავდა და თანამდებობიდან ანთავისუფლებდა საქართველოს პრეზიდენტი. შესაბამისად, სამსახური ანგარიშვალდებული იყო (მუხლი 26) ქვეყნის პრეზიდენტის წინაშე, რაც გარკვეულწილად სამსახურის დამოუკიდებლობისა და მის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტს წარმოადგენდა (თავის მხრივ, სამსახურის უფროსი იყო პერსონალურად პასუხიმგებელი სამსახურზე დელეგირებული უფლებამოსილებების აღსრულებაზე).

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს, მთელი მისი არსებობის მანძილზე (1997-2005 წწ.)

ხელმძღვანელობდა რვა უფროსი/უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (მათ შორის, შვიდი პროფესიით იყო ეკონომისტი და ერთი იურისტი). კერძოდ – ვაჟა მაისურაძე (28.12.96 წლიდან – 2000 წლის მაისი), გიორგი ისაკაძე (2000 წლის მაისიდან 2001 წლის აპრილამდე), გენადი (გენო) მალაზონია (2001 წლის მაისი – ივლისი), სლავა ფეტელავა (სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი 2001 წლის 1 აგვისტო – 25 ოქტომბერი, 2003 წლის 22 დეკემბერი – 2004 წლის 2 იანვარი, 2004 წლის 26 აპრილი – 6 მაისი), არმაზ თავაძე (2001 წლის 25 ოქტომბერი – 2003 წლის 21 დეკემბერი), ალექსანდრე (სანდრო) რატიშვილი (2004 წლის იანვარი – აპრილი), ილია (ნუკრი) ზაქარიაძე (სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი 2004 წლის მაისი – ივლისი), ემზარ ჯგერენაია (სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი 2004 წლის აგვისტო – 2005 წლის 19 აგვისტო)[121]. ამასთან, მიუხედავად ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელმძღვანელთა ხშირი ცვლისა ერთი რამ შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ „საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ნორმების თანახმად, ანტიმონოპოლიური სამსახური არასოდეს ყოფილა ასოცირებული ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალასთან, მათ შორის, არც სახელისუფლებო უმრავლესობასთან, არც არასოდეს სარგებლობდა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის ლობირებით . . . “[122].

თავის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ჩამოყალიბების პირველივე დღიდან დაიწყო, სამსახურის (როგორც ცენტრალური აპარატის ასევე რეგიონალური ანტიმონოპოლიური სამსახურების) ფორმირების ორგანიზაციული, მეთოდოლოგიური და ანალი-

---

121 ვ. მაისურაძე, გ. ისაკაძე, გ. მალაზონია, ა. თავაძე, ა. რატიშვილი სამსახურის უფროსებად დანიშნული იყვნენ საქართველოს პრეზიდენტის (პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის) მიერ; ე. ჯგერენაია სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნული იყო ჯერ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის, ხოლო შემდეგ (2004 წლის ნოემბრიდან) საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ; ი. ზაქარიაძე სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნული იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიერ; ს. ფეტელავა სამსახურის უფროსის მოვალეობას ასრულებდა დადგენილი წესის (სამსახურის დებულების) შესაბამისად, როგორც სამსახურის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე;

122 ქ. ლაფაჩი, დებატები ანტიმონოპოლიური ორგანოს დამოუკიდებლობის შესახებ, გაზეთი „24 საათი“, 2003 წლის 31 მაისი, №10(359).

ტიკური უზრუნველყოფის სამუშაოების განხორციელება. შესაბამისად, 1996-2000 წლებში შეიქმნა კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძვლები, რომლის შემდგომი (უმნიშვნელო) სრულყოფა (ზოგ შემთხვევებში კი უკან დახევა) მომდევნო წლებში მიმდინარეობდა. ამავე პერიოდში, სამსახური ახორციელებდა კონკრეტული სასაქონლო ბაზრების ანალიზს, რათა მიეღო ინფორმაცია ბაზრის კონიუნქტურის, ამ ბაზრებზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასებისა და მათში დომინანტი (მონოპოლისტი) ეკონომიკური აგენტების გამოვლენის კუთხით[123].

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ ყოველწლიურად მატულობდა ანტიმონოპოლიურ, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის სფეროში არსებული კანონმდებლობის მიმართ ეკონომიკურ აგენტთა და მოსახლეობის ინტერესი. შესაბამისად, იზრდებოდა ამ უკანასკნელთა ნდობა ანტიმონოპოლიური სამსახურისადმი, რაზეც ნათლად მეტყველებს ანტიმონოპოლიური სამსახურის ცენტრალურ აპარატსა და მის ტერიტორიულ სამსახურებში დახმარების მიღების იმედით შემოსული განცხადებების, საჩივრებისა და მომართვების რაოდენობის ზრდა. კერძოდ, მარტო „ანტიმონოპოლიური სამსახურის ცენტრალურ აპარატში წელიწადში შემოდიოდა დაახლოებით 2500-3000 და გადიოდა დაახლოებით 1500-2200 კორესპოდენცია (დასკვნა–ანალიზი, საექსპერტო შეფასება, ეგზავნებოდა წინადადებები საქართველოს პრეზიდენტსა და სახელმწიფო მინისტრს ცალკეული პრობლემების გადაწყვეტის თაობაზე, ასევე ექსპერტიზას გადიოდა ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი კონკრეტული საკითხები, მათ შორის, კანონპროექტები)“[124]. წელიწადში დაახლოებით ორ ასეულამდე განცხადება შემოდიოდა ეკონომიკური აგენტებისა და კონკრეტული მოქალაქეებისაგან, რომელთა უმეტესობა მათი უფლებების შელახვის (კონკურენციის წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დარღვევა) ფაქტების შესწავლასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას ითხოვდნენ სამსახურისაგან.

---

123 უფრო დეტალურად იხილეთ ნაშრომის მეხუთე ნაწილი;

124 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალებიდან (29.07.05 წლის წერილი).

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში დემონოპოლიზაციისა და წინასწარი სახელმწიფო კონტროლის ღონისძიებები ბევრად უფრო აქტიურ ხასიათს ატარებდა 1995 წლამდელ პერიოდში, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობდა სახელმწიფო საწარმოთა ბაზაზე კონცერნების, ასოციაციების, სააქციო საზოგადოებებისა და სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურების შექმნის პროცესები. შესაბამისად, იმ პერიოდში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა ანტიმონოპოლიურ საექსპერტო დასკვნას საწარმოთა სარეგისტრაციო დოკუმენტების ჩამონათვალში, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებდა წინასწარი ანტიმონოპოლიური კონტროლის მექანიზმებს. მოგვიანებით (1996 წლიდან), წინასწარი ანტიმონოპოლიური კონტროლის სახელმწიფო მექანიზმები მარონალია შესუსტდა, მაგრამ მაინც არსებობდა[125], რომლის ფარგლებში, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური სისტემატიურად სწავლობდა კომპანიათა შერწყმისა და გაერთიანების პროექტებს, აანალიზებდა მოსალოდნელ შერწყმათა როგორც პოზიტიურ ასევე ნეგატიურ შედეგებს და კომპეტენციის ფარგლებში ღებულობდა კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანტიმონოპოლიური სამსახური ახორციელებდა კონტროლს საწარმოთა შერწყმის, რეორგანიზაციის, გაერთიანებისა და პრივატიზაციის (საპრივატიზაციო და სატენდერო პირობების ექსპერტიზა) პროცესებზე. ე.ი ახორციელებდა ამ პროცესების წინასწარ ანტიმონოპოლიურ კონტროლს.

ამასთან ფაქტია, რომ ანტიმონოპოლიური კონტროლის ეს მიმართულება, როგორც ბაზრის მონოპოლიზების თავიდან აცილების ეფექტიანი საშუალება, მუდმივ სრულყოფასა და დახვეწას საჭიროებდა (კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის ამაღლების კუთხით). განსაკუთრებით აუცილებელი იყო კანონის იმ დებულებათა სრულყოფა, რომელიც მხოლოდ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტზე ვრცელდებოდა, რაც სამწუხაროდ, კანონის გაუქმებამდე არ განხორციელებულა. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის, წინასწარი უარყოფითი საექსპერტო დასკვნა (გასული საუკუნის 90-იან წლებში) გაეცა ს/ს „ეი-ი-ეს თელასის“

125 უფრო დეტალურად იხილეთ ნაშრომის 6.1 ნაწილი;

სახელზე, რომელიც აპირებდა დედაქალაქის გაზის გამანაწილებელი კომპანიის პრივატიზებას. კერძოდ, ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, დედაქალაქის ელექტრო და გაზის გამანაწილებელი (ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის გამანაწილებელი) კომპანიების გაერთიანება (შერწყმა) მიჩნეულ იქნა რა კონკურენციის შემზღუდავ (ჰორიზონტალური ინტეგრაცია) გადაწყვეტილებად, გაცემულ იქნა გაერთიანების საწინააღმდეგო დასკვნა.

ანალოგიურად, 2001-2002 წლებში სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური გამოვიდა ს/ს „საქართველოს ელექტროკავშირი"-სა და შ.პ.ს. „ტელეკომი"-ს (იმ პერიოდში ერთადერთი საერთაშორისო ოპერატორი, რომელიც იყო მომგებიანი სახელმწიფო საწარმო) ერთ ლოტად პრივატიზაციის წინააღმდეგ, რადგანაც, მიჩნეულ იქნა, რომ ეს გამოიწვევდა, ქვეყნის კომუნიკაციების ბაზრის ამ ორი გიგანტი კომპანიის ვერტიკალურ ინეგრაციას (ადგილობრივი სატელეფონო ქსელი, საერთაშორისო საუბრები), შედეგად კი მოხდებოდა ბაზრის სრული მონოპოლიზირება და შეიზღუდებოდა კონკურენცია. მოგვიანებით, „სამსახურის მიერ, ასევე განხილულ იქნა ს.ს „თბილგაზი"-ს კომპანია „იტერას" მიერ შესაძლო პრივატიზების საკითხი . . . დასკვნა წარედგინა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. დასკვნაში მითითებულ იქნა სავალდებულოდ გასათვალისწინებელი წინასწარი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც, პრივატიზების შემდგომ მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს სახელმწიფოსა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას".[126]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური სისტემატიურად ახორციელებდა წინასწარ სახელმწიფო კონტროლს, გამაფრთხილებელ და აღმკვეთ ღონისძიებებს. ამასთან, ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ბაზრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების

---

126 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 2002-2003 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის ანგარიში, სარეკლამო პოლიგრაფიული საწარმო „არადანი", თბ., 2003, გვ. 26-27.

ანტიმონოპოლიურ ექსპერტიზას, რითაც თავიდან იქნა აცილებული მრავალი კონკურენციის შემსღუდავი, აგრეთვე მომხმარებელთა უფლებების შემლახავი ნორმატიული აქტის მიღება. სისტემატიური ხასიათი ჰქონდა აგრეთვე, კონტროლს მონოპოლისტი ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქცევაზე, მათ მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების თავიდან აცილების მიზნით.

ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის (კონკრეტული საჩივრების საფუძველზე) შედეგად გამოვლენილ და აღკვეთილ იქნა აღმასრულებელი ხელისუფლების და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ ცალკეული ეკონომიკური აგენტებისათვის შეღავათებისა და უპირატესობების მინიჭების (შესაბამისად სხვა ეკონომიკური აგენტის დისკრიმინაციის) ათეულობით ფაქტი. სისტემატიურად ხორციელდებოდა კონტროლი მონოპოლისტი ეკონომიკური აგენტებისა და ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების საბაზრო ქცევაზე, მათი მხრიდან მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით. მუდმივი ანალიზის საგანი იყო, მათი საქმიანობის მახასიათებლები, მათ შორის, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები.[127]

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სათბობ-ენერგეტიკის სფეროში არსებული პრობლემების შესწავლასა და მათი გადაწყვეტის გზების ძიებას. სერიოზული კვლევის საგანი იყო ენერგომატარებლების ფასები და ამ სფეროში მომხმარებელთა დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები (მათ შორის, სატარიფო პოლიტიკა 2003 წლამდე). რამდენადაც, ენერგეტიკის სფეროში მართებული ფასწარმოქმნის (კონკურენციული გარემოს) მექანიზმის ფორმირება იყო (რეფორმირების პერიოდში) ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი რგოლი, იმდენად, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის ყურადღების ცენტრში (მუდმივად) იყო ამ სფეროში მიმდინარე პროცესები. სამსახური ოპერატიულად ეხმიანებოდა და მკაცრ ოპონირებას უწევდა დარგის მარეგულირებელი კომისიის თითოეულ გადაწყვეტილებას ელექტროენერგიის

127 უფრო დეტალურად იხილეთ ნაშრომის მეხუთე ნაწილი.

ტარიფის მომატებასთან თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, როგორც სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალებიდან ჩანს, სამსახურის 2002 წლის 15 აგვისტოს მიმართვის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შეჩერებულ იქნა „ქ. თბილისში 1 კვტ.სთ. ელექტროენერგიის საფასურის (ტარიფის) 12.4 თეთრიდან 13.7 თეთრამდე გაზრდის თაობაზე“ – ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (13.08.02 წ.) გადაწყვეტილების რეგისტრაციის პროცესი. შესაბამისად, იუსტიციის სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია (გაიზიარა ანტიმონოპოლიური სამსახურის პოზიცია), რომ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის (ს/ს „ეი-ი-ეს თელასი“) მიერ მომსახურების ფასის გაზრდის თაობაზე კომისიაში შეტანილ განაცხადს ჩატარებოდა ანტიმონოპოლიური ექსპერტიზა.

როგორც განხილულ საქმეთა სრუქტურა გვიჩვენებს, უფრო ხშირი იყო „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის დარღვევის, კერძოდ, კი მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები, რაც გამოიხატებოდა დომინირებული (მონოპოლიური) მდგომარეობის მქონე აგენტთა მხრიდან კონტრაგენტისათვის სახელშეკრულებო პირობების თავს მოხვევაში ან მომსახურების გაწევაში დამატებითი პირობებით, მომხმარებელთა მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებაში და თავისუფალი (სახელშეკრულებო) ფასების გამოყენებაში იმ მომსახურებისა და საქონლის რეალიზების შემთხვევებში, რომელთა ფასიც განსაზღვრული იყო ნორმატიული აქტებით.

ამასთან, შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე დარღვევების გამოვლენის მიზნით სისტემატიურად ხორციელდებოდა სასაქონლო და მომსახურების ბაზრების მონიტორინგისა და ანალიზის სამუშაოები. სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა ათეულობით სასაქონლო ბაზარი და მომზადებულ იქნა კონკრეტული რეკომენდაციები (ნავთობროდუქტების (ნავთი, დიზელი, ბენზინი, მაზუთი, ზეთი), ყურძნის, პურპროდუქტების, აეიაციის (მგზავრთა გადაყვანის), მინერალური წყლების, დაზღვევის, ცემენტის, სასკოლო სახელმძღვანელოების და ა.შ.), რომლებიც წარედგინა საქართველოს

მთავრობასა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის რგოლებს. გარდა ამისა, ყოველწლიურად ხდებოდა ათეულობით კონკურენციის შეზღუდვის (აღკვეთის) საკითხზე კონკრეტული განცხადებების განხილვა. საჭიროების შემთხვევებში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ეწყობოდა საქმეთა მოსმენები დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით და ხდებოდა საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა სარეკლამო საქმიანობის რეგულირება, რომელიც ემსახურებოდა სათანადო ინფორმაციის მიღებაზე მომხმარებლის უფლების რეალიზაციას, აგრეთვე, მეწარმეთა შორის არასათანადო რეკლამის სახით არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების თავიდან აცილებასა და აღკვეთას. „როგორც რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის პრაქტიკული ეფექტიანობის ანალიზი გვიჩვენებს, განსაკუთრებით ხშირად ირღვეოდა „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მეოთხე მუხლი – ზოგადი და სპეციალური მოთხოვნები რეკლამისადმი (შემთხვევების დაახლოებით 60 %), მეხუთე მუხლის პირველი და მეხუთე პუნქტები (13 %), მერვე მუხლი (8,5 %) – ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამასთან დაკავშირებით, მე-9 მუხლი (5 %), მე-13 მუხლი (5 %), მე-12 მუხლი (3,5 %), სხვა მუხლები (მე-3, მე-6 მუხლები) – 10%".[128]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 1996 წლიდან ლიკვიდაციამდე გამოვლენილ და აღკვეთილ იქნა დომინირებული (მონოპოლიური) მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების (ცენტრალური და ადგილობრივი) ორგანოების მხრიდან მეწარმეთა შევიწროების, დისკრიმინაციის და მომხმარებელთა უფლებების შელახვის ათეულობით ფაქტი. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავი და გამოსაყოფია ისეთი პრეცენდენტული და გახმაურებული საქმეები როგორიცაა:

128 ვ. მაისურაძე, ქ. ლაფაჩი, შ. გოგიაშვილი, ს. ფეტველავა, გ. მელაძე. კრებული საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისათვის, თბ., 1999, გვ. 29.

◆ ქ. ბელცის (მოლდავეთი) ღვინის ქარხნისათვის ქართული სამარკო ღვინოების სასაქონლო ნიშნების გამოყენების ექსკლუზიური უფლების მინიჭების თაობაზე.[129]

კონკრეტულად – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართვის საფუძველზე (11.02.98წ. №5-07/455 წერილი) საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა შეისწავლა დეპარტამენტ „სამტრესტსა“ და ქ. ბელცის ღვინის ქარხანას შორის 1997 წლის 31 ივლისს დადებული ერთწლიანი ხელშეკრულების (№75) ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი და მიიჩნია, რომ ქ. ბელცის ღვინის ქარხნისათვის ქართული სამარკო ღვინოების („ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“) წარმოებაზე ექსკლუზიური უფლებების მინიჭება კანონსაწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენდა (ეწინააღმდეგებოდა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლს). შესაბამისად, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტ „სამტრესტს“ გაუგზავნა მიწერილობა (23.03.98წ. №2-2/30) მოთხოვნით – გაეუქმებინა ქ. ბელცის ღვინო-კონიაკის ქარხანასთან გაფორმებული ხელშეკრულება №75.

დეპარტამენტ „სამტრესტმა“ გაასაჩივრა ანტიმონოპოლიური სამსახურის მიწერილობა და სარჩელი შეიტანა ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიწერილობის გაუქმების მოთხოვნით, რაც დააკმაყოფილა პირველი ინსტანციის სასამართლომ (საქმე №2/646) თავისი 1998 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით. პროცესი ასევე წააგო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მეორე ინსტანციის სასა-

129 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა.

მართლოში. თუმცა, საბოლოოდ პროცესი საქართველოს უზენაეს სასამართლოში დასრულდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მოგებით 1999 წლის 29 იანვარს.

- საავიაციო მომსახურების (მგზავრთა გადაყვანის) ბაზარზე კონკურენციული გარემოს შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება მთავრობისათვის.[130]

კონკრეტულად – საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიუმა სამსახურმა ერთ-ერთი უცხოური ავიაკომპანიისა (09.08.02 წ. წერილით ითხოვდა საავიაციო მომსახურების სფეროში მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის ფაქტების შეწავლას) და ადგილობრივი მეწარმე სუბიექტის (23.07.02 წ. წერილით ითხოვდა, უცხოური, ბაზარზე შემოსვლის სურვილის მქონე კომპანიის მხრიდან მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე შემოთავაზებული ტარიფის დემპინგურობის გარკვევას) კონკრეტული წერილების (საჩივრების) საფუძველზე დაიწყო საქართველოში მგზავრთა ავიაგადაზიდვების ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესაძლო გამოვლინების ფაქტების შესწავლა და მოამზადა დოკუმენტი (დასკვნა) – „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ბაზარი (კონკურენტული გარემოს შეფასება – პრობლემები, პერსპექტივები)", სადაც წარმოჩენილია ამ ბაზარზე არსებული პრობლემები და შეთავაზებულია მთავრობისათვის მათი გადაჭრის კონკრეტული წინადადებები.

საბოლოოდ, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ანალიზის (მათ შორის გამოკითხვის) შედეგებიდან გამომდინარე დაასკვნა, რომ საქართველოში მგზავრთა ავიაგადაზიდვების ბაზარი ხასიათდებოდა მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხით, რაც თავის მხრივ იწვევდა ამ ბაზრის არაკონკურენტუნარიანობას და წარმოშობდა ახალი ეკონომიკური აგენტებისათვის მასში შეღწევის დაუსაბუთებელ ბარიერებს.

სწორედ, ამ დაუსაბუთებელი ბარიერების აღმოფხვრისა და შესაბამისად, მგზავრთა ავიაგადაზიდვების

130 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა.

ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების აღკვეთის მოთხოვნით, ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა 2002 წლის 5 სექტემბერს მიწერილობა (№3-2/164-1238) გაუგზავნა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას, რომელიც ემყარებოდა როგორც საქართველოს, ასევე ამიერკავკასიის და სხვა მეზობელი ქვეყნების ავიაბაზრებზე არსებულ კონკურენციულ გარემოს და ფაქტობრივად მოქმედი ტარიფების მონიტორინგის შედეგებს.

სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მხრიდან მიწერილობის პირობების შეუსრულებლობის შემდეგ, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და და „გ“ პუნქტების, მე-20 მუხლის „თ“ პუნქტისა და 24-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს (სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ზემდგომ სახელმწიფო ორგანოს) გაუგზავნა მიწერილობა, რომლის თანახმად, უკვე სამინისტრო იქნა დავალდებულებული გადაეხედა ცალკეული (კონკრეტული) საკითხებისათვის. ასევე, შეთავაზებულ იქნა სარეკომენდაციო პუნქტი – შესაბამის უწყებებთან ერთად შეემუშავებინათ საქართველოს ავიაბაზრის პერსპექტიული განვითარების პროგრამა.

საბოლოოდ, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ როგორც სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის, ასევე საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სახელზე წარდგენილი მიწერილობები (მიწერილობით დასმული საკითხების უმეტესობა) ფაქტობრივად შეუსრულებელი დარჩა. ყოველ შემთხვევაში, მიწერილობით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, სამსახურს არანაირი ინფორმაცია არ მიუღია (საარქივო მასალებში ამაზე ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანაში კონკურენციული პოლიტიკის რეალიზაციას ჰქონდა გარკვეული ხარვეზები, რომელიც მოგვიანე-

ბით ერთიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რღვევითა და მის ცალკეულ დარგობრივ ჭრილში გადანაწილებით დასრულდა 2002 წლის ბოლოს.

◆ დაზღვევის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასება და ამ ბაზარზე მოქმედი დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის საბაზრო ქცევის წესების შეწავლა და კონკრეტული ღონისძიებების დასახვა.[131]

კონკრეტულად – სადაზღვევო ბაზრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, კონკურენციული გარემოს შეფასების და დაზღვევის ბაზარზე ძირითადი ტენდენციების გამოკვეთის მიზნით, მუდმივად ახორციელებდა დაკვირვებას ამ ბაზარზე მიმდინარე პროცესებზე.

ამასთან, სადაოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბაზარზე კონკურენციული გარემოს შეფასებისათვის აუცილებელია წინასწარ იქნას განსაზღვრული შესაბამისი ბაზარი (ბაზრის საზღვრები). კერძოდ, ის, თუ რამდენადაა ჩანაცვლებადი კონკრეტულ სასაქონლო ბაზარზე მიწოდებული საქონელი, ან გაწეული მომსახურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტიზის საფუძველზე სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ სადაზღვევო მომსახურების ცალკეული სახეები უნდა განხილულ იყო როგორც ცალკეული სასაქონლო ბაზარი, ვინაიდან სადაზღვევო მომსახურების სახეები არ შეიძლება ურთიერთჩანაცვლებად საქონლად (მომსახურებად) იყოს მიჩნეული.

როგორც პრაქტიკამ (სამსახურში შესული კონკრეტული საჩივრები) აჩვენა, სადაზღვევო ბაზრებიდან ყველაზე ხშირად „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე“ ჰქონდა ადგილი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლენის ფაქტებს. ამ ბაზარზე, სადაზღვევო საქმიანობასთან მიმართე-

131 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა.

ბით, ქვეყანაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ შემოტანილი იყო არაერთი განცხადება (საჩივარი), რომლებიც სამსახურის აქტიური ჩარევის შემდეგ მოწესრიგებულ იქნა.

გარდა ამისა, „ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე“ ადგილი ჰქონდა ისეთ პრეცენდენტულ ფაქტს, როგორიცაა – ერთ-ერთი მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სადაზღვევო კომპანიის მიერ (2002 წლის 25 ნოემბრიდან 2003 წლის 7 იანვრამდელ პერიოდში) დაზღვევის პოლისების კანონით დადგენილი ღირებულების 10%-ის ფარგლებში შეთავაზებას მომხმარებლისათვის.

წარმოჭრილი პრობლემის არსში სრულყოფილად ჩაწვდომისათვის, აუცილებელი იყო ამ ბაზარზე ზოგადად არსებული ყველა სადაო საკითხის გააზრება და მისგან გამომდინარე, მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის კონკრეტული ქმედების ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან მიმართების საკითხის გარკვევა, რისი მიღწევა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან სათანადო კონსულტაციების გარეშე შეუძლებელი იყო. შესაბამისად, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ (ამ საკითხის საბოლოო შეფასებისათვის) მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, უწყებათაშორისო დონეზე მომხდარიყო ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა (ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის 2003 წლის 28 თებერვლის №1/17 ბრძანებით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია – სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური (თავმჯდომარე), სახელმწიფო კანცელარიის, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ფასების სახელმწიფო ინსპექციის პასუხისმგებელი პირებისა და დამოუკიდებელ ექსპერტთა მონაწილეობით).

სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მის ხელთ არსებული (მათ შორის, კომისიის წევრთაგან მიღებული მასალები და რეკომენდაციები) მასალების გაანალიზების საფუძველზე მოამზადა დოკუმენტი – „საქართველოს სადაზღვევო ბაზარი“/კონკურენტული გარემოს შეფასება/, სადაც ხაზგასმულია, რომ 2002 წლის ბოლოს მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სადაზღვევო კომპანიის მიერ ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე განხორციელებული აქციის შედეგად არ მომხდარა ქვეყანაში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევა (არსებული (იმ პერიოდში მოქმედი) საკონკურენციო სამართლის კონკრეტულ დებულებათა დარღვევის ფაქტი ვერ დაფიქსირდა). თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მონოპოლისტი სადაზღვევო კომპანიის ამ კონკრეტულმა აქციამ, ნათლად წარმოაჩინა ქვეყნის საკონკურენციო სამართლის ცალკეული დებულებების არასრულყოფილება, რაც ჩვენი აზრით, პირველ რიგში ეხება „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლს (კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვის თავი), რომელიც ამომწურავად აყალიბებდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინების ფაქტებს (რაც არ იყო სწორი საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე). შესაბამისად, კანონის ამ კონკრეტული მუხლის გარეთ დარჩენილ სხვა კონკურენციის შემზღუდავ ნებისმიერ ქმედებას (მიუხედავად იმისა ზღუდავდა თუა არა ის შესაბამის ბაზარზე კონკურენციას) ვერ მიეცემოდა კანონდარღვევის კვალიფიკაცია (ანტიმონოპოლიური სამსახური არ იყო უფლებამოსილი განვითარებული ქვეყნების კონკურენციის ორგანოების მსგავსად თვითონ მიეღო გადაწყვეტილება ბაზარზე არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე).

თავის მხრივ, აღნიშნულმა პრეცენდენტმა დღის წესრიგში დააყენა საქართველოს საკონკურენციო სამართალში შესაბამისი ცვლილების (კანონის

გაძლიერების) განხორციელების აუცილებლობა, რაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ შესრულდა.

ამასთან, სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოახერხა „მონოპოლიური ფასის განსაზღვრის ინსტრუქციის“ მიღება, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის საქმეში.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 2003 წლის ბოლოს მომხდარი ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში, ამ კონკრეტულ ბაზარზე არსებულმა პრობლემებმა დაკარგეს თავისი აქტუალობა, რადგანაც საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ჯერ შეჩერდა,[22] ხოლო შემდეგ კი გაუქმებულ იქნა ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულო ხასიათი.

◆ მინერალური წყლების ბაზარზე კონკურენციული გარემოს სრულყოფის მექანიზმების თაობაზე კონკრეტული რეკომენდაციების მომზადება და ქართველ მეწარმეთა კანონიერი უფლებების დაცვა დსთ-ს ბაზარზე.[132]

კონკრეტულად – საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს 2003 წლის 25 ივნისს განცხადებით (საჩივრით) მიმართა მინერალური წყლების ბაზარზე მოქმედმა ერთ-ერთმა ეკონომიკურმა აგენტმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ ხელოვნურად ფერხდებოდა მისი სამეწარმეო საქმიანობა.

ამასთან, იმავე წლის 24 ივლისს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა, უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტისაგან მიიღო კონკრეტული დავალება (№494/17) დასმული პრობლემების ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან მიმართების კუთხით შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის მომზადების თაობაზე.

სწორედ, საქართველოს პრეზიდენტის დავალებისა და ზემოაღნიშნული განცხადებების საფუძველზე

132 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა.

განიხილა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა „ბორჯომის" მინერალური წყლის ბაზარზე შექმნილი ვითარება და მომზადებულ იქნა არსებული პრობლემების მოგვარებისათვის საჭირო რეკომენდაციები (სამსახურის თვალთახედვიდან გამომდინარე). კერძოდ, მომზადებულ იქნა დოკუმენტი – „საქართველოს მინერალური წყლების ბაზარი" / ანალიზი, განვითარების პერსპექტივები /, რომლის საფუძველზეც მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს.

სამსახური რამდენიმე კონკრეტულ წინადადებას სთავაზობდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. კერძოდ, ანტიმონოპოლიურ სამსახურს მიაჩნდა, რომ საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ქვეყანაში კონკრეტული მინერალური წყლის წარმოების შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა მხოლოდ ერთ ეკონომიკურ აგენტს ან ეკონომიკურ აგენტთა მკაცრად შეზღუდულ რაოდენობას. ყოველ შემთხვევაში ეს წრე შეზღუდული უნდა ყოფილიყო, რადგანაც საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ამ ბაზარზე მოქმედ კომპანიათა განვითარებასთან ერთად ხელს შეუწყობდა უშუალოდ ამ მინერალური წყლის საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებას, პოპულარიზაციას და მისი რესურსების სრულფასოვნად გამოყენებას. შესაბამისად, სამსახურის აზრით, აუცილებელი იყო სახელმწიფოს მიერ ერთმნიშვნელოვნად განსაღვრულ იყო მინერალური წყლის მწარმოებელი ეკონომიკური აგენტის შერჩევის საკითხი.

ყველა ამ ბაზარზე არსებული პრობლემის მოწესრგების სფეროში, კონკრეტული ქმედითი ნაბიჯის გადადგმის პროცესის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, 2003 წლის 6 აგვისტოს გაეგზავნა მიწერილობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რითაც „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სამინისტრო დაავალდებულა

2003 წლის 10 სექტემბრამდე გადაეხედა ამ სფეროში არსებული კონკრეტული პრობლემატიური საკითხებისათვის.

ამასთან, მიწერილობა მოიცავდა ასევე სარეკომენდაციო შინაარსის პუნქტსაც, რომლის თანახმადაც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაინტერესებულ უწყებებთან ერთად უნდა შეემუშაებინა მინერალური წყლების ბაზრის განვითარების პერსპექტიული პროგრამა.

ამასთან ფაქტია და ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ძალიან ნაყოფიერი და შედეგიანი იყო სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ-ს) სივრცეში მინერალურ წყალ „ბორჯომი"-ს ფალსიფიკაციისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით, რაც თავის მხრივ, მიღწეულ იქნა დსთ-ს ქვეყნების კონკურენციის შესაბამის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. კერძოდ, „მინერალური წყლის „ბორჯომის" წარმოების სრულყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 11 თებერვლის №95 ბრძანებულების მე-2 პუნქტის თანახმად საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად დაევალა დსთ-ს ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან ერთად მიეღწია მინერალურ წყალ „ბორჯომი"-ს იმ ეტიკეტების რეგისტრაციის გაუქმებისათვის, რომლებიც „ბორჯომი"-ს ჩამომსხმელი სახელმწიფო ქარხნების კუთვნილი ეტიკეტის შემადგენელ ელემენტს შეიცავდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს იყო პერიოდი, როდესაც დსთ-ს ქვეყნებში ადგილი ჰქონდა მინერალური წყლის წარმოებას „ბორჯომი"-ს კონცენტრატისაგან, რაც (კონცენტრატის წარმოება) დეპარტამენტ „საქმინხილწყალთან" არსებულ ლიცენზირების უწყებათაშორის საბჭოსა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს გაერთიანებული სხდომის გადაწყვეტი-

ლებით აკრძალულ იქნა მეორადი ჩამოსხმის გამორიცხვის მიზნით. ამდენად, საქართველოში არც ერთ ეკონომიკურ აგენტს არ ჰქონდა უფლება მინერალურ წყალ „ბორჯომი“-საგან ეწარმოებინა მარილის კონცენტრატი შემდგომ მისგან წყლის მისაღებად. გარდა ამისა, ევროსტანდარტებისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მინერალური წყალი უნდა ჩამოსხმულ იყო უშუალოდ საბადოსთან და მისი ტრანსპორტირება შემდგომი ჩამოსხმის მიზნით აკრძალული იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა თხოვნით მიმართა დსთ-ს ქვეყნების კონკურენციის ორგანოებს, რათა არ დაეშვათ მათი ქვეყნების ტერიტორიაზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტები და დაეცვათ მომხმარებლები ფალსიფიცირებული „ბორჯომი“-ს მწარმოებლებისაგან, რის საპასუხოდ დსთ-ს კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) ორგანოების მხრიდან გატარებულ იქნა შემდეგი კონკრეტული ქმედითი ღონისძიებები. კერძოდ,

- <u>ბელორუსიის რესპუბლიკის</u> ტერიტორიაზე როგორც გაირკვა, საცალო ვაჭრობის ქსელს მიეწოდებოდა დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება „ჩარტე“-ს (ქ. მოსკოვი) მიერ წარმოებული მინერალურ წყალ „ბორჯომი“, შპს „ნაროშენი“-ს (ქ. მინსკი) მეშვეობით, რუსეთის შესაბამისობის სერტიფიკატისა და გამოგონების პატენტის საფუძველზე.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიმართვის საფუძველზე, ბელორუსიის მეწარმეობისა და ინვესტიციების სამინისტროს მიერ ეცნობა შპს „ნაროშენი“-ს ხელმძღვანელობას, რომ 1997 წლის 11 თებერვლიდან მინერალურ წყალ „ბორჯომი“-ს სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება ჰქონდა ამ წყლის კანონიერ მწარმოებელს (ჩამომსხმელს) ს/ს „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების“ კომპანიას და ეთხოვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტა.

საბოლოოდ, ბელორუსიის მეწარმეობისა და ინვესტიციების სამინისტროს, ასევე სოფლის მეურნეობისა

და სურსათის სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის აქტიურობით აღკვეთილ იქნა ბელორუსიის სასაქონლო ბაზარზე ფალსიფიცირებული მინერალურ წყალ „ბორჯომ"-ის რეალიზაციის ფაქტები და დაცულ იქნა ქართველ მეწარმეთა კანონიერი უფლებები.

• <u>ყაზახეთში</u> თავდაპირველად მინერალურ წყალ „ბორჯომი"-ს ულიცენზიო წარმოებას ეწეოდა სამი ეკონომიკური აგენტი – 1) „ტრიადა", 2) „მეტკამენრუდი" და 3) „აკვა-სტარი" (ქ.სანქტ-პეტერბურგი), რაც ყაზახეთის ანტიმონოპოლიური კომიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით აღკვეთილ იქნა.

მოგვიანებით ყაზახეთის ანტიმონოპოლიური კომიტეტის მიერ გამოვლენილ იქნა კიდევ ერთი ეკონომიკური აგენტი ს/ს „ვიზიტი", რომელიც ასევე ახორციელებდა მინერალურ წყალ „ბორჯომი"-ს წარმოებასა და რეალიზაციას (23.07.98 წ. №15-04/809 წერილი). აღნიშნულ კომპანიას, რომელიც დარეგისტრირებული იყო ქ. შიმკენტში გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება (№121) ქართულ კომპანიასთან „ჯორჯი და კ".

სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მინერალური წყალ „ბორჯომი"-ს წარმოებისა და რეალიზაციის ბაზარზე ვერ იქნა მოძიებული კომპანია „ჯორჯი და კ", მისი პრაქტიკულად არ არსებობის (მისი როგორც იურიდიული მისამართი, ასევე საბანკო რეკვიზიტები იყო არასწორი) გამო. შედეგად ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მის ხელთ არსებული მასალები, მოკვლევისა და შემდგომი რეაგირებისათვის (1998 წლის 19 ნოემბრის წერილით) გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რის შესახებაც ასევე ინფორმაცია მიეწოდა ყაზახეთის ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირებისა და კონკურენციის დაცვის კომიტეტს.

• დსთ-ს ქვეყნებს შორის ყველაზე მწვავედ „ბორჯომი"-ს სასაქონლო ნიშნის დაცვის საკითხი <u>რუსეთის ფედერაციაში</u> იდგა. კერძოდ, რუსეთის

ფედერაციის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების კომიტეტმა 1995 წლის 29 დეკემბერს (მოწმობა №135408), „ბორჯომი"-ს სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება მიანიჭა „ლუკოშკინა და კ"-ს. მაშინ როდესაც, ჯერ კიდევ 1995 წლის 31 მარტს კონცერნ „ბორჯომის ხეობა"-ს ჰქონდა შეტანილი განაცხადი „როსპატენტში" აღნიშნული ეტიკეტის დარეგისტრირებაზე (რაზედაც არსებობდა შესაბამისი დოკუ- მენტი), რაც ამ უკანასკნელს (განაცხადის შეტანის დღიდან) ანიჭებდა პრიორიტეტს „ბორჯომი"-ს სასაქონლო ნიშანზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „როსპატენტის" მიერ გაცემული მოწმობა „ლუკოშკინა და კ"-ზე უკანონო იყო, რაც ორი ქვეყნის შესაბამისი სამსახურების ერთობლივი ძალისხმევით (მოგვიანებით) გაუქმებულ იქნა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ რუსეთის ფედერაციის ანტიმონოპოლიური კომიტეტის მიერ ფალსიფიცირებული მინერალურ წყალ „ბორჯომი"-ს წარმოებისა და რეალიზაციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაო. კერძოდ, მათ მიერ აღკვეთილ იქნა ისეთი ეკონომიკური აგენტების საქმიანობა, როგორიცაა „ნორდ მარკეტი", „დისენტი" და „ნორდ სტარს", ასევე საქმე იქნა აღძრული „ჩარტე"-ს წინააღმდეგ.

გარდა ამისა, ქ. მოსკოვის მთავრობის 1996 წლის 23 ივლისის №644 ბრძანებულებით აიკრძალა ისეთი ხელოვნურად მინერალიზებული წყლის წარმოება და რეალიზაცია, რომელთა ეტიკეტებზე იყო გამოყენებული დასახელება - „ნატურალური მინერალური წყალი" („ბორჯომი", „ესენდუკი", „ნარზანი" და ა.შ.).

• <u>უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტის</u> მიერ გამოვლენილ იქნა (გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს), რომ მათი ქვეყნის შესაბამის სასაქონლო ბაზარზე მინერალურ წყალ „ბორჯომი"-ს წარმოებასა და რეალიზაციას ახორციელებდა დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება „ჩარტე" თავის საქმიან პარტნიორებთან ერთად, თუმცა მის მიერ წარმოებულ „ბორჯომს" არაფერი საერთო არ ჰქონდა ამ წყალთან გარდა დასახელებისა.

აღნიშნული ფაქტი, როგორც კი ცნობილი გახდა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის, მან თხოვნით მიმართა უკრაინელ კოლეგებს, აღეკვეთათ მათ ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონკრეტული შემთხვევები, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებდა ნამდვილი „ბორჯომი“-ს რეალიზაციის მასშტაბების გაფართოებას და ამავდროულად თელავდა უკრაინელ მომხმარებელთა ინტერესებს.

უკრაინის პრეზიდენტისა და უშუალოდ ანტიმონოპოლიური ორგანოების (ცენტრალური აპარატი და რეგიონალური სამსახურები) ძალისხმევით უკრაინაში საბოლოო ჯამში გამოვლენილ და აღკვეთილ იქნა იმ 33 (ოცდაცამეტი) ეკონომიკური აგენტის საქმიანობა, რომლებიც უკანონოდ იყენებდნენ მინერალურ წყალ „ბორჯომი“-ს სასაქონლო ნიშანს. მთლიანად ამ ეკონომიკურ აგენტთა მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა შეადგენდა 10 მილიონ ლიტრს, რითაც სერიოზული ზიანი მიადგა როგორც უკრაინელ მომხმარებლებს, ასევე ქართულ პროდუქციასა და მის კანონიერ მწარმოებელ ეკონომიკურ აგენტს.

ამასთან ერთად, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1998 წლის 6 ივლისის მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (№1025), რითაც აიკრძალა მინერალური წყლის ხელოვნურად წარმოებასა და რეალიზაციაში ცნობილი მინერალური წყლების დასახელების გამოყენება.

• <u>უზბეკეთის</u> ტერიტორიაზე „ბორჯომი“-ს დასახელებით მინერალურ წყალს 1.5 ლ. ბოთლებში აწარმოებდა შპს „ბარნო-ტრეიდინგი“, რომელმაც უზბეკეთის დემონოპოლიზაციის განვითარებისა და კონკურენციის კომიტეტის 1997 წლის 21 აპრილის მიწერილობის საფუძველზე შეწყვიტა მინერალურ წყალ „ბორჯომი“-ს უკანონო წარმოება.

• <u>ყირგიზეთში</u> ხელოვნურად მინერალიზებული წყლის სახელწოდებით „ბორჯომი“ წარმოებას ახორციელებდა ყირგიზეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმო „არგო“ რომლესაც ამ საქმიანობის განხორციელებაზე ლიცენზია აღებული ჰქონდა ქ. მოსკოვში.

აღნიშნული საწარმოს საქმიანობა აღკვეთილ იქნა ყირგიზეთის .სახელმწიფო ანტიმონოპოლიური დეპარტამენტის ჩარევის შემდეგ.

რაც შეეხება დსთ-ს შემადგენლობაში შემავალ სხვა ქვეყნებს მათ ტერიტორიაზე იმ პერიოდში მინერალურ წყალ „ბორჯომი"ს ფალსიფიკაციის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

ამასთან, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 1998 წლის 13-17 ოქტომბერს ქ. მოსკოვში დსთ-ს ანტიმონოპოლიური საბჭოს VIII სხდომაზე, სადაც დსთ-ს ქვეყნების კონკურენციის ორგანოების პირველი პირებთან ერთად, მონაწილეობას ღებულობდნენ ბულგარეთის, რუმინეთის, ხორვატიის და ესტონეთის წარმომადგენლები, ასევე სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური კომიტეტის პასუხისმგებელი პირები, გაჟღერებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა, რომლითაც ის ითხოვდა სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური კომიტეტის კოლეგიაზე – „სხვისი სასაქონლო ნიშნისა და გეოგრაფიული დასახელების უკანონოდ გამოყენების დაუშვებლობის თაობაზე" ხელშეკრულების პროექტის გატანას[133].

და ბოლოს, გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური (ჩამოყალიბებიდან ლიკვიდაციამდე) ქართველ მეწარმეთა უფლებების სრულყოფილად დაცვის მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობდა ბულგარეთის, რუმინეთის, ესტონეთის კონკურენციის სააგენტოებთან. შედეგად კი მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ქართული სამარკო ღვინოების „ხვნაჭკარა"-სა და „ქინძმარაული"-ს სასაქონლო ნიშნების დაცვის საქმეში.

♦ ნავთის საცალო რეალიზაციის ბაზარზე აღმასრულებელი ხელისუფლების (ადგილობრივი) მხრიდან მიღებული კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილების აღკვეთა.[134]

133 ФЕТЕЛАВА С., ГОГИАШВИЛИ Ш., „Выявление и пересечение фактов недобросовесстной конкуренций в сфере производства и реализации минеральной воды „БОРЖОМИ" на товарном рынке СНГ~, ОЭСР, Семинар по темам связанным с политикой развития конкуренции, г. Венна (Австрия), 22.02.99-05.03.99, с. 54-59;

134 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა

კონკრეტულად – გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, საქართველოს პრეზიდენტის დავალების თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს, ქ. თბილისის მერიასა და საქართველოს ეკონომიკისა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებთან ერთად დაევალა, ოპერატიულად გაერკვია ქვეყანაში ნავთის ბაზარზე არსებული მდგომარეობა. კერძოდ, გამოეკვლია ზამთრის ბოლო დღეებში ნავთის ფასის აწევის გამომწვევი მიზეზები.

საკითხის შესწავლის პროცესში წარმოჩნდა, რომ ნავთის რეალიზაციის ბაზარი იყო მონოპოლიზირებული. თუმცა, საკანონმდებლო ბაზა ეკონომიკური აგენტის მონოპოლისტად გამოცხადებისა და მასზე შემდგომი დაკვირვების განსახორციელებლად იმ პერიოდში, ჯერ კიდევ, არ იყო ბოლომდე სრულყოფილი (ეს ნორმა მხოლოდ 2000 წლის ბოლოს იქნა მიღებული). ამასთან აღმოჩნდა, რომ ფასის მნიშვნელოვან მატებას ადგილი ჰქონდა არა მთლიანად მთელი ქვეყნის მასშტაბით, არამედ მის ცალკეულ რეგიონებში, რასაც სხვა გარემოებებთან ერთად იწვევდა (ხელს უწყობდა) აღმასრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებელი პირების მხრიდან (ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა მხრიდან) კონკრეტული ეკონომიკური აგენტისათვის, ნავთის რეალიზაციის ბაზარზე ,,მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის იგნორირებით, დომინირებული მდგომარეობის მინიჭება. კერძოდ, იგნორირებულ იყო კანონის მე-10 მუხლის ,,ე“ პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალებოდა მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც იწვევდა ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის მინიჭებას და არსებითად ზღუდავდა კონკურენციას და თავისუფალ ფასწარმოქმნას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საბოლოოდ, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩარევის შედეგად (მიწერილობის საფუძველ-

ზე) აღკვეთილ იქნა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა კანონსაწინააღმდეგო ქმედება (აღიკვეთა დედაქალაქში ნავთის რეალიზაციის ბაზარზე ექსკლუზიური უფლებებით მოსარგებლე კომპანიათა პრივილეგიები) და თანაბარ პირობებში იქნა ჩაყენებული ნავთის რეალიზაციის ბაზარზე მოქმედი ყველა ეკონომიკური აგენტი.

♦ ენერგეტიკის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით გაწეული საქმიანობა.[135]

კონკრეტულად – როგორც ნაშრომში ზემოთ უკვე აღვნიშნეთ მომხმარებელთა უფლებების დაცვა საქართველოში 2005 წლის 3 ივნისამდე წარმოადგენდა კონკურენციის პოლიტიკის განუყოფელ (შემადგენელ) ნაწილს. ამდენად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური ამ მიმართულებით მუდმივად ახორციელებდა კონკრეტული ღონისძიებების გატარებას მომხმარებელთა კანონიერი უფლებების მაქსიმალური დაცვის უზრუნველსაყოფად. ქართულ სინამდვილეში კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკის რეალიზაცია ერთმანეთთან მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული. შესაბამისად, კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა ერთ კონტექსტში (თანაბარ სიბრტყეზე) იხილებოდა.

ფაქტია, რომ ვარდების რევოლუციამდელ პერიოდში საქართველოში ელექტროენერგიის მომარაგება არადამაკმაყოფილებელი იყო. ელექტროენერგიის მიწოდება ხდებოდა წყვეტილად, არ იყო დაცული გრაფიკი. მომხმარებელი აბსოლიტურად გაურკვეველ მდგომარეობაში იყო. მისთვის არ იყო ცნობილი როდის რა ვადით მიეწოდებოდა მას ელექტროენერგია. ამასთან, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა ნორმალური პარამეტრების ელექტროენერგიის მიწოდება, რითაც სერიოზული ზიანი ადგებოდა მომხმარებლის ქონებას და მწყობრიდან გამოდიოდა მათი კუთვნილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა. გარდა მატერიალური ზიანისა, მომხმარებელი განიცდიდა მორალურ ზიანს, რაც იწვევდა მათი კანონიერი (კანონით დაცული) უფლებების შელახვას.

135 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა.

აუცილებლობას წარმოადგენდა, რომ ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიასა და მის მომხმარებლებს შორის ურთიერთობა დარეგულირებულ იყო ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც ასახული იქნებოდა ორივე მხარის (მიმწოდებლის და მომხმარებლის) მოვალეობები და პასუხისმგებლობები, ასევე მომსახურეობის გაწევისა და ანაზღაურების პირობები და სხვა. ამ მოთხოვნებს ითვალისწინებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1518 მუხლი), „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (24-ე მუხლი) და ამ კანონის შესაბამისად მიღებული „კომუნალური მომსახურების გაწევის წესები“ (საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 1996 წლის 19 დეკემბრის №130 ბრძანება). მიუხედავად ამისა, როგორც დედაქალაქის, ასევე სხვა ქალაქებისა და რაიონების ელექტროგამანაწილებელ კომპანიებს არ განუხორციელებიათ მომხმარებლებთან სახელშეკრულებო ურთიერთობებზე გადასვლა.

ამასთან, რადგანაც „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე შემსრულებელი (ეკონომიკური აგენტი) ვალდებული იყო დაედო მომხმარებელთან ხელშეკრულება სამუშაოს (მომსახურების) შესრულებაზე და ისე მოეწყო თავისი საწარმოო ან სხვა სამეურნეო საქმიანობა, რომ სათანადოდ და შეუფერხებლად დაეკმაყოფილებინა მომხმარებელთა (მოქალაქეთა) მოთხოვნები – სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა (სამხარეო ანტიმონოპოლიურ სამსახურებთან ერთად) საჭიროდ მიიჩნია მიემართა ქვეყანაში მოქმედი ენერგოგამანაწილებელი კომპანიებისათვის, რომ მათ მიერ შემუშავებულ იყო და ანტიმონოპოლიურ სამსახურში ექსპერტიზისათვის წარედგინათ მომხმარებლებთან გასაფორმებელი ტიპიური ხელშეკრულებების პროექტები. სამწუხაროდ, სამსახურის ამ ინიციატივას შედეგი არ მოყოლია.

თავის მხრივ, ელექტროენერგია სამოქალაქო კოდექსიის 1011 მუხლის შესაბამისად განმარტებულია როგორც პროდუქტი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს პრო-

დუქტი წლების განმავლობაში (ვარდების რევოლუციამდელ პერიოდში) უხარისხოდ მიეწოდებოდა მომხმარებლებს, რომლებსაც ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით (სამოქალაქო კოდექსი (1009 მუხლი), „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი (24-ე მუხლის პირველი პუნქტი) და „კომუნალური მომსახურების გაწევის წესები“ (1.5, 4.1 და 6.3 პუნქტები)) უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ ამ უხარისხოდ მიწოდებული პროდუქტის ფასის შემცირება. რეალურად კი ფასის შემცირების ნაცვლად მუდმივად მიმდინარეობდა (თითქმის ყოველწლიურად, ხანდახან წელიწადში ორჯერ) მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ელექტროენერგიის საფასურის მომატება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, როგორც ქვეყნის საკონკურენციო და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ნორმების აღმასრულებელი მთავარი სახელმწიფო ორგანო, მუდმივად სწავლობდა ელექტროენერგიის საწარმოთა საქმიანობას და მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე გამოხატავდა საკუთარ პოზიციას, ამ სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

სწორედ ამ ანალიზის პროცესში, ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ პირობითად გამოიყო ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების რეგულირებისა და კონტროლის ის ოთხი ფორმა, რომლის ფარგლებშიც უნდა მომხდარ იყო სამსახურსა და დარგის შესაბამის კომისიას შორის თანამშრომლობა. კერძოდ, 1) სატარიფო პოლიტიკის, 2) ბუნებრივ მონოპოლიათა სტრუქტურული კონტროლის, 3) მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და 4) კონკურენციის დაცვის მიმართულებით.

გარდა ამისა, ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მიიჩნია, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) ვერ უზრუნველყოფდა დარგის მომხმარებელთა (რომლებსაც არ ჰქონდათ პროდუქციის მიღების ალტერნატივის არჩევის საშუალება) ინტერესების საფუძვლიან დაცვას, შესაბამისი სამართლებრივი ბაზის არ არსე-

ბობის გამო. ამასთან, რამდენადაც ამ უკანასკნელზე პასუხისმგებლობა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 2, „ბ“-პუნქტი) შესაბამისად ეკისრებოდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ სემეკ-ის მიერ შემუშავებულ და მიღებულ „ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტის საქმიანობის საერთო პირობებსა და წესებში“ უნდა ყოფილიყო ასახული ვალდებულება გამანაწილებელ კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობით პრინციპებზე (ურთიერთვალდებულებების დაფიქსირებით, რაც აღიარებულია პრაქტიკაში) გადასვლის შესახებ (რაც ამ წესებში არ იყო ასახული).

შესაბამისად, ამ სამართლებრივი საკითხის მოწესრიგების მიზნით (ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებსა და მის მომხმარებლებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების მოწესრიგების პროცესის გაჭიანურების გამო) სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა 2001 წლის 18 იანვარს სარჩელი შეიტანა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ. დავის საგანს შეადგენდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მოთხოვნა – საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად სემეკ-ის მიერ (როგორც ენერგეტიკის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანოს მიერ) აღებულ იყო ვალდებულება ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე (ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა სემეკ-ის მიერ მისაღები დადგენილება ელექტროენერგიის გამანაწილებელ ენერგოკომპანიასა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე).

2001 წლის 26 მარტს ვაკე–საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ (საქმე №2/717-01) დააკმაყოფილა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მოთხოვნა

და დაავალდებულა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია ერთი თვის ვადაში გამოეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ელექტროენერგიის გამანაწილებელ ელექტროკომპანიასა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულების შემუშავების და მიღების ვადების მითითებით.

სასამართლოს ამ გადაწყვეტილების პარალელურად საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, ერთის მხრივ, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით 2001 წლის 12 აპრილს გამოსცა ნორმატიული აქტი (გადაწყვეტილება №29) „ქ.თბილისში ელექტროენერგიის უწყვეტად მიწოდების აღდგენისა და თელასის 75% აქციათა პრივატიზაციამდე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობით წარმოშობილი ვალების დაფარვის შესახებ“, რაც უკვე სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურთან დაწყებული სადაო საკითხის მოწესრიგების მიმართულებით სერიოზულად წინგადადგმულ (შემხვედრ) ნაბიჯს წარმოადგენდა და მეორეს მხრივ, კომისიის მიერ 2001 წლის 4 მაისს შეტანილ იქნა სააპელაციო საჩივარი (№17/9) ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს საგადასახადო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მოთხოვნით გაეუქმებინათ ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი (№2/717-01 საქმე) ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, რაც საოლქო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 2002 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3ბ/229-02).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ იმის და მიუხედავად „ეი-ი-ეს თელას“-მა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით პრაქტიკულად დაიწყო თავის აბონენტებთან (მომხმარებლებთან) 2003 წლის 1 იანვრიდან გასაფორმებელი ხელშეკრულების ტიპიური ფორმის პროექტის მომზადება, მისი დამტკიცება და პრაქტიკული რეალიზაცია ანტიმონოპოლიური სამსახურის არაერთი მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა.

♦ არასათანადო რეკლამის ფაქტის აღკვეთა.

კონკრეტულად – საქართველოში 2000 წლის ოქტომბრის ბოლოს მასმედიის სხვადასხვა და გარე სარეკლამო საშუალებებით ფართოდ რეკლამირდებოდა სატელევიზიო გათამაშება, რომლის ორგანიზატორი იყო ქვეყნის სატელეფონო მომსახურების ბაზარზე ცნობილი ერთ-ერთი კომპანია. რეკლამის ტექსტი მდგომარეობდა შემდეგში: „იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოთ . . . საჩუქრების გათამაშებაში . . . . ჩაერთეთ და მოიგეთ . . . . . საჩუქრები". სარეკლამო დაფებზე მითითებული იყო, რომ გათამაშება ლიცენზირებულია. თუმცა, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ლატარიების, აზარტული თამაშებისა და ექსპერტიზა-უტილიზაციის სამსახურის 2000 წლის 19 ოქტომბრის წერილიდან ირკვევა[136]*, გათამაშების ორგანიზატორ კომპანიას მის ჩატარებაზე ლიცენზია არ ჰქონია მიღებული, რის გამოც ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს სთხოვდა რეკლამის კანონმდებლობისა და მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტის აღკვეთას.*

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ საკითხის გარშემო მოძიებული მასალების შეწავლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მხრიდან ლატარიის გათამაშების ბაზარზე ადგილი ჰქონდა უკანონო სამეწარმეო საქმიანობას, ხოლო უკანონო სამეწარმეო საქმიანობის რეკლამირება კი თავის მხრივ წარმოადგენდა არასათანადო რეკლამას („რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტები), რაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აკრძალული იყო (ისჯებოდა განთავსებული რეკლამის ღირებულების შვიდმაგი ოდენობით).

საბოლოოდ, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და კანონდმარღვევ ეკონომიკურ აგენტს შორის ამ პრობლემის გარშემო სასამართლო დავა

136 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა.

მიმდინარეობდა რამდენიმე თვის განმავლობაში, რომელიც საბოლოო ჯამში სამივე ინსტანციის სასამართლოში დასრულდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის გამარჯვებით. შესაბამისად, კანონდამრღვევ ეკონომიკურ აგენტს დაეკისრა რამდენიმე ათეულობით ათასი ლარის გადახდა საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ.

♦ გარდა ამისა, როგორც ნაშრომის მეოთხე და მეხუთე ნაწილებში ნაწილობრივ აღნიშნეთ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური აქტიურად იყო ჩართული ბუნებრივ მონოპოლიათა დემონოპოლიზაციის პროგრამების შემუშაებაში. მათ შორის, ევროგაერთიანების ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა საქართველოს რკინიგზის დემონოპოლიზაციისა და რესტრუქტურიზაციის პროგრამა[137], რომლის პრაქტიკაში გატარება, სამსახურისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით არ განხორციელებულა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ განვაზოგადებთ იმ პრობლემებს, რომლებთანაც შეხება უხდებოდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს (1997-2005 წლებში), შესაძლებელია ის პირობითად დავაჯგუფოთ შემდეგ კატეგორიებად (მიმართულებებად):

- არაკეთილსინდისიერი კონკურენცია;
- აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული კონკურენციის შემზღუდავი გადაწვეტილებები;
- მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან მათი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (მონოპოლიური საქმიანობა);
- სასამართლო დავები;
- შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციული გარემოს შეფასება და მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების გამოვლენა;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
- არასათანადო რეკლამა;
- ინფრასტრუქტურის (ბუნებრივ მონოპოლიათა) სფეროების დემონოპოლიზაცია და რესტრუქტურიზაცია.

137 იხილეთ დანართი 12.7

თითოეული ამ განზოგადებული მიმართულების უკან რეალურად არსებობს ათეულობით კონკრეტული ფაქტი, რომელთა ანტიკონკურენციული ქმედებების აღკვეთის საქმე'ში უდაოდ დიდია საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის როლი. თუმცა, არც ისაა სადაო, რომ საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესში ქვეყნის ძირითადმა ანტიმონოპოლიურმა ორგანომ ბოლომდე ვერ შეძლო ლოკომოტივის ფუნქციის შესრულება, რაც ჩვენის აზრით, განპირობებული იყო რიგი ხელიშემშლელი გარემოებებით. კერძოდ,

1) საქართველოში 1996 წელს მიღებული ამბიციური ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაცია, მისი სიახლისა და შესაბამისი აღმასრულებელი ინსტიტუტების გამოუცდელობის გამო გარკვეულ სირთულეებს აწყდებოდა, რაც თავის მხრივ, საქართველო'ში ყოფნის პერიოდში, შეუმჩნეველი არ დარჩენია კონკურენციის სფეროს ისეთი ცნობილ ამერიკელ ექსპერტს, როგორიცაა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ვილიამ კოვასეკი. ის აღნიშნავდა, რომ „ . . . საქართველოში, როგორც ვიცით, ანტიმონოპოლიური სამსახური შეზღუდულია რესურსებით და სასამართლო აპარატიც კარგად არ იცნობს კონკურენციის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სექტორს. ამიტომ ძნელია ვიმსჯელოთ თუ როგორ გაართმევს თავს ანტიმონოპოლიური სამსახური და სასამართლო სტრუქტურები 1996 წლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკითხებს".[138]

2) განვითარებული ქვეყნების საკონკურენციო სამართალი, როგორც საბაზრო მეურნეობის ხერხემალი, პრეცენდენტული სამართლის ნორმებით მუდმივ სრულყოფას (შევსებას) საჭიროებს (განიცდის), რაშიც თავისი უკომპრომისო, მაგრამ მაღალპროფესიული წვლილი სასამართლო ხელისუფლებას შეაქვს. ჩვენს სინამდვილეში, როგორც არაერთი პრაქტიკული მაგალითიდან (ანტიმონოპოლიური სამსახურის არქივში მოძიებული მასალებიდან) ჩანს, საქართველოს სასამართლო

138 ჯ. კოვასეკი, ანტიმონოპოლიური და მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკის განვითარებისათვის რეკომენდირებული მოქმედების გეგმა, ტექნიკური ხასიათის რჩევები ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განვითარების სფეროში, CEPAR-ის ანალიტიკური მოხსენება №9, თბ., 3 მაისი 1997 წელი, გვ. 11.

ხელისუფლების ქვედა რგოლი (პირველი და მეორე ინსტანციები), ამ პასუხისმგებლობის ასაღებად ბოლომდე მზად არ აღმოჩნდა, ხოლო პროცედურულად უზენაეს სასამართლომდე სარჩელის მიტანა დროში უსაშველოდ (წლობით) იწელებოდა, რითაც, სარგებლობდნენ (ხეირობდა) კანონის დამრღვევი სუბიექტები, ხოლო ზარალობდნენ მისი კონკურენტი ეკონომიკური აგენტები, რაც საბოლოო ჯამში, ხელს უშლიდა ქვეყანაში კონკურენციის განვითარებასა და სრულყოფას.

3) არაეფექტიანი იყო ავტონომიური რესპუბლიკების, ქ.თბილისისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ანტიმონოპოლიური სამსახურების (ბიუროების) მუშაობა. კერძოდ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქ. თბილისის ანტიმონოპოლიური სამსახურის (ბიუროს) საქმიანობას, დავინახავთ, რომ არასრულად იყო მოცული ტერიტორიული ანტიმონოპოლიური ორგანოების შესაბამისი უფლებამოსილებების აღსრულების პროცესი, საკონტროლებლად მათ მიკუთვნებულ ტერიტორიაზე, რაც ძირითადში გამოწვეული იყო როგორც ობიექტური ისე სუბიექტური მიზეზებით (ტერიტორიის სიდიდე, სამიელინებო და საექსპერტიზო სახსრების უქონლობა და ა.შ.).

უფრო მეტიც, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია, მხოლოდ ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში (აჭარაში 2004 წლის 6 მაისს განხორციელებული რევოლუციური პროცესების შემდეგ) გახდა შესაძლებელი.

4) სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ცენტრალური აპარატი წლების განმავლობაში ვერ უსრუნველყოფდა ადგილზე გაეკონტროლებინა შესაბამისი რეგიონალური სამსახურების (ბიუროების) მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილზევე აღმოეჩინა მათთვის სათანადო დახმარება (კონსულტაცია, აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებთან კონკრეტული პრობლემატიური საკითხების დარეგულირება და სხვა).

5) რეგიონალური ანტიმონოპოლიური სამსახურები მათი ცენტრალური დაქვემდებარების მიუხედავად, ფაქტობრივად წარმოადგენდნენ სამხარეო ადმინისტრაციების გაელენის ქვეშ მოქცეულ სტრუქტურებს, რაც ეწინააღმდეგებოდა კონკურენციის ზოგად პრინციპებს და შესაბამისად ჰქონდა

უარყოფითი ეფექტი (უკუეფექტი) კონკურენციის განვითარებისა და დაცვის სფეროში.

6) ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის, როგორც მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოს მუშაკთა (სახელმწიფო საჯარო მოხელეების) შრომის ანაზღაურების არსებული (1996-2003 წწ.) მინიმალური დონე.

7) ამასთან, როგორც პრაქტიკამ აჩვენა არასრულყოფილი იყო საქართველოში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ცალკეული დებულებები (ნორმები). კერძოდ, როგორც ამ ნაშრომში უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ძირითადი საკონკურენციო სამართლებრივი ნორმა – „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი (ჩარჩო ანტიმონოპოლიური კანონის ძველი რედაქცია), ჯეროვნად (სრულყოფილად) ვერ აწესრიგებდა და ვერც „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი (ჩარჩო ანტიმონოპოლიური კანონის ახალი რედაქცია) აწესრიგებს კონკურენციული სამართლის იმ მნიშვნელოვან (ფუნდამენტურ) დებულებებს (ანტიკონკურენციული შეთანხმებების და შეთანხმებული მოქმედებების, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და ანტიკონკურენციული შერწყმების აკრძალვა), რომლებსაც უნდა უზრუნველეყოო (უზრუნველყონ) კონკურენციის სისტემის სწორად ფუნქციონირება.

7.2 თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველო კანონის ძალაში შესვლით ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური და მის ნაცვლად ამ კანონის მე-V თავის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 23 აგვისტოს №1-1/948 ბრძანების (შეტანილია ცვლილებები – 09.10.05 წ. №1-1/1192 და 31.01.07 წ. №1-1/170 ბრძანებებით) საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის

სააგენტო. აღნიშნული სააგენტო „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სულ რამოდენიმე თვეში (ცხრა) უნდა გარდაქმნილ იყო მთავრობისაგან დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად (მუხლი 15, პუნქტი „გ“), რაც ამ ნაშრომის შექმნის დღემდე შეუსრულებელია.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

• თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარების ხელისშემშლელი ადმინისტრაციული ბარიერების აღკვეთა;

• სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დისკრიმინაციული ქმედებების, დაუსაბუთებელი სახელმწიფო სუბსიდიებისა (პირდაპირი და არაპირდაპირი) და შეღავათების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა;

• თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების განხილვა და შესაბამისი მიწერილობის შემუშავება;

• სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ წარდგენილი მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ა) სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა და საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება;

ბ) მოტივირებული უარის შემთხვევაში საჯარო განცხადების გაკეთება „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „დ“ ქვეპუნქტში მითითებულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ;

გ) სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოების დაცვა და გაუვრცელებლობა;

• საიდუმლოების შემცველი მონაცემების გამჟღავნებისას მიყენებული ზარალის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით;

• ყოველწლიურად გაწეული საქმიანობის ანგარიშისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა საქართველოს მთავრობისათვის:

ა) სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ამ კანონის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის თაობაზე;

ბ) რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ამ კანონის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

სწორედ, ამ მოვალეობათა სრულფასოვნად, დროულად და ხარისხიანად შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-III თავის შესაბამისად, განისაზღვრა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს სტრუქტურა, რომელთა ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია რეგლამენტირებულ იქნა ამავე დებულების მე-IV თავში. საწყის პერიოდში (2005-2006 წლები) საგენტოს სტრუქტურა შედგებოდა ხელმძღვანელობისა და ხუთი სტრუქტურული ერთეულისაგან (ჯამში 12 საშტატო ერთეული), ხოლო 2007 წლის იანვრის ბოლოს განხორციელებული ცვლილების შემდეგ სააგენტოში დარჩა მხოლოდ ერთი სტრუქტურული ერთეული ორი თანამშრომლით (ხელმძღვანელობასთან ერთად ჯამში 5 საშტატო ერთეული).

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტომ (ხელმძღვანელი გიორგი წერეთელი) ჩამოყალიბების პირველივე დღიდან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მეწარმეთა და ფართო საზოგადოების ინფორმირებულობას კონკურენციული პოლიტიკის საკითხებზე. პერიოდულად კეთდებოდა სარეკლამო განცხადებები თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე სააგენტოსათვის ოპერატიული მომართვის მოწოდებით. ამასთან, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებზე დაყრდნობით შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ვებ-გვერდი www.competition.ge.

რამდენადაც „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონმა გააუქმა ქვეყანაში 2005 წლამდე მოქმედი ყველა საკონკურენციო სამართლებრივი ნორმა, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტომ ჩამოყალიბებისთანავე საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად განისაზღვრა ნორმატიული და მეთოდური ბაზის სრულყოფა. მათ შორის, შემუშავებულ იქნა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტთა პროექტები (უფრო ვრცლად იხილეთ ნაშრომის 6.1 ნაწილი).

ამასთან, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს, რომლის უმთავრესი ფუნქციაა სახელმწიფო

და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილებების გამოვლენა და აღკვეთა, განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყანაში სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისა და თავისუფალი მეწარმეობის ხელშეწყობის საქმეში. ამდენად, სააგენტოს საქმიანობა, გარდა ნორმატიული და მეთოდური ბაზის სრულყოფის სამუშაოებისა, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების ექსპერტიზა და ცალკეული ორგანიზაციებისა და ეკონომიკური აგენტების კონკრეტული საჩივრების განხილვა. შესაბამისად, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს გარკვეული მოცულობის სამუშაო აქვს გაწეული საქართველოს ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროების, ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის, ქ. თბილისის მერიის, ქ. ფოთის მერიისა და საკრებულოს ცალკეულ ნორმატიულ აქტთა პროექტების სრულყოფისა და დახვეწის საქმეში (კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით).

გარდა ამისა, სააგენტოს პასუხიმგებელი პირები სისტემატიურად მონაწილეობენ (2006 წლის ბოლოდან) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის მუშაობაში (საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულების საფუძველზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსი შეყვანილია ამ კომისიის წევრად), სადაც რესტრუქტურიზაციას დაქვემდებარებულ სუბიექტებთან მიმართებით, კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილების გამორიცხვის მიზნით, სააგენტო ვალდებულია გაანალიზოს შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე არსებულ მდგომარეობა და ოფიციალურად გამოხატოს თავისი პოზიცია. თუმცა ისიც ცხადია, რომ ანალიზისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიღებას სტატისტიკის დეპარტამენტიდან (არაერთი მცდელობის მიუხედავად) დღემდე ვერ ახერხებს სააგენტო (სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ეკონომიკური აგენტების სამეწარმეო საქმიანობის შესახებ პირველადი მონაცემები (წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა და ფასები), როგორც ეს უკვე ნაშრომის მეხუთე ნაწილში აღვნიშნეთ,

დაიხურა „სტატიტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში 2002 წლის დეკემბრის ბოლოს განხორციელებული ცვლილებით).

ამასთან ფაქტია, რომ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო თავდაპირველ საწყის ეტაპზე ფართო საზოგადოების მიერ აღიქმებოდა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის სამართალმემკვიდრე. ამდენად, სააგენტოს ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, ინერციით ხდებოდა ისეთი წერილების შემოსვლა, რომლებზეც გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენდა ყოფილი ანტიმონოპოლიური სამსახურის კომპეტენციას. შესაბამისად, სააგენტო იძულებული იყო ასეთი წერილები გადაემისამართებინა კომპეტენტური ორგანოებისათვის.

გარდა აღნიშნულისა, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოში, მისი ჩამოყალიბებიდან დღემდე მუდმივად შედიოდა და შედის ისეთი კონკრეტული წერილები (საჩივრები), რომლებზეც გადაწყვეტილების მიღება, ახალი საკონკურენციო სამართლის პირობებში, უკვე სააგენტოს პრეროგატივას წარმოადგენდა (წარმოადგენს). შესაბამისად, სააგენტოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასულ 2005-2006 წლებში განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა:[139]

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილი, რომელიც ეხებოდა შ.პ.ს. „ქართული პროდუქტისათვის“ სახელმწიფო დახმარების გაცემის მიმართებას თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობასთან.

საკითხის შესწავლის შემდეგ სააგენტომ დაადგინა, რომ რომ შ.პ.ს. „ქართული პროდუქტისათვის“ სახელმწიფო დახმარების გაცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებით არ დარღვეულა სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობა;

- შ.პ.ს. „ხაშურის მინის ტარის“ წერილი, რომელიც ეხებოდა ქ. ხაშურის საკრებულოს მიერ „ხაშურწყალკანალი“-სათვის დამტკიცებული ტარიფების თავისუფალი

---

139 გ. წერეთელი, ს. ფეტელაია, დ. შაბურიშვილი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს პირველი წლიური ანგარიში (2005 წლის 23 აგვისტოდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე), თბ., გამომცემლობა „ლოი“, 2007 წლის მარტი, გვ. 15-18.

ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხის გარკვევას და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ქ. ხაშურის საკრებულოს ტარიფის დამტკიცების პროცესში საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობა არ დაურღვეულა. თუმცა, დადგინდა, რომ „ხაშურწყალკანალი“ ორგანიზაციებისათვის დადგენილი ტარიფის გამოყენებას თვითნებურად ახორციელებდა, რაზეც შესაბამისი მასალები გადაგზავნილ იქნა საქართველოს ფინანსურ პოლიციაში.

◆ შ.პ.ს. „თბილისის რელსშესადუღებელი ქარხნის“ წერილი, რომელიც ეხებოდა აღნიშნული ქარხნისათვის რელსების შედუღება-დადუღებითი სამუშაოების განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლების მინიჭებას. რაზეც უარყოფითი დასკვნა გაიცა.

◆ შ.პ.ს. „პროგრესის“ ორი საჩივარი, რომელთაგან პირველი ეხებოდა შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ტვირთების საბაჟო შემოწმებასთან დაკავშირებული ანაკრეფების არასწორად (დამატებით) გადახდევინების საკითხს (მომჩივანი მხარე მიიჩნევდა, რომ საქართველოს რკინიგზის 2005 წლის საფრახტო პოლიტიკიდან გამომდინარე ამ თანხის გადახდა მას არ ეკუთვნოდა) და მეორე შ.პ.ს. „გრანტის“ მხრიდან რკინიგზის მისასვლელ ლიანდაგზე (ჩიხი) ვაგონების მიწოდება–გამოტანის მომსახურებაზე მაღალი ტარიფების შეთავაზების საკითხს.

საბაგენტოს ჩარევის შემდეგ ორივე საკითხი მოწესრიგებულ იქნა.

◆ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დავალების შესაბამისად, განხილულ იქნა, საქართველოს რიგი წამყვანი ბანკების ხელმძღვანელთა ერთობლივი წერილი საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რაზეც საბაგენტოს პოზიცია მოხსენდა ზემდგომ სამინისტროს.

გარდა ამისა, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის საბაგენტოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, როგორც მაკონტროლებელ დაწესებულებას აქვს უფლება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად სახელმწიფო ხელისუფლების (ცენტრალური და ადგილობრივი) ორგანოების და რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიმართ გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული ადმინისტრირების (დაჯარიმების) ზომა (მიწერილობა, ადმინისტრაციულ-

სამართალდარღვევათა აქტისა და ოქმის შედგენა). ამასთან, სააგენტოს აქვს უფლება აუცილებლობის შემთხვევებში მიმართოს ზემოქმედების ისეთ ზომებს როგორიცაა საჯარო განცხადების გაკეთება, სასამართლოში სარჩელის შეტანა და სხვ., თუმცა ისიც ფაქტია, რომ ადმინისტრირების მოცემული ზომებიდან სააგენტოს დღემდე არც ერთი არ გამოუყენებია.

ყოველივე ზემოთქმულიდან და სხვა მთელი რიგი გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ და „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონთა მიზნები და შესაბამისად, მათი აღმასრულებელი ინსტიტუტები ემსახურებოდნენ და ემსახურებიან ქვეყანაში ერთსა და იმავე პრინციპების დაცვას (თავისუფალი ვაჭრობისა და კეთილსინდისიერი კონკურენციის ხელშეწყობას და დაცვას), მაინც თვალშისაცემია, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს, როგორც ინსტიტუტის სისუსტე (თუნდაც ადამიანური რესურსების თვალსაზრისით), მის წინამორბედ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან შედარებით.

ზოგადად, არსებული სახით, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს არასრულყოფილებაზე მიუთითებს პროფესორი ვლადიმერ პაპავა, რომელიც აღნიშნავს, რომ „ . . . ქვეყანაში არ გვაქვს ანტიმონოპოლიური სამსახური, . . . ვთქვი, რომ უნდა შეიქმნას ანტიმონოპოლიური სამსახური . . .“[140], რაც კიდეც უფრო ამღარებს მოსაზრებას, რომ დასაჩქარებელია ქვეყნის კონკურენციის ორგანოს როლისა და სტატუსის ამაღლება („თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებებიც სწორედ ამას ითვალისწინებს), რადგანაც მისი „ . . უმთავრესი და უზენაესი ფუნქციაა მეწარმეთა და მომხმარებელთა შორის ყოველგვარი ბარიერების მოხსნა და მათ შორის მედიატორის როლში ყოფნა, კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა . . . მისი როლი და ადგილი ძალზედ მნიშვნელოვანია, საპასუხისმგებლო და მძიმეა . . .“[141]

---

140 ჟურნალისტ შ. კოწოწაშვილის ინტერვიუ უმრავლესობის წევრ ლადო პაპავასთან, გაზეთი „ახალი თაობა“, 2007 წლის 7 მარტი, №64(4081);

141 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა (ამონარიდი საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის 14.07.03 წლის №1/080 წერილიდან).

8. ანტიმონოპოლიური (კონკურენციული) რეგულირების შემაფერხებელი გარემოებები საქართველოში

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ბიზნესის მიმართ მთავრობის პოლიტიკის თეორიულ საფუძველს საუკუნეების განმავლობაში შეადგენდა ე.წ. „laissez-faire“ ანუ „leave-it-alone“ - „თავის ნებაზე მიშვების“, კონცეფცია, რომელიც კერძო ინტერესებს უფლებას აძლევდა მთლიანად ემართა ბიზნესი. ამ კონცეფციის განვითარება დაკავშირებულია შოტლანდიელი ეკონომისტის ადამ სმითის სახელთან. ის ამტკიცებდა, რომ კერძო პირთა მოქმედებანი, რომლებიც მოტივირებულია პირადი ინტერესებით, კონკურენციული ბაზრების არსებობის პირობებში ერთობლივად მუშაობენ საზოგადოების კეთილდღეობისათვის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ა. სმითი დადებითად აფასებდა მთავრობის ჩარევის ზოგიერთ ფორმას – ძირითადად თავისუფალი მეწარმეობისათვის საკანონმდებლო საფუძვლების შექმნის სახით.

მტკიცებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ კაპიტალიზმის მომხრეებს არასწორად მიაჩნიათ ბაზრის რეგულირების შიგა წესებში ჩარევა, გარდა იმ გამონაკლისებისა იურიდიულ – სამართლებრივი ნორმების სახით, რომლებიც არეგულირებენ დამოკიდებულებას მეწარმეებსა და მათი პროდუქციის მომხმარებლებს შორის (ე.ი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი ასევე ეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობასაც, რომელიც მსოფლიოს რიგ ქვეყნებში (მათ შორის აშშ, რუსეთი, საქართველო (2005 წლის 3 ივნისამდე) ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს). აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „laissez-faire“ –ს ფილოსოფიის საფუძველში სწორედ ეს აზრი დევს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ეს ფილოსოფია არ ნიშნავს სამართლის არ არსებობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ თუ არ იქნება ის სამართლებრივი ნორმები, რომლებმაც უნდა დაარეგულირონ ურთიერთდამოკიდებულება ბაზრის მონაწილეებს შორის, მაშინ სისტემა არ იმუშავებს. მაგრამ, მიუხედავად

ამისა, ფაქტია, რომ კაპიტალიზმი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ბაზრის შიგა რეგულირების წესებში ყოველგვარი ჩარევის, იმის და განურჩევლად, ეს ჩარევა ხორციელდებოდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე თუ არა. განსაკუთრებით მიუღებელი იყო სახელმწიფოს მხრიდან მათ საქმიანობაში ყოველგვარი ჩარევა. თუმცა, თვით ადამ სმითიც კი რომელიც ერთი შეხედვით კატეგორიული წინააღმდეგი იყო საბაზრო ურთიერთობებში სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევის, აცნობიერებდა რა მოსალოდნელი შედეგის საშიშროებას წერდა, რომ – კონკურენტები ბაზარზე იშვიათად ხვდებიან ერთამენთს, მაგრამ თუ ისინი ერთხელ მაინც შეხვდებიან, ეს აუცილელად მიგვიყვანს ხალხის საწინააღმდეგო შეთანხმებამდე.

თავის მხრივ მართალია, თავისუფალი მეწარმეობის უალტერნატივო თაყვანისცემა საბაზრო ეკონომიკის საწყის სტადიაზე ზიმდინარეობდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კერძო მეწარმეები არც თუ იშვიათად ცდილობდნენ ცალკეულ შემთხვევებში მიემართათ მთავრობისათვის დახმარების მიღების მიზნით. განსაკუთრებით აქტუალური გახდა პროტექციონიზმის პოლიტიკა მას შემდეგ, რაც ქვეყნებს შორის გამძაფრდა კონკურენცია კონკრეტული სასაქონლო ბაზრების დასაპყრობად, რაც ჩვენის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა ბაზრის რეგულირების წესებში უშუალოდ სახელმწიფოს მონაწილეობა. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ არსებობდა მუდმივი ურთიერთდათმობები თავისუფალი მეწარმეობის თეორიასა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ მიზანთა მისაღწევად მთავრობისადმი დახმარების თხოვნით მიმართვის პრაქტიკას შორის.

საქართველოს ისევე როგორც პოსტსოციალისტური ქვეყნების უმეტესობას, რომლებმაც რამდენიმე წლის წინ დაიწყეს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლის პროცესი, გარკვეული სასტარტო უპირატესობა გააჩნიათ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, რადგანაც მათ შეუძლიათ განვითარებული ქვეყნების შეცდომების გამორიცხვისა და წარმატებების გათვალისწინებით მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიონ ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში. კერძოდ, თავისუფალი მეწარმეობის,

კონკურენციის განვითარების და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით.

სადაოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოში ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, ბიზნესმენებს არ სიამოვნებთ მთავრობის მონაწილეობა რეგულირებაში. მათი აზრით, ეს დაკავშირებულია დამატებითი (ზედმეტი) ხარჯების გაწევასთან, რაც საბოლოოდ აიძულებს მათ გაზარდონ პროდუქციასა თუ გაწეულ მომსახურებაზე ფასები. თუმცა, ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობა (რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში საუკუნეზე მეტი ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი საზოგადოების (განსაკუთრებით მცირე მეწარმეების) დაკვეთით და ძირითადად მიმართული იყო მონოპოლიებად ცნობილი მსხვილი ბიზნესის კომბინირების დარღვევისაკენ, რათა აღდგენილიყო კონკურენცია და თავისუფალი მეწარმეობა) აღიარებულია თანამედროვე მსოფლიოში (ყველა განვითარებული ქვეყნის ხელისუფალთა მიერ), როგორც აუცილებელი ბერკეტი, რასაც თავის მხრივ (რეგულირების ამ მექანიზმის აუცილებლობას) მეტ-ნაკლებად შეგუებულნი არიან თვით მსხვილი ბიზნესის (ამ ფორმით რეგულირების ძირითადი მოწინააღმდეგენი) წარმომადგენლებიც კი.

როგორც ნაშრომში უკვე არაერთხელ გვაქვს ხაზი გასმული, საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის, ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1992 წელს მიიღო სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი. მოგვიანებით კი, საკონკურენციო სამართლის რეალიზაციის პროცესში წარმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს მთავრობამ დახმარებისათვის მიმართა სათანადო გამოცდილების მქონე შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს. კერძოდ, როგორც საქართველოს მიერ მსო-ში გაწევრიანების პროცესში გაკეთებული განცხადებიდან ირკვევა, „ჯერ კიდევ „1994 წელს საქართველოს მთავრობამ მოითხოვა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციის დახმარება ახალი ანტიმონოპოლიური . . . კანონის შემუშავებაში . . . 1996 წლის ივნისში კი პარლამენტმა მიიღო კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენ-

ციის შესახებ"[142], რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანა ცდილობდა მოქმედი საკონკურენციო სამართლებრივი ნორმა უფრო მეტად დაეახლოებინა და შესაძლებლობის ფარგლებში შესაბამისობაში მოეყვანა იმ პერიოდისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ მოწინავე საკონკურენციო სამართლებრივ ნორმებთან. ყოველივე ამას კი, თავის მხრივ, ხელი უნდა შეეწყო ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის.

ფაქტია, რომ საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების სრულყოფილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეყანდელ მსოფლიოში, რადგანაც აქტიური ინტეგრაციის პროცესში, რაც თანამედროვე ეტაპის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს, შეუძლებელია ერთიანი (ერთმანეთთან შესატყვისი) ანტიმონოპოლიური პოლიტიკისა და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გარეშე დაცულ იქნეს რომელიმე ცალკე აღებული ქვეყნის (თვით ამერიკის შეერთებული შტატებისაც კი) ეკონომიკური ინტერესი. სწორედ ამ მიზნით, როგორც არასდროს, მიმდინარეობს ცალკე ევროკავშირის შიგნით და ცალკე ევროკავშირსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის არსებული საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების უნიფიცირება (დაახლოება), რათა ერთობლივი ძალისხმევით ძირშივე აღიკვეთოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და დომინირებული მდგომარეობის (განსაკუთრებული საბაზრო ძალის) მქონე ეკონომიკური აგენტების მიერ მათი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების ყოველგვარი გამოვლინება და მაქსიმალურად იქნეს წახალისებული და დაცული პატიოსანი კონკურენცია და თავისუფალი ვაჭრობა.

დღეისათვის, როდესაც საქართველოში არ არის დასრულებული განსახელმწიფოებრივების პროცესი და არსებობს უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ალბათობა იმისა, რომ შესაძლებელია მოხდეს კონკურენციის საზიანოდ მცირე კომპანიების შერწყმა და დიდი კონგლომერატების (ტრესტები, კონცერნები, კორპორაციები) ჩამოყალიბება, ასევე ტრანსნაციონალური

---

142 ხუან რამონ იტურია გაგოიტია, საკონკურენციო სამართლისა და პოლიტიკის რეფორმის საკითხები: ევროკავშირის ნორმებთან მისადაგების დასაბუთება, სემინარი GEPLAC-ის ორგანიზებით, თბ., 2006 წლის 27 თებერვალი, გვ. 2 (ინფორმაცია III).

კომპანიების შემოსვლა ქვეყნის ეკონომიკაში, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ნორმებთან მიახლოებული, სრულყოფილი საკონკურენციო სამართლებრივი ბაზა შესაბამის ინსტიტუტთან ერთად. ამით თავიდან იქნება აცილებული მოგებას გამოდევნებულ ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან ანტიკონკურენციული ქმედების, ასევე ტრანსნაციონალურ კომპანიათა და ცალკეულ კონგლომერატთა მხრიდან საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების დარღვევის ფაქტები. მოკლედ, აუცილებელია საქართველოს საკონკურენციო სამართალი შესაბამისობაში იყოს ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებთან, საითკენაც ორიენტაცია აქვს აღებული ქვეყანას. აუცილებელია, ასევე, ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობებით შესაბამისი საკითხების დარეგულირება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთანაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ბიზნესის თანამედროვე კონცენტრაციის პირობებში (განვითარებული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილებაც ამას ადასტურებს) არათუ სასურველი, არამედ სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფოს ჩარევა ზედმეტი კონცენტრაციის პროცესების აღკვეთის და თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი (თანაბარი) პირობების შექმნის მიზნით.

რაც შეეხება საქართველოში ამ ეტაპზე მოქმედ საკონკურენციო სამართლებრივ ნორმას („თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" – საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი – უფრო დეტალურად იხილეთ ნაშრომის 6.1 ნაწილი), ის ჩვენის აზრით ეყრდნობა ე.წ. „laissez-faire"-ს (ქვეყნის ეკონომიკის „თავის ნებაზე მიშვების") კონცეფციას. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს კანონის დებულებები, რომელთა ძირითადი ნაწილი მნიშვნელოვნად განსხვავდება განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული და მიღებული საკონკურენციო (ანტიტრესტული, ანტიმონოპოლიური) ნორმებისაგან. შესაბამისად, ქართული საკონკურენციო სამართალი არსებითად განსხვავდება მსოფლიოში დღემდე ცნობილი (აპრობირებული) საკონკურენციო სამართლებრივი ნორმებისაგან. ძირითადი განმასხვავებელია ის (ნაწილობრივ ხაგასმულია ნაშრომის 6.1 ნაწილში), რომ

კანონის არც ერთი დებულება, გარდა კანონის გავრცელების ზოგადი ფორმულირებისა (მე-4 მუხლის „ა“ პუნქტი) არ ითვალისწინებს ეკონომიკურ აგენტთა ანტიკონკურენციული ქმედებების აღკვეთის მექანიზმებს, ისევე როგორც ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენის და აგენტთა შორის შერწყმების პროცესების კონტროლის მექანიზმებს. მასში ასევე არაა გათვალისწინებული ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის პროცესების მაკონტროლებელი დებულებები. ამასთან, კანონი არ მოიცავს (არ ეყრდნობა) ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამოსავალ პოსტულატს დომინირების თაობაზე (საბაზრო ძალას). გარდა ამისა, მასში არ არის გათვალისწინებული მონოპოლიური საქმიანობის (რომელიც უპირობოდ იკრძალება მთელ მსოფლიოში), ბაზრის სასაქონლო (პროდუქტიული) და გეოგრაფიული საზღვრების ცნებები და სხვ.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ქართული საკონკურენციო სამართლის სრულყოფა და მისი მიახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან საკანონმდებლო ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. უფრო მეტიც, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როდესაც „ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთაც, ძირითადად, საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერესი“[143] კეთილსინდისიერი კონკურენციის სამართლებრივი ნორმების მოწესრიგება ქვეყნის უპირველეს პრიორიტეტად უნდა იყოს აღიარებული.

აქვე მიუხედავად იმის, რომ ემეორდებით, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალი საკონკურენციო სამართლის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კანონის „ . . . მოთხოვნები არ ვრცელდება ინფრასტრუქტურის სფეროებში კერძო ინვესტიციებით შექმნილ არათავისუფლად ბრუნვადი საქონლის ტრანსპორტირების (გატარების) საშუალებებზე“[144]. ე.ი. გამო-

---

143 უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, საშობაო ეპისტოლე, ქრისტეს შობა, 2007 წელი, თბილისი, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ №3-4, თებერვალი, 2007, გვ. 7;

144 „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ №31, 27.06.05 წ., გვ. 5.

დის, რომ კერძო კომპანიები არ ექცევიან ანტიმონოპოლიური რეგულირების სფეროში, რაც აუცილებლია ოპერატიულად იქნეს გამოსწორებული, რამეთუ ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად, კონკურენციული გარემოს ფორმირების ძირითადი არსი მდგომარეობს ქსელში თავისუფალი დაშვების და ბაზრის გახსნის პრინციპის დანერგვაში. რეალურად კი ამ დროს, საქართველოს საკონკურენციო სამართლის შესაბამისი ნორმის თანახმად, განსაკუთრებული საკუთრების მფლობელს უფლება ენიჭება მესამე პირი არ დაუშვას საკუთარ ქსელში, თუ ასეთი ქსელი შექმნილია კერძო ინვესტიციებით.

აღნიშნულიდან და რიგი სხვა გარემოებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოში მოქმედი საკონკურენციო საამართლებრივი ნორმის აღსრულების უმთავრეს ხელისშემშლელ ფაქტორებად შეიძლება იქცეს შემდეგი გარემოებები:[145]

- მონოპოლიური საქმიანობისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის მექანიზმების გაუთვალისწინებლობა;
- არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით წინასწარი ღონისძიებების გატარების სამართლებრივი საფუძვლების არ არსებობა;
- კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენის მიზნით (შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციული გარემოს შეფასებისათვის) სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ანალიზის ჩატარების აუცილებლობის გაუთვალისწინებლობა;
- რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებს მიკუთვნებულ ეკონომიკურ აგენტთა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის სფეროების ცალსახად განუსაზღვრელობა (ბოლომდე განუსაზღვრელობა), რაც ფასების კანონმდებლობის გაუქმების შემდეგ ღიადაა დარჩენილი;
- „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუვრცელებლობა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების რეგულირების სფეროში

145 ს. ფეტელავა, კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციის შემაფერხებელი გარემოებები საქართველოში, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №5, სექტემბერი-ოქტომბერი, 2006, გვ. 106-113.

შემავალი ეკონომიკური აგენტების (განსაკუთრებული საკუთრების მფლობელის) იმ ურთიერთობებზე, რომლებიც ზღუდავენ ან შეიძლება შეზღუდონ კონკურენცია;

◆ ანტიკონკურენციული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გამოვლენის სამართლებრივი მექანიზმის არ არსებობა;

◆ რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებს მიკუთვნებული ეკონომიკური აგენტების საქმიანობის ანალიზისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვების სამართლებრივი საფუძვლების არასრულყოფილება;

◆ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების გაცემის პროცედურის ზოგად წესსა და საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატიური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობები[146];

◆ განსაკუთრებული საკუთრების მფლობელი ეკონომიკური აგენტების ჩამონათვლის არ არსებობა (მოსალოდნელია, რომ გადაწყვეტილება, რომელიც ნორმატიულ აქტს არ ემყარება, ყოველთვის ხასიათდებოდეს გარკვეული სუბიექტივიზმით);

◆ საერთაშორისო საკონკურენციო სამართლებრივი ნორმებით აკრძალული საქონლის ხელახალი გაყიდვის მინიმალური ფასის შენარჩუნების (ფასების ვერტიკალური განსაზღვრის) მარეგულირებელი დებულებების არ არსებობა, ისევე როგორც საქონლის ხელახალი გაყიდვისას მაქსიმალური ფასის შენარჩუნების შესახებ ევროგაერთიანების საკონკურენციო სამართალში დაშვებული გამონაკლისების (ევროპული კომისიის 1999 წლის 2790/99 დადგენილება) გათვალისწინებლობა (ევროკავშირში საქონლის ხელახალი გაყიდვის ფასების დაწესება, როგორც წესი, იკრძალება თუ ის გავლენას ახდენს წევრ ქვეყნებს შორის კონკურენციაზე);

◆ ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავა-

---

146 ცნობისათვის: მართალია „ინდიკატიური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონი ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2006 წლის 24 ივლისის №3490-რს კანონით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (31.07.06 წ.) №32, მუხ. 245, გე. 18), მაგრამ პრობლემის აქტუალობიდან და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, არის რიგი სირთულეები რაც შეიძლება გახდეს სეროზული შემაფერხებელი (ყოველ შემთხვევაში დღემდე ასეა) გარემოება ეკონომიკური ხასიათის მიზნობრივი პროგრამების გაცემის პროცედურის თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსათვის შეთანხმების პროცესში.

ლიანებების რესტრუქტურიზაციის თაობაზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსათვის „სახელმწიფო დახმარების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსებისა და შესაბამისი ვადების ჩვენებით გაითვალისწინებული ღონისძიებების“ შესახებ მასალების მიწოდების შემაფერხებელი გარემოებები (შედეგად სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას წინასწარ ჩაუტაროს ანტიმონოპოლიური ექსპერტიზა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა იმ გადაწყვეტილებებს, რომელთა შესაბამისადაც კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებს უწევსდებათ საგადასახადო თუ სხვა სახის შეღავათები (ვალების რესტრუქტურიზაციის ჩათვლით));

♦ სახელმწიფო ხელისუფლების (აღმასრულებელი – ცენტრალური და ადგილობრივი) ორგანოების მხრიდან მისაღები ეკონომიკური ხასიათის ნორმატიული აქტების (გადაწყვეტილებების) წინასწარი ანტიმონოპოლიური ექსპერტიზის არა საკმარისად ეფექტური სისტემა;

♦ ცალკეული დარგების მარეგულირებელ საკონკურენციო სამართლებრივ ნორმებსა და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებებს შორის შეუსაბამობები („ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული სამართლებრივი ნორმების ხარისხობრივი სრულყოფილება ძირითად (პოლიტიკის განმსაზღვრელი) საკონკურენციო სამართლის ნორმებთან შედარებით);

♦ პრეცენდენტული სამართლის ნორმების გამოუყენებლობა, რის გამოც ქართული საკონკურენციო პოლიტიკა გარკვეულწილად იზოლაციაში ექცევა;

♦ საქართველოს კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) ორგანოს დსთ-ს სახელმწიფოთაშორისო ანტიმონოპოლიური საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის ნაკლებეფექტიანობა;

♦ ფასებისა და ფასწარმოქმნის საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების შემდეგ ფასის გამოცხადების სავალდებულო მექანიზმის არ არსებობა[147]

---

147 ცნობისათვის: ევროკავშირის რეკომენდაციების თანახმად საქართველოს პარლამენტის მიერ ამ პრობლემის მოწესრიგების მიზნით 2006 წლის 23 ივნისს შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (№3398-Iს), რომლის თანახმად გამყიდველი ვალდებულია უსრუნველყოს გასაყიდ პროდუქციაზე გასაყიდი და ერთეული ფასის მითითება. ამასთან, ერთეულის ფასის მითითება არ არის სავალდებულო, თუ ის გასაყიდი ფასის იდენტურია. აღნიშნული მუხლის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2008 წლის 1 იელისი.

◆ საქართველოს კონკურენციის მთავარი ორგანოს როლის დასუსტება;

◆ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, როგორც დარგობრივ სამინისტროსა და მის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტი;

◆ „დაცვის ღონისძიებების შესახებ“ – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მექანიზმების აღმსრულებელი სახელმწიფო ორგანოს დღემდე ერთმნიშვნელოვნად განუსაზღვრელობა;

◆ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემების გადასაჭრელად საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მექანიზმების შესუსტება;

◆ კადრების კვალიფიკაციისა და გადამზადების (ძირითადად უცხოეთში ან უცხოელი ექსპერტების ხელმძღვანელობით), აგრეთვე ატესტირების სისტემის არასრულყოფილება;

◆ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებით სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩანაცვლების ნაკლებეფექტიანობა სარეკლამო საქმიანობის რეგულირების სფეროში (რეკლამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება, ამდენად არაა გამორიცხული, რომ ადგილი ჰქონდეს არაკეთილსინდისიერ (კონკურენტი კომპანიის უფლებების შემლახავ) რეკლამას. სწორედ ამიტომაა, რომ აშშ-ში, რუსეთში, უკრაინაში და ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სარეკლამო საქმიანობასა და კონკურენციაზე კონტროლს ერთი და იგივე ორგანოები ახორციელებენ);

◆ რამდენადაც კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის რეალიზაცია პირდაპირ კავშირშია მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან, სერიოზულ ხელისშემშლელ გარემოებად შეიძლება იქცეს ის, რომ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციის შემდეგ ამ სფეროში მოქმედ საკანონმდებლო ბაზას არა ჰყავს აღმასრულებელ ხელისუფლებაში კონტროლის განმხორციელებელი ორგანო (მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესრულების ერთიან სახელმწიფო კონტროლს 2005 წლის მეორე

ნახევრიდან უკვე არ ახორციელებს არც ერთი სახელმწიფო ორგანო), რითაც ქვეყანაში კონკურენციული პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება – მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხი რჩება ღიად;[148]

- მომხმარებელთა განუსაზღვრელი წრის დაცვის მექანიზმების არასრულყოფილება;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ბაზის შეუსაბამობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან;
- სამომხმარებლო განათლების სისტემის არ არსებობა;
- ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად კონკურენციის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების კანონმდებლობათა დარღვევისათვის დაწესებული საჯარიმო სანქციების არაეფექტიანობა მისი მცირე მოცულობით განსაზღვრის გამო.

რაც შეეხება მოქმედი საკონკურენციო სამართლის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოებულ დებულებებს, როგორც ნაშრომის 6.1 ნაწილში აღვნიშნეთ, წარმოადგენენ, სახელმწიფო დახმარებების გაცემის პროცედურების თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების და შესაბამისად გამონაკლისების დაშვების განმსაზღვრელი მუხლები. თუმცა ფაქტია ისიც, რომ Tacis-ის ექსპერტები ჯერ კიდევ 2000 წელს წერდნენ, „ . . . „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები სახელმწიფო დახმარებების შესახებ ძირითადად შეესაბამება ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებების დებულებებს, ოღონდ სახელმწიფო დახმარების შესახებ ევროგაერთიანების წესებისაგან განსხვავებით, საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს გამონაკლისებს სახელმწიფო დახმარების აკრძალვიდან“[149]. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება

---

148 ცნობისათვის: საფრანგეთში, პოლონეთში, ფინეთში, უნგრეთში, კოლუმბიაში, კანადაში, პანამაში, კოსტა-რიკაში, პერუში, ავსტრალიაში, ნორვეგიაში, აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოში, ალჟირში და ა.შ. მომხმარებელთა უფლებებისა და კონკურენციის (ანტიტრესტული) პოლიტიკის რეალიზაცია ევალებათ ერთსა და იმავე ორგანოებს;

149 კონკურენციის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (Tacis), წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის სტრატეგიისათვის, თბ., 2000 წლის დეკემბერი, გვ. 45.

ითქვას, რომ სწორედ ამ გამონაკლისების დაშვების საკითხის ახალ საკონკურენციო სამართალში ასახვით მოხდა ქართული საკონკურენციო სამართლის ამ ნაწილის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ კონკურენციის (ანტიტრესტული, ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობის ერთ-ერთი უპირველესი მიზანია კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე მოქმედი დომინანტი (დიდი საბაზრო ძალის მქონე) კომპანიების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის (სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად, თავიანთი საბაზრო ძალიდან გამომდინარე) ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა. რაც შეეხება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევისა და კონკურენციის შემსღუდავი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევებს, ეს ძირითადად პოსტსოციალისტური და ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ასეთ შემთხვევებში აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში არსებული ინსტიტუტის მეშვეობით, მისი ზემდგომი ინსტანციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაკონტროლების ეფექტიანობის ხარისხი ძალიან დაბალია.

როგორც მკლევარი ქეთევან ლაფაჩი აღნიშნავს – „კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განმხორციელებელი ორგანოების დამოუკიდებლობის სასარგებლოდ მიუთითებენ ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მომხმარებელთა დაცვის თეორიული წანამძღვრები და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, ისევე როგორც შესაბამისი კანონების გამოყენების სფეროები და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში . . . აპრობირებული ინსტიტუციონალური მოწყობის მოდელები. დღეისათვის ყოფილი სსრკ ქვეყნების უმრავლესობაში მოლდოვას, აზერბაიჯანისა და ბელორუსიის (გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში, როგორც აზერბაიჯანში, ისე ბელორუსიაში არსებობდნენ დამოუკიდებელი ანტიმონოპოლიური ორგანოები. კერძოდ, აზერბაიჯანში კომიტეტის, ხოლო ბელორუსიაში სამინისტროს სახით. ამასთან, აზერბაიჯანში 2007 წლის 1 იანვრიდან ისევ შეიქმნა პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი ანტიმონოპოლიური ორგანო – ხაზგასმა ჩემია) გარდა შექმნილია და ფუნქციონირებენ უწყებრივად დამოუკი-

დებელი ანტიმონოპოლიური ორგანოები განსხვავებული სახელებით, თუმცა მსგავსი ფუნქციებით . . . იგივე შეიძლება ითქვას პოსტსოციალისტურ ევროპაზეც, სადაც ყველა ქვეყანაში, გარდა სლოვენიისა და მაკედონიისა, ფუნქციონირებენ უწყებრივად დამოუკიდებელი ორგანოები . . . "[150].

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს როდესაც საქართველოში ეკონომიკის სამინისტრო იყო ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებელი უწყება, მის დაქვემდებარებაში კონკურენციის ორგანოს არსებობა მეტ-ნაკლებად მისაღები (დასაშვები) იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ზოგადი პროფილის სამინისტროდან თანდათან გარდაიქმნა დარგობრივ (მრეწველობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ქონების მართვის) სამინისტროდ, სულ უფრო და უფრო თვალშისაცემი გახდა ეკონომიკის (დარგობრივ) სამინისტროსა და კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმებს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად, უფრო აქტუალური გახდა ქვეყნის კონკურენციის მთავარი ორგანოს დამოუკიდებლობის საკითხი (ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემიდან მისი გამოსვლა).

თავის მხრივ, „ . . . პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ანტიმონოპოლიური ორგანოების სტატუსის (როგორც მისი უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელი პირობის) გაძლიერების საკითხი არაერთხელ ქცეულა დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფოთაშორისი ანტიმონოპოლიური საბჭოს, ისევე როგორც გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მსჯელობის საგნად. თუმცა საქართველოში დღემდე ვერ ხერხდება ამ საკითხზე . . . გადაწყვეტილების მიღება."[151]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მოხდეს საქართველოს ახალი საკონკურენციო სამართლის იმ დებულების ამოქმედება („თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მუხლი 15,

---

150 ქ. ლაფაჩი,დებატები ანტიმონოპოლიური ორგანოს დამოუკიდებლობის შესახებ, გაზეთი „24 საათი", №10(359), 2003 წლის 31 მაისი;

151 ქ. ლაფაჩი,დებატები ანტიმონოპოლიური ორგანოს დამოუკიდებლობის შესახებ, გაზეთი „24 საათი", №10(359), 2003 წლის 31 მაისი.

პუნქტი „გ“), რომლითაც გათვალისწინებულია ქვეყნის კონკურენციის მთავარი ორგანოს მთავრობისაგან დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების საკითხი. თუმცა, ყოველივე ამის პარალელურად, აუცილებელია დაიწყოს ქვეყანაში მოქმედი საკონკურენციო და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ბაზის ეტაპობრივი მიახლოება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების შესაბამის საკანონმდებლო ბაზასთან, რათა საქართველოს საკონკურენციო და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ნორმები არ იყოს ამოვარდნილი კონკურენციის ზოგადი პრინციპებიდან.

9. ანტიმონოპოლიური (კონკურენციული) რეგულირების პერსპექტივები საქართველოში

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კონკურენციის თავისუფალ განვითარებას გარდაუვლად მივყავართ მონოპოლიების წარმოშობისაკენ, რაც გარკვეულწილად არის ძლიერი სტიმული ახალი პროგრესული საწარმოების წარმოშობისათვის და არ ითხოვს რაიმე სახით შემზღუდველი ღონისძიებების გამოყენებას. კონკურენციის სფეროს სპეციალისტების უმეტესობა თვლის, რომ კონკურენციის პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს არა ნებისმიერი მონოპოლიისა და დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის ლიკვიდაცია, არამედ მათი მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამორიცხვა და აღკვეთა. კერძოდ, მიჩნეულია, რომ თუ კონკურენტებმა მიაღწიეს დომინირებულ მდგომარეობას პატიოსან კონკურენციული ბრძოლაში „გამარჯვების" გზით, პროდუქციისა თუ გაწეული მომსახურეობის ხარისხის ამაღლებისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების საფუძველზე, მაშინ ასეთ კომპანიებს უნდა მიეცეთ უფლება ისარგებლონ ჯილდოთი მათ უფრო სრულყოფილ საქმიანობაზე.[152] უფრო მეტიც, ევროკავშირის კანონმდებლობა (ისევე როგორც საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა 2005 წლის 3 ივნისამდე) არ კრძალავს (არ კრძალავდა) იმყოფებოდეს ან მიაღწიოს ეკონომიკურმა აგენტმა დომინირებულ მდგომარეობას, თუ ეს მდგომარეობა არაა მიღწეული (მოპოვებული) არაკანონიერი გზებით და/ან ადგილი არა აქვს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას კონკურენციის კანონით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ე.ი. იმ შემთხვევებში, როდესაც ბაზარზე ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტებს აუცილებელია სახელმწიფომ შესაბამისი საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე უზრუნველყოს დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტებსა და კონკურენციის დონეს შორის ბალანსის შენარჩუნება. თუმცა იმისათვის, რომ სახელმწიფომ ამ ბალანსის უზრუნველ-

152 Кончкурентная политика и демонополизация, Тезисы, Стамбул, Турция, 14-17 Октября 1997 года, с. 1.

ყოფა შეძლოს აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა (სრულყოფილი, გარე სამყაროსთან ჰარმონიზირებული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა), რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში გამოყენებულ იქნება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის პრინციპების დასაცავად.

ეს პრობლემა მით უფრო აქტუალურია დღეს, რადგანაც თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის გლობალიზაციის მზარდი ტენდენცია, როგორც არასდროს დღის წესრიგში აყენებს საპროცედურო მექანიზმების დახვეწის (სრულყოფის) აუცილებლობას, რამაც თავის მხრივ ხელი უნდა შეუწყოს (სრულყოს) საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას ანტიმონოპოლიური რეგულირების სფეროში. დღეს უკვე დავის საგანს არ წამოადგენს ის, რომ ბიზნესის ტრანსნაციონალურობის პირობებში სავსებით შესაძლებელია ერთი ქვეყანის ტერიტორიაზე განხორციელებულმა ქმედებამ ანტიკონკურენციული ზეგავლენა მოახდინოს მეორე ქვეყნის ტერიტორიის სასაქონლო ბაზრებზე, რომლის აღკვეთა დაინტერესებულ სახელმწიფოთა ძალისხმევის გაერთიანების გარეშე შეუძლებელია თვით ყველაზე განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი. ამდენად ასეთ კონკრეტულ შემთხვევებში აუცილებელია სახელმწიფოთა პარალელური და/ან ერთობლივი მოქმედებები ორი ან მეტი ქვეყნის ტერიტორიაზე ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესრულების იძულებისათვის, რომლის პირველ (ერთობლივი გამოძიების) ისტორიულ პრეცედენტს წარმოადგენს ევროკავშირისა და აშშ-ს მიერ 1994 წელს „მაიკროსოფტის“ წინააღმდეგ წარმოებული კომპანია, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი ერთმა კონკრეტულმა პრობლემამ გააერთიანა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფარგლებში საბოლო მიზნის – თავისუფალი მეწარმეობის, კონკურენციისა და მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად.

ანალოგიურად, კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით სხვადასხვა ქვეყნების (განსაკუთრებით დსთ-ს, ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის) კონკურენციის ორგანოებთან თანამშრომლობის პრაქტიკას (როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ თანამშრომლობას) სისტემატიურად მიმართავდა (იყენებდა) საქართველოს სახელმწიფო

ანტიმონოპოლიური სამსახური (1997-2005 წწ.). კერძოდ, როგორც დსთ-ს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფოთაშორისო საბჭოს მოხსენებიდან ირკვევა „ . . . დსთ-ს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფოთაშორისო საბჭოსა და თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ანტიმონოპოლიური ორგანოების ძალისხმევით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვნად შემცირებულიყო ცნობილი ქართული ღვინოებისა და მინერალური წყლების სასაქონლო ნიშნების უკანონოდ გამოყენების ფაქტები"[153]. ცხადია, აღნიშნული საკითხის მოწესრიგება შესაძლებელ იქნა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის აქტიური მცდელობისა და ძალისხმევის ხარჯზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისა და უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევა (ქართველ მეწარმეთა და უკრაინელ მომხმარებელთა კანონიერი უფლებების დასაცავად), რის შედეგადაც უკრაინაში, როგორც ეს უკვე დეტალურად ნაშრომის 7.1 ნაწილში აღვნიშნეთ, გამოვლინდა მინერალურ წყალ „ბორჯომი"-ს ფალსიფიცირების (არაკეთილსინდისიერი კონკურენციის) ათეულობით ფაქტი (1998 წ.) და შესაბამისად დაიხურა ათეულობით საამქრო. თუმცა, სამწუხაროდ, როგორც შემდგომი წლების მოვლენები აღასტურებენ პრობლემა ამით არ ამოწურულა. კერძოდ, „ . . 2005 წლის სექტემბრის ბოლოს, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოში შემოვიდა უკრაინის პირველი ვიცე-პრემიერის ბატონ ა. კინახის წერილი (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან), რომელიც ეხებოდა უკრაინაში სარეალიზაციო ქსელში არსებულ მინერალურ წყალ „ბორჯომი მსუბუქი"-ს, რეალურ შემადგენლობასა და მის ეტიკეტზე მითითებულ მონაცემებს შორის არსებულ სხვაობას, რითაც ილახებოდა როგორც უკრაინაში „ბორჯომი"-ს მომხმარებელთა კანონიერი უფლებები, ასევე სერიოზული ზიანი ადგებოდა მინერალურ წყალ „ბორჯომი"-ს იმიჯს. შესაბამისად, უკრაინის მხარე აყენებდა საკითხს ამ

153 ДОКЛАД - „О направлениях сотрудничества в области Антимонопольной политики государств-участников СНГ" (Рассмотрен на заседании экономического совета СНГ 12 марта 2004 года). Межгосударственный совет по Антимонопольной политике, М., 2004, с. 7-8.

პრობლემის ერთობლივი მოწესრიგების თაობაზე . . .[154].

მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, მასზე გადაწყვეტილების მიღება, ახალი საკონკურენციო სამართლით უკვე არ წარმოადგენდა თავისუფალი ეაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს კომპეტენციას. შესაბამისად, საგენტოს ხელთ არსებული მასალები შემდგომი რეაგირების თხოვნით გადაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს[155].

რაც შეეხება, ქ. ბელცის (მოლდოვა) ღვინის მწარმოებელი ქარხნის მიერ ფალსიფიცირებული ქართული სამარკო ღვინოების წარმოებისა და რეალიზაციის (1997-1998 წწ.) შეწყვეტის პროცესის უსაშველოდ (ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე) გაჭიანურებას, უნდა ითქვას, რომ ის ძირითადში (გარდა სასამართლო პროცესის დროში გაწელვისა) გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის არაერთი მცდელობის მიუხედავად მოლდაველთის ანტიმონოპოლიური ორგანო (სრულფასოვნად არ(ვერ) ჩაერთო ამ პრობლემის აღკვეთის საქმეში, რამაც თავის მხრივ შეაფერხა (დროულად ვერ მოხერხდა) დსთ-ს ღვინის ბაზარზე (მოლდაველთი, უკრაინა, რუსეთი) გამოვლე-

---

154 გ. წერეთელი, ს. ფეტელავა, დ. შაბურიშვილი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს პირველი წლიური ანგარიში (2005 წლის 23 აგვისტოდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე), თბ., გამომცემლობა „ლოი", 2007 წლის მარტი, გვ. 19;

155 ცნობილი ფაქტია, რომ დსთ-ს მინერალური წყლების ბაზარზე, სადაც მოწინავე პოზიცია ეკავა მინერალურ წყალ „ბორჯომს" თავისი უნიკალური სამომხმარებლო (მათ შორის, სამკურნალო) თვისებებიდან გამომდინარე, მუდმივად იდგა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და ფალსიფიკაციის პრობლემა, რითაც ილახებოდა კეთილსინდისიერ ქართველ მეწარმეთა (ამ პროდუქციის სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის) კანონიერი ინტერესი.

ამ პრობლემას არც დღეს დაუკარგავს აქტუალობა, რაც დასტურდება მინერალურ წყალ „ბორჯომი"-ს სასაქონლო ნიშნის მფლობელი და მისი კანონიერი მწარმოებელი კომპანიის „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია"-სა და შპს „ბორჯომის წყლები"-ს მიერ გაკეთებული განცხადებიდან (ყოველკვირეული გაზეთი „კვირის პალიტრა", 23-29 ივლისი, 2007 წელი, №30(647), გვ. 13). კერძოდ, როგორც განცხადებიდან ირკვევა, ქართველ მეწარმეთა სარჩელის საფუძველზე მოსკოვის ოლქის ფედერალურ საარბიტრაჟო სასამართლოს აუკრძალია (უცელელად დაუტოვებია პირველი ინსტანციის სასამთლოს ყველა გადაწყვეტილება) შპს „რუსაი ბორჯომი"-ს მიერ წარმოებულ მინერალურ წყალ „ნაგუდსკი 26"-ზე ქართული „ბორჯომი"-ს სასაქონლო ნიშნის მსგავსი ეტიკეტის გამოყენება.

ნილი ქართული სამარკო ღვინოების არაკეთილსინდისიერი წარმოებისა და რეალიზაციის ფაქტების აღკვეთის პროცესი. შესაბამისად შეილახა ქართველ მეწარმეთა (იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) კანონიერი უფლებები, მოლდავეთის, უკრაინისა და რუსეთის ღვინის მომხმარებელთა (მოქალაქეთა) უფლებებთან ერთად (ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ სამწუხაროდ, მოლდავეთის ანტიმონოპოლიურმა ორგანომ ვერ უზრუნველყო კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპების დაცვა და ვერ დადგა მოწოდების სიმაღლეზე).[156]

გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი და თხევადი გაზის, ნავთობპროდუქტების ბაზრის, აგრეთვე ექსპორტისა და იმპორტის, საკუთარი წარმოებისა და მომსახურეობის ბაზრების ფასწარმოქმნის პრობლემების შესწავლის მიზნით, მჭიდრო კავშირები ჰქონდა აზერბაიჯანის, ყაზახეთის, რუსეთის, უკრაინის, ყირგიზეთის ანტიმონოპოლიურ სამსახურებთან.[157] შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური (თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში) ლიკვიდაციამდე (2005 წლის 19 აგვისტო) გარკვეული შეფერხებებით (რაც სხვა მიზეზებთან ერთად გამოწვეული იყო საქართველოში 1996 წლიდან მოქმედ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით), მაგრამ მაინც ახერხებდა ცალკეული ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ) და თავისუფალი ვაჭრობის, კონკურენციისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას.

საქართველოში ახალი საკონკურენციო სამართლის მიღების შემდეგ, რიგი საკითხები, რომელთა გარკვეული ნაწილი ძველი საკონკურენციო სამართლით იყო დარეგულირებული დარჩა სამართლებრივი რეგულირების გარეთ. კერძოდ (როგორც ამ ნაშრომის ზემო ნაწილში არაერთხელ აღვნიშნეთ),

---

156 ს. ფეტელავა, ანტიმონოპოლიური რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნალი „ეკონომიკა" №11-12, თბ., 2006, გვ. 12-13;

157 საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 1999 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, თბ., 2000, გვ. 14-15.

რეგულირების გარეთ დარჩა კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა. ასევე, დომინატი (განსაკუთრებული საბაზრო ძალის მქონე) ეკონომიკური აგენტის მხრიდან მათი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენის მექანიზმები და სხვა მსგავსი ქმედებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ და სხვა მსგავსი (მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების) საკითხების მოწესრიგების გარეშე (თუმცა ესეც არაა საკმარისი) შეუძლებელია კონკურენციის სრულყოფილი დაცვა და განვითარება, მითუმეტეს იმ დროს, როდესაც ქვეყანაში ჯერ კიდევ არაა დასრულებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესი და მეტად აქტუალურია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების კონკურენციულ კერძო ბიზნესში გარდაქმნის პროცესი. აქვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამ პროცესების აქტიური მონაწილეები ხდებიან ისეთი კომპანიები (ადგილობრივი, უცხოური), რომელთა უმეტესობას დომინირებული მდგომარეობა უკავიათ ამა თუ იმ კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე, რაც არასრულყოფილი საკონკურენციო სამართლისა და მისგან გამომდინარე, შესაბამისი აღმასრულებელი ინსტიტუტის არაეფექტიანი საქმიანობის პირობებში ქმნის გარკვეულ საშიშროებას დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და მომხმარებელთა ინტერესების შელახვის კუთხით.

სადაოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ რაც უფრო ძლიერია მეწარმე სუბიექტის საბაზრო აზროვნება, მით მეტია მისი სწრაფვა დომინირებული მდგომარეობის მისაღწევად. ამასთან, დიდი საბაზრო ძალაუფლების მქონე მეწარმე სუბიექტები მუდმივად ცდილობენ ზემოგების მიღებას და როგორც წესი, არ აქცევენ ყურადღებას (არ აინტერესებთ) ამ ქმედებით ზიანი ადგება თუ არა მის კონკურენტებს და ზოგადად დარგის განვითარებას. სწორედ, კონკურენციის შეზღუდვის მექანიზმების გამოვლენა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა წარმოადგენს ანტიმონოპოლიური ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. ამდენად, რაც უფრო წინ წაიწევს ქვეყანაში

საბაზრო რეფორმები, მით უფრო აქტუალური გახდება ანტიმონოპოლიური რეგულირების პრობლემატიკა. შესაბამისად, საქართველოში მანამ სანამ არ მოხდება მოქმედი საკონკურენციო და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის ევროსტანდარტებთან შესატყვისობა, იქმნება საშიშროება (მოქმედი საკონკურენციო და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებიდან გამომდინარე არაა გამორიცხული) ადგილი ჰქონდეს: [158]

- შესაბამის (კონკრეტულ) სასაქონლო ბაზრებზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა სიმრავლეს და ერთი ან მეტი კომპანიის მიერ ერთიან ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას;
- მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების ხელში კაპიტალის ძირითადი ნაწილის კონცენტრაციას, რომელიც არ გამორიცხავს თუ არ ზრდის ა) დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მხრიდან ფასებით მანიპულირებას კონკურენტების ჩამოცილების მიზნით და ბ) ისეთი შეთანხმებების დადებას რომლის მიზანია (ან შედეგია) ფასების დაუსაბუთებელი (ხელოვნური) ზრდა, შემცირება ან ერთ დონეზე შენარჩუნება (ყველა ამ შემთხვევაში იზღუდება რა კონკურენცია ზარალდება საზოგადოება);
- კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთა შორის კარტელური შეთანხმებების (ჰორიზონტალური შეთანხმებები) დადებით სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის შეზღუდვას;
- ეკონომიკურ აგენტთა შორის ისეთ კოორდინირებულ (ვერტიკალური შეთანხმებები) მოქმედებებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ კონკურენციის შეზღუდვა;
- სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქციის ფასების დაუსაბუთებელ ზრდას;
- დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან მცირე მეწარმეთათვის ბაზარზე შესვლის ბარიერების შექმნას;
- ეკონომიკურ აგენტთა ისეთი შერწყმას, რომელიც

158 ს. ფეტელავა, ანტიმონოპოლიური რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნალი „ეკონომიკა" №11-12, თბ., 2006, გვ. 14-15.

იწვევს დომინირებული მდგომარეობის წარმოქმნას, რამაც თავის მხრივ შეიძლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს კონკურენცია კონკრეტულ სასაქონლო ბაზარზე ან მის დიდ ნაწილზე;

◆ ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესში წარმოების კონცენტრაციის ისეთი მასშტაბების მიღწევას, რამაც შეიძლება სერიოზული საშიშროება შეუქმნას კონკურენციასა და ზოგადად ქვეყნის ეკომომიკის ფუნქციონირებას (ტრანსნაციონალური კომპანიების მცდელობა ხელში ჩაიგდონ საქართველოს ამა თუ იმ ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტი);

◆ საწარმოთა პრივატიზაციის პროცესში კონკურენციის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გაუთვალისწინებლობას;

◆ სახელმწიფო დახმარებების კონტროლის ქმედუუნარო სისტემის ჩამოყალიბებას;

◆ ხელისუფლების ორგანოების მხრიდან (განსაკუთრებით რეგიონებში) კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილებების მიღებას;

◆ ბაზრიდან მცირე მეწარმეების განდევნას;

◆ მომხმარებელთა უფლებების შელახვას;

◆ ქვეყნის კონკურენციის მთავარი ორგანოს – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – თავისუფალი ეჯრობისა და კონკურენციის სააგენტოს ავტორიტეტის შელახვას მისი შეზღუდული უფლებამოსილებებისა და კომპეტენციიდან გამომდინარე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე და ბოლოს,

ყოველივე ზემოაღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტთა (კონკურენციისა (ანტიმონოპოლიური რეგულირების) და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში) კრიტიკა, რაც ნამდვილად ვერ შეუწყობს ხელს ქვეყანაში თავისუფალი სამეწარმეო გარემოს განვითარებას და სრულყოფას.

10. არსებული ხარვეზების (პრობლემების) დაძლევის გზები

საქართველოში ისევე როგორც პოსტსოციალისტური ქვეყნების უმეტესობაში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი დიდი სირთულეებით და წინააღმდეგობებით ხასიათდება. ცხადია, საბაზრო ეკონომიკის რელსებზე ქვეყნის ეკონომიკის მოდიფიკაციის პროცესი არაა მარტივი და ადვილად განხორციელებადი. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ეს პროცესი დაიწყო და რაიმე ღირებული წარმატებისათვის მიუღწევიათ, ამ წარმატების უმთავრესი მიზეზი იყო თითოეული ცალკე აღებული სახელმწიფოს პოლიტიკური ნება (სახელმწიფოს მიერ ჩატარებული ეკონომიკური რეფორმები), რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია სწორედ თანმიმდევრული კონკურენციული პოლიტიკის მხარდაჭერა (რეალიზაცია), რომელიც თავის მხრივ, უნდა იყოს ჰარმონიზებული (დაახლოებული) გარე სამყაროსთან და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებსა და ამა თუ იმ ქვეყნის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენციის კანონმდებლობის და მისი აღმასრულებელი ინსტიტუტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესატყვისობის დონე არის განმსაზღვრელი საბაზრო ურთიერთობების ხარისხის ქვეყანაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კონკურენციის კანონმდებლობის რეალიზაციის კუთხით გაწეული საქმიანობა (დაწყებული 1992 წლიდან დღემდე), ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლება შეფასებულ იქნეს დადებითად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ის საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და დახვეწას.

როგორც პროფესორი პ. ლეიაშვილი აღნიშნავს, „... საქართველოში მცირეა როგორც ბაზრების მოცულობა, ისე მწარმოებელთა რაოდენობა ... ამიტომ ... ადვილად იბადება მონოპოლიური და ოლიგოპოლიური სტრუქტურები. ასეთ პირობებში სახელმწიფოს ჩაურეველობა ბაზარზე ნიშნავს სხვა არაფერს, თუ არა მონოპოლიის ხელშეწყობას ...“[159],

159 პ. ლეიაშვილი, ანტიმონოპოლიური კანონშემოქმედების ქარიული კერსია, გაზეთი „რეზონანსი“, 2005 წლის 7 აპრილი.

რაც არ შეიძლება იქნეს დადებითი შედეგის მომცემი. შესაბამისად ვფიქრობთ, რომ თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ჩარევის მექანიზმები ეკონომიკურ აგენტთა სამეწარმეო საქმიანობაში უნდა იყოს ოპტიმალური და არა მინიმალურ დონემდე დაყვანილი. ე.ი. აუცილებელია სახელმწიფოს ჰქონდეს ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, გარე სამყაროსთან ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის საკონკურენციო და მომხმარებელთა უფლებების დაცვის, რათა იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც დადგება მათი გამოყენების საჭიროება, მოხდეს იმ კონკრეტული დებულების ამოქმედება, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ თავისუფალი ვაჭრობისა და კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპების დაცვას შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო 2004 წლის იენისიდან არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყანა და შესაბამისად, „ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობების ინტენსივობა . . . განისაზღვრება იმით, თუ რამდენად წარმატებულად იქნება ქვეყანაში დაცული . . . საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები . . .“[160], აუცილებლია, მოხდეს საქართველოს ძირითადი (ჩარჩო) საკონკურენციო სამართლის – „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და მისი დაახლოება ევროკავშირის ქვეყნების შესაბამის სამართლებრივ ნორმებთან, რასაც ეყრდნობა ზოგადად განვითარებული სახელმწიფოების ანალოგიური კანონმდებლობა. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ ნაშრომში მოტანილი თუ სხვა მსგავსი შეუსაბამობების მოწესრიგების (აღმოფხვრის) მიზნით, კონკრეტული ცვლილებები და დამატებები იქნეს შეტანილი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენცის შესახებ“ საქართველოს კანონში შემდეგი კუთხით:[161]

---

160 გ. სირბილაძე, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა: არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის, ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარების ცენტრი, თბ., 30 სექტემბერი 2005, გვ. 2;

161 ს. ფეტელავა, მსჯელობა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის სრულყოფის საკითხებზე, გამომცემლობა „ლოი“, თბ., 2007 წლის მაისი, გვ. 38-42.

♦ კანონი უნდა ვრცელდებოდეს განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა იმ ქმედებებზე, რომელიც ხორციელდება ქვეყნის გარეთ, მაგრამ იწვევს კონკურენციის შეზღუდვას ან აღკვეთას ქვეყნის შიგნით;

♦ სახელმწიფო დახმარებებისა და მიზნობრივი პროგრამების ნაწილი გასაერთიანებელია, რადგანაც მიზნობრივი პროგრამებით განსაზღვრული თანხების კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებზე გაცემა სხვა არაფერია თუ არა სახელმწიფო დახმარება.

ამასთან, აუცილებელია კანონმა მკაცრად განსაზღვროს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გასაცემი სახელმწიფო დახმარებების სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმების ვალდებულება.

გარდა ამისა მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვითარებული ქვეყნების საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების მსგავსად, ქართული საკონკურენციო სამართლით განისაზღვროს ის კონკრეტული ვადა და მინიმალური თანხა, რომლის ზევით უნდა მოხდეს გასაცემი სახელმწიფო დახმარების კონკურენციის ორგანოსთან შეთანხმება (კანონით დადგენილი ზღვარის ქვევით გაცემული თანხა არ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო დახმარებად);

♦ რამდენადაც დარგობრივი მარეგულირებელი ორგანოები არ არიან (ვერ იქნებიან) კომპეტენტური იხელმძღვანელონ საკონკურენციო სამართლებრივი ნორმებით, რადგანაც ისინი თავიანთი სამუშაოს შესრულების მიზნით, ინფორმაციის მიღებისა და თანამშრომლობისას დამოკიდებული არიან კონკრეტულ დარგში მოქმედ ეკონომიკურ აგენტებზე, ამიტომ, კონკურენციის კანონს უნდა დაემატოს პუნქტი, რომელიც მისცემს შესაძლებლობას კონკურენციის ორგანოს თავისი უფლებამოსილება გაავრცელოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების რეგულირების სფეროში შემავალი ეკონომიკური აგენტების იმ ურთიერთობებზე, რომლებიც ზღუდავენ ან შეიძლება შეზღუდონ კონკურენცია.

♦ უნდა განისაზღვროს განსაკუთრებული საკუთრების მფლობელთა ნუსხა და იმ საქონლის (მომსახურების) ნომენკლატურა, რაზეც ვრცელდება ფასების სახელმწიფო რეგულირება;

♦ აუცილებელია რეგულირებადი ეკონომიკური სფეროების თავში (IV თავი) მოცემული დებულებები ვრცელდებოდეს,

როგორც სახელმწიფო (როგორც ეს მოქმედ კანონშია) ისე კერძო ინვესტიციებით დაფუძნებულ საწარმოებზე, რადგანაც მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის საკონკურენციო სამართალი ასეთ გამონაკლისებს არ ცნობს;

ამასთან, კანონში მოცემული რეგულირებადი ეკონომიკური სფეროს განმარტებიდან გამომდინარე, საჭიროა სატარიფო რეგულირებად რეჟიმზე მყოფ ეკონომიკურ აგენტებს დაუწესდეთ რეგულირებადი ტარიფის დაცვის ვალდებულება. მით უფრო, რომ ქართული ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკაში რეგულირებადი სატარიფო რეჟიმის დარღვევის არაერთი პრეცედენტი არსებობს (ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა საიმედოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის, წყლის მიწოდების და სხვა სასაქონლო ბაზრებზე);

◆ აუცილებელია კონკურენციის ორგანოს ჰქონდეს უფლება საჩივრის გარეშეც მოახდინოს რეაგირება განსაკუთრებული საკუთრების მფლობელის ქსელში კონკრეტული ეკონომიკური აგენტის არდაშვების საკითხზე (აქ იგულისხმება ის კონკრეტული შემთხვევები, როდესაც კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი ცნობილი ხდება სხვადასხვა საშუალებებით);

◆ კანონმა უნდა დააკალდებულოს აღმასრულებელი ხელისუფლების (ცენტრალური, ადგილობრივი) ორგანოები, რომ მათ მიერ მისაღები ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილებები, წინასწარ (მიღებამდე) შეთანხმდეს კონკურენციის ორგანოსთან, საკონკურენციო სამართალთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;

◆ აუცილებელია კონკურენციის ორგანოს მიენიჭოს (კანონში ეს ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს ხაზგასმული), ზოგადად, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის ანალიზის უფლება;

◆ კანონს უნდა დაემატოს „გეოგრაფიული და სასაქონლო ბაზრის“, „ანტიკონკურენციული საქმიანობის“, „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის“, „კოორდინირებული მოქმედების“, „მონოპოლიური საქმიანობის“, „დომინირებული მდგომარეობის“, „ჰორიზონტალური ინტეგრაციის“, „ვერტიკალური ინტეგრაციის“, „მონოპოლიური ფასის“, „სახელმწიფო რეგულირებადი ფასის“, „სუბსიდიის“, „შერწყმის“ და ა.შ. დეფინიციები.

განსაკუთრებით აქტუალურია კანონში „მონოპოლიური საქმიანობის“ დეფინიციის დამატება (ამ დეფინიციას მოიცავდა 2005 წლამდე საქართველოში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონი), რადგანაც თვით საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 30) კრძალავს (ცალკეული გამონაკლისების გარდა) ასეთ საქმიანობას.

ამასთან, როგორც ნაშრომის 6.1 ნაწილში აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის კოდექსში დღემდე არსებობს მუხლი, რომელიც ეკონომიკურ აგენტთა მონოპოლიურ საქმიანობაზე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს;

♦ კანონითვე უნდა განისაზღვროს ეკონომიკურ აგენტთა პასუხიმგებლობის საკითხი, მათ მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და სხვა ქმედებისათვის რაც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს კონკურენციის შესუსტება ან აღკვეთა ბაზარზე;

♦ კანონს უნდა დაემატოს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენისა და აღკვეთის, ასევე შერწყმათა კონტროლის მომცველი დებულებები;

♦ კანონს უნდა დაემატოს დომინანტი ეკონომიკური აგენტების მიერ მომხმარებლებთან ხელშეკრულების დადების ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შესრულება სცილდება ამ ეკონომიკურ აგენტთა საწესდებო საქმიანობის ფარგლებს ან საწარმოო შესაძლებლობებს;

♦ კანონში უნდა აისახოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მასმედიის საშუალებებით გავრცელებული არაკეთილსინდისიერი რეკლამის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები;

♦ ქვეყნის კონკურენციის ორგანოს უნდა მიეცეს, შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციული გარემოს შეფასების მიზნით, ანალიზების ჩატარების უფლება;

♦ სრულსაყოფია კანონის მეორე თავი (კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვა) იმ სახით, რომ მან მოიცვას ეკონომიკურ აგენტთა ანტიკონკურენციული ქმედებების აღკვეთის მექანიზმები და ამავდროულად ეს ჩამონათვალი არ იყოს ამოწურვადი (კონკურენციის ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება კონკრეტული სიტუაციის ანალიზური შეფასებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ

იმ ქმედებით იზღუდება თუ არა კონკურენცია) და ბოლოს,

◆ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ დასაჩქარებელია ქვეყნის კონკურენციის ორგანოს (თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს) მთავრობისაგან დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების პროცესი, რასაც „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ 2005 წლის 3 ივნისს მიღებული კანონი ისედაც ითვალისწინებს.

ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ მთავრობისაგან დამოუკიდებელი კონკურენციის ორგანო უნდა იყოს კომისიური მოწყობის ინსტიტუტი, სადაც მისი ხელმძღვანელი და კომისიის სხვა წევრები (სულ ჯამში – სამი, ხუთი ან შვიდი წევრი) დაინიშნებიან საქართველოს პარლამენტის თანხმობით ქვეყნის პრეზიდენტის მიერ კონკრეტული ვადით (სამი, ხუთი ან შვიდი წლით).

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ „საბაზრო ეკონომიკის კოსმეტიკური მოპირკეთების ნაცვლად საძირკველშივე მართვა-რეგულირება დაუყოვნებლივ მოითხოვს სათანადო პოლიტიკურ ნებას . . “.[162], ე.ი. სათანადო პოლიტიკური ნების გამოვლენის შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ უმჯობესია საქართველოში მოქმედი საკონკურენციო სამართლის („თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი) მოპირკეთების ნაცვლად მოხდეს ახალი ანტიმონოპოლიური კანონის მიღება, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ყველა ამ ნაშრომში წამოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მექანიზმები იმ უცხოელ და ადგილობრივ ექსპერტთა შეხედულებებისა და წინადადებების გათვალისწინებით, რომლებსაც არაერთი ფასეული მოსაზრება მიუწვდიათ სხვადასხვა დროს ქვეყნის ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის.

162 გ. პაპავა, საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია საქართველოში (ეუფ), საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბ., 2003, გვ. 9.

11. საკონკურენციო სამართლის (ანტიმონოპოლიური კანონის) პროექტი

ფაქტია, რომ საქართველოში კონკურენციის დაცვის ძირითადი (მთავარი) სახელმწიფო ორგანო, ისევე როგორც ის სფერო, რომელსაც ეს ორგანო არეგულირებს განვითარების პროცესშია. ის ჯერ კიდევ (განსაკუთრებით ბოლო პერიოდში) არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. ასეთ პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განვითარებულ სახელმწიფოთა იმ პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებას (პრეცედენტული სამართლებრივი ნორმები), რაც მოწინავე ინდუსტრიის ქვეყნებს დაუგროვდათ ანტიმონოპოლიური რეგულირების საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

როგორც ნაშრომის 3.1 ნაწილში აღვნიშნეთ ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს კონკურენციის (ანტიმონოპოლიურ) ორგანოსთან წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის TACIS-GEPLAC-ს ადგილობრივი და უცხოელი (სამართლის დოქტორები ჯოზეფ მაკარდლი, ხუან რამონ იტურია გაგოიტია და სხვ.) ექსპერტები, რომელთა მიერ შემოთავაზებული იყო (პირველად 2000-2001 წლებში, შემდეგ კი 2003 წლის I ნახევარში (ჯ. მაკარდლი), ხოლო უკანასკნელად 2006 წლის დასაწყისში (ხ. გაგოიტია)) მეტად ფასეული რეკომენდაციები და წინადადებები. მათ შორის, ირლანდიელი ექსპერტის ჯოზეფ მაკარდლის რეკომენდაციების გათვალისწინებით (2003 წელი) შეჯერებული ქართული საკონკურენციო სამართლის ახალი ვარიანტი (ევროკავშირის კანონმდებლობასთან მეტნაკლებად დაახლოებული ქართული საკონკურენციო სამართალი – კანონპროექტი) კონრად ადენაურის ფონდის ამიერკავკასიის წარმომადგენლობის (ხელმძღვანელი სამართლის დოქტორი ლევან იზორია) ხელშეწყობითა და მხარდაჭერით წარდგენილ იქნა საჯარო განხილვისათვის ფართო საზოგადოების წინაშე 2003 წლის 1 ივნისს, სადაც კანონპროექტი მოწონებულ და მხარდაჭერილ იქნა საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, არასამთავრობო სექტორისა და სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომად-

გენლების მიერ და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კანონპროექტის დაინტერესებულ სამინისტროებთან შეთანხმების და შემდგომი მსვლელობის მიცემის თაობაზე.

კანონპროექტის შეთანხმების პროცედურა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან გრძელდებოდა მთელი ერთი წლის განმავლობაში, რომელიც დასრულდა მხოლოდ 2004 წლის ივნისის ბოლოს, თუმცა, კანონპროექტის საბოლოო სახით სრულყოფა და მისთვის დადგენილი წესის შესაბამისად, შემდგომი მსვლელობის მიცემა ვერ მოხერხდა გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო (კანონპროექტის სრულყოფისა და დახვეწის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი და კონკრეტული შენიშვნები და წინადადებები აქვთ გამოთქმული შემდეგ სამინისტროებს: 1) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს (13.05.04 წლის №14/147/7-4 წერილი); 2) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (31.05.04 წლის №01/23/07-3219 წერილი); 3) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (24.05.04 წლის №13-02/779/5802 წერილი); 4) საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (29.04.04 წლის №1-ქ/07-93 წერილი); 5) საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს (14.06.04 წლის №05/839 წერილი); 6) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (14.05.04 წლის №2-1/547 წერილი); 7) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (30.04.04 წლის №08-11/252 წერილი); 8) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (25.05.04 წლის №01-16-14/1651 წერილი); 9) საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის უფროსს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებზე (04.05.04 წლის №7/7 წერილი))[163].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვაქვს სურვილი ფართო საზოგადოებას შევთავაზოთ ახალი ქართული საკონკურენციო სამართლის პროექტი, რომელიც შემუშავებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ 1996 წელს დადებული შეთანხმების 43-ე და 44-ე მუხლებისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად. კანონპროექტში მაქსიმალურადაა (შე-

163 საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა.

საძლებლობის ფარგლებში) გათვალისწინებული GEPLAC-ის უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციები და საქართველოს ანტიმონოპოლიური (კონკურენციის) ორგანოს თხუთმეტწლიანი საქმიანობის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგებიდან დანახული პრობლემების მომწესრიგებელი დებულებები. შესაბამისად, კანონპროექტი შესატყვისობაშია (მიახლოებულია) ევროგაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების 81-ე, 82-ე და 92-94 მუხლებთან და ევროკომისიის 1989 წლის №4064/89, 1997 წლის №1310/97 და 2004 წლის №139/2004 რეგლამენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ წარმოდგენილი კანონპროექტი ემსახურება ქართულ საკონკურენციო სამართალში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და განვითარებული სახელმწიფოების ანალოგიურ სამართლებრივ ნორმებთან მისი დაახლოების საქმეს. თავის მხრივ, პროექტში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქვეყნის ძირითადი კონკურენციის ორგანოს როლისა და სტატუსის ამაღლების საკითხებს.

საქართველოს კანონის პროექტი ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ[164]

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

საქართველოს კანონმდებლობა ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისაგან.

---

164 ს. ფეტელავა, მსჯელობა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის სრულყოფის საკითხებზე, გამომცემლობა „ლოი", თბ., 2007 წლის მაისი, გვ. 46-82.

მუხლი 2.

ამ კანონში გამოყენებულ ძირითად ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1) საქონელი – ყველაფერი, რამაც შეიძლება დააკმაყოფილოს საჭიროება ან მოთხოვნილება (ფიზიკური ობიექტების, მომსახურების, სამუშაოს, ადგილის ორგანიზაციებისა და იდეების ჩათვლით) და შემოთავაზებულია ბაზარზე ყურადღების მიქცევის, შეძენის, გაცვლის, გამოყენების ან მომსახურების მიზნით;

2) სასაქონლო ბაზარი – გარკვეული საქონლის, ასევე ურთიერთშენაცვლებადი საქონლის გაყიდვის (მომსახურების მიღების) ადგილი;

3) სასაქონლო ბაზრის პროდუქციული (სასაქონლო) საზღვრები – ურთიერთშენაცვლებადი საქონლის ჯგუფი (ანაკრები);

4) სასაქონლო ბაზრის გეოგრაფიული (ტერიტორიული) საზღვრები – ტერიტორია, რომელზეც მომხმარებლები იძენენ, ან შეუძლიათ შეიძინონ საქონელი და არ გააჩნიათ (არაეფექტიანს ხდის) ასეთი შესაძლებლობა მის ფარგლებს გარეთ;

5) ურთიერთშენაცვლებადი საქონელი – საქონელთა ჯგუფი, რომელიც ფუნქციური დანიშნულების, გამოყენების, ხარისხის, ტექნიკური მახასიათებლების, ფასის ან სხვა პარამეტრების მიხედვით იმდენად მსგავსია, რომ მყიდველი ცვლის ან მზადაა შეცვალოს ერთი საქონელი მეორით მოხმარების (მათ შორის საწარმოო) პროცესში;

6) ეკონომიკური აგენტი (მეწარმე სუბიექტი) – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. ეს ტერმინი მოიცავს აგრეთვე მოგებაზე არაორიენტირებულ კავშირებს, ასოციაციებს, ფონდებსა და სხვა გაერთიანებებს, რომლებიც წარმოადგენენ ბაზრის მონაწილეებს ან მოქმედებენ მეწარმეების, სახელმწიფო მონოპოლიების, საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და პროფესიული გაერთიანებების ინტერესების შესაბამისად;

7) ეკონომიკური კონკურენცია – მეტოქეობა, რომლის დროსაც ეკონომიკური აგენტები ცდილობენ თავიანთი

სამეწარმეო საქმიანობა კონკურენტებზე უფრო წარმატებით განახორციელონ, სთავაზობენ რა მომხმარებელს უკეთეს პირობებს ფასებთან, ხარისხთან, შეფუთვასთან, მომსახურების სტანდარტებთან და სხვა ეკონომიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით;

8) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია – კონკურენციაში უპირატესობის მოპოვების მიზნით ეკონომიკური აგენტ(ებ)ის (მეწარმე სუბიექტის) მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საბაზრო ქცევის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს და ზიანს აყენებს (ან შეუძლია მიაყენოს) სხვა ეკონომიკურ აგენტ(ებ)ს ან/და იწვევს მათი რეპუტაციის შელახვას;

9) კოორდინირებული მოქმედება – ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტის შეთანხმებული საქმიანობა, მიუხედავად იმისა, თუ როგორი შეთანხმების (წერილობითი, ზეპირი) შედეგია ის;

10) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები – აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები – საქართველოს მთავრობა, სამინისტროები და მათ სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სამინისტროები, სამხარეო ადმინისტრაციები, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოები;

11) მარეგულირებელი ორგანო - სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე ორგანო, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს შესაბამისი კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში;

12) სახელმწიფო შესყიდვა – სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ნებისმიერი სახის საქონლის, სამუშაოს და მომსახურების შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტის (ცენტრალური და ადგილობრივი), უცხოეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული გრანტების, დახმარებებისა და კრედიტების ხარჯზე ან სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (საქართველოს ეროვნუ-

ლი ბანკის გარდა) სახსრების გამოყენებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად;

13) სახელმწიფო დახმარება – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ნებისმიერი ფორმით გაწეული დახმარება; კერძოდ – გადასახადებისაგან გათავისუფლება ან მათი გადავადება, ვალების ჩამოწერა, რესტრუქტურიზაცია, სესხების გაცემა ხელსაყრელი პირობებით, სესხის შეღავათიანი გარანტიები, უძრავი ქონების შეძენა განსაკუთრებული პირობებით, პრეფენციული პირობები სახელმწიფო შესყიდვების დროს და მოგების მიღების გარანტია და სხვა ექსკლუზიური უფლებების მინიჭება, რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას ან ქმნიან მისი შეზღუდვის საშიშროებას, ანიჭებენ რა უპირატესობას გარკვეულ ეკონომიკურ აგენტ(ებ)ს ან გარკვეული საქონლის წარმოებას;

14) სახელმწიფოს კონტროლირებადი საწარმო – ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ეკონომიკური აგენტი, რომლის საწესდებო კაპიტალის საკონტროლო პაკეტი სახელმწიფო საკუთრებაშია;

15) არაკონკურენტული გარემო – სასაქონლო ბაზრები, სადაც შესაძლებელია კონკურენციის არსებობა, მაგრამ იგი შეზღუდული ან/და აკრძალულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და/ან დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ;

16) მონოპოლია – ბაზრის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც არსებობს საქონლის ერთადერთი გამყიდველი და ამ საქონელს არ გააჩნია შემცვლელი;

17) ნატურალური მონოპოლია – მონოპოლია, რომლის მოქმედებასაც მინიმუმამდე დაჰყავს გრძელვადიანი საშუალო დარგობრივი დანახარჯები და ბაზარზე კიდევ ერთი ეკონომიკური აგენტის შეღწევა, მასშტაბის ეფექტის შემცირების ხარჯზე იწვევს ეფექტიანობის კლებას;

18) ინფრასტრუქტურული მონოპოლიური საწარმო (ბუნებრივი მონოპოლია) – ესაა დარგი (სფერო), სადაც წარმოების ხარჯების მთლიანი მოცულობა იზრდება ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტის ფუნქციონირების შემთხვევაში; სხვაგვარად ესაა ეკონომიკური აგენტი, რომელსაც ეკუთვნის (ფლობს, განაგებს) ინფრასტრუქტურული ქსელი, რომლის დუბლირება შეუძლებელი ან არაეფექტურია და/ან ეკონო-

მიკურ აგენტ(ებ)ს შესაბამის ბაზარზე უქმნის დომინირებულ მდგომარეობას;

19) **ინფრასტრუქტურული სფერო** – სფერო, რომელშიც ხორციელდება არათავისუფლად ბრუნვადი საქონლის წარმოება, მიწოდება, მომსახურება;

20) **არათავისუფლად ბრუნვადი საქონელი** – საქონელი, რომლის წარმოება, იმპორტი, მიწოდება და მოხმარება ხდება შეზღუდულ (სპეციფიკურ), განსაკუთრებულ პირობებში;

21) **რეგულირებადი ეკონომიკური სფეროები** – საქმიანობის სახეები, რომლებიც მოხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე ექვემდებარებიან სატარიფო რეგულირებას;

22) **დომინირებული მდგომარეობა** – ეკონომიკური სიძლიერით ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებით განპირობებული მდგომარეობა, რომელიც ეკონომიკურ აგენტს შესაძლებლობას აძლევს კონკურენტებს, მიმწოდებლებს და მომხმარებელებს უკარნახოს მის მიერ დადგენილი ფასი და შექმნას ბაზარზე შესვლის და/ან ბაზრიდან გამოსვლის ბარიერები;

23) **მონოპოლიური საქმიანობა** – სასაქონლო (მომსახურების) ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (ან ეკონომიკურ აგენტთა ჯგუფის), აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ქმედება, რომელიც რაიმე სახით ზღუდავს კონკურენციას;

24) **კარტელი** – კონკრეტული საქონლის მწარმოებელთა ერთობლიობა, რომლებიც ერთიანდებიან (ხშირად ფარულად) ამ საქონლის წარმოების გაკონტროლების და/ან დომინირებული მდგომარეობის მოპოვების მიზნით;

25) **ჰორიზონტალური შეთანხმება** – ერთი და იმავე სასაქონლო ბაზარზე მოქმედი კონკურენტი ეკონომიკური აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ქმედება, რომელიც რაიმე სახით ზღუდავს კონკურენციას;

24) **კარტელი** - კონკრეტული საქონლის მწარმოებელთა ერთობლიობა, რომლებიც ერთიანდებიან (ხშირად ფარულად) ამ საქონლის წარმოების გაკონტროლების და/ან დომინირებული მდგომარეობის მოპოვების მიზნით;

25) **ჰორიზონტალური შეთანხმება** – ერთი და იმავე სასაქონლო ბაზარზე მოქმედი კონკურენტი ეკონომიკური

აგენტების შეთანხმება, რომელიც ზღუდავს ან შეიძლება შეზღუდოს კონკურენცია;

26) ვერტიკალური შეთანხმება – არაკონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული შეთანხმება, რომლებიც ერთად მუშაობენ გარკვეული დასახელების ან მსგავსი პროდუქციის წარმოების ან გაყიდვის სრული ციკლის განსახორციელებლად ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ბაზარზე;

27) მომხმარებელი – პროდუქციის (საქონლის, სამუშაოს, მომსახურების) გამომყენებელი, შემძენი, შემკვეთი, ან ასეთი განზრახვის მქონე იურიდიული და/ან ფიზიკური პირი;

28) ბაზარზე შესვლის ბარიერი – ნებისმიერი წინაღობა, რომელიც ხელს უშლის ბაზრის პოტენციურ მონაწილეს კონკურენციულ ბაზარზე უკვე დამკვიდრებულ ეკონომიკურ აგენტთან თანაბარ პირობებში მიიღოს მონაწილეობა კონკურენციაში;

29) შერწყმა – ეკონომიკური აგენტების გაერთიანება, რომლის დროს მასში მონაწილე სუბიექტები ცვლიან აქციებს ერთმანეთში ან ერთი რომელიმე სუბიექტი ცვლის აქციებს შერწყმის პროცესში მყოფ სხვა ეკონომიკურ აგენტთა აქციებზე;

30) მიერთება – ნიშნავს შეძენას, რომელიც ხორციელდება ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტის სურვილის საწინააღმდეგოდ ტენდერის გზით;

31) სუბსიდია – ფულადი გრანტი, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო იხდის საზოგადოებისათვის მისაყიდი საქონლის ფასის დაბალი დონის შესანარჩუნებლად, ან რომელიც ეძლევა კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს ფულადი დახმარების სახით, სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმების ფარგლებში; ან თუ ადგილი აქვს შემოსაელის ფორმას ან ფასების მხარდაჭერას GATT-ის 1994 წლის XVI თავის მნიშვნელობით და რაც განაპირობებს შეღავათებს;

32) თავისუფალი ფასი – ბაზრის კონიუნქტურის, საქონლის (მომსახურეობის) ხარისხისა და სამომხმარებლო თვისებების გათვალისწინებით მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთშეთანხმებით დადგენილი ფასი;

33) მონოპოლიური (მაღალი ან დაბალი) ფასი – დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ დაწესებული ფასი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავ-

დება საქონლის (მომსახურები) წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯებისაგან;

34) დემპინგი – საექსპორტო საქონელზე ხელოვნურად დაწესებული ფასი, რომელიც დაბალია შიდა საბაზრო ფასთან შედარებით;

35) დისკრიმინაციული ფასი – დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ დაწესებული ფასი, რომელიც ობიექტურად გამართლებული მიზეზების გარეშე განსხვავებულია ცალკეული ეკონომიკური აგენტისათვის და რომელიც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს კონკურენციის აღკვეთა ან შეზღუდვა და მომხმარებელთა ინტერესების შელახვა.

36) სახელმწიფო რეგულირებადი ფასი (ტარიფი) – სახელმწიფო ხელისუფლების ან დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების მიერ შეზღუდული კონკურენციის პირობებში, კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ფასი (ტარიფი);

37) სახელმწიფო ფიქსირებული ფასი – მყარად დაწესებული სიდიდის სახელმწიფო რეგულირებადი ფასი.

38) ზღვრული ფასი – სახელმწიფო რეგულირებადი ფასის ნაირსახეობაა და გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლებისა და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების მიერ ფასის ზედა (მაქსიმუმი), ქვედა (მინიმუმი) ზღვარის ან ორივეს ერთად დაწესებას.

39) რენტაბელობის ზღვრული დონე – ეწოდება ეკონომიკური აგენტის წმინდა მოგების შეფარდებას მის სრულ დანახარჯებთან.

40) ექსკლუზივი – უფლება, რომელიც მიღებულია კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი პირისაგან, საპატენტო, საავტორო და გამომგონებელთა უფლებების, სავაჭრო და სასაქონლო ნიშნების, სამრეწველო ნიმუშების ფლობის და/ან გამოყენების თაობაზე; ამასთან, კრძალავს მესამე პირის მიერ მონიჭებული უფლების ნებისმიერი სახით გამოყენებას.

მუხლი 3.

ამ კანონის მიზანია საქართველოში ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირებისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ქვეყნის მიერ

ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. კერძოდ:

(ა) ეკონომიკურ აგენტებს მიეცეთ თანაბარ დონეზე კონკურენციის შესაძლებლობა;

(ბ) წახალისებულ იქნას ეკონომიკური ეფექტიანობა სიახლეების დანერგვისა და ტექნიკური პროგრესისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის გზით;

(გ) მომხმარებელებს მიეცეთ საშუალება საქონელი და მომსახურება შეიძინონ საუკეთესო პირობებით;

(დ) უზრუნველყოფილ იქნას, რომ ეკონომიკური აგენტების ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ანტიკონკურენციულმა ქმედებამ არ შეზღუდოს კონკურენცია;

(ე) აღკვეთილ იქნას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ამ კანონის ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი საწარმოების სასარგებლოდ დისკრიმინაციული ქმედების და/ან კერძო საწარმოებისათვის აკრძალული სახის დახმარების გაწევის გზით.

მუხლი 4.

ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) პასუხისმგებლობას მათ მიერ მონოპოლიური საქმიანობის, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და სხვა ქმედებისათვის, რაც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა ბაზარზე.

მუხლი 5.

ამ კანონის შესრულებისადმი სახელმწიფო კონტროლი ეკისრება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისაგან დამოუკიდებელ ინსტიტუტს – საქართველოს კონკურენციის კომისიას.

თავი II

კანონის მოქმედების სფერო

მუხლი 6.

1. ეს კანონი ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც ქვეყნის სასაქონლო (პროდუქცია, სამუშაო, მომსახურება) ბაზარზე გავლენას ახდენენ კონკურენციაზე და რომლებშიც მონაწილეობენ იურიდიული და ფიზიკური (მათ შორის უცხოელი) პირები და საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები.

2. ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, კანონი ეხება და კრძალავს ეკონომიკური აგენტების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებულ ყველა სახის არაკონკურენტულ საქმიანობას.

3. ეს კანონი ეხება და კრძალავს ნებისმიერ ქმედებას ან უმოქმედებას, რომელიც ხორციელდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მაგრამ იწვევს კონკურენციის აღკვეთას, შეზღუდვას ან მისი პირობების გაუარესებას ქვეყნის შიგნით.

მუხლი 7.

ეს კანონი არ ვრცელდება საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან, საეჭვრო ნიშნებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე.

მუხლი 8.

ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობა არაკონკურენტულ გარემოში შეიძლება რეგულირდებოდეს საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით. ამასთან, ეს კანონი ვრცელდება ამ ეკონომიკურ აგენტთა მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც ზღუდავენ ან შეიძლება შეზღუდონ კონკურენცია.

მუხლი 9.

თუ საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, უპირატესობა

ენიჭება საერთაშორის შეთანხმებით გათვალისწინებულ წესებს.

თავი III

კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვა

მუხლი 10.

1. იკრძალება ეკონომიკურ აგენტთა ისეთი ქმედება (ხელშეკრულებები, გადაწყვეტილებები, კოორდინირებული მოქმედებები), რამაც შეიძლება გამოიწვიოს (მიზნად ისახავდეს) ეკონომიკური კონკურენციის აღკვეთა, შესუსტება ან გაუარესება, გარდა მე-11 მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა, თუ:

(ა) ზღუდავს ერთ-ერთ მხარეს ბაზრის, მომარაგების წყაროების, მიმწოდებლების ან მომხმარებელების შერჩევაში;

(ბ) ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ პარტნიორს აკისრებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის (მომსახურების) სანაცვლოდ ან დამატებით მიაწოდოს, შეისყიდოს ისეთი საქონელი (მომსახურება), რომელიც არც საგნობრივად და არც ვაჭრობის წესით დაკავშირებული არ არის ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქონელთან;

(გ) ზღუდავს ერთ-ერთ მხარეს შესაძენი, გასასხვისებელი ან სხვა სახელშეკრულებო პირობების არჩევანში;

(დ) ზღუდავს ან კონტროლის ქვეს აქცევს წარმოებას, ბაზარს, ტექნოლოგიურ განვითარებას ან საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებას;

(ე) ანაწილებს ბაზრებს, მომარაგების ან მიწოდების წყაროებს, ან მომხმარებლებს;

(ვ) პირდაპირ ან არაპირდაპირ აწესებს შესაძენ ან გასაყიდ ფასებს ან სხვა სავაჭრო პირობებს;

(ზ) სხვა სავაჭრო პარტნიორებთან დადებული თანაბარი დონის გარიგების მიმართ იყენებენ განსხვავებულ პირობებს, რის გამოც აყენებენ მათ არახელსაყრელ მდგომარეობაში კონკურენციის თვალსაზრისით;

(თ) სხვა ქმედებები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვა.

ასეთი ხელშეკრულებები შეიძლება იყოს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური.

2. ბათილია ხელშეკრულებები, გადაწყვეტილებები და კოორდინირებული მოქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ მუხლის მოთხოვნებს.

მუხლი 11.

1. ეკონომიკური აგენტი ვალდებულია მე-10 მუხლში აღწერილი ხელშეკრულების, გადაწყვეტილების ან კოორდინირებული მოქმედების შესახებ წინასწარ (30 დღით ადრე) აცნობოს კონკურენციის კომისიას.

2. 1-ლი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული შეტყობინების შემდეგ, კონკურენციის კომისია უფლებამოსილია დაუშვას ეკონომიკურ აგენტებს შორის დასადები ხელშეკრულება ან კოორდინირებული მოქმედება, თუ ის ხელს უწყობს საქონლის წარმოებას, რეალიზაციას, მომსახურების გაუმჯობესებას ან სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და რომელიც:

(ა) ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებს ისეთი შეთანხმების პირობებს, რომლებიც არ არის უშუალოდ დაკავშირებული აღნიშნული მიზნების მიღწევასთან;

(ბ) საშუალებას არ აძლევს ეკონომიკურ აგენტებს აღკვეთონ კონკურენცია მოცემული დასახელების პროდუქციასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით.

3. კონკურენციის კომისია, მის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, გასცემს წერილობით დასკვნას (ნებართვას) ხელშეკრულების, გადაწყვეტილების ან კოორდინირებული მოქმედების შესაბამისობის თაობაზე ამ კანონის მე-10 და მე-11 მუხლების მოთხოვნებთან.

4. კონკურენციის კომისიის მიერ გაცემულ დასკვნაში განსაზღვრულია მისი მოქმედების პერიოდი. შემდგომი შეტყობინების საფუძველზე კომისია უფლებამოსილია მის წინა დასკვნას გაუგრძელოს ვადა, თუ იგი დარწმუნდება (ჩათვლის), რომ მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები კვლავაც დაცულია.

5. კონკურენციის კომისია უფლებამოსილია გააუქმოს მის მიერ გაცემული დადებითი დასკვნა, თუ:

(ა) ეკონომიკური აგენტი არ შეასრულებს (დაარღვევს) რომელიმე პირობას, რაც საფუძვლად ედო გადაწყვეტილების მიღებას და

(ბ) გადაწყვეტილება ემყარებოდა ეკონომიკური აგენტისაგან მიღებულ არასწორ, ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას.

თავი IV

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და მომხმარებელთა უფლებების დაცვა

მუხლი 12.

1. აკრძალულია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და ისეთი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს მომხმარებელს.

2. მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი და სხვა მსგავსი საქმიანობები, თუ ისინი ეწინააღმდეგება ამ კანონის დებულებებს, კეთილსინდისიერ კომერციულ გამოყენებას ან პატიოსნების, სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპებს, მიჩნეულია:

(ა) არაკეთილსინდისიერ კონკურენციად, თუ ისინი უარყოფითად ზემოქმედებენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთობაზე,

(ბ) მომხმარებლისთვის საზიანო ქმედებად, თუ ისინი უარყოფითად ზემოქმედებენ ეკონომიკურ აგენტსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობაზე.

3. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებისა და მომხმარებელთა უფლებების შელახვას წარმოადგენს:

(ა) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და საეჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა) მისი უსაფუძვლო კრიტიკა, ან დისკრედიტირება.

(ბ) ხელშეკრულების ნამდვილი მიზნის წინასწარგანზრახული დაფარვა ხელშეკრულების მეორე მხარის შეცდომაში შეყვანის ან კონკურენციის თვალსაზრისით უპირატესობის მოპოვების მიზნით;

(გ) გაყიდვა მონოპოლიური (მაღალი, დაბალი) ფასით;

(დ) დემპინგური ფასის გამოყენება;

(ე) კონკურენციაში უპირატესობის მისაღწევად კონკურენტი ეკონომიკური აგენტის დაქირავებული პირის დაყოლიება, რომ მან იმოქმედოს დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ;

(ვ) რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის, მომსახურების ნიშნის, საფირმო დასახელების, საქონლის გარეგნული სახის, შეფუთვის, დიზაინის, ფერის და სხვა არაფუნქციური მახასიათებლის წინასწარგანზრახული მიმსგავსება მომხმარებლების შეცდომაში შეყვანის მიზნით.

(ზ) სასაქონლო პროდუქციის თანმხლები დოკუმენტების წარმოდგენა, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი საქონლის მწარმოებელთან და/ან ხარისხთან დაკავშირებით;

(თ) კონკურენტი ეკონომიკური აგენტის კონფიდენციალური ინფორმაციის (ტექნიკური, ტექნოლოგიური ან სხვა სახის საქმიანი ინფორმაცია) გამოყენება ან გამჟღავნება, თუ მისი მოპოვება ან გავრცელება მოხდა არამართლზომიერად;

(ი) კონფიდენციალური ინფორმაციის ბოროტად გამოყენება;

(კ) რეკლამა, რომელიც შეიცავს არარეალურ განცხადებებს, არასწორია ან გამოყენებულია იმავე ბაზარზე მოქმედი კონკურენტი ეკონომიკური აგენტის რეპუტაციის შესალახავად;

(ლ) სხვა მსგავსი ქმედება, რომელმაც შეიძლება კონკურენციაში დაუმსახურებელი უპირატესობა მიანიჭოს ეკონომიკურ აგენტს.

მუხლი 13.

1. კონფიდენციალურია ინფორმაცია, თუ ის მოიცავს ეკონომიკური აგენტის ტექნიკურ, ტექნოლოგიურ ან სხვა საქმიან ურთიერთობებთან დაკავშირებულ ისეთ მასალებს, რომელთა გამოქვეყნებაც სავალდებულო არ არის.

2. კონფიდენციალურია აგრეთვე ინფორმაცია, კომერციული მოლაპარაკებების, გარიგებების, ბაზრის კვლევის და სხვა გარემოებათა შესახებ:

(ა) რომლის გამჟღავნებაც სხვა პირისათვის ხდება მხოლოდ კონფიდენციალურობის საფუძველზე;

(ბ) რომლის კონფიდენციალობის დაცვასაც საჭიროდ მიიჩნევს ეკონომიკური აგენტი გარკვეული დასაბუთებული მიზეზების გამო;

(გ) რომლის მიღება შეზღუდულია ეკონომიკური აგენტის პროდუქციის (მომსახურების) მომხმარებელი (მიმღები) პირებისათვის;

(დ) რომელიც ხელმისაწვდომი არ არის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის ან ამ აგენტის სახელით მოქმედი სუბიექტის მიერ გაკეთებული განცხადების საფუძველზე.

3. კონფიდენციალური ინფორმაციის ბოროტად გამოყენება ნიშნავს ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ არაკანონიერი გზით მოპოვებულ და/ან კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებთან დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევით გამოყენებულ ინფორმაციას.

4. საქონლის ან მომსახურების გაყიდვის არასამართლიანი შეზღუდვა ნიშნავს:

(ა) მყიდველისათვის მისაყიდი საქონლის ან მომსახურების ოდენობის შეზღუდვას ან აღნიშნულ გაყიდვასთან დაკავშირებით ისეთი პირობების გამოყენებას, რომელიც არ წარმოადგენს გარდაუვალ აუცილებლობას ამ საქონლის ან მომსახურების გამოყენებისათვის ან

(ბ) აწვსებს აკრძალვებს საქონლის (მომსახურების) რეალიზაციაზე შესაბამის სასაქონლო ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტების მიმართ;

5. საქონლის ან მომსახურების რეალიზაციის არასამართლიანი ხელშეწყობა ნიშნავს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მომხმარებელთა დავალდებულებას შეიძინონ სხვა საქონელი (მიიღონ დამატებითი მომსახურება) ან მოძებნონ ახალი მომხმარებლები.

მუხლი 14.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ეკრძალება:

1. იმ საწარმოების შერწყმა (გაერთიანება) ან მათით კავშირების, კონცერნების, კონსორციუმების, მართვის შუალედური რგოლების, დარგთაშორისი და რეგიონალური გაერთიანებების შექმნა, რომლებშიც სახელმწიფო წილს ფლობს, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებას ან შეზღუდვას;

2. დააწესოს ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათები, რომლებიც კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის შეზღუდვას;

3. აკრძალოს, შეაჩეროს ან სხვაგვარად შეაფერხოს ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

4. საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციის მიზნით შექმნას სახელმწიფო სტრუქტურები ან უკვე არსებულ სტრუქტურებს მიანიჭოს ისეთი უფლებამოსილება, რომელიც გამოიწვევს კონკურენციის შეზღუდვას;

5. მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ეს უკანასკნელი იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის დომინირებული მდგომარეობის მინიჭებას, რაც არსებითად ზღუდავს კონკურენციას და თავისუფალ ფასწარმოქმნას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. კონკურენციის კომისიის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიუწოდებლობა დადგენილ ვადებში.

თავი V

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

მუხლი 15.

1. აკრძალულია შესაბამის ბაზარზე ერთი ან მეტი ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ეკონომიკური საქმიანობის ნებისმიერ სფეროში.

2. დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ეკრძალება ნებისმიერი შეთანხმება (ჰორიზონტალური, ვერტიკალური) სხვა ეკონომიკურ აგენტთან, თუ ის იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს კონკურენციის შეზღუდვა.

3. კონკურენციის კომისია განსაზღვრავს უკავია თუ არა ეკონომიკურ აგენტს დომინირებული მდგომარეობა შესაბამის სასაქონლო ბაზარზე და რა წარმოადგენს

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, მაგრამ ამასთანავე, მიიჩნევს, რომ ეს არის საქმიანობა, რომელიც:

(ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ აწესებს არასამართლიან გასაყიდ და/ან შესაძენ ფასს ან ვაჭრობის სხვა რომელიმე არასამართლიან პირობას;

(ბ) მომხმარებლების საზიანოდ ზღუდავს წარმოებას, ბაზრებს ან ტექნიკურ განვითარებას;

(გ) იყენებს არათანაბარ პირობებს სხვა სავაჭრო პარტნიორებთან დადებული ერთგვაროვანი გარიგებების მიმართ, რითაც აყენებს მათ არახელსაყრელ მდგომარეობაში კონკურენციის თვალსაზრისით;

(დ) ხელშეკრულებების დადებას უქვემდებარებს სხვა მხარეების მიერ დამატებითი ვალდებულებების აღებას, რომლებიც თავისი ბუნებით ან კომერციული დანიშნულებით არ არის დაკავშირებული კონტრაქტის საგანთან.

(ე) ხელყოფს სხვა ეკონომიკური აგენტების კონკურენტულ შესაძლებლობებს ისეთი სახით, რომ ზეგავლენას ახდენს კონკურენციაზე შესაბამის ბაზარზე;

(ვ) ითხოვს კანონმდებლობით დადგენილი წესისაგან განსხვავებულ ანგარიშსწორების და სხვა ბიზნეს პირობებს;

(ზ) უარს ამბობს დაუშვას სხვა ეკონომიკური აგენტები მის ქსელში ან სხვა ინფრასტრუქტურულ საშუალებებში (ქსელის პარალელური გამოყენება) შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი დაამტკიცებს, რომ ფუნქციური თუ სხვა მიზეზების გამო ქსელის (ან ინფრატრუქტურის საშუალებების) პარალელური გამოყენება შეუძლებელია.

მუხლი 16.

1. ეკონომიკურ აგენტს უჭირავს დომინირებული მდგომარეობა, თუ კონკურენციის კომისია, დაინტერესებული მხარისაგან ან საკუთარი მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე დაადგენს, რომ მისი წილი ბაზარზე შეადგენს არანაკლებ ერთ მესამედს.

2. ორ ეკონომიკურ აგენტს უჭირავს დომინირებული მდგომარეობა, თუ კონკურენციის კომისია, დაინტერესებული მხარისაგან ან საკუთარი მოკვლევის შედეგად მიღებული

ინფორმაციიდან გამომდინარე დაადგენს, რომ მათი ერთობლივი წილი ბაზარზე შეადგენს არანაკლებ 50 პროცენტს და ისინი ურთიერთ დაკავშირებულები ან მეწილეები არიან.

3. სამ და მეტ ეკონომიკურ აგენტს უჭირავთ დომინირებული მდგომარეობა, თუ კონკურენციის კომისია, დაინტერესებული მხარისაგან ან საკუთარი მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე დაადგენს, რომ მათი ერთობლივი წილი ბაზარზე შეადგენს არანაკლებ ორ მესამედს.

4. მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი დაასაბუთებენ, რომ კონკურენციის პირობებმა შეიძლება შესაძლებელი გახადოს მათ შორის მნიშვნელოვანი კონკურენციის შენარჩუნება.

5. ეკონომიკურ აგენტს უჭირავს დომინირებული მდგომარეობა, თუ მოსალოდნელი არ არის კონკურენცია შესაბამისი ბაზრის ახალი წევრების მხრიდან, ვინაიდან მას გააჩნია აბსოლუტური უპირატესობანი.

6. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტი დომინირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუ მათ შორის არ არსებობს მნიშვნელოვანი კონკურენცია გარკვეული დასახელების საქონელთან ან კომერციულ მომსახურებასთან დაკავშირებით და ისინი ერთად აკმაყოფილებენ დომინირებული მდგომარეობის კრიტერიუმებს.

7. დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის გამოვლენის წესი მტკიცდება კონკურენციის კომისიის ნორმატიული აქტით.

მუხლი 17.

სპეციალური ან განსაკუთრებული უფლებების მქონე საწარმოები, ინფრასტრუქტურის დარგები და/ან ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები ვალდებულნი არიან დადონ მომხმარებელთან ხელშეკრულება სამუშაოს (მომსახურების) შესრულებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შესრულება სცილდება ამ ეკონომიკურ აგენტთა საწესდებო საქმიანობის ფარგლებს, ან საწარმოო შესაძლებლობებს. ამასთან, მათ ისე უნდა მოაწყონ თავიანთი საწარმოო ან სხვა სამეურნეო

საქმიანობა, რომ სათანადოდ და შეუფერხებლად დააკმაყოფილონ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მოთხოვნები.

მუხლი 18.

1. დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევისას კომისია უფლებამოსილია დასვას საკითხი შესაბამისი ორგანოების წინაშე მისი იძულებითი დაყოფის (დაწვრილერთეულების) შესახებ, თუ არსებობს საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების შესაძლებლობა ან განახორციელოს ზემოქმედების სხვა ღონისძიებები (საჯარიმო სანქცია, ფიქსირებული ფასი, რენტაბელობის ზღვრული დონე და სხვა).

2. საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს იმ საქონლის (მომსახურების) ნომენკლატურას, რომელზეც ვრცელდება ფასების სახელმწიფო რეგულირება და სამოქმედოდ შემოაქვს სახელმწიფო რეგულირებადი ფასი (რეგულირების მექანიზმები).

3. საქართველოს მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად საქართველოს მთავრობა ამტკიცებს დემპინგური ფასის გამოვლენისა და ანტიდემპინგური ღონისძიებების განხორციელების პროცედურებს.

4. კონკურენციის კომისია ახორციელებს რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ტარიფის (ფასის) დადგენის გამჭვირვალობის კონტროლსა და ზედამხედველობას უწევს ეკონომიკური აგენტების მიერ რეგულირებადი ტარიფების გამოყენების სისწორეს.

თავი VI

კონცენტრაციები

მუხლი 19.

კონცენტრაცია ეს არის ეკონომიკურ აგენტთა ისეთი გაერთიანება, როდესაც ბაზარზე ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტი ერწყმის ერთმანეთს და/ან ერთი ან რამოდე-

ნიმე ეკონომიკური აგენტი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს სხვა ეკონომიკურ აგენტთა წილებს (აქციების, აქტივების, კონტრაქტის სხვ. სახით) იმ სახით, რომ ამ კონტროლის საფუძველზე მათ შეუძლიათ ეკონომიკური აგენტის საქმიანობაზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა.

ასევე, ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციას აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, თუ ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტი ერთობლივად აფუძნებენ სრული ციკლის ისეთ საწარმოს, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეასრულებს (ავტონომიურად შეასრულებს) ამ ეკონომიკურ აგენტთა ყველა ფუნქციას.

მუხლი 20.

1. შერწყმად არ განიხილება სიტუაცია, როდესაც საკრედიტო ან სხვა ფინანსური დაწესებულებები და/ან სადაზღვევო კომპანიები, დროებით ფლობენ ეკონომიკური აგენტის ფასიან ქაღალდებს, რომლებიც შეძენილია ხელახალი გაყიდვის მიზნით, იმ პირობით, რომ მათ არ გააჩნიათ საარჩევნო ხმის უფლება, ან თუ ისინი საარჩევნო ხმის უფლებას იყენებენ მხოლოდ საწარმოს ან მისი ნაწილის ან მისი აქტივების, ან კიდევ ფასიანი ქაღალდების განკარგვის მოსამზადებლად და ეს განკარგვა ხდება შეძენის თარიღიდან ორი წლის განმავლობაში.

2. საქმიანობები, რომელიც მიზნად ისახავს (იწვევს) ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტების მიერ განხორციელებული ქმედებების კოორდინაციას, არ წარმოადგენს კონცენტრაციას.

3. შერწყმა არ განხორციელდება, თუ ეკონომიკურ აგენტზე კონტროლი მოპოვებულია „გაკოტრების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

მუხლი 21.

1. ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობაზე კონტროლის მოპოვება ხორციელდება უფლებების ფლობის, კონტრაქტების ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე, რაც ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით იძლევა მნიშვნელოვანი ზეგავლენის განხორციელების საშუალებას. კერძოდ,

(ა) ეკონომიკური აგენტის მთელი აქტივების ან მათი ნაწილის ფლობის ან გამოყენების უფლების მეშვეობით;

(ბ) უფლებების, კონტრაქტების ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობების მეშვეობით, რომელიც იძლევა ეკონომიკურ აგენტთა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებზე გადამწყვეტი ზეგავლენის განხორციელების საშუალებას.

2. კონტროლის მოპოვება ხდება ფიზიკური ან იურიდიული პირის ან იმ პირთა ჯგუფის მიერ, რომელიც

(ა) წარმოადგენს უფლებების მფლობელს, კონტრაქტის მიმღებს ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობების მხარეს;

(ბ) მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენს (ა) ქვეპუნქტით განსაზღვრულ მხარეს, მაინც გააჩნია უფლება ისარგებლოს მათგან გამომდინარე უფლებებით.

მუხლი 22.

1. ამ კანონის თანახმად განხორციელებული კონცენტრაციების შესახებ კონკურენციის კომისიას ეცნობება შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან (ხელშეკრულების დადება, საჯარო ტენდერის განხორციელება ან საკონტროლო პაკეტის შეძენა) ერთი კვირის ვადაში, რომლის ათვლა იწყება შერწყმაზე ხელშეკრულების დადების და საკონტროლო პაკეტის შეძენის დღიდან.

2. განხორციელებული კონცენტრაციების შესახებ კონკურენციის კომისიას აუცილებელია ეცნობოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი პირდაპირ ან არაპირდაპირ იძენს, მინდობილობაში იღებს ან აკონტროლებს მეორე ეკონომიკური აგენტის საწესდებო კაპიტალის 5 პროცენტს ან მეტს. ამასთან, ამ კანონის მიზნებისათვის:

(ა) წილის პირდაპირ შეძენად ჩაითვლება, თუ მეორე ეკონომიკური აგენტის საწესდებო კაპიტალის წილს იძენს, მინდობილ საკუთრებაში იღებს ან აკონტროლებს ისეთი ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტი, რომლის საწესდებო კაპიტალის წილთა ნახევარზე მეტს, თავის მხრივ, ფლობს, აკონტროლებს ან ამ ოდენობის მინდობილი მესაკუთრეა დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი;

(ბ) კონტროლად მიიჩნევა, თუ დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს, მის ხელმძღვანელს,

სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან პარტნიორს (აქციონერი, მეპაიე) მფლობელობაში ან მინდობილ საკუთრებაში გააჩნია მეორე ეკონომიკური აგენტის საწესდებო კაპიტალის წილთა, სულ მცირე, 5 პროცენტი, ან მეორე ეკონომიკურ აგენტში ამ რაოდენობის ხმები გადაეცემა რწმუნებულებით (მინდობილობით).

3. ამ მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში მითითებული შეტყობინება კეთდება წერილობითი ფორმით შერწყმასა თუ მიერთებაში მონაწილე თითოეული ეკონომიკური აგენტის მიერ და მასში უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია განხორციელებული შერწყმის ან მიერთების შესახებ.

შეტყობინებაში ასევე უნდა იყოს მითითებული კონცენტრაციაში მონაწილე მხარეები, კონცენტრაციის სახე და ის დარგი სადაც ეს შერწყმა განხორციელდა.

4. თუ პროცესში მონაწილე თითოეული ეკონომიკური აგენტისაგან შეტყობინების მიღების შემდეგ, კონკურენციის კომისია ჩათვლის, რომ მას სჭირდება დამატებითი ინფორმაცია, კომისიას უფლება აქვს პირველი და/ან ბოლო შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის მანძილზე წერილობითი ფორმით (კონკრეტული ვადის მითითებით), გამოითხოვოს დამატებითი მასალები შერწყმაში მონაწილე ნებისმიერი ეკონომიკური აგენტისაგან; თავის მხრივ, შერწყმაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები ვალდებული არიან, კომისიას მიაწოდონ გამოთხოვილი ინფორმაცია დადგენილ ვადებში.

5. შერწყმაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მხრიდან, 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევებში, კონკურენციის კომისია იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის დამრღვევი ეკონომიკური აგენტების ხელმძღვანელთა დაჯარიმების შესახებ, რომელიც, როგორც წესი, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იანგარიშება.

6. წინამდებარე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, შეტყობინება ძალადაკარგულად ითვლება თუ კონკურენციის კომისიაში მიწოდებული ინფორმაცია არასწორია.

7. შეტყობინების მიღებისთანავე კონკურენციის კომისია:

(ა) ვალდებულია სამი სამუშაო დღის ვადაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მას ეცნობა კონკრეტული შერწყმის შესახებ;

(ბ) მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში ატყობინებს შერწყმის (მიერთების) მონაწილე ეკონომიკურ აგენტ(ებ)ს

(შეტყობინების გამომგზავნი) და სხვა დაინტერესებულ სუბიექტ(ებ)ს, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება, არ გასცეს თანხმობა კონკრეტულ შერწყმაზე ან მიერთებაზე, ან

(გ) შესაბამისი პერიოდის დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში მიიღებს გადაწყვეტილებას, შეისწავლოს აღნიშნული საკითხი.

8. კონკურენციის კომისიამ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა განსაზღვროს კონკრეტული შერწყმით ან მიერთებით იზღუდება თუ არა კონკურენცია და თავისუფალი ვაჭრობა შესაბამის სასაქონლო ბაზარზე და ექმნება თუ არა ადგილი საყოველთაო კეთილდღეობის საწინააღმდეგო ქმედებას. შესაბამისად, კონკურენციის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს თუ რა ზეგავლენა ექნება შერწყმას ან მიერთებას საყოველთაო კეთილდღეობის შემდეგ მიმართულებებზე:

(ა) მიწოდებისა და მომსახურების უწყვეტობა;
(ბ) დასაქმების დონე;
(გ) რეგიონალური განვითარება;
(დ) დარგის (სფეროს) განვითარება;
(ე) წარმოების ეფექტიანობის ამაღლება;
(ვ) სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი;
(ზ) წარმოების ზრდა;
(თ) ბაზრებზე დაშვება;
(ი) მეწილეები და პარტნიორები;
(კ) მუშა-მოსამსახურეები;
(ლ) მომხმარებლები.

9. კონკურენციის კომისია აქვეყნებს ნებისმიერ ასეთ დასკვნას (ანგარიშს), კომერციული საიდუმლოების პრინციპების დაცვით დაინტერესებული ეკონომიკური აგენტებისათვის მისი მიწოდებიდან ორი თვის მანძილზე.

მუხლი 23.

1. შეტყობინების მიღების შემდეგ კონკურენციის კომისია სწავლობს კონცენტრაციებს, რათა დარწმუნდეს ამ შერწყმით (მიერთებით) იქმნება (მყარდება) თუ არა დომინირებული მდგომარეობა, რასაც შეიძლება მოჰყვეს კონკურენციის აკრძალვა ან შეზღუდვა გარკვეული (ხანგრძლივი) დროით.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად კონკურენციის კომისია საკითხს სწავლობს შესაბამის სასაქონლო ბაზარზე მომხმარებელთათვის ურთიერთშენაცვლებადი საქონლის

(მომსახურების) ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის, ეკონომიკური აგენტების საბაზრო მდგომარეობის, ბაზარზე დაშვების პირობების, შესაბამისი ბაზრის სტრუქტურის, კონკრეტული საქონლის წარმოების (მომსახურების) კონკურენტუნარიანობის, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის დაშვების ბარიერების და შესაბამისი საქონლის (მომსახურების) მიწოდებისა და მოთხოვნის ევოლუციის გათვალისწინებით.

3. თუ კონკურენციის კომისია ჩათვლის, რომ კონცენტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს კონკურენციის აღკვეთა ან შეზღუდვა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, იგი იწყებს გამოძიებას შეტყობინების მიღებიდან ან აღნიშნულის თაობაზე სხვა გზებით ინფორმირებიდან 30 დღის განმავლობაში.

4. თუ კონკურენციის კომისია მიიჩნევს, რომ კონცენტრაციის შესახებ მიღებულ ოფიციალურ შეტყობინებაზე საჭირო არ არის გამოძიების დაწყება, იგი შერწყმაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს ამის თაობაზე აცნობებს შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

5. შესაძლებელია კონკურენციის კომისიამ გამოძიება დაიწყოს ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვადების ამოწურვის შემდეგაც, თუ შერწყმაში მონაწილე ეკონომიკური აგენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მნიშვნელოვანწილად არაზუსტი, არასრული ან მცდარია.

6. გამოძიების დაწყებიდან 45 დღის განმავლობაში კონკურენციის კომისია შერწყმაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს აცნობებს თავისი დასკვნების შესახებ.

აღნიშნული პერიოდი შეიძლება გაგრძელებულ იქნას გამოძიების მსვლელობისას, მაგრამ არაუმეტეს 30 დამატებითი დღით, იმ შემთხვევებში, თუ ეკონომიკური აგენტები მოთხოვნისთანავე (მოთხოვნილ ვადებში) ვერ მიაწვდიან კომისიას მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას და მასალებს.

მუხლი 24.

გამოძიების წარმოებისას კონკურენციის კომისია უფლებამოსილია აუცილებლობის შემთხვევაში მოითხოვოს, რომ მოცემულმა ეკონომიკურმა აგენტებმა შეაჩერონ კონცენტრაციის პროცესი გამოძიების დასრულებამდე.

მუხლი 25.

1. თუ გამოძიების დასრულების შემდეგ, კონკურენციის კომისია დაადგენს, რომ კონცენტრაცია ექცევა 22-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის მოქმედების სფეროში, იგი კრძალავს მას.

2. თუ გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება არ იქნება საკმარისი კონცენტრაციასთან დაკავშირებით გადასადგმელი ნაბიჯების დასაბუთებისათვის, კონკურენციის კომისია ასრულებს გამოძიებას და შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს წერილობითი ფორმით აცნობებს (გასცემს დასკვნას) აღნიშნულის თაობაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტი შეიძლება ამოქმედდეს ეკონომიკური აგენტ(ებ)ის მოთხოვნითაც, თუ მას შეუძლიათ დაადასტუროს, რომ ყველა ფაქტორი, რომელიც თავიდან კონკურენციის შემზღუდავად იყო მიჩნეული, ლიკვიდირებულია.

4. კონკურენციის შემზღუდავი კონცენტრაციების მიმართ, კონკურენციის კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს კონკურენციის პირობების აღსადგენად ეფექტიანი ზომების მიღება და კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპების საწინააღმდეგო ნებისმიერი ფაქტორის ლიკვიდაცია.

თავი VII

სახელმწიფო დახმარება

მუხლი 26.

1. სახელმწიფო დახმარების სტატუსის მისაღებად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გაწეული შეღავათები:

(ა) დაფინანსებული უნდა იყოს სახელმწიფო სახსრებიდან (ბიუჯეტიდან) ან ქვეყნის სახელით მოქმედი შუამავალი ეკონომიკური აგენტ(ებ)ის მიერ;

(ბ) იყოს შერჩევითი და უპირატესობას ანიჭებდეს გარკვეულ ეკონომიკურ აგენტ(ებ)ს ან გარკვეული დასახელების პროდუქციის წარმოებას, რითაც ზეგავლენას ახდენს მიმღებ სუბიექტსა და მის კონკურენტებს შორის არსებულ ბალანსზე.

(ვ) საგრძნობლად უნდა არღვევდეს კონკურენციას და უარყოფითად ზემოქმედებდეს ვაჭრობაზე.

2. ამ კანონის მიზნებისათვის სამ წელზე გათელილი 100 000 (ასი ათას) ლარზე ნაკლები ოდენობის დახმარება არ ჩაითვლება სახელმწიფო დახმარებად.

მუხლი 27.

1. ქვემოთ მოცემული ამ მუხლის მე-3 პუნქტის გარდა, აკრძალულია სახელმწიფო დახმარება ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას გარკვეული ეკონომიკური აგენტ(ებ)ისათვის ან გარკვეული დასახელების პროდუქციის წარმოებისათვის უპირატესობის მინიჭების მეშვეობით.

2. ქვემოთ მოცემული ამ მუხლის მე-3 პუნქტის გარდა, აკრძალულია სახელმწიფო დახმარება ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას, უქმნის რა ბარიერებს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც საქართველოსთან ერთად გვეელინებიან თავისუფალი ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ხელშეკრულების ხელმომწერ მხარეებად.

3. ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, არ ითვლება კონკურენციის ხელშემშლელად ან მისთვის საშიშად:

(ა) დარგობრივი ხასიათის დახმარება, რომელიც გაიცემა ინდივიდუალურ მომხმარებლებზე, იმ პირობით, რომ ასეთი დახმარება გაიცემა დისკრიმინაციის გარეშე.

(ბ) დახმარება, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი კატაკლიზმებით ან განსაკუთრებული გარემოებებით გამოწვეული ზიანის აღმოფხვრას.

4. კონკურენციის კომისიამ შეიძლება დაუშვას გამონაკლისი შემდეგი სახის დახმარებასთან დაკავშირებით:

(ა) დახმარება, რომელიც მიზნად ისახავს იმ რეგიონების განვითარების ხელშეწყობას, სადაც ცხოვრების დონე განსაკუთრებით დაბალია ან სადაც აღინიშნება ფართომასშტაბიანი უმუშევრობა.

(ბ) დახმარება, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის ან ეკონომიკური ზონის განვითარებას ან/და კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობას, თუ ასეთი დახმარება არ

შეზღუდავს თავისუფალი ვაჭრობისა და კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპებს ქვეყნის საერთო ინტერესების სასიანოდ;

(გ) დახმარება, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების დასარეგულირებლად გლობალური პროექტის განხორციელებას;

(დ) სხვა კატეგორიის დახმარებები, რომლებსაც სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე განსაზღვრავს კონკურენციის კომისია.

5. კონკურენციის კომისია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშავებს სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურას, რომლითაც განისაზღვრება დახმარების გამცემი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მოვალეობები და დახმარების გაცემის პირობები. მათ შორის, მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი სახელმწიფო დახმარების მიმღებ ეკონომიკურ აგენტთა შერჩევის მექანიზმები, დახმარების დაბრუნებისა და ანაგარიშგების საკითხები.

მუხლი 28.

1. კონკურენციის კომისია ხელშეკრულების მხარეებთან თანამშრომლობით, მუდმივად გადასინჯავს ქვეყანაში მოქმედი დახმარების ყველა სისტემას და იღებს შესაბამის ზომებს თუ ჩათვლის, რომ ასეთი დამარება ეწინააღმდეგება ამ კანონით გათვალისწინებულ დებულებებს, ან იგი არასწორად იქნა გამოყენებული.

2. კონკურენციის კომისიას ეცნობება დახმარების გაცემის გეგმის ან დახმარების შეცვლის თაობაზე; ამ კანონით განსაზღვრულ დებულებებთან წინააღმდეგობის გამოვლენის ან არასწორად გამოყენების რისკის არსებობისას, კომისია შესაბამის მხარეებს მიმართავს თხოვნით, წარმოადგინონ კომენტარები მათი საბაზრო ქცევის დასაბუთების თაობაზე.

3. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე კონკურენციის კომისია ადგენს გაცემული სახელმწიფო დახმარების შესაბამისობას ამ კანონით განსაზღვრულ დებულებებთან და იღებს გადაწყვეტილებას ასეთი დახმარების გაუქმებაზე ან შეცვლაზე განსაზღვრული დროის განმავლობაში, რის შესახებაც იგი ატყობინებს შესაბამის ორგანოს დახმარების გაუქმების ან შეცვლის თარიღის მითითებით.

4. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, რომელიც შეტყობინებულ იქნა ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აუქმებს ან ცვლის ასეთ დახმარებას კონკურენციის კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

მუხლი 29.

1. კონკურენციის კომისია ვალდებულია შეიმუშაოს და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს წარუდგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა:

(ა) გარემოს დაცვითი საქმიანობა;

(ბ) მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება;

(გ) დასაქმების პრობლემების სრულყოფა;

(დ) ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონებში წარმოების განვითარების ხელშეწყობა;

(ე) დაბალიანების მქონე საწარმოთა გადაიარაღება და რესტრუქტურიზაცია;

(ვ) კვლევებისა და განვითარების მხარდაჭერა.

2. კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, როგორც წესი ქვეყნდება და ხელმისაწვდომი ხდება ფართო საზოგადოებისათვის.

თავი VIII

სპეციალური ან განსაკუთრებული უფლების მქონე და/ან ინფრასტრუქტურის დარგის ეკონომიკური აგენტები

მუხლი 30.

1. ამ კანონის მიზნებისათვის სპეციალური ან განსაკუთრებული უფლებები ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური აგენტისათვის მინიჭებულ ნებართვას, რომელიც მას საშუალებას აძლევს შესაბამის ბაზარზე ისარგებლოს უპირატესობით კონკურენტ კომპანიებთან შედარებით ან სულაც იყოს ერთად-ერთი ეკონომიკური აგენტი მთელს ამ ბაზარზე.

2. სახელმწიფო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს მიანიჭოს სპეციალური ან განსაკუთრებული უფლებები ამ კანონისა დასხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. თუ კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც ხდება სპეციალურ ან განსაკუთრებული უფლებების მინიჭება, არ ითვალისწინებს ასეთი უფლებების მინიჭების პროცედურას, მაშინ აცილებელია მოეწყოს საჯარო კონკურსი სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

4. კონკურენციის კომისია უზრუნველყოფს ამ მუხლის დებულებების გამოყენებას და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს შესაბამის დებულებებსა და რეკომენდაციებს.

მუხლი 31.

1. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები, რომლებიც ინფრასტრუქტურული დარგების საწარმოებს ან სხვა ეკონომიკურ აგენტებს არეგულირებენ ან ანიჭებენ განსაკუთრებულ უფლებებს, ვალდებულნი არიან შეიმუშაონ ფასების რეგულირების პროცედურა და ეკონომიკურ აგენტს დაუწესონ ისეთი პირობები, რომ ადგილი არ ჰქონდეს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას (მომხმარებელთა და კონკურენტთა ინტერესების შელახვას).

2. სპეციალური ან განსაკუთრებული უფლების მქონე და/ან ინფრასტრუქტურის სფეროს ეკონომიკური აგენტები:

(ა) სხვა ეკონომიკურ აგენტებს უშვებენ (აძლევენ დაშვებას) თავის ქსელში ან ინფრასტრუქტურაში კეთილგონივრული და არადისკრიმინაციული პირობებით, მომსახურების შეძენის ან გაყიდვის მიზნით;

(ბ) მკაცრად განასხვავებენ ძირითადი და მეორადი ხასიათის საქმიანობას (მაგალითად, წარმოება, ტრანსპორტირება, მარკეტინგი და ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელებული სხვა საქმიანობა) და უზრუნველყოფენ საბუღალტრო აღრიცხვის გამჭვირვალობას (ყველა ხარჯის შესახებ ინფორმაცია შეუფერხებლად უნდა მიეწოდოს მომხმარებლებს);

(გ) კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად შეიძენენ ნივთებს და უკვეთავენ სამშენებლო სამუშაოებსა

და მომსახურებას, რაც საჭიროა ინფრასტრუქტურული ეკონომიკური აგენტების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

3. სპეციალური ან განსაკუთრებული უფლების მქონე და/ან ინფრასტრუქტურის დარგის ეკონომიკურმა აგენტ(ებ)მა შეიძლება უარი განუცხადოს სხვა ეკონომიკურ აგენტს მის ქსელში დაშვებაზე, თუ უარი ემყარება შემდეგ ობიექტურ მიზეზებს:

(ა) საშიშროება ექმნება ქსელთან დაკავშირებული აპარატურის უსაფრთხოებასა და ეფექტიან გამოყენებას;

(ბ) საშიშროება ექმნება ქსელის მთლიანობის ან მომსახურებათა ურთიერთქმედების შენარჩუნებას;

(გ) ქსელთან მისაერთებელი აპარატურა არ შეესაბამება დადგენილ ტექნიკურ სტანდარტებსა და წესებს;

(დ) ეკონომიკურ აგენტს, რომელიც ითხოვს დაშვებას, არ გააჩნია საკმარისი ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობები და რესურსები, რათა საჭირო დონეზე ეფექტიანად და უსაფრთხოდ მიაწოდოს მომხმარებელს მომსახურება ქსელის მეშვეობით;

(ე) უზრუნველყოფილი არ არის მონაცემთა კანონით გათვალისწინებული დაცვა.

4. ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით კონკურენციის კომისია ახორციელებს სპეციალური ან განსაკუთრებული უფლების მქონე და/ან ინფრასტრუქტურის დარგის ეკონომიკური აგენტების საქმიანობის ანალიზს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად, როგორც ეკონომიკური აგენტების, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიებისათვის.

თავი IX

კონკურენციის კომისია

მუხლი 32.

1. კონკურენციის კომისია არის მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც თავის საქმიანობაში არ

ექვემდებარება სახელმწიფო ხელისუფლების არც ერთ ორგანოს.

2. კომისია შედგება შვიდი წევრისაგან, რომლებსაც საქართველოს პარლამენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

კომისიის წევრი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. ის არ შეიძლება ეწეოდეს სხვა საქმიანობას, გარდა სამეცნიერო ან/და პედაგოგიური მოღვაწეობისა.

3. საქართველოს პრეზიდენტი კომისიის ერთ-ერთ წევრს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარედ. კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან, მაგრამ უფლებამოსილების ვადის გასვლამდე დარჩეს კომისიის წევრად.

4. კომისიის თითოეული წევრის თანამდებობაზე ყოფნის ვადა შეადგენს შვიდ წელს იმ პირობით, რომ ცალკეულ წევრთა უფლებამოსილების ვადის დამთავრების თარიღი შეძლებისდაგვარად თანაბრად ნაწილდება ყოველ შვიდწლიან პერიოდზე.

5. კომისიის წევრები შეიძლება დაინიშნონ:

(ა) არასრული ვადით კომისიის პირველი შემადგენლობის განსაზღვრისას.

(ბ) განმეორებითი ვადით, თუ ისინი არ იქნენ თანამდებობიდან გათავისუფლებული.

(გ) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, წინამორბედის ვადის გასვლამდე.

6. გადაწყვეტილების მიღებისას თითოეულ კომისიის წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბარი გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 33.

1. კონკურენციის კომისიის წევრის უფლებამოსილება წყდება თუ:

(ა) იგი ნებაყოფლობით გადადგა;

(ბ) მის მიმართ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

(გ) იგი სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან უგზოუკვალოდ დაკარგულად აღიარა;

(დ) მან დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

(ე) იგი ზედიზედ ოთხი თვის განმავლობაში არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას;

(ვ) მან დაიკავა შეუთავსებელი თანამდებობა ან იგი ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

(ზ) იგი გარდაიცვალა.

2. კონკურენციის კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის სხვა საფუძველი არ არსებობს.

მუხლი 34.

კონკურენციის კომისიის მიზნები, უფლებამოსილებები და პროცედურული საკითხები განისაზღვრება ამ კანონით და კონკურენციის კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 35.

1. კონკურენციის კომისიის წევრი და კომისიის აპარატის თანამშრომელი საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. მათ საქმიანობაზე უკანონო ზემოქმედება და ამ საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია, ხოლო ამგვარი ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება – ბათილია.

2. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე ამგვარი ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

3. მხოლოდ კომისიაა უფლებამოსილი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეარჩიოს, დანიშნოს და გაათავისუფლოს კომისიის აპარატის თანამშრომლები.

4. კომისიის აპარატის თანამშრომლის ქმედება შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში 30 დღის განმავლობაში ან სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

5. კომისიის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულის ადგილზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს.

თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული კომისიის წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. პარლამენტი გადაწყვეტილებას იღებს რეგლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 36.

1. კონკურენციის კომისია კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, იღებს (გამოსცემს) სამართლებრივ აქტებს. კომისიის სამართლებრივ აქტებს განეკუთვნება კომისიის დადგენილება, კომისიის გადაწყვეტილება და კომისიის თავმჯდომარის ბრძანება.

2. კომისის დადგენილება არის ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. კომისიის გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება კანონმდებლობით კომისიისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

4. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ისეთ საკითხებზე, რომელიც თავისი შინაარსით არანორმატიული ხასიათისაა, კომისიისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, აგრეთვე კომისიისა და კომისიის აპარატის შიდაორგანიზაციულ საკითხებზე, რომლებიც შეიცავს ქცევის ზოგად წესს პირთა განსაზღვრული წრისათვის.

5. კომისიის თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს კონკრეტულ შემთხვევებში კომისიისა და კომისიის აპარატის შიდა ორგანიზაციულ საკითხებზე, რომლებიც არ შეიცავს ქცევის ზოგად წესს.

6. კომისიის სამართლებრივი აქტები მიიღება (გამოიცემა) კომისიის სხდომაზე.

მუხლი 37.

1. ამ კანონის აღსრულებისათვის კონკურენციის კომისია უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ნებადართული ნებისმიერი ქმედება.

2. კონკურენციის კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

(ა) კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

(ბ) მონოპოლიური საქმიანობისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა;

(გ) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით წინასწარი ღონისძიებების გატარება, მათ შორის, არაკეთილსინდისიერი რეკლამის აღკვეთა წერილობითი საჩივრის საფუძველზე;

(დ) კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენის მიზნით სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ანალიზი;

(ე) წარმოების, მიმოქცევის, საფინანსო სფეროების დემონოპოლი'საციის ღონისძიებათა შემუშავება;

(ვ) ფასების მიმღებთა და ფასების მდგენელთა ურთიერთობებში დისკრიმინაციული ქმედებების აღმოფხვრა. მათ შორის, დაუსაბუთებელი სახელმწიფო სუბსიდიების (პირდაპირი და არაპირდაპირი) და შეღავათების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა.

(ზ) საქართველოს სასქონლო (მომსახურების) ბაზრებზე კეთილსინდისიერი კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელისშემშლელი პირობების წინააღმდეგ ბრძოლა;

(თ) აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების (ცენტრალური და ადგილობრივი) მიერ შეზღუდული კონკურენციის პირობებში ეკონომიკური აგენტებისათვის სპეციალური და განსაკუთრებული, ასევე ექსკლუზიური უფლებების მინიჭების (პირდაპირი და არაპირდაპირი) ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, თუ ეს ხელს უშლის თავისუფალ ვაჭრობას და კონკურენციული გარემოს შექმნას;

(ი) ინფრასტრუქტურის სფეროში, არათავისუფლად ბრუნვადი საქონლის (იმპორტი, გენერაცია, განაწილება) მიწოდებით დაკავებულ საწარმოთა მხრიდან სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის ბაზარზე შეღწევის, რესურსის ხელმისაწვდომობის პირობების შემაფერხებელი გარემოებების გამოვლენა და აღკვეთა;

(კ) საკუთრების, რეზიდენტობის ან სხვა ფორმის მიუხედავად ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგა-

ნოებისაგან ეკონომიკური აგენტების მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული ქმედებების გამოვლენა და აღკვეთა (ტარიფების დადგენის, ადგილობრივი მოსაკრებლების განსაზღვრის, თუ ბაზარზე დაშვების კუთხით);

(ლ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ჩატარებული (ჩასატარებელი) ტენდერის, აუქციონის პირობებისა და შეფასების კრიტერიუმებში ბარიერების გამოვლენა და აღმოფხვრა, თუ ისინი ზღუდავენ კონკურენციას;

(მ) ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასებისა და ქვეყნის ეკონომიკური რესურსების ოპტიმალური გამოყენების თვალსაზრისით სასაქონლო ბაზრებზე ეკონომიკური აგენტების ქცევის ანალიზი, ტენდენციების შეფასება თავისუფალი ვაჭრობისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე რეკომენდაციების შემუშავება ბარიერების მოსახსნელად;

(ნ) თანამშრომლობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების კანონმდებლობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრის მიზნით;

(ო) არათავისუფლად ბრუნვად საქონელზე სახელმწიფო რეგულირებადი ფასების დადგენისას გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.;

(პ) სხვა საქმიანობები, რომლებიც ემსახურებიან ბარიერების აღმოფხვრას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელს უშლიან თავისუფალ ვაჭრობასა და კონკურენციას, ასევე არათავისუფლად ბრუნვად საქონელზე ფასების დადგენისას ლახავენ მომხმარებლების ინტერესებს;

(ჟ) ყველა ხელისშემშლელი პირობებისა და ბარიერების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ხელს უშლის საქართველოში თავისუფალ ვაჭრობას, კონკურენციული გარემოს ფორმირება-შენარჩუნებას და არადისკრიმინაციული საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებას.

(რ) ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების განხილვა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

(ს) ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და რეგულირება.

მუხლი 38.

1. კონკურენციის კომისია უფლებამოსილია:

(ა) დასვას საკითხი შესაბამისი ორგანოს წინაშე იმ ორგანიზაციის (სუბიექტის) საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ, რომელიც დაარღვევს ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ საქართველოს კანონმდებლობას;

(ბ) მოსთხოვოს ამ კანონის დამრღვევ ორგანოს, მის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასვას საკითხი შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე;

(გ) მოსთხოვოს ეკონომიკურ აგენტს, მის ხელმძღვანელს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან პარტნიორს (აქციონერს, მეპაიეს) ამ კანონის დარღვევით დადებული გარიგების ან მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ხოლო მოთხოვნის მითითებულ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში – სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში;

(დ) ეკონომიკური კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ეკონომიკური აგენტისაგან მოითხოვოს ინფორმაცია მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობისა და ურთიერთობების შესახებ, მათ შორის, ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობასთან, კონკურენციის კუთხით ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საკითხებთან, საწარმოო ხაზებსა თუ პროდუქციის წარმოებაში (მომსახურების გაწევაში) ცვლილებებთან, ეკონომიკური აგენტის საბაზრო ქცევებთან, აქტივების შეძენა გასხვისებასთან, სალიკვიდაციო ან სარეორგანიზაციო პროცესთან, პროდუქციის (მომსახურების) ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესწავლა-შეფასებასთან,

ხელმძღვანელობასა თუ სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილებებთან, ეკონომიკური აგენტის მიერ შერჩეული აუდიტორის (აუდიტური ფირმის) შეცვლასთან, ეკონომიკური აგენტის მაკონტროლებელ პირებთან, პარტნიორთან (აქციონერთან) კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან, ეკონომიკური აგენტის საწესდებო ან ნებადართული კაპიტალის გაზრდასა ან შემცირებასთან, ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ მხარეთა და ურთიერთობებთან და სხვა შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით.

(ე) გაეცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

(ვ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეამოწმოს და ამოიღოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; ამოღებული დოკუმენტები არ შეიძლება გამოქვეყნდეს და გამოიყენება მხოლოდ საქმის განხილვისას.

თუ დოკუმენტების და საქმესთან დაკავშირებული ფაქტების შემოწმების შედეგად არ დადასტურდა კონკურენციის კომისიის ეჭვი, იგი ვალდებულია ეკონომიკურ აგენტს მთლიანად აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

(ზ) დააყენოს ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირის ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

(თ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომისიებს მოსთხოვოს ნებისმიერი, მისთვის საჭირო ინფორმაცია. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში დააყენოს ამ ორგანოების თანამდებობის პირთა დისციპლინარული ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი.

(ი) გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს და ეკონომიკური აგენტის თანამდებობის პირებს წერილობით მოსთხოვოს ინფორმაცია საჯარაუდო დარღვევის შესახებ. თუ მოთხოვნის წარდგენიდან 30 დღის ვადაში პირი მოთხოვნილ ინფორმაციას არ წარადგენს ან კონკურენციის კომისიას გააჩნია დასაბუთებული ეჭვი, რომ წარდგენილი ინფორმაცია არასწორია, მაშინ კომისიას უფლება

აქვს დახმარებისათვის მიმართოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს ან/და აღძრულ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს მის ხელთ არსებული ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე. საქმის მოსმენის საჭიროებისას, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ეკონომიკური აგენტის მონაწილეობა საქმის მოსმენაში.

(კ) ეკონომიკურ აგენტს ოფიციალური მოსმენის საჭიროების წარმოჩენისას უნდა მიეცეს საშუალება გაეცნოს კონკურენციის კომისიის მიერ საქმის შესახებ შექმნილ დოკუმენტაციას.

(ლ) გაუგზავნოს მიწერილობები ეკონომიკურ აგენტებს ეკონომიკურ კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შეწყვეტის აუცილებლობის შესახებ.

(მ) მოსთხოვოს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ისეთი მოქმედების აღკვეთა, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფო ან სხვა პირთა მონოპოლიას წიაღით სარგებლობის სფეროში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქართველოს კანონმდებლობის (კანონის) თანახმად მინიჭებულია სპეციალური ან განსაკუთრებული უფლება გარკვეული სახის წიაღისეულის ან ცალკეული საბადოს დამუშავებისათვის. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კონკურენციის კომისია უფლებამოსილია, დასვას საკითხი საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის წინაშე თანამდებობის პირთა თანამდებობრივი პასუხისმგებლობის შესახებ;

(ნ) ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ეკონომიკური აგენტის პასუხისმგებელ პირებს (ხელმძღვანელებს) დადგენილი წესის შესაბამისად დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი.

2. ამ მუხლის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელება კონკურენციის სააგენტოს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი ეკონომიკური აგენტის მიერ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტებისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ.

მუხლი 39.

კონკურენციის კომისიის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა როგორც ეკონომიკური აგენტებისათვის, ისე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიებისათვის.

მუხლი 40.

კონკურენციის კომისია ვალდებულია:

(ა) დაიცვას და სახელმწიფო კონტროლი განახორციელოს ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესრულებაზე.

(ბ) განიხილოს შემოსული განცხადებები და შუამდგომლობები და განმცხადებელს აცნობოს პასუხი წერილობითი ფორმით განცხადების შემოსვლიდან არაუგვიანეს 30 დღისა;

(გ) დაიცვას და არ გაავრცელოს სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოება.

საიდუმლოების შემცველი მონაცემების გამჟღავნებისას მიყენებული ზარალი ანაზღაურდება კონკურენციის კომისიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

მუხლი 41.

კონკურენციის კომისია ვალდებულია ყოველი წლის 1 აპრილამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს. ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფართო საზოგადოებისათვის. შესაბამისად ის უნდა გამოქვეყნდეს და განთავსდეს კომისიის ვებ-გვერდზე.

მუხლი 42.

საქართველოს კონკურენციის კომისიის წევრებსა და კომისიის თანამშრომლებს, აგრეთვე კომისიის მიერ დაქირავებულ სპეციალისტებსა და ექსპერტებს:

(ა) უფლება არ აქვთ ჰქონდეთ პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესი ეკონომიკური აგენტის მიმართ, ეკავოთ თანამდებობა რომელიმე ეკონომიკური აგენტის საწარმოს ხელმძღვანელ, სამეთვალყურეო ან საკონსულტაციო ორგანოში, ან/და გააჩნდეს მისი სახელით ან/და ინტერესებისათვის იურიდიული მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება.

(ბ) უფლება აქვთ იყვნენ ეკონომიკური აგენტის პროდუქციის (საქონელი, მომსახურება, სამუშაო) მომხმარებლები, მაგრამ ეკონომიკურ აგენტს უფლება არ აქვს მათ შესთავაზოს, ხოლო მათ – მიიღონ საქონელი უფასოდ ან ფასდაკლებით.

თავი X

პასუხისმგებლობა „ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ“ კანონის დარღვევისათვის

მუხლი 43.

ამ კანონის დამრღვევ პირს ეკისრება დისციპლინარული, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 44.

ჯარიმების ოდენობა ამ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი XI

კონკურენციის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

მუხლი 45.

ეკონომიკურ აგენტს, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს უშუალოდ მიმართოს სასამართლოს, შესაბა-

მის ორგანოს ან თანამდებობის პირს ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და ამის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე სასამართლოში გაასაჩივროს კონკურენციის კომისიის სამართლებრივი აქტი.

მუხლი 46.

ეკონომიკურ აგენტს უნაზღაურდება საქართველოს კონკურენციის კომისიის მიერ არაკანონიერი ქმედებით მიყენებული ზარალი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი XII

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 47.

1. საქართველოს კონკურენციის კომისიის აპარატის ჩამოყალიბება მოხდეს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ბაზაზე.

2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოს კონკურენციის კომისიისათვის თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ქონების გადაცემა.

3. ამ კანონი ამოქმედებიდან სამ თვეში დასრულდეს კონკურენციის კომისიის წევრთა დაკომპლექტება.

4. კონკურენციის კომისიის წევრებმა დანიშვნიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ კომისიის დებულების შემუშავება და მისი დადგენილი წესის თანახმად საქართველოს პრეზიდენტთან წარდგენა.

5. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ძალაში შესვლიდან ორ თვეში უზრუნველყოს კონკურენციის კომისიის დასაკომპლექტებლად აუცილებელი ფინანსური სახსრების გამონახვა და „2007 წლის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში სათანადო ცვლილებების თაობაზე კანონპროექტის პარლამენტში წარდგენა.

6. საქართველოს პარლამენტმა ამ კანონის მიღებიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის მიერ მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი კანონ-პროექტის განხილვა.

თავი XIII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 48.

1. ამ კანონის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის №1550–IIს კანონი (სსმ №31, 27.06.05 წ., მუხლი 188, გვ. 3-7).

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

12. დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

12.1 კონკურენციის თეორიული შეხედულებების ევოლუცია[165]

კონკურენციის ეკონომიკური მოდელი	მოდელთა საფუძვლის შემქმნელები და მათი ძირითადი შრომები
სრულყოფილი კონკურენცია საბაზრო სტრუქტურა, რომელიც ხასიათდება მცირე ფირმების ძალიან დიდი რაოდენობით; ფასების კონტროლი არ არსებობს; მოთხოვნა არის ძალიან ელასტიური; კონკურენციის არაფასობრივი მეთოდები პრაქტიკაში გამოუყენებადია> არ არსებობს დაბრკოლება (წინააღმდეგობა) ბიზნესის ორგანიზებისათვის.	**სრულყოფილი კონკურენცია** ა.სმითი – „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776წ.); დ.რიკარდო – „პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები“ (1817წ.); ჯ.ს.მილი – „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“ (1848წ.); კ.მარქსი – „კაპიტალი“ (1863-1894 წწ.).
მონოპოლიური კონკურენცია საბაზრო სტრუქტურა, რომლის დროსაც ბაზარზე არის დიფერენცირებული პროდუქციის გამსაღებელი (რეალიზატორი) საწარმოები დიდი რაოდენობით: ფასის კონტროლის დიაპაზონი ვიწროა; მოთხოვნა ელასტიურია; გამოიყენება არაფასობრივი კონკურენციის მეთოდები; დარგში შესასვლელი ბარიერები უმნიშვნელოა.	**არასრულყოფილი კონკურენცია** ა.ო.კურნო – „სიმდიდრის თეორიის მათემატიკური პრინციპებით გამოკვლევა“ (1838წ.); ფ.ი.ჯ.უორტი – „მონოპოლიების თეორია“ (1897წ.); კ.ვიქსელი –„პოლიტიკური ეკონომიის ლექცია“ (1901წ.); ჯ.რობინსონი – „არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია“ (1933წ.); ე.ჩემბერლინი – „მონოპოლისტური კონკურენციის თეორია“ (1933წ.); ჯ.კეინსი – „დასაქმების, პროცენტის და ფულის ზოგადი თეორია“ (1936წ.); ი.შუმპეტერი – „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ (1942წ.); ა.ბ.ლერნერი – „კონტროლის ეკონომიკა“(1944წ.); ფ.ა.ჰაიეკი – „ინდივიდუალიზმი და ეკონომიკური წესრიგი“ (1948წ.); პ.სრაფფი – „საქონლის წარმოება საქონლის მეშვეობით“ (1960წ.).
ოლიგოპოლიური კონკურენცია ისეთი საბაზრო სტრუქტურაა, რომლის დროსაც ბაზარზე არის საწარმოების მცირე რაოდენობა; დიაპაზონ კონტროლ; ფასების კონტროლის დიაპაზონი დამოკიდებულია საწარმოთა მოქმედების შეთანხმებულობის დონეზე; უპირატესობა ენიჭება არაფასობრივ კონკურენციას; არის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები ბიზნესის ორგანიზებისათვის.	
აბსოლუტური მონოპოლია არის საბაზრო სიტუაცია,როდესაც ბაზარზე არის ერთი საწარმო,რომელიც უშვებს ისეთ უნიკალურ პროდუქციას,რომელსაც არა აქვს ეფექტური შემცვლელები; ფასებზე არის მნიშვნელოვანი კონტროლი; მოთხოვნილება არაელასტიურია; დარგში სხვა ფირმების შესვლა შეუძლებელია (დაბლოკილია)	

165 Азоев Г.Л. «Конкуренция, анализ, стратегия и практика», Книга 3, М., 1996, с. 10.

12.2 შერწყმის პროცესებთან დაკავშირებით შეტყობინების ანტიტრესტული (კონკურენციული) სისტემები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში[166]

წინასწარი შეტყობინების სავალდებულო სისტემა		შემდგომი შეტყობინების სავალდებულო სისტემა	ნებაყოფლობითი შეტყობინების სისტემა
ალბანეთი	უკრაინა	არგენტინა	ავსტრალია
ხორვატია	ფინეთი	მაკედონია	ვენესუელა
ავსტრია	ირლანდია	საბერძნეთი	კოტ-დიუარი
ჩეხეთის რესპ.	იტალია	დანია	ინდოეთი
აზერბაიჯანი	ყაზახეთი	ინდონეზია	ახალი
შვეიცარია	კანადა	(2000 წლის	ზელანდია
არგენტინა	კენია	მარტიდან)	ნორვეგია
შვეიცია	კვიპროსი	ესპანეთი	პანამა
ბელარუსია	კოლუმბია	კორეის	გაერთიანებული
ესტონეთი	ლატვია	რესპუბლიკა	სამეფო
ბელგია	ლიტვა	რუსეთის	ჩილე
სამხრეთ	მაკედონია	ფედერაცია	
აფრიკა	მექსიკა	ტუნისი	
ბულგარეთი	ნიდერლანდები	სამხრეთ	
იაპონია	პოლონეთი	აფრიკა	
ბრაზილია	პორტუგალია	იაპონია	
უნგრეთი	კორეის		
გერმანია	რესპუბლიკა		
საბერძნეთი	მოლდაველთის		
ევროკავშირი	რესპუბლიკა		
ისრაელი	რუსეთის		
ტაივანი,	ფედერაციული		
ჩინეთის	რესპ.		
პროვინცია	რუმინეთი		
ტუნისი,	სლოვაკეთის		
თურქეთი	რესპუბლიკა		
უზბეკეთი	სლოვენია		
	აშშ		
	ტაილანდი		

66 წყარო: ЮНКТАД-ის კონკურენციის სფეროში კანონმდებლობის ცნობარი.

12.3 დსთ-ს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფოთაშორისი საბჭოს სხდომების გამართვის ქრონოლოგია[167]

№№	სხდომის ჩატარების დრო (წელი, რიცხვი და თვე)	სხდომის გამართვის ადგილი (ქალაქი, ქვეყანა)
I	1994 წელის 16-17 თებერვალი	ქ. მინსკი, ბელარუსია
II	1994 წლის 26 მაისი	ქ. კიევი, უკრაინა
III	1994 წლის 6-8 ოქტომბერი	ქ. ბიშკეკი, ყირგიზეთის რესპუბლიკა
IV	1995 წლის 17-18 აპრილი	ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია
V	1995 წლის 6-7 ნოემბერი	ქ. კიშინიოვი, მოლდაველეთის რესპუბლიკა
VI	1996 წლის 20-25 მაისი	ქ. ალმა-ათა, ყაზახეთის რესპუბლიკა
VII	1996 წლის 1-4 ოქტომბერი	ქ. ბაქო, აზერბაიჯანის რესპუბლიკა
VIII	1998 წლის 14-15 ოქტომბერი	ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია
IX	1999 წლის 22 აპრილი	ქ. დუშანბე – ქ. მოსკოვი, ტაჯიკეთის რესპუბლიკა – რუსეთის ფედერაცია
X	1999 წლის 22-24 სექტემბერი	ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია
XI	2000 წლის 11-12 ივლისი	ქ. კიევი, უკრაინა
XII	2000 წლის 20 ოქტომბერი	ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია
XIII	2001 წლის 14-15 ივნისი	ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია
XIV	2001 წლის 28 სექტემბერი	ქ. ასტანა, ყაზახეთის რესპუბლიკა
XV	2002 წლის 25 აპრილი	ქ. ოდესა, უკრაინა
XVI	2002 წლის 15-16 ოქტომბერი	ქ. ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა
XVII	2003 წლის 4 ივნისი	ქ. ტაშკენტი, უზბეკეთის რესპუბლიკა
XVIII	2003 წლის 17-19 სექტემბერი (საიუბილეო სხდომა)	ქ. სანქტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია
XIX	2004 წლის 17-18 მაისი	ქ. კიევი, უკრაინა
XX	2004 წლის 12-14 ოქტომბერი	ქ. დუშანბე, ტაჯიკეთის რესპუბლიკა
XXI	2005 წლის 23-24 ივნისი	ქ. მინსკი, ბელარუსიის რესპუბლიკა
XXII	2005 წლის 26 სექტემბერი	ქ. ბაქო, აზერბაიჯანის რესპუბლიკა
XXIII	2006 წლის 30-31 მაისი	ქ. კიევი, უკრაინა
XXIV	2006 წლის 11 ოქტომბერი	ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია
XXV	2007 წლის 28-30 მაისი	ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია
XXVI	დანიშნულია 2007 წლის 20-21 სექტემბერს	ქ. ბაქოში, აზერბაიჯანის რესპუბლიკა

